

მურმან თავდიშვილი

# ფირდოუსი

რომანი

თბილისი  
2019

მნამს, რომ უფროსე აღმალდეზა სიმღერა თქმული,  
იმნაირ პირზე, ვინც დიდებით  
სხვებზე სრულია!  
**ბაირონი**

რედაქტორი

დამკაბადონებელი

ნომადი ბართაია

თამარ ტყაბლაძე

გამომცემლობა „ინტელექტი“

## საშესავლო ინტერმეცო

ჩემი კალამი, ბუღბუღის თავიანი, შევამონმე. მომღერალი ფრინველი ისევ და ისევ ძველებურად ელავს. ახლა სარკეში ჩავიხედე, რომელიც ხელში გურიის ნათელ დღეს უკავია: სადღაა ჩემი ფისივით შავი წარბები, სადღაა ღანვთა ადრინდელი სინითლე, თვალთა ოპტიმისტური და დაუძღვეველი სიხალისის შუქი ელვარე, სადღაა კვიპაროსივით ელასტიკური ტანი, თმა – ხუჭუჭა, კლაკნილი კულულები?! აჰ, როგორ გამცდარა და ამსუბუქებულა აწონილი ოქროს მონეტა! მუხლიც ისე მედგრად ვეღარ იჭერს გაბერილ მუთაქას, ხელებიც დამღარვია, გამხდარ-გაშავებულა, ნუთუ ასე სუსტ სხეულს ძალუძს კიდევ ერთი წიგნის დანერა?

ასე გავიფიქრე და მერეღა გამახსენდა იმთავითვე გასახსენებელი:

გული!

გული ისევ ისე ფხაკურობს, ძველებურად ძალუმადა ძგერს, ისევ იმ ძველებური სიყვარულითაა აღსავსე, იმ ადრინდელი სიყვარულით, როგორც მაშინ იყო, როდესაც ფირდოუსისა და რუსთველის შესახებ მონოგრაფიულ გამოკვლევასა ვწერდი.

მხოლოდ ამ ერთს, მარტოოდენ ამ ერთადერთს მივინდობ, იმას, რომელიც ადამიანის ორგანიზმში პირველი ინყებს ძგერას და უკანასკნელი წყვეტს ფეთქვას.

მაშ, წინ გამიძეხ, გულო, და გამოაღვიძე მთვლემარე გონება!



## თავი პირველი

- ბიჭო, გამოდი გარეთ, შენ მოუკვდი შენს პატრონს!
- არა, არ მოუუკვდეები და არც არაფერი!
- ალაჰმა დაგლახვროს, გამო-მეთქი!
- არც ალაჰი დამლახვრავს და არც არაფერი!
- ასე ჯიუტი და თავნათევადა როგორა ხარ, გამოდი! განრისხებულ მამას ზეაღმართულ ხელში თასმანწული მათრახი ეჭირა და ყმანვილის გამორჩენას ელოდა.
- გამოდი, შე მართლა აჯამო!, შენა! თორემ ისე გაგნკეპლავ, როგორც დარიოსმა განკეპლა ურჩი ზღვის ყურე.
- მერედა დაიმორჩილა? – იკითხა ნკრიალა ხმამ.

მშობელს უზურში ჰქონდა მონიშნული, დღეს მემკვიდრე ნაშეირისათვის ის მცირე მამული ერვენებინა, ამას წინათ რომ თაბარანელებმა მიარგუნეს სოფელ ბაჟის ბოლოში, დაბა თუსის ახლორე.

არადა ბიჭი ჯიუტობდა, წაყოლას არ ეშურებოდა, იურთაში იჯდა და სოფლის მწერლისაგან ნაჩუქარ უხეირო პერგამენტზე ასოები გამოჰყავდა. ვაშლივით ბავშვი იყო.

**... დიან, თავი ეტრატზე მძიმედ დაიხრება, დაბლა დაიხრება და კალმის წვერი ძველ ამბავს მოფხოჭნის...**

„სასიამოვნო ამბავს გვატყობინებენ თუ უსიამოვნოს, სპარსული ასოები კი მაინც სამოთხის ფერიებსა ჰგვანან“, - ფიქრობდა ბიჭუნა.

მთელი წინა კვირა ხალხური დასთანებისა და ლექსების შეკრებას მოანდომა. ახლა კი მათ ახარისხებდა,

1 აჯამი – არაარაბი. აქ – სპარსელი.



კრებულად ადგენდა და მერე იზეპირებდა კიდევ, რათა იქვე, ახლორე, ქუჩის გადაღმა მდებარე სამიკიტნოში შეკრებილ კლიენტთა წინაშე მარჯვედ წაეკითხა. ამას წინათ რამდენიმე მსმენელს მისმა მონათხრობმა ცრემლიც კი მოჰგვარა და ეგ დია ახარებდა.

მამაკაცმა ცერად გახედა საურმე გზის იქითა გორაკზე აკორიკებულ ორსართულიან ნაგებობას. წერა-კითხვა დიდად არ ენიაზებოდა, ოღონდ ზეპირად ჰქონდა შესწავლილი სარეკლამო ფირნიშანი, რომელზედაც თითქოსდა მზის სხივებში ცურავდა მსხვილი ასოებით გამოყვანილი სახელწოდება – **ვარჰალალო**. ამ წარწერას, ალბათ, მთელი ფარსანგის<sup>2</sup> მანძილზეც კი ამოიკითხავდა თვალმახვილი კაცი.

აჯამის მამამ გრძელ წვერზე ხელი ჩამოისვა, ზუფანზე ღარიბული სარტყელი უკეთ შემოიჭირა, კიდევ ერთხელ შეავლო მზერა სამიკიტნო „ვარჰალალოს“ და გულში ნეტარება ჩაელვარა, წვიმიან დღესავით მოღუშული სახე გაუდარიანდა – რაც ბიჭმა იქ სამსახური დაიწყო, ფული გაუჩნდათ, ხოლო, მას უკან, რაც ოჯახში მონეტამ დაიჭყივლა, სიღარიბე უკანა კარებიდან კისრისტეხით გავარდა და სადღაც მოუსავლეთში გადაიხაფრა. არა, მართლაც რომ დროა, შვილი ნამდვილ სამამაკაცო საქმეს დააჩვიოს, წინ გრძელი და ხიფათიანი ცხოვრება ელის, მამულის გაძლოლა გაცილებით ძნელია, ვიდრე ასოების გამოყვანა, თუნდაც „შ“ ასოს რთული მოხაზულობა იყოს. „არა, წიგნი დეჰყანის<sup>3</sup> საქმე არაა!“ - გადაწყვიტა მან.

2 ფარსანგი – 5-6 კმ.

3 დეჰყანი – მინათმოქმედი, გლეხი.



მამა ცხოვრებას კარგად იცნობდა და იცოდა, რომ ქალის მორჯულება უფრო იოლია, ვიდრე ვაჟისა, რადგან გოგონა ერთ ღამეში ხდება დიაცი, ბიჭუნას მამაკაცად ქცევას კი მთელი ცხოვრება სჭირდება. ამდაც ენადა, დროულად ჩაერთო მამულის მართვისა და რეალური ყოფის ჩარფუზანაში.

- ყურმუსალო, გამოდი-მეთქი!

ახლა უკვე სითბო დაეცყო მამაკაცის ხმას.

მშობელს თან ნუზლი რამ წამოელო, სახელდახელო ფუთაში გამოკრული. გზად დასჭირდებოდათ.

როგორც იქნა, ბიჭი გამოჩნდა. მოძრაობაზე ეტყობოდა, აჩქარება არ უყვარდა; თეთრყირმიზი სახე უჩანდა და ოდნავ ოვალური თვალები, ძველი პოეტები რომ ნარგიზთა მეტაფორით მოიხსენიებდნენ. ათი-თორმეტი წლისა იქნებოდა; მისი წვრილ-წვრილი და საკმაოდ მაღალი ტანი ნორჩ კვიპაროზსა მოგაგონებდათ, მხრები კი არაყმანვილურად, მამაკაცურად განიერი ჰქონდა. სახეზე მზის ტალი დასდებოდა და ალაგ-ალაგ ყირმიზს ყავისფერ-შოკოლადისფერი გასჯიბრებოდა.

მამამ მათრახი ეგრევე ააყირბაჩა, მაგრამ ბოლოს ხელი შეუბოჩინდა, შეუთრთოლდა, ზეანეული მათრახი ხელიდან კინალამ გაუვარდა. მარჯვენა ძირს ჩამოილო და იგრძნო: ახლა უკვე მრისხანების სანაცვლოდ მცირე წყენალა თუ შერჩენოდა გულში. ბოლოს როყოდ გაღიმებაც კი მოახერხა და ჰკითხა:

- რომ გეძახი, განა არ უნდა შეისმინო?!

- დასთანები და ხალხური ლექსები გადავათეთრე. ახლა ვარდსა და ბულბულზე შეთხზული ხალხური ბეითები უნდა შევაგროვო.

- ეგ კი რადლა გჭირდება, მაგას ხომ საჩაიეში ვერ ნაიკითხავ?

- ამ მასალების გამოყენებით პოემა უნდა შევთხზა, „ვარდბულბულიანი“.

- აჰ, ნამეტანი შორს ხომ არ გაგიტევია?! – გაიკვირვა მშობელმა; მერმედ ოჩან ცხენზე ამხედრდა, შვილს კი ანიშნა, იქვე მორჩილად მდგარ ბებერ ვირზე შემჯდარიყო.

- არა უშავს რა, - ონავრულად ჩაიცინა ყმანვილმა, - როდესაც უბადრუკ არსებას შეხედა, მერმედ სასწრაფოდ დაუმატა:

- არა უშავს რა, ქრისტეც სახედარზე შემჯდარი შევიდა იერუსალიმში.

მამაკაცმაც იქედნურად ჩაიცინა, მერე კი მიუგო:

- ოღონდაც, მაგრამ ისას<sup>4</sup> ჩოხის კალთა ყველა ვირუკას როდი დაეფინება!

ბოლოს, როდესაც დაინახა, რომ შვილიც ამხედრდა თავის „ბედაურზე“, ჰკითხა:

- მაშ, „ვარდბულბულიანის“ დაწერას ეპირები?

- ჰო, უსტა<sup>5</sup> მეუბნება, ამისი ნიჭი და ძალა შეგწვესო.

- მერედა ასე პატარა რომა ხარ? მაგხელა ტვირთის ნამონევას მოზრდილის ხერხემალი თუ გაუძლებს.

- არა უშავს, მეცა და ჩემი პოემაც ერთად გავიზრდებით და ერთად დავვაჟკაცდებით.

მამას გული შეეკუმშა – ამ პასუხში რაღაც თავხედური ნოტი იგრძნო.

ამასობაში პატარა მდინარეზე გადებულ ბოგირს გადავიდნენ. ნინ უფროსი, უკან უმცროსი მიჩაქჩაქებდნენ.

4 ისა – იესო ქრისტე.

5 უსტა – მასწავლებელი, ოსტატი.



მამას მაინც „ვარდულებულიანის“ ამბავი აინტერესებდა, სულაც არ ენადა, მის პირმშოს მთელი გულისყური ამ უაზრო საქმიანობაზე გადაერთო.

- მაინც რა მოგნონს მაგ თემისა?
- ბუღბუღს რომ ასე უანგაროდ უყვარს ვარდი.

- უჰ, შე აბდალავ<sup>6</sup>, შენა! აი, რასა ნიშნავს, რომ ჯერეთ სრულიად გამოუცდელი ხარ, უმნიფარი, ცხოვრებას არ იცნობ: ბუღბუღს ვარდი მართლა ალალი სიყვარულისთვის კი არ დასტრიალებს თავს, შე აბდალო, არამედ იმიტომ, რომ ჭიები ესევა. ჭია კი ფრინველთა საუკეთესო ნუგბარია!

ბიჭი ჯერ გაოცდა, გასახტავდა. მერმედ კი დაფიქრდა. ეს ამბავი ეწყინა, აიმრიზა:

- არა, მე მაინც დავწერ!
- კეთილი, დაწერე, რაკი არ მოგიშლია, თუმცა კი მაქ საპოეზიო არაფერია.

„თუმცა კი მაქ საპოეზიო არაფერია“, - გაიფიქრა ყმანვილმა და ვირს ფერდში წვეტიანი მუხლი უთავაზა. პირუტყვემა ფეხს აუჩქარა.

- აბუ ბატონო, „თუმცა კი მაქ საპოეზიო არაფერია“, მე მაინც შევთხზავ ჩაფიქრებულ პოემას, - მტკიცედ წარმოთქვა კარაულზე ამხედრებულმა ყმანვილმა.

- ეეჰ, - ამოიოხრა მამამ, - მოპოეტო ელემენტები ენაგრძელებიცა ხართ. ერთი ენა და ორი ყური იმად გასხია, რომ ორჯერ მეტი მოისმინო, ვიდრე ილაპარაკო. იცოდე, დროთა განმავლობაში ენაგრძელებს ყურიც უგრძელდებათ.

<sup>6</sup> აბდალა – ყმანვილი, გამოუცდელი.



ბიჭს ხმა აღარ გაუცია. მან წარმოიდგინა ყურდაგრძელებული ადამიანები: აგერ ერთიც, ღარიბი ფელახი<sup>7</sup>, წელში მოგრეხილა, ვაგლახად დაღრეჯილა და მიჩლახუნობს, ძლივს მიათრევს თავის უზარმაზარ ყურს, რომელიც პატრონზე ბევრად მეტი და მძიმე გამხდარა. ყურს ძარღვები დაჰბერვია, თითქმის დასკდომამზე აქვს; ქვედა წითელი ბიბილო ძირს დაშვებულა, მინაზე მიჩოჩიალობს, დახეთქილა, ალაგ-ალაგ სისხლიცა სდის და წითელ ნაკვალევსა ტოვებს. კაცი გამწარებით ეზიდება ამ ტვირთს, როგორც უზარმაზარ სველ ბადეს მებადური, როცა იგი წყლიდან ზემოთ ამოაქვს და, თუ სათხვეველს წვრილ-წვრილი თევზები მოჰყვება ხოლმე, ამ ყურის ბადეში წვრილმან-მსხვილმანი ამბები გაჩხერილა, კერძოდ, თუ როგორ უძღვნა შაჰრიარმა, შვიდი იყლიმის მპყრობელმა, მაშრიყ-მალრიბის მბრძანებელმა, ერთ თავდადებულ გმირს ქვეყნიერების ერთი გავარი<sup>8</sup>, ნაყოფიერებით განთქმული მინა, მოფენილი ბუსთან-წალკოტებით, სადაც ჰურიები<sup>9</sup> დარონინებენ და ბარბითის<sup>10</sup> ტკბილი ჰანგები იფრქვევა, სადაც ხორასნის ვარდებზე უფრო სურნელოვან ვაზის ასულსა<sup>11</sup> სვამენ და ნეტარებით ღამის ისე აღმალდნენ, ხელი ზეცას მოავლონ; აგერ სხვა ადამიანი, ისლამის მიმდევარი, დარვიში, ქორის გუდას ყური კი არ გაფლაშტუნებია, არამედ საარის<sup>12</sup> სახმობი საყვირივით დაგრძელებია; მიუბჯენია იგი დივანხანის<sup>13</sup>

7 ფელახი – გლეხი.

8 გავარი – მხარე, ოლქი.

9 ჰურია – სამოთხის ფერია.

10 ბარბედი – მუსიკოსი; ბარბითი – ქნარი.

11 ვაზის ასული – ღვინო.

12 საარი – დილის საყვირის ხმა.

13 დივანხანა – საფიხვნო.



საკარე ფარდისათვის, რათა პოლიტიკური და სოციალური გადაწყვეტილებები პირველმა შეიტყოს და მერე ქვეყნიერებას მოსდოს, ვიდრე ამას მარზპანები და შათირები გააკეთებდნენ. ამით კი მისნისა და წინასწარმეტყველის სახელი დაიგდოს; აგერ საბრალო მეჯუნნი, სიყვარულისაგან შეურვებულ-შმაგი, ყური არღავანისფრად ულაპლაპებს, ნიჟარები საგანგებოდ დასჭიმვია, რა არის, გულის მურაზის ნათქვამი ლექსი, ცალკე ფრაზა თუ სიტყვა შეისმინოს, მისი ოხვრის ხმა გაიგონოს, წამოცდენილი შორისდებული აღიქვას, მის ზეფირზე უფრო ნაზ სუნთქვას მიაყურადოს და შემდეგ ტყე-ღრეს, მთებსა და ხევებს, მინდვრებსა და შავარნოებს, ნალკოტ-გოლესთანებს<sup>14</sup> მოსდოს ამ წრეშეუწერელი და ნაღვლიანი სიყვარულის ამბავი, ან მუნასიბად თქმული, რომელსაც შემდგომ სიტყვის ოსტატები ნყობილ მარგალიტად აასხამენ და მომდევნო პოეტ-მოშირეთა ძალის საზომ საჯილდაო ქვად გადააქცევენ; აგერ, დახეთ, ეს ვინ მოსულა? თვითონ ის, ცოცხალსახიანი თვალხატულა ყმანვილი, თავად აბუ-ლ-ყასემი, სოფლის ორღობებში მოსმენილ სასიმღერო ბეითებს, წვრილ-წვრილ დასთანებსა და ლეგენდარულ გმირთა ისტორიულ ამბებს რომ აყურადებს, რათა შემდეგ „ვარჰალალოს“ კლიენტებს ამ ახალგაზრდა ნაყალმა<sup>15</sup> ხელახლა მოუთხროს, გული გაუხაროს, სული გაუფაქიზოს, სევდა-ნაღველი მოჰგვაროს და ზოგს ცრემლიც აულაპაღუპოს. და ამ პატარა აჯამსაც ყური დაგრძელებია, გაფლამტუნებია; ვილაცასა თუ რალაცას იგი ქარისაგან წაქცეული იურთის კალთისათვის

14 გოლესთანი – ვარდის ბაღნარი.  
 15 ნაყალი – მთქმელი, მოზეპირე, ტექსტების ნამკითხველი.



დაუმსგავსებია, ნყლით გაფიჟვინებულისა და მიგრეხილ-მოგრეხილისათვის. მართლაცდა, თუ დიდი, აჰ, რასა ვჩმახავ, თუ უზარმაზარი, ალაჩოყის სიმაღლე და იურთის სიგანე ყური არ გაქვს, მაშ, როგორ შეეცევა მასში ის ვეებერთელა ამბავი, როგორიცაა ამბავი რუსთამისა და ზოჰრაბისა, ლეგენდად ქცეული დევგმირებისა – მამისა და შვილისა, რომელთა ტრაგიკული შერკინების ამბავმაც, ლამის არის, ჩინ-მაჩინის საზღვრებამდეც და თვით შორეული აფხაზეთის მინამდეც კი მიაღწიოს, ხოლო, თუ ამ ხალხურ თქმულებას დიდოსტატი მოშაირე გალექსავს, მაშინ ხომ მთელ მსოფლიოს მოეფინება ეგ სევდიანი და გულის შემაურვებელი ამბავი, და ან კი...

- ან კი მოვსულვართ და ეგ არის! – ესმის ყმანვილს მშობლის ბოხი ხმა და ფანტაზიის სფეროდან მინაზე ჩამოდის, არა, უკეთ, ბებერი კარაულის გავაზე, რომელიც გზაშარის კიდეზე ამოსულ გლერტა-ბალახს ხამუშ-ხამუშ ნაავლებს პირს და დრუნჩების ცმაცუნით ცოხნის, ოჩან ცხენს უკან მისჩანჩალებს და თავის პირუტყვულ ფიქრსა მისცემია. „ჰო, რა ბრძანა მამაჩემმა? ყველა ვირუკას როდი დაეფინება ქრისტეს კვართის კალთაო, არა?! დიახ, ეგ დასტურ აგრეა, მაგრამ მე უსათუოდ დამეფინება, ამასაც ვნახავთ, რომ დამეფინება!“ - ასე ფიქრობდა ყმანვილი და ვირს მუხლისთავეებით აქეზებდა, რათა მამის ცხენს დიდად არ ჩამორჩენოდა.

დაბის მისადგომთან ჩამდინარ პატარა ლელეზე გადებული ბოგირიც განვლეს და ამ დასახლების გარეუბანიც გამოჩნდა. თუსი ქალაქივით მდიდარი ჩანდა. გარს უზარმაზარი კედელი ერტყა, რომელში შვიდი კარიბჭე იყო დატანებული; ქვით მოპირკეთებულ



გზებზე ეტლები დახრიგინებდნენ, ცხენები და ვირები ფლოქვებს იცვეთდნენ. იქ მილეთ-მოლეთის ხალხი ტრიალებდა. ქუჩებში ირეოდნენ სოლდელები, ხორეზმელები, მომთაბარე თურქები, არაბები და, რაღა თქმა უნდა, ხორასნელი სპარსელები, რომლებიც სხვა დანარჩენთაგან უფრო მაღალი კულტურით გამოირჩეოდნენ, როგორც ხორასნული ვარდი გამოირჩევა მსოფლიოს სავარდემში. უცებ საიდანლაც, რომელიღაც ფოლორციდან, ყმანვილი თულუხჩი გამოვარდა თავისი ახალგაზრდა ვირით, აბულყასემის ვირს შეეჯახა და კინალამ წააქცია. ჩამოვარდნას გადარჩენილმა ბღვერით გახედა უნებლიე მეტოქეს, ოღონდ ის უკვე მთავარ ქუჩას მისდგომოდა და ცივი წყლის მოსურნე კლიენტებს უხმობდა. ბიჭმა ახლალა იგრძნო, რომ ცხელოდა, შუბლზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ადამიანები სხვადასხვა ენაზე საუბრობდნენ. მას კი უცხო ენებიდან მხოლოდ არაბული ესმოდა მეტ-ნაკლებად, სხვები კი მისთვის რთულ გამოცანასავით გაუგებარი იყო. მოულოდნელად დაყიყის ფრაზა მისწვდა მის ყურთასმენას. დარბაისელი თეთრწვერა მოხუცი თანამგზავრს ტკბილად ემუსაიფებოდა.

საოცარი დაყიყი!

ახლალა გაახსენდა: თუსი ხომ დიდი მესიტყვის მშობლიური ქალაქია, ისიც ხომ მისი თანამემამულეა, ხორასნელია. აგერ გამოჩნდა სურნელოვანი ნალკოტი, ბუსთანი. აქედან კარგად ჩანდა: ალუბალუ<sup>16</sup> უკვე დამნიფებულიყო და დიდრონი მარცვლები ვარდისფრად უღუოდა; იქვე წყარო მილიკლიკებდა, ლამაზი, კოპნია და შნოიანი. მზეზე ლივლივებდა კამკამა წყალი, დაღვრიჭინებული კენჭები.

<sup>16</sup> ალუბალუ – ალუბალი.

ნაკადული ხეთა ჩეროებში უარუთქმელი სინატიფით უჩინარდებოდა, თითქოსდა უცხო თვალს ემალებო. მყის მოაგონდა დიდი პოეტის ნათქვამი:

**ნუკრის თვალვით კამკამა წყარო  
ჩეროში შედის და იქ მიგველის.**

ჟინმა წამოუარა: ჩამოქვეითებულიყო, ჩეროში შესულიყო და ენახა, მართლა ელოდებოდა იქ ნუკრისთვალეზა ნაკადული თუ არა, მაგრამ ჩამორჩებოდა და მამის წყრომას დაიმსახურებდა.

და აჰა, კიდევაც მოაღწიეს!

თუისის ქალანთარი<sup>17</sup> ბატონი ღოღამალი დაბის დივანხანაში იჯდა. შესასვლელში მკაცრი გამომეტყველების სარანგი გაჯგიმულიყო. იმან უფროსს ამათი ვინაობა მოახსენა და ისინიც მიიღეს. ვიდრე ქალანთართან შევიდოდნენ, წინკარში მდივანბეგი დახვდათ – ცონცოროცა კაცი იყო, ფლიუგერივით მუდამ მოცანცარე და მერყევი. ნახევრად მოშიშვლებული უკანალივით მუდამ მოღიმარე სახე ჰქონდა. მიმსვლელთ საბუთები შეუმონმა და, ეს უკვე მერამდენედ, ქლესურად გაუღიმა. მერმედ ჩუქურთმებიანი უზარმაზარი კარი შეულო და შიგნით შეუშვა. სამუქფოდ დაბის მეუფე გამოდგა რიგიან-პირიანი ადამიანი: როცა სტუმარმა მოახსენა, დეჰყანი აბუ ბაჟელი, თქვენი უმორჩილესი მონა და ბანდაყული<sup>18</sup>, თქვენი ბრძანებისამებრ გეახელითო, მთხოვნელთ გულიანად მიესალმა, ყმანვილს მიესიყვარულა კიდევაც – თავზე ხელი გადაუსვა. ბავშვისათვის, აბა, რამდენ ძიას გადაუსვამს თავზე ხელი, ოღონდ ასე ტკბილმოსაგონრად არც ერთი არ დარჩენია.

17 ქალანთარი – ქალაქის ან დაბის მერი.

18 ბანდაყული – მონა-მსახური.



მოხელემ მუშაკები გამოიძახა. ორნი გამოცხადდნენ და უფროსის წინაშე მოკრძალებით წარდგნენ, სახელოები ისე გრძელი ჰქონდათ, ხელები არ უჩანდათ.

- აბა, რა ხდება, მუქთახორებო, საბუთი მზად არის? – იკითხა უფროსმა.

- ფირმანი გახაზირებულია! – ისე შეწყობილად შესძახეს მსახურებმა, სრულყოფილი მაჯამა მოგაგონებოდათ.

- მაშ, მიბოძეთ!

- აგერ, ბატონო, იბოძეთ!

დიდმოხელე ჯერტ მუშაკთა ოთახიდან გასვლას დაელოდა, შემდეგ ყმანვილკაცს მიაცქერდა, თითქოსდა რაღაცის კითხვა სწადიაო, თავი გადააქნია და ლერწმის ბოლოწვეტილებული ღერო სამელნე შუშაში ჩაანო, მერე ჯეჯიმისძველაზე ცოტადრე შეასუფთავა კალიამი და აბრეშუმის სიგელზე თავისი დასტური დასცა – ხელი მოაწერა.

- ესეც ასე! – თქვა კმაყოფილმა დიდმოხელემ და ბეჭედდასმული საბუთი დიდის ამბით გადმოაწოდა. მერმე თავი იქით გაიქნია, საითაც მომსვლელთათვის განკუთვნილი გრძელსკამი იდგა და ანიშნა, ჩამომსხდარიყვნენ.

მამას სახე შეუფიქრიანდა, მერე გაბედა და შიშნეულად იკითხა:

- მერედა, მაგ მიწის პატრონები ყაბულს არიან?!

- ამ მიწის მეპატრონენი ან უკვე ამქვეყნად აღარ არიან. მკვდრები კი მუდამ ერთსა და იმავეს ღაღადებენ.

ქალანთარმა ირონიულად გაიღიმა.

- კერძოდ კი რას? – უნებლიეთ იკითხა ბაჟელმა დეჰყანმა.

- კერძოდ კი იმას, რომ ისინი სრულიად უვნებელი არიან.

ბოლოს მოხელე ბაჟის ამბებით დაინტერესდა, უფრო მეტად იმით, თუ როგორ მოსწონდათ დეჰყანებსა და ფელახებს მთავრობის ახალი ეკონომიკური რეფორმები.

- ძირითადად ყველაფერი სწორად მიდის, - აუწყა აჯამის მამამ, - ოღონდ თანასწორობა მაინც შორსაა.

- ოღონდაც! რადგან სიმდიდრესა და სიღარიბეს მხოლოდ სიკვდილი ათანასწორებს.

- არათანაბარი ქონება კი უსამართლობის ალაღებას იწვევს, - მაინც არ იხევდა უკან ბაჟელი დეჰყანი, - უსამართლობა ყველასა და ყოველივეს ძირისძირობამდისა მსჭვალავს: ხომ არის დიდი სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, მაგრამ თვით ღარიბებს შორისაც საკმაოზე დიდი ქონებრივი შეუსაბამობაა!

- ეს მარადიული პრობლემაა და, რაც მარადიულია, იმას დროებითი და წარმავალი ხელისუფლება ვერ გადაწყვეტს. აი, ხომ ხედავთ, მე დღეს დიდმოხელე ვარ, მაგრამ ხვალ აღარ ვიქნები. თუმცა კი ყველაფერს ვაკეთებ, რათა ჩემს სამწყსოში თანასწორობას შევუწყო ხელი, მეტადრე სოციალურსა და სამართლებრივს, - განმარტა მან.

და პატარა დეკლამატორმა იგუმანა: მდიდართა ბაგეებიდან სოციალური იდეების გაგონება ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე წყაროს ლიკლიკის მოსმენა, თუნდაც ეგ წყარო დაყიყის მიერ იყოს აღწერილი. მამამისი კი ისევ სამართლიანობის აუღებელ ციხეს-იმაგრეს უტრიალებდა ირგვლივ:



- ბატონო ლოლამალი, ხომ იყო დრო, როცა ამქვეყნად თხა და მგელი ერთად ძოვდნენ? აი, თუნდაც ანუ-შირვანის<sup>19</sup> დროს?

- მაგაზე მეც მიფიქრია, - უპასუხა ქალანთარმა, - მერმე წამოდგა, ისე გაიარ-გამოიარა, თითქოსდა საკუთარი ნაბიჯების სიმტკიცის შემონმება სწადიაო, ბოლოს სასწრაფოდ დაუმატა: - იმ სულკურთხეულმა მართლაც რომ დიდებულად იტახტოსნა!

შემდეგ უფალი დიდმოხელე ხალხის პოლიტიკური სულისკვეთებით დაინტერესდა. თვითონ ნაციონალისტი იყო და აქა-იქ ფეხმოკიდებულ ისლამის მოძღვრებას მტრულად უცქერდა. მას სასიამოვნოდ დაურჩა, როცა აღმოაჩინა, რომ აჯამის მამაც ამ აზრზე იდგა.

- ჩვენ, ნაციონალისტებს, ანუ პატრიოტებს, წინ რუდაქის<sup>20</sup> დროშა მიგვიძღვის, - თქვა მოულოდნელად მასპინძელმა, - და ამ მხრივ პირდაპირ მისაბაძია მისი მფარველი, ხორასნის სულკურთხეული მეფე ნასრ ბენ აჰმად ბენ ისმაილი<sup>21</sup>, ღმერთმა ადიდოს მისი სახელი!

მოხელე უნებლიეთ ბიჭუნას შეაცქერდა.

ყმანვილმა დეკლამატორმა იფიქრა, ალბათ, პასუხს ჩემგან მოელისო და უცებ გამოცოცხლდა, ენაზე რაც მოადგა, ის წამოროშა:

- ხელმწიფისა არაფერი გამეგება, მაგრამ რუდაქის აფორიზმი კი მთვრალ კაცსა ჰგავს – ფეხზე ძლივსა დგას.

19 ანუშირვანი – ირანში ყველაზე სამართლიან და ბრძენ მმართველად ცნობილი ხელმწიფე (531-579).

20 რუდაქი – დიდი სპარსელი პოეტი (860-941).

21 ნასრ ბენ აჰმად ბენ ისმაილი (914-943), ხორასნის მმართველი, ტრადიციონალისტი.





ქალანთარმა გაოცება ვერ დამალა: ჯერ ერთი, ბავშვის საუბარში ჩარევა არ მოეწონა; მეორეც, ამგვარი თამამი აზრი და ისიც დიდად ნაქები პოეტის შესახებ პირველად მოისმინა. მერმედ, როცა ჩაუკვირდა, ნათქვამი მოეწონა, ეჭაშნიკა კიდევაც.

- განა რუდაქისა რაიმე გსმენია? და, თუ გსმენია ან წაგიკითხავს, ნუთუ მისი არც არაფერი მოგწონებია?

- როგორ არა, - უფრო მეტის სითამამით თქვა ბიჭმა, - ყველაზე მეტად აი, ეს გამონათქვამი მესულგულეობა:

**შენ, ღირსეული, ნაღვლიანად გაჰყურებ ღამეს,  
აღბათ, ტკივილი აგშლია რამე!**

- თუ რუდაქი ცუდი მგოსანია და შენს გემოვნებას ვერ აკმაყოფილებს, მაშ, ეგ ბეითი როგორღა დაგამახსოვრდა?!

- ეგ მართლაც კარგი გამოსვლია, თუმცა მე დაყიყი უფრო მომწონს.

- აჰ, დაყიყი? ჩვენი თანამოქალაქე? კარგია, გინონებ, იქნებ, რაიმე მაინც გახსოვს მისი ქმნილებებიდან?

- ბევრი რამ მახსოვს, მაგრამ მათში აი, იმ ლექსს გამოვარჩევდი, რომელსაც ასე ეწოდება - „შენ რომ არ იყო“.

და ახალბედა ნაყალმა წკრიალა ხმით წარმოთქვა:

**ბროლის ღანვებზე მუშკის კულულებს  
ღრიანკლის მსგავსად რომ არ ეცოცათ,  
მე ღრიანკალი არ დამგესლავდა  
და ერთხანს, იქნებ, კიდევ მეცოცხლა!**

ნორჩმა ეგ ტაყები ისე ლამაზად მოასასწაულა, ქალანთარი გაოგნდა, დეკლამატორის ხელოვნებამ აღაფრთოვანა. მერმედ აღტაცებულმა წარმოთქვა;



- ასეთი სტრიქონები რომ დაწერო, განგება უნდა გინყობდეს ხელს!

და კიდევ მეტად გასახტავდა, როცა თავისი ამ ნათქვამის პასუხი ლექსად მოისმინა, ოღონდ ისევ დაყიყის ლექსად:

**განგებაც უნდა გწყალობდეს ბევრად,  
მაგრამ არ კმარა განგების ცქერა!**

ბატონი ლოლამალი ახლა ახალგაზრდის მშობელს მიაშტერდა, ეგების, იმან განმიმარტოს ყველაფერიო; მოხელის სახეზე განცვიფრება და ცნობისმოყვარეობა ერთმანეთში არეულიყო, რადგან არის ასაკი, როცა საკუთარი აზრის ქონა სასაცილოა; არის ასაკი, როცა საკუთარი აზრის ქონა უზრდელობაა; არის ასაკი, როცა საკუთარი აზრის ქონა აუცილებელია; არის ასაკი, როცა საკუთარი აზრის ქონა პატიოსნებაა, ოღონდ არის ასაკი, როცა საკუთარი აზრის ქონა გასაოცარია.

სწორედ ამ ასაკში იყო აჯამი.

დეჰყანმა რომ კითხვის ნიშანივით ჩამოგრძელე-ბულ მოხელის სახეს შეავლო თვალი, გამოცოცხლდა და განმარტებასავით წამოლერდა:

- ბატონო ჩემო, სიძველეებს დაეძებს და ინერს, თანაც იზეპირებს, რათა შემდგომ საჩაიეში შეკრებილ ჯამათს ზეპირად წაუკითხოს. დიახ, ბატონო, სიძველეებს დაეძებს, ინიშნავს და ეგ სულაც არ მომწონს...

- ძველი ზოგჯერ ახალზე უფრო ბრწყინავს, - უპასუხა ქალანთარმა.

ყმანვილს მოეწონა მისი პასუხი. „აჰა, - გაიფიქრა მან, - ზოგჯერ ძველი ახალზე უკეთ ბრწყინავსო!“

დეჰყანმა შეატყო, რომ დიდმოხელესა და სტუმრებს შორის გულთბილი ატმოსფერო გამეფდა, ამიტომაც გადაწყვიტა, შინიდან ნამოღებულ პურ-მარილზე დაეპატიჟებინა. სუფრას რომელიმე ბუსთანში გაშლიდა და მცირედ იმხიარულებდნენ კიდევაც. და ეს იქნებოდა ორმხრივ ფრონტზე – მატერიალურსა და სულიერზე – მათი დღევანდელი გამარჯვების ერთგვარი აღნიშვნაც, თანაც იცოდა: გაუზიარებელი სიხარული სრული სიხარული არაა.

- ბატონო ღოღამალი, - მოკრძალებით შეჰკადრა დეჰყანმა, - სოფლის მცირე რამ ნობათი თან ჩამოვიტანეთ, იქნებ, მოიცალოთ და ჩვენი ღარიბული პური გატეხოთ. ვგონებ, თქვენი შესვენების დრომაც მოანია. თქვენს მონა-მორჩილ ყმებს ეგ დღე მარადის სამახსოვროდ დაგვრჩებოდა.

ქალანთარს ბევრი არ უფიქრია, მაშინვე თანხმობა განაცხადა:

- ყაბულსა ვარ, თუ ეს ყმანვილი თავისი ხელოვნებით კიდევ ერთხელ დაგვატკბობს.

- დიახ, ბატონო, მაგისი უნარი მართლაც აქვს და არც დაგვზარდება.

ღივანხანიდან გარეთ გამოვიდნენ.

შუადღის მზე ზენიტზე იდგა და ქვეყნიერებას გავარვარებული რკინისა და ტყვიის ბურთებს უშენდა. შარა გადაკვეთეს, მინდორზე გავიდნენ, სიცხით გათანგულ ყურ მდებლოზე სადღაც ბუზი ისე ზუზუნებდა, გეგონებოდა, ღვინოსმული კაცი ლაღად და უშფოთველად ღიღინებდა. იქვე, ახლორე, წალკოტს შეაფარეს თავი და უსურვაზით დაბურულ თალარში ჩამოსხდნენ. აჯამის



მამა ციბრუტივით დატრიალდა. თალარის მაგიდას სუფრა გადააფარა; ხურჯინი გახსნა და სანოვაგის ამოლაგებას შეუდგა.

დაიწყეს პურობა, ოღონდ ხვატი აქაც ატანდა და სული ეხუთებოდათ. ბიჭს სიცხემ ძალი უყო – შენუხდა. არადა წინ ყველაფერი ელაგათ: სურნელ-დარიჩინით შეკმაზული ფიტი და მხალეული, კანჯრის მწვადები, ჰალვა და რახათლუხუმი, მურასა ლავაშები და დიდფორეჯებიანი ყველი. თადარიგიან მამას ტიკჭორაში ვაზის ასულიც ჩაესხა და ახლა ხობხის სისხლივით წითელი ღვინო ჭიქებში აკამკამდა. მართლაც რომ ყველაფერი წინ ეწყობოთ მოსალხენად, გარდა ერთისა. და მალე ის ერთიც გაუჩნდათ – წვიმა წამოვიდა და ცა აგრგვინდა. ფანჩატურში აგრილდა.

ასეა:

როცა ღმერთი პატივსა გცემს, ყველა წვრილმანსაც ითვალისწინებს.

მალე შენაყრდნენ, ორი-სამი წითელიც ზედ მიაყოლეს და ასე მოეჩვენათ, თითქოსდა ჰარიმანი<sup>22</sup> იქაობას სამუდამოდ გამოეთხოვა და სადღაც შორს, სულაც დემავენდის<sup>23</sup> მთაზე, გადაიხაფრა და იქა კვნესისო.

- ჩვენებურის ბუნება ასეთია: კაცი კაცს იოლად უახლოვდება, - წარმოთქვა სუფრის სტუმარმა, - მეც ამ ბუნებისა ვარ და უკვე შინაურებად მიგიჩნევთ. ახლა ეგ მითხარით – ამ ერთი ტალიკა ყმანვილის გარდა, კიდევ თუ გყავთ შვილები?

22 ჰარიმანი – ბოროტი სული.

23 დემავენდი – მთა, ლეგენდარული ადგილი, სადაც მამისმკვლელი ზააქის სული კვნესის.

- ამ ყმანვილს ერთი დაი ჰყავს და სულ ეგ არის, - უპასუხა მამამ, ოღონდ ისიც ამასავით უცნაური ვინმეა: სულ ყვავილებსა დაეძებს და კრეფს. ამ საქმის უცხოოდ მოყვარულია!

სტუმრის ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილდა, ხოლო ბიჭმა წარმოიდგინა სურათი – მოეჩვენა, გოგონა ამრეცზე ადიოდა, ადიოდა მსუბუქად, ფეხმარდად, კისკისით; ხელთ ნნული კალათა ეკავა, ბამბუკისა. მის წინ, უკან და მიღმა, მაღლა და ქვემოთაც კი – სულ ყველგან, ირგვლივ – უსასრულო ლაყვარდი გაშლილიყო და ასე იფიქრებდი: სამოთხის ფერია ლაყვარდყვავილების დასაკრეფად გამოსულაო. ერთბაშად მოუნდა, თვითონაც სამოთხელი ყოფილიყო.

და ჭაბუკმა იაზრა:

თუ ოდესმე მართლა რაიმეს შექმნიდა, სასურველ პოემას შეთხზავდა, ნესბად უსათუოდ „სამოთხელი“ უნდა აერჩია, ფარსის ენაზე რომ ასე ჟღერს – ფირდოუსი. ჰო, ჩემი ნესბა ასე აჟღერდება: აბულყასემ ფირდოუსი თუსი! – ჯიუტად გაიფიქრა ბიჭმა.

შეება და სიხარული იჩქითია – ყველაფერს დასასრული აქვს და იმათი თავრიზულ მინიატიურასავით პატარა და ლამაზი პურობაც დასრულდა. ქალანთარმა მასპინძელს ხელი ჩამოართვა, დამრიგებლური კილოთი უთხრა:

- საბეგრო გადასახადებს მოგიფონებ, ოღონდ ეგ პატივი რომ გცე, ზოგი პირობა უნდა შეასრულო.

- დიახ, ბატონო, გისმენთ.

- შენი ვაჟიშვილი, როგორც ნაყალი, ხელისუფლების წინააღმდეგ გაშლილ დისკუსიებში ნუ ჩაებმება. ხომ



იცით, როცა აშუღს ნიჭი და ოსტატობა არ ჰყოფნის, ამ დანაკლისის შევსებას მძაფრი ანტისამთავრობო განცხადებების გაკეთებით ლამობს, სატირულ ლექსებს, პამფლეტებსა თხზავს და ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკივის. ერთი სიტყვით, გოთვერან – ქიშბაშების მარაქაში ერევა. თუ ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას არ დაუპირისპირდებით, თქვენს მფარველობას დიახსაც შევძლებ, ოღონდ ამ ჩემი მითითების უარუთქმელი აღსრულება უნდა მოხდეს.

მცირედ შეზარხოშებულმა ღოლამალიმ ისე კეთილად გაიღიმა, თითქოსდა ნატიფად ინკრუსტირებულმა ბაჯალლო ბეჭედმა გაიელვაო აგვისტოს მზეზე.

- ბატონო ღოლამალი, შენი ბრძნული დარიგება ჩემი ძვირფასი ყურსაბამია; შევეცდები, ყველაფერი მოვიმოქმედო მის აღსასრულებლად! – მტკიცე პირობა დადო აჯამის მამამ.

გამოსაღმების ნიშნად კმაყოფილმა დიდმოხელემ ბიჭსაც მონყაღედ გაუღიმა, მერმედ თავზე ხელი ისევ წინანდებურად გადაუსვა, ოღონდ აჯამს ამჯერად ასე მოეჩვენა, რომ იგი ახლა უფრორე ამალღებუღიყო და ქალანთარს მარჯვენის უფრო მალღა აწევა მოუწია, ვიდრე პირველ ჯერზე.

## თავი მეორე

როცა ფული არა გაქვს, არაფრის ღირსი არა ხარ; მაგრამ, როდესაც გაქვს, არც მაშინ გეძლევა ყველაფრის უფლება. ამიტომაც აბუ ბაჟელმა გადაწყვიტა, ვაჟიმ-ვილისათვის ყველაფერი მიეცა, გარდა ერთისა. ეს ერთი კი პიროვნული თავისუფლება იყო. უბრალო გაუნათლებელ დეჰყანს, აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ დამოუკიდებლობის წყარო ეკონომიკაა, თავისუფლებისა – შინაგანი ბუნება. „პიროვნულ თავისუფლებას დასტურ მოჰყვება თავისუფალი მოსაზრებები, რომლებიც სწორედ მაშინ არის სახიფათო, როდესაც დიდი სოციალური და იდეოლოგიური ძვრები ხდება. ამჟამად კი ძველი ზოროასტრიზმისა და ახალი ისლამის მიმდევრების იდეური ომია, ფრიად სახიფათო ომი“, - ფიქრობდა მზრუნველი მამა და თან მეუღლის ავადმყოფობა ანუხებდა. საბრალო როუშანს თავის გამუდმებული ტკივილები ანუხებდა და სისხლნაკლებობა ღდინს აცლიდა. „თუ ისლამისტები გაიმარჯვებენ, - ფიქრობდა მამა, - მაშინ ზოროასტრიზმის მედგარი დამცველი დაყიყის სიყვარული ძვირად დაუჯდება ჩემს ვაჟს, მით უფრო, ეს სიყვარული თუ ყველგან ისე მკაფიოდ გამოავლინა, როგორც მაშინ, ამ რამდენიმე თვის წინათ იქ, თუსში, ქალანთარის წინაშე... კიდევ კარგი, რომ ბატონი ლოლამალიც ტრადიციონალისტი გამოდგა. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, მაშინ? შენ წინაშე ათი გზაა გადაშლილი. აქედან ცხრა უბედურებისაკენ მიდის, ერთი – ბედნიერებისაკენ. მიდი და, თუ ვაჟკაცი ხარ, გამოარჩიე მათ შორის ის ერთადერთი – საბედნიერო.



და მამა მიხვდა, რომ აქ მისი ფიქრები ღრმა ხრამის კიდეს მიადგა და დროულად შეაჩერა, ზედ უფსკრულის ნაპირას შეაყენა. „ხოლო ბატონი ლოლამალი დიდებული პიროვნება აღმოჩნდა. ჩემი ნაგრამი ისე მოეწონა, მეძმო და მემამა. მის ვალს ვერასოდეს გადავიხდი, თუ ჩემს ნკიპზე აწყობილ საქმეს შვილმავე არ გამოჰყრა თითი და ყველაფერი წყალში არ ჩამიყარა“, - უნებლიეთ აგრძელებდა ფიქრს აჯამის მამა. მაგრამ მან ესეც კარგად იცოდა: ქვეყნიერების მთავარი მერიქიფე ხან თავანკარა ღვინოს გვანჯდის, ხან – მთხლეს, და ორივე პატივად უნდა მიიღო!

აჯამი კი ამ დროს...

**...თავი ეტრატზე მძიმედ დაიხრება, დაბლა დაიხრება და კალმის წვერი ძველ ამბავს მოფხოჭნის...**

აჯამი კი ამ დროს იურთაში იჯდა და ძველთაძველი ამბების სახელდახელო ჩანანერების გადათეთრების შემდეგ იოსებ მშვენიერის ბიბლიურ ამბავს ეცნობოდა. მისი მასწავლებელი აქტიურად მონაწილეობდა პროზაული კრებულის „ხოდაი-ნამეს“ შედგენაში და ზოგჯერ საუბარი ამ საქმიანობაზეც ჩამოვარდებოდა. იმ ოთხი თუსელიდან, რომლებიც ამ კრებულის საგმირო ამბებს ათეთრებდნენ, აჯამის უსტა ყველაზე დახელოვნებული კალიგრაფი გახლდათ. ოსტატი ხშირად და გატაცებით საუბრობდა პროზაული „შაჰ-ნამეს“ ცალკეულ საგმირო მომენტებზე. იგი ნაციონალიზმისა და შიიზმის მომხრედ გამოდიოდა.

- გააქტიურებული ისლამის წინააღმდეგ მარჯვედ უნდა გამოვიყენოთ ზოროასტრიზმის დროის ძველი გმირული ამბები, აღვწეროთ ის მითები, რომლებიც ძვე-



ლი დროის დიდებასაც წარმოგვიჩინენ და ისლამური მოძღვრების წინააღმდეგ აბჯრადაც გამოგვადგება, - ჩააგონებდა იგი თავის შეგირდს, ოღონდ იქვე აძლევდა სათანადო დარიგებას:

- უნდა გააკეთო ის, რასაც მოძღვარი გირჩევს, და არა ის, რასაც იგი აკეთებს! საერთოდ კი, ყველაზე დიდი მასწავლებელი ცხოვრებაა. ვისაც ცხოვრებამ ვერაფერი ასწავლა, იმას კაციშვილი ვერას ასწავლის.

პედაგოგის შეგონება კატეგორიულად ჟღერდა.

შეგირდი კი ყველაფერს ისმენდა, ანალიზებდა და შეისმენდა.

ოსტატი ჰომეროსისა და ჰეროდოტეს მალმერთებელთა მარაქაში ერეოდა; და მოსწავლეს ყოველთვის აჯადოებდა ამ ისტორიულ პირთა შესახებ მოძღვრის წყლიანი საუბრები. მათი შეხვედრა ისე არ ჩაივლიდა, რომელიმე მაინც არ ეხსენებინათ. ახლაც ასე მოხდა.

- ზააქის მითის ჩანერა და გადათეთრება თუ მოასწარი, შვილო ჩემო? – უცებ ჩაეკითხა მასწავლებელი.

- დიახ, მოვასწარი; და ისე შემძრა ამ საშინელმა ამბავმა, მთელი ღამე დემავენდის მთაზე მიჯაჭვული ზააქის სულის კვნესა ჩამესმოდა... დემავენდის მწუხარე მწვერვალი... ძლიერი მითია, ტრაგიკული...

- ძლიერია. საშური საქმეა მითების ჩანერა და ეგ საქმე განაგრძე, ჩაინერე! ყველა ეს მასალა სუფთად და მკაფიოდ გადანერილ და კობტად აკინძულ ფოლიანტებად უნდა იქცეს. ეგ საშვილიშვილო საქმეა. მერმედ ვინმე პოეტური სიტყვის ოსტატი გამოჩნდება და ლექსად ჩამოასხამს ამ ამბებს, როგორც ეს ჰომეროსმა გააკეთა.



- ჰომეროსმა ხომ ბერძნული მითები აქცია ნყობილ მარგალიტად? – შიშით იკითხა ყმანვილმა და სახე დახილის ნიშანივით ჩამოუგრძელდა.

- რა თქმა უნდა, ბერძნული, აბა, სპარსული კი არ მიგულისხმია. სპარსულთან მას რა ხელი აქვს?! თუმცა კი ჩვენი მითოლოგია უფრო საინტერესო და ლაღიანია, უფრო პოეტურიც, ოღონდ მას ჯერ სიტყვის ჯადოქრის ხელი არ შეხებია და ამიტომაც მთვლემარე, მძინარე მზეთუნახავსა ჰგავს. თუ ჰომეროსს ორი წიგნი ეყო ბერძნული მითების პოეტურ ფორმაში მოსამწყვედევად, ჩვენი ნაირფეროვანი მითოლოგიისათვის რომ ხელი წაეტანებინა, ათიც არ ეყოფოდა. მდიდარია ჩვენი კურთხეული მხარე!

- განა ამ მითებში ისტორიული არაფერი ურევია, მხოლოდ წმინდა გამონაგონია?

- ჰო, ძალიან ცოტაა ისტორია ან სულაც არაფერი, თუმცა ამგვარ გამონაგონსაც თავისი სიბრძნე ახლავს. მითოლოგია ფილოსოფიური აზროვნებაა, ისტორია – ფაქტოლოგია. ამქვეყნად კი ორივეს თავისი ადგილი აქვს. სწორედ ამით მოიპოვეს სახელი და დიდება ცალკერძ ჰომეროსმა, ცალკერძ – ჰეროდოტემ; პირველმა მითების პოეტური ფორმის მიგნებით, მეორემ – ფაქტების ზუსტი დაფიქსირებით. და კაცობრიობა დღეს ორივეს დიდი სიამოვნებით კითხულობს.

- განა უკეთესი არ იქნებოდა, ეს ორპირი სასახელო სამუშაო ერთ პირს შეესრულებინა? – ფრთხილად იკითხა ყმანვილმა.

- უკეთესი თუ იქნებოდა? – გაიმეორა შეკითხვა ოსტატმა და დაგულისყურდა, ჩაფიქრდა. დიდხანს იყო აგრე

მდუმარე. შემდეგ, თითქოსდა რაღაც კარგი და მეტად სასიამოვნო რამ წამოაგონდაო, ნეტარებით წარმოთქვა:

- უკეთესი როგორ არ იქნებოდა, საოცრად კარგი, ღვთაებრივი საქმე გამოვიდოდა, ოღონდაც ჯერ არ დაბადებულა ადამის ძე, ამგვარი მძიმე ტვირთი აენია. ღმერთმა ქნას, ანი დაბადებულიყოს! – ლოცვასავით დააბოლოვა უსტამ.

- ჯერ არ დაბადებულა?! – წამოიძახა შევირდმა და თვალწინ თავისი დაბადების თარიღი – 940 წელი – კოცონივით აუბრიალდა.

- ჰო, ჯერხნობით არ დაბადებულა...

- ეგების, დაბადებულია კიდევ და ჩვენ არაფერი ვიცით!

- შესაძლოა, დაბადებულიც იყოს. მაღალი ღმერთთა ყველაფრისა და ყოვლის გამზომ-განმჭვრეტელი! – შესძახა მსცოვანმა და მოოდომღერებულ კუნაპეტ ნვერზე ხელები ჩამოისვა, ჩამოივარცხნასავით. შემდეგ თუნგი აიღო, წყალი მოსვა. სპილენძის დოქის ყელიდან სითხე ყარყარით გადმოდიოდა. ბოლოს უსტამ ცისა და მიწის განმგებელს სათანადო ლაყაბი<sup>24</sup> აღუვლინა და მეცადინეობასაც მორჩინენ.

ოსტატს ასეთი წესი ჰქონდა: მეცადინეობა იქნებოდა თუ მუშაობა, ღვთის სათანადო ქება-დიდებათ უნდა დაეწყო და დაესრულებინა.

მალე სადამოს პურობა დაიწყებოდა და ახალბედა, მაგრამ „ვარჰალალოს“ კლიენტთათვის კარგად ცნობილ ნაყალს თავისი საქმე უნდა შეესრულებინა – სადამოს პურობაზე მოსულთათვის ზააქის მიერ თავისი

<sup>24</sup> ლაყაბი – ხუტაბა, ხოტბა.



მშობლების დახოცვასა და უზურპატორის გამეფებაზე უნდა მოეთხრო, უკეთ, თავისი კითხვის ხელოვნებით უნდა წარმოედგინა სათანადო სცენები. ეგ სცენები ძველთაძველი მონათხრობების სახით მივარდნილ სოფლებში შემორჩენილიყო. ზოგი მან, ზოგიც მისმა წინამორბედმა მაძიებლებმა მოიძიეს, ჩაინერეს და სხვადასხვა ხელნაწერ კრებულში შეიტანეს. ამ საღამოს კი აბუღყასემი ხალხში, ფართო საზოგადოებაში მათს გატანას შეეცდებოდა.

ახალგაზრდა დეკლამატორმა შინ შეირბინა, ლოგინად ჩავარდნილ დედას დახედა, მიუალერსა, შემდგომ დას დარიგებები მისცა და ილღიაში თავისი ნაწერების დასტა ამოიჩაგვია, ეზო-ყურეს თვალი მოავლო. იქით, დასავლეთის მხარეს, აზიდულ მთებზე წამომჯდარი მნათობი ჩასვლას აპირებდა, აღმოსავლეთიდან კი მთვარე ლამობდა ამოსვლას. „ასეა, - გაიფიქრა ახალგაზრდამ, - ერთი ჩადის და მეორე ამოდის“. ცხოვრების ამ წესმა, უცდომელმა ყაიდამ, ძველი ნაყალი გაახსენა, აშპაშხანის მეპატრონემ რომ ამას წინათ სამსახურიდან გააგდო, და მის ადგილას აბუღყასემი დააყენა. „აჰა, - გაიფიქრა ყმანვილმა, - ჩამავალ მზეს ამომავალი მთვარე ამჯობინა, მაგრამ მაინც ამომავალი!“

სამიკიტნოს რომ მიუახლოვდა, ხალხის ხორხორი შემოესმა. შესასვლელ ფოიეში, ფართო წინკარში, ფირფიცარს ზემოთ მსხვილი ასოებით ჩინური ანდრეზი გამოეყვანათ: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიია!“ რომელსაც, ვითომცდა, კლიენტისათვის ის აზრი უნდა ჩაეგონებინა, რომ ამ დაწესებულებაში შემომსვლელი უსათუოდ იპოვიდა მოყვასს, გულშემატკივარსა

და მეგობარს, გულის დარდის თანაზიარსა და სიხარულის გამზიარებელს, რადგან გამოუვალი ვარამიცა და ზეალმტაცი სიხარულიც ისე დიდი ტვირთია, ერთი კაცის მხრები ვერ გაუძლებს, თუ სხვათაც არ გაუწილადა. ამჟამად, როგორცა ჩანდა, დიდად მხიარულნი, ბედით კმაყოფილნი და ღვთისაგან უეცრად დაჯილდოებულნი შეყრილიყვნენ. ისინი ზღაპრული ფასკუნჯებით მოხატული დიდი დარბაზის შორეულ კუთხეში დამსხდარიყვნენ და ილხენდნენ. შუაში ყველისა და ხორცის ნაჭრებით სავსე ხალამი ედგათ. იქვე თვალმჩინარობდა სხვადასხვა ხილეულით გაძეძგილი ხახალი. სწორედ მაშინ, როცა აჯამი შევიდა, მხიარული გუშა<sup>25</sup> დააგუგუნეს. სიმღერით მოხიბლულ და გაოცებულ მზარეულს ლენგერა პირი დაეღო და ისე უსმენდა, ეტყობა, ნეტარებითა ტკბებოდა, უზარმაზარი ქვაბის ზარფუში<sup>26</sup> ხელში შერჩენოდა, გრძელი და ბედრანგი<sup>27</sup> კავკასიური ცხვირი სახეს ჯეონის მდინარის მსგავსად უყოფდა – რაც უნდა გულამღვრეული მტრები ყოფილიყვნენ, თვალებს გრძელცხვირის ამ მდინარის გადალახვა მაინც ისე გაუჭირდებოდათ, როგორც უჭირდათ ეგ ისტორიულად მოქიშპე თურანელებსა და ირანელებს; დახლში დუქანდარი იდგა, უშნოდ იკრიჭებოდა და თავს ძროხასავით უაზროდ აბანდურებდა; კასრივით ჩასუქებული მსახური კი მაყალს გასაღვივებლად სულს ზოროასტრელი მეღვერდელივით<sup>28</sup> უბერავდა. ამ საქმიანობას ისე გაეხურებინა, წყალ-

25 გუშა – მოკლე სიმღერა.

26 ზარფუში – თავსახურავი.

27 ბედრანგი – ცუდი, უშნო, ავი.

28 მეღვერდელი – მეცეცხლური. ზოროასტრის ამ მსახურის სახელიდან მოდის სიტყვა მ ღ ვ დ ე ლ ი.



ში რომ ჩაგეგდოთ, აშიშხინდებოდა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, მაყალი გაღვივდა და ახალანთებული ცეცხლი პატარძალივით ატკრციალდა.

სიტყვის ფახლავანი ადგილზე იყო: საგანგებოდ ამაღლებულ სადგომ ფიცარნაგზე აკორიკებული ყმანვილი ფრთების გასაშლელად ემზადებოდა. „ვარჰალალოს“ პატრონი ალი დილამი ზეიმობდა: უნინარეს ყოვლისა, ის ახარებდა, რომ მეში<sup>29</sup> ადიმიზე<sup>30</sup> წარმატებით გადაცვალა – ძველი ბებერი, ოღონდ გამოცდილი ნაყალი გაუშვა და ეგ ახალბედა დეკლამატორი მოიყვანა. ჯერ ერთი, ბევრად უფრო იაფი უჯდებოდა. გასამრჯელოსაც იმის ნახევარს აძლევდა, რასაც ბებრუცუნას, თანაც ის ბებერი ალქაჯი უზომო საჭმელსა თანთქლავდა, ნუნუასაც სიამოვნებით ყლურწავდა და ზოგჯერ, ბარემ ესეც არ დავფაროთ, ტექსტებს მიაფუჩიჩებდა ხოლმე: იქ, სადაც გრძნობები უნდა გადმოეფრქვია, სიტყვებს ისე ენერგიულად და მთელის განცდით აღარ წარმოთქვამდა, როგორც საჭირო იყო, და „ვარჰალალოს“ პატრონმა ერთი-ორჯერ მსმენლის უკმაყოფილო შეძახილსაც კი მოჰკრა ყური. და, ბოლოს და ბოლოს, ეგ მსმენელი ხომ მისი სამიკიტნოს მუდმივი მომხმარებელია, აქ შემოდის, პურსა სჭამს, სასმელსა სვამს, შაქარყანდით ყელს იკოკლოზინებს და ყოველივე ამაში ფულსა იხდის! ეგ კი, ეგ ახალი ნაყალი, არც არაფერსა სჭამს, არც არაფერსა სვამს, მოვალეობას ზედმინწენით ასრულებს და ერთი-ორჯერ მსმენელს ცრემლიც კი მოჰგვარა. „არა, რას ამბობ, - ესაუბრებოდა საკუთარ თავს, - უხეირო პერგამენტი გადამიგდია და

29 მეში – უხეში სამოგვე ტყავი.

30 ადიმი – ოქროქსოვილი.



თეთრი ფითქინა ქალღმერთი მიპოვია, რომელზედაც, რაც მე მინდა, იმას უჭირველად დავწერ“. მერმედ ახალგაზრდა მთქმელს შორიდან ქლესად გაუღიმა, მოქეიფეთა მხარეს ცერად გახედა და ისევ ფიქრსა მიეცა: „ეგების, თუ დამჭირდა, პოლიტიკური მოსაზრებითაც გამოვიყენო, ისეთი იდეები განვაფიქრებინო, ჩემს საქმეს რომ სჭირდება და ამით ერთგვარი ეკონომიკური ხელშეუხებლობისა და მფარველობის ფარმანი მივიღო; სხვა, ჩემს მეტოქე, სამიკიტნო-სირაჯხანებს ჩემი მაზა ვუჩვენო და კლიენტები ჩემკენ გადმოვიბირო. ეკონომიურად შეჭირვებულ და უკმაყოფილო ხალხს ისე არაფრის მოსმენა არ სიამოვნებს, როგორც ხელისუფლების კრიტიკისა და ეს იმიტომ, რომ, ჩვეულებრივ, მთავრობა ყველა პატიოსანი მუშაკის ბუნებრივი მტერია“.

ერთი სიტყვით, ეს დღე, უკეთ საღამო, მისთვის დაღამებულყოფი და ბატონი ალი დილამი თავს ღმერთითა გრძნობდა. იგი დუქანდარის თეჯირს მდიდრის სითამამით მიადგა, ხილუულით გაძეძგილი ხახალიდან ლოყანითელი ატამი დაითრია, ცხვირთან ახლოს მიიტანა, ჯერ არომატი შეიყნოსა, მერმედ გემრიელად ჩაკვრიხა და ნაყალს მიაშტერდა. ეს იმისი ნიშანი იყო, რომ „ვარჰალალოში“ უკვე საკმაო ხალხს მოეყარა თავი და ახალგაზრდას თავისი საქმიანობა უნდა დაეწყო. და ნაყალიც ამეტყველდა.

ხალხი გაინაბა.

ზოგს ადრეც მოესმინა ყმანვილი მესიტყვისათვის, ზოგიც პირველად უსმენდა და თავისთვის არკვევდა, ძველი ნაყალი სჯობდა თუ ახალი, ჩასული მზე სჯობდა თუ ამომავალი მთვარე; დეკლამატორი კი სიტყვას სი-



ტყვაზე გერგილიანად აბამდა, ენის საქცევთა ნიუანსებსა გრძნობდა; ყველაფრიდანა ჩანდა, დიდი სტილისტი და ენის უბადლო მცოდნე მალე დადგებოდა; ხმა ზარივით რეკდა, სიტყვათა მარაგი კი არ უმცირდებოდა, სულ უფრო და უფრო ეზრდებოდა, უბევრდებოდა, თვითონაც უკვირდა, საიდან ახსოვდა ძველი, მივიწყებული, ოღონდ ოქროსავით მოელვარე ცნებები, ანდრეზები, თქმები. ისინი შემოსჯარვოდნენ, ფეხის წვერებზე დგებოდნენ და გამომზევებასა სთხოვდნენ. ნაყალმა უეცრად იგრძნო თავისი დიდი ძალა და იმედი დაეუფლა, მომავლის დიდი იმედი, ისე ალერსიანი, ახალამონწვერილი ჯეჯილი რომ არის დილის მზის სუსტ სხივებთან შეხვედრისას.

დიახ, მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ იმედი – ეს არის მღვიძარეთა თვლენა და მის მკლავებს მთლიანად მინებდა.

დეკლამატორმა ამბის დასაწყისი დაასრულა, მთავარ სათქმელს ხერხიანად მიუახლოვდა და ბოლოს აუდიტორიას ცის მოულოდნელი ქუხილივით დასჭექა მთავარი სათქმელი – თუ როგორ შეემზადა ბოროტებით აღვსილი ზააქი საკუთარი მამა-მეფის მოსაკლავად, რა შეუბრალებლად აპირებდა მოუსავლეთის გზაზე მშობლის გამგზავრებას, მისი ადგილის დაკავებას და, ვიდრე ნაყალი ჰარიმანის მსხვერპლს ამ საშინელ აქტს აღასრულებინებდა, ვილაც სულმოკლეს მოთმინების ძაფი გაუწყდა და უნებლიეთ წამოიყვირა:

- ჰარიქათ, ჰარიქათ, როგორმე ვუშველოთ!

მაყურებელ-მსმენელი აირია, შეიქმნა აურზაური, ატყდა ჩოჩქოლი. მერმედ, როგორც იქნა, მღელვარე დარბაზი ჩაცხრა და ისევ ყურადღებით მიაშტერდა მთხრობელს.



იგი ისევ ამეტყველდა, ვერცხლის ზარივით ხმა ამოუშვა და მეტის ენერგიულობით განაგრძო თხრობა:

- ბოროტი დევების ჩაგონებით უღირსმა შვილმა ღირსეული მშობელი მოკლა. ის დღე ჯოჯოხეთის მოკლე დღე გამოდგა. ბედასლი მემკვიდრე ტახტზე ავიდა, ძალაუფლების სიამე იგრძნო, ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი გახდა. სამწუხაროდ, ასეც ხდება: დაბალი კაცი მაღლა ადის და მაღალი დაბლა ჩამოდის; მდაბალი ხეირობს, კეთილშობილი ზარალდება. ხეირი და ზარალი ერთმანეთზეა გადახლართული, როგორც ჩვენი ყოფიერების დღეები. დიახ, წინა დღე მომდევნოს ამხანაგია, მაგრამ მათ შორის ღამე წევს. სპარსეთის ბედნიერ დღეთა წყებაში ამ შავი, კუნაპეტი, ბოროტებით აღვსილი ღამის როლი შეასრულა უბადო ზააქმა, ღვთის პირისაგან გადავარდნილმა არსებამ, მამის მკვლელმა და სიკეთის ძირფესვიანად ამომგდებმა...

დეკლამატორმა გამოსვლა დაამთავრა და იგრძნო, არაქათი გამოლეოდა, მაგრამ ახალი ძალების მოზღვაება კვლავ იგრძნო, როდესაც დაინახა, როგორ ეხვეოდა მას ხელთა ჯღრდე – მაყურებელი აღფრთოვანებულიყო, ზოგი სიმწრისაგან ლოყას იკანრავდა, ერთმა ვაჟკაცმა, ამ უსამართლობით გაოგნებულმა, მკერდში მჯიღიც კი ჩაირტყა. გაშმაგებული უმეტესობა კი დაჟინებით მოითხოვდა ბოროტი ზააქის დასჯას, სამართლიანობის აღდგენასა და, სხვა რა ჩარა იყო, ახალგაზრდა, მაგრამ ან უკვე საკმაოდ გამონრთობილი ნაყალი იძულებული შეიქნა, თხრობა გაეგრძელებინა და ამბავი ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანა, ანუ დღესვე წაეკითხა ამბის მეორე ნაწილი, ხვალის დღის საკითხავი, რათა შეკრებილთა კატეგორიული მოთხოვნა შეესრულებინა



და დამნაშავე სამაგალითოდ დღესვე დაესაჯა, სასტიკი ნამებით მოეკლა. და მისმა სიტყვამაც ფოლადის სიმტკიცე და ახალი ჟღერადობა შეიძინა, ხოლო, როდესაც ზააქი სასტიკად დასაჯა და ბოროტი სული გააცხებინა, ხალხმა შვეებით ამოისუნთქა, მტანჯველი ლოდი გულიდან ჩამოიშორა, მთელი ეს გამარჯვება დასთანის შემქმნელთ კი არა, ახალგაზრდა მთხრობელს მიაწერა და ახლა მოზეიმე ბრბოს ხელთა ჯღრდემ იგი ზე აღიტაცა, უგოგონა და მიუაღერსა, ხალხის ნანინანატრი შვილი და მრავალჭირნახადი გმირი უწოდა.

ახალგაზრდა დეკლამატორმა იგრძნო სიტყვის ძალა, როგორც ლომი გრძნობს მსხვერპლის გემს, და მზად იყო, თხრობა კვლავ განეგრძო. ბატონი ალი დილამი მას გამამხნეველად უცქერდა, ბოლოს, დასტურის ნიშნად, თავიც კი დაუქნია და ნაყალი ისევ შეუდგა ამბის გრძელ გზანვრილებს. გახარებული და გამარჯვებული მაყურებელ-მსმენელიც გულდაჯერებით მიჰყვა მას ამ გზაზე, ხოლო, როდესაც ის ამბავი აღწერა, თუ როგორ დაისაჯა ზააქი, როგორ მიეჯაჭვა მისი სული დემავენდის მთის პირქუშ მწვერვალს, საიდანაც ახლა მისი დასჯილი სულის სისხლისგამყინავი კვნესა-გოდება ისმის, ხალხი ახალმა მწუხარებამ მოიცვა. ამჟამად სასტიკად დასჯილი მამისმკვლელის ტრაგიკულმა აღსასრულმა და მისი აჩრდილის გულისგანმგმირავმა კვნესამ სული მოუწამლა. იგი ახლა ზააქის ტრაგედიას განიცდიდა, გლოვობდა, მკერდში მჯიღს იშენდა და ვაგლახ-ვაღალეობდა. ერთმა თავი ვერ შეიკავა და ნაყალს გამწარებით მიაძახა:



- ნუთუ საგულეში ქვა გიდევეს; მთლად ასეც როგორ განირე საბრალო ზააქი, ცოტათი მაინც შეგემსუბუქებინა მისი ტანჯვა, მას ხომ ბოროტება ავსულმა დევმა ჩააგონა?!

ახალგაზრდა კაცი გაოგნდა.

მაშ, როგორ წაიკითხოს ტექსტი? ამბავი ხომ მას არ შეუთხზავს?! ის ხომ სხვათა ნააზრევსა და სიტყვიერად ჩამოყალიბებულს ინერს, იზეპირებს და ხალხს გადასცემს; განა მას შეუძლია ხალხური დასთანის ჩასწორება, თავის გემოვნებაზე შელამაზება და ისე გამოქვეყნება? ეს ხომ დამოუკიდებელი შემოქმედებაა, ეგ ხომ ავტორობაა?! ან კიდევ არსებული ტექსტი როგორღა წაიკითხოს ისე, რომ ყველა მაყურებელ-მსმენელს საამოდ დაურჩეს, ვით გაუგოს მსმენელთა მერყევ ბუნებას, მის კაპრიზებს, როგორ აჰყვეს მის სიმკაცრესა და დაჰყვეს მის სიბრალულს?

დეკლამატორმა იგრძნო: მას, დღეის ორომტრიალით დაღლილსა და მისავათებულს, ამ კითხვებზე პასუხის მოძებნა გაუჭირდებოდა და მათზე პასუხის გაცემა დროის ხელს მიანდო, ფასკუნჯებიანი დარბაზი დატოვა და გარეთ გამოვიდა.

პირველი, რაც შენიშნა, ეს იყო:

ცად მთვარე გაბატონებულიყო და ახლა სრულფასოვნად მოჩანდა, მისი ყოველი კონტური მკაფიოდ იყო გამოკვეთილი, ირგვლივ ყოველივეს ნათელ და იდუმალ შუქსა სცემდა. მთები და ბორცვები ჩამუქებულიყო, მქრქალი ჰორიზონტი ბინდბუნდში გატრუნულიყო. ეზოს ალაცაფის კარი განვლო. უპატრონოდ მიტოვებული ბატების გუსგუსი შეესმა. გაუკვირდა, დას ან



მამაჩემს ფაცერში რად არ შეურეკავთო?! ერთი პირობა გადანწყვიტა, მათთვის თვითონვე გაენია პატრონობა, ოღონდ მერმედ გადაიფიქრა, ჯერ საყვარელ დედაჩემსა ვნახავ და შემდეგ მივხედავო. შინ შევიდა და უამური სურათის მონამე გახდა: დედას სული ამოსდიოდა; ქმარი და ქალიშვილი მეზობელ აქიმბაშთან ერთად მომაკვდავს თავს დასტრიალებდნენ, ეგების მცირედი რამ შვება მაინცა მოვგვაროთო. ჩანდა, ოჯახის დიასახლისის გადარჩენის იმედი დიდი ხანია გადანურული ჰქონდათ. ამიტომაც ყოველი მათი მოძრაობა უსიცოცხლო, უმიზნო იყო და აუცილებლად შესასრულებელ მშრალ რიტუალს დამსგავსებოდა. ვაჟიშვილს გული მოუკვდა. რატომღაც ოდესღაც ნანახი და ხსოვნაში ჩარჩენილი სურათი გაახსენდა: ბაღჩის კუთხეში კარგად გახარებული და ალაღებული ზაფრანი ყვითლად ღუის. ოქროცურვილ მწკრივთა შორის დედა როუშანი ჩამდგარა, სახე გაბრწყინებია. იგი მისკენ მიმავალ შვილს, აბულყასემს, უღიმის. ასეთი ღიმილი მხოლოდ დედას აქვს და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც საყვარელ პირმშოს უცქერის. რატომღაც ამის შემდეგ დედის სახის ანარეკლი ოქროსფერს გადაება, გადაენმახნა და მას შემდეგ ოქროს ყოველი გაელვება, ოქროსფერის ყოველი კიანთი მშობლის ღიმილს აგონებს. ჭაბუკმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ მოგვიანებით ერთმანეთს სამი რამ სამეზბასავით გადაებმება, შეუტრიადდება: სიხარული, დედის ღიმილი და ოქროსფერი. საკმარისი იქნება, სიხარული იგრძნოს, მყისვე მოაგონდეს დედის სახე და ზაფრანის ოქროსფერი; საკმარისია, მოყვითანე ზაფრანის ყვავილი დალანდოს სადამე, დედის ღიმილიც მკაფიოდ დაინახოს

და იმავნამს სიხარულის მოზღვავებაც იგრძნოს. აქ ან-  
 მყო მომავალს ერწყმის და ორივეს ფესვი და ძირი  
 წარსულში გაუდგამს. და ბიჭი გრძნობს დროთა უწყვეტ  
 კავშირს, მათ ერთიანობას, მთლიანობას. თითქოსდა დრო  
 მის სხეულში, კაკალ გულში გადიოდეს, ოღონდ ეგ კია,  
 მტკივნეულ კვალსა ტოვებს. დრო თითქოსდა წყნარად  
 ლივლივებდა, როგორც მდორე მდინარე, ოღონდ სათავე-  
 ში რომ ხასხასა მწვანე, ახალგაზრდული ფერი დაჰკრა-  
 ვდა, ახლა გახუნებულიყო, ყავისფერ-ტალახისფერი დას-  
 დებოდა. მწვავედ შეეკუმშა გული, როცა მიხვდა, რომ  
 ეგ დედის ცხოვრების მდინარე გახლდათ, მის მიერ ასე  
 ზუსტად, და ამიტომაც ასე მტკივნეულად, დანახული;  
 მისი საკუთარი დრო კი რუსხმულივით მირაკრაკებ-  
 და, ასე ცინცხალი და ბროლივით კამკამა, ჩაბნელებულ  
 ჩეროებში ჯერ კიდევ შეუსვლელი, სწორედ ისეთი, ის  
 მაღლიანი დაყიყი რომ ხატავდა ხოლმე.

დედის საწოლთან ყუჩად მდგომი ღრმა ფიქრებიდან  
 მამის ქვითინმა და დის გულისმომწყვლელმა შეძახილ-  
 მა გამოიყვანა. ერთი პირობა ეუცნაურა და შერცხვა  
 კიდევაც: სხვაგან რომ მის სიტყვას დიდი ავალა ჰქონ-  
 და, აქ ძალა წართმეოდა, ფერი დაჰკარგვოდა, არაფერი  
 ძალუძდა, სრულიად არაფერი – ძვირფას ადამიანს ვერც  
 რასმე არგებდა, ვერც უშველიდა, აზრაილის<sup>31</sup> მსახვრა-  
 ლი ხელიდან ვერ დაიხსნიდა. ასე უმწეოდ თავი არა-  
 სოდეს უგრძნია. ხელები სახელოებში შემალა. დუმილს  
 მიენდო. ამ გაუსაძლის მწუხარებაში მხოლოდ ის ეძმო  
 და ემამა, გულზე მტლედ დაედო, ემალამოვა. აქიმბაშმა  
 დიაცმა, რაკილა სხვა რამ საქმე აღარაფერი დარჩენო-

31 აზრაილი – სიკვდილის ანგელოზი.



და, მკვდრის თავით სანთელი აანთო, მიცვალებულს თავქვეშ აგური ამოუდო, საიდანღაც თურინჯი მოიღო და ორნამენტით მოჭედებულ სპილენძის თევზზე მოათავსა. თაფლის სანთლის სუნმა და ყვითელი სურნელების არომატმა სადგომი კიდით კიდე აავსო. მალე მთელი სახლი ცივმა მდუმარებამ მოიცვა. ეს იყო ნუხილისა და ვარამის მდუმარება, სადღაც ლაფაროში კატამ გაირბინა, ბედასლად რაღაც ჭურჭელს გამოედო და წააქცია. გაისმა ლითონის მქისე ჟღარუნი და მსახური დიაცის ნიკვინა ხმა: - ზახრუმა!<sup>32</sup> მერე ისევ სიჩუმემ დაისადგურა, მსახურის ნიკვინა შეძახილის ხმაურიან ფონზე უფრო მკვეთრად გამოსატულმა. მოულოდნელად შაჰიდ ბალხელის ლექსი გაახსენდა, შეუძლებელია, ამ ვითარებაში არ გახსენებოდა, ვარამით გულშეურევებულს არ მოჰგონებოდა:

**დარდს რომ ცეცხლისებრ სდიოდეს კვამლი,  
დაბნელდებოდა ეს დღე, მყივარი;  
მთელი სამყარო რომ მოიარო,  
ერთ ბრძენს ვერ ნახავ, სახემღიმარეს.**

ამ მარჯვედ ნათქვამმა საამდროოდ ძვირფასმა აზრმა შვება მოჰგვარა, მწარედ ამოიოხრა და დედის გაციებულ სახეს შეაშტერდა.

მეუღლის დაკრძალვის დღესვე სასაფლაოდან შინ მობრუნებულმა აბუ ბაჟელმა სახლის ლაფაროში ორი სავარძელი დადგა, შუშაბანდი მძიმე ფარდებით ჩამოალუსკუმა და მამა-შვილი ბნელში შევიდა. იმ დღიდან იქიდან არც გამოსულან, ვიდრე წელიწადი არ მიიღია. წლის თავზე ნატყებ-ნავარამევი ოჯახის უფროსი

32 ზახრუმა – არგადარჩენა.



ბნელიდან ჯანგატეხილი და ერთობ მობერებული გამოვიდა, ხოლო აჯამი – დავაჟკაცებული, დაბრძენებული, დავარგებული. მაშასადამე, ბებერ არწივს ფრთები დასუსტებოდა, ხოლო ჭაბუკ დეკლამატორს გაძლიერებოდა. კაცმა არ იცის, რითი იყვნენ ისინი იქ დაკავებულნი, ოღონდ სავარაუდოა, ოჯახის უფროსი ლოცულობდა და მეუღლის მისამართით ოდესღაც ნათქვამ ყოველ მკვახე სიტყვას ინანიებდა, ხოლო აჯამი მის მიერ ჩანერილ ლეგენდებს, დასთანებსა და ხალხურ ბეითებს იგონებდა, იზეპირებდა, საკუთარ ფილოსოფიურ რობაიებსა თხზავდა და წინამორბედ პოეტთა პოეტიკურ თავისებურებებს უკირკიტებდა, სწავლობდა და იმახსოვრებდა, რათა შემდეგ, თუკი სადმე ნაყალად იმუშავებდა, ხალხურ თქმულებებში ორიგინალური შემოქმედებითი ნიმუშებიც ჩაერთო და მსმენელის რეაქცია შეემონებინა. ფიზიკურად კიდევ მეტად დამშვენებულიყო, მზერა არწივისებრი გახდომოდა, სალი კბილები ისე ჩარინკინებოდა, რომ აქ მათხოვარივით გამოიყურებოდა ისეთი შედარება, როგორცაა „მარგალიტივით კბილები ჰქონდა“.

„ვარჰალალოში“ კი...

სამიკიტნო „ვარჰალალოში“ ნაყალად ისევ ის ბებერი ალქაჯი დაებრუნებინათ. ბატონ ალი დილამს კარგად არ მოუხდა საბრალო როუმანის სიკვდილი. ჯერ ერთი, ეგ ქალი მისი შორეული ნათესავი იყო და ეს სამნუხარო შემთხვევა ემნუთხა; მეორეც, პერსპექტიული და, რაც მთავარია, იაფი დეკლამატორი დაკარგა და ესეც ხასიათს უფუჭებდა; მესამეც, სამიკიტნომ აბუ ბაჟელის სახით მუდმივი და ხეირიანი კლიენტი გაუშვა ხელიდან და განა მარტო ეგ ერთი კაცი? განა ადამიანთა საკმაოდ დიდი თაბუნი არ გამოემშვიდობა სამიკიტნოს



ფასკუნჯებიან დარბაზს?! მათ ხომ მოპირდაპირე მხარეს მდებარე სირაფხანა „ოხოხოიაში“ უფრო ახალგაზრდა და საკმაოდ დახელოვნებული ნაყალის წკრიალა ხმის მოსმენა ერჩივნათ ბებერი ალქაჯის ხრინწიანი და ხშირად ალკოჰოლის გამო ჩახლეჩილი ჩლოხინა ხმის გაგონებას! ერთი სიტყვით, ცხოვრება მაინც ცხოვრება იყო და ადამიანები თავიანთ ჩვეულებრივ ქმედება-საქმიანობას მისდევდნენ. სიცოცხლის მდინარე, თუმცა კი ზოგჯერ და ზოგან შებრკოლდებოდა, შედგებოდა, შეტბორდებოდა, მაგრამ ბოლოს კი მაინც გასასვლელს მოძებნიდა და უფრო მეტის ჩხრიალ-ჩქაფუნით მიიწევდა წინ თავისი საბოლოო მიზნისაკენ. ამასობაში კი შიიტთა წრეებში მართლმორწმუნე ალის სახელი ცადაზიდული მენამული ალივით აბრიალებულიყო. ამ ალის კამკაშს ყველა მართლმორწმუნე ხედავდა, ყველა შიიტი ამჩნევდა, თუნდაც დედამინის უშორეს კუთხე-კუნჭულში ყოფილიყო გადახაფრული, გინდ ჯეონის პირას მცხოვრები ყოფილიყოს, თურანელთა თავდასხმების მუდმივი შიშით გათანგული, და გინდაც ქართველთა ზღვის მიმდებარე მიწებზე დავანებული და აფხაზ მეფეთა\* მიერ შევიწროებული. ასე, რომ სახელი ალი მთელ სამყაროს ანათებდა, როგორც სულიერად განმწმენდი წმინდა ზოროასტრული ალი, მაგრამ ან უკვე აღარავის ახსოვდა მის მიერ დანთხეული წმინდა სისხლი. მუდამ ასეა: სახელი ჩანს, ხოლო ის სისხლი კი არა, რომელიც ამ სახელის მოსაპოვებლად დაიქცა. და ახალგაზრდა აჯამიც შიიტიზმისაკენ ისე ბუნებრივად გადაიხარა, როგორც ხეთა ტოტები და ვარჯები იხრებიან მზისა და სინათლის, ნათლისა და სხივმოსილისაკენ, სიბნელიდან დღის

\* აფხაზ მეფეთა – ქართველ მეფეთა.



სამზეოზე გამოდიან და სიკეთისა და სითბოს გასაზიარებლადაც მზად არიან.

ხოლო აბუ ბაჟელი?

აბუ ბაჟელმა საყვარელი მეუღლის გარდაცვალება მძიმედ გადაიტანა: დაკნინდა, მოიჩვართა, დაჩაჩანაკებული სხეული დაეჩუტა, ნაბდისძველას დაემსგავსა; ბრუნდედ და აცაბაცა დაიარებოდა, თითქოსდა სიზმარში ყოფილიყოს. უკან ნუ მიიხედავ, თორემ შავარშიაშემოვლებულ წარსულს იხილავ და გული უფრორე მოგეჭყეჭებაო, ეუბნებოდა საკუთარ თავს; ასეც ირჯებოდა, ოღონდ ეგ ილათი ვერას შევლოდა, რადგან სიზმარში უკან მიხედვა რა საჭიროა, როცა კეფაც ისევე ხედავს, როგორც თვალი. ამჟამად სიცოცხლეს სწორედ ისე ეჯახირებოდა, როგორც საბრალო როუმანი. და, აგერ, თავისი ფეხით მოსულმა სიკვდილის წინაშემდგომელმა იგი დააუძღურა, ლოგინად ჩააგდო; ხელ-ფეხის განძრევაც კი გაუჭირდა, ფილენჯივით დაღრეჯილიყო, დროის მსახვრალი ხელი ავად დასტყობოდა და ეგ ჩაგაგონებდა აზრს, რომ ყველაზე საზიზლარი ნაკვალევი დროსა რჩება. ათარი<sup>33</sup> მისი სადგომის ხშირი სტუმარი გახდა, ოღონდ წარუმატებელი მომსვლელი. მის წამლებს, იტყოდნი, ძალა გამოლევიათ, არაქათი გამოსცლიათო! ასე იჯახირა და ინვალა საბრალო დეჰყანმა და მეუღლის გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე იმავ მიწას შეეზიარა, რომელსაც ესოდენ გულმოდგინედ ჰპატრონობდა, ამუშავებდა, გულის წვენს ართმევდა, ოღონდ სამაგიეროდ საკუთარ სულს აძლევდა, რა არის, უხვი მოსავალი მოეწია და სოფელ-ქვეყნისათვის პური ეჭმია, ხილი ეგემებინა, ღვინის ძალით გაეხალისებინა.

33 ათარი – აფთიაქარი.



ხოლო ქაბუკი აბულყასემი?

დედ-მამის ურთიერთობამ ნათლად დაანახვა: სიყვარულის აისი უფრო საამურია, ვიდრე მისი დაისი.

ასე დარჩა აჯამი ობლად, მწირად და ეულად. მარტოდენ დაია შერჩა, მაგრამ უმწეო გოგონას დიდი იმედი არ უნდა ჰქონოდა. თანაც თაბარანში ქალწულებს ადრე ათხოვებდნენ და ახლა სხვა საზრუნავიც გაუჩნდა – გოგონასათვის მზითევი უნდა დაეგროვებინა, რათა ჯეროვნად გაეთხოვებინა და დაებინავებინა. ახალგაზრდა აჯამმა ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგად იცოდა: ქალი კატასა ჰგავს – ორივე ოჯახსა და პატრონს დაეძებს. ამ აუცილებელ კანონს კი ვერც მისი და გაექცეოდა! და ოჯახის ახალბედა წინამძღოლმა და მამასახლისმა რგუნებული მიწის ფეოდს გულმოდგინედ დაუნყო დამუშავება, გააგრძელა დეჰყანი მამის საქმიანობა. ერთ-ორ წელიწადს ენერგიულ გარჯას კარგი დარიცხედ დაერთო და მიწამ თავისი ღალიანობა გამოავლინა, სრულად და უხვად გასცა საგანძური.

საქმე კარგად აეწყო.

აჯამის გული ხარობდა.

ცოტა ხანში დამხმარე ძალაც დასჭირდათ და დაიქირავეს კიდევც.

სამუშაოების მოჯარებისას აჯამის მამულში 3-4 დაქირავებული მუშა მაინცა ტრიალებდა: იქით - „ჰოოპუნა“ გაისმოდა და პურის სამკელ ნამგალთა წკრიალი, აქეთ ჩამური რახუნობდა და ერთი ჩიპუტია კაცი და მკლავლონიერი აჭანდარა ქალი ღომსა ცეხვავდნენ, მერმედ ხვავი ბელელში შეჰქონდათ, ნამჯა – საბძელში; იქით მწყემსს ხელში დუქარდი დაეჭირა და ცხვარ-ბატ-



კანსა კრეჭდა; ახმახი მოურავი ბებერი აქლემივით იფურთხებოდა და ყველა კუთხე-კუნჭულს ამონმებდა, მისი გამჭოლი თვალი ყველასა და ყველაფერს ხედავდა, ყველას მოძრაობას უთვალთვალებდა. ის აქ არავის უყვარდა, ოღონდ ძალიანაც არა სძულდათ. „მოურავი, როგორც მოურავი“, - ფიქრობდნენ და ერთმანეთშიც ასე ლაპარაკობდნენ. აჯამი „ვარჰალალოს“ კარგა ხანია, დაუბრუნდა, მას უკან, რაც ის ბებერი ყალთაბანდი ნაყალი მიიცვალა, ოღონდ, ვიდრე საღამოს პურობაზე ხალხი და ჯამათი შეიკრიბებოდნენ, მანამდე თავის მიწაზე ტრიალებს, ირჯება, მუშაკობს, არაფერსა თაკილობს. სისხამ დილაზე დგება და, ვიდრე ფრთოსნები დილის საარს დააგუგუნებდნენ, ფიზიკური შრომისათვის უკვე მზადაა: ან ბარავს, ან თოხნის, ან კიდევ ნარგაობას უვლის. ამ მიწებს მორწყვა სჭირდება და ისიც დიდრონ არხებსა და წვრილ-წვრილ არიკებს არეგულირებს, მათში წყლის დონეს უთვალთვალებს. ერთგან არიკი მიწა-ქვიშით ამოვსებულიყო. ნაყარის ამოსაღებად ბარნიჩაბს ფეხი უშნოდ დაჰკრა და როგორღაც იღრძო. მყისვე აქიმბაშს უხმეს. მოვიდა, მტკივანი ადგილი შეათვალა, ხელითაც გასინჯა, თავი იმედიანად გადააქნია, საათარო აბგა გახსნა, ბამბუკის მუხლისაგან გამოყვანილ ვეებერთელა ქილაში საგანგებო საცხი ჰქონდა შენახული. ეგ ქილა ამოიღო, პაციენტს უჩვენა, უთხრა:

- აი, ეგ მალამო იმალამოვე. თუ ორ საათში ტკივილი არ დაგიამდეს, გამკიცხე! მერმედ კი ერთხელ კიდევ დაიცხე. თუ ამ ცდამაც არ გაგიმართლოს, შემაჩვენე! ბოლოს და ბოლოს, მესამედაც სცადე ბედი და, თუ ამჟა-



მადაც არა გისაშველოს რა, ლახვარი მამგერე და ადგილზევე განმგმირეო!

ესა თქვა, ბამბუკქილა დატოვა, გასამრჯელო აიღო და წავიდა.

აბუღასემმა ნატკენი მარჯვენა ფეხი მოხერხებულად შემოდო მომალლო ხარისაზე, რომელიც მოურავმა სახელდახლოდ შეუჭყდა. გავიდა ორი საათი და, ის-ის იყო, აჯამი აქიმაშის საკიცხავი სიტყვების მოძებნას აპირებდა, რომ სალმოზა მართლა დაუამდა; დარიგებისამებრ ხელმეორედაც დაიდო მტლე და დაელოდა; შედეგის დადგომის დრო რომ მოახლოვდა, კოჭის ოდნავი შეჭირვება იგრძნო და აქიმის შესაჩვენებელი სიტყვების შერჩევაზე ფიქრობდა, რომ კოჭი უეცრად სრულიად დაუამდა; მესამედ დამალამოვების დროც მოვიდა და ავადმყოფი თავს მშვენივრად გრძნობდა. მტლე მაინც დაიდო, მაგრამ მიხვდა: არც წვერწამახული შუბი დასჭირდებოდა, არცა ლეგენდარული ზაალის გურზი<sup>34</sup> და ღმერთს აღთქმა მისცა: თუ ფეხზე კეთილად გაივლიდა და წლევანდელ მოსავალსაც ჯეროვნად დააბინავებდა, შემოდგომაზე თავისი ობოლი დაი წესისამებრ გაემზითვებინა და დაეოჯახებინა. ეს რომ გაიფიქრა, გული სიხარულით შეუძოძგინდა: საყვარელი მშობლების ერთ ნატვრას ხომ მაინც აღასრულებდა! და იგუმანა: ნეტარებაც სწორედ ის არის, როდესაც მშობლების წადილს შვილის სურვილიც უერთდება და ორივე ხორციელდებაო. საქმეს ამჟამად ასეთი პირიც უჩანდა და უეცრად თავი იმაზე უკეთესად წამოიდგინა, ვიდრე რეალურად იყო.

34 **ზაალის გურზი** – პროზაული „შაჰ-ნამეს“ ცენტრალური გმირის ფოლადის კომპალი.



ამან ფილოსოფიური აზრი ჩააგონა - „ტრაგედიაა, როცა ცხოვრება გაიძულეხს, იყო იმაზე უარესი, ვიდრე სინამდვილეში ხარ, და ბედნიერებაა, როცა გეძლევა შანსი, იყო იმაზე უკეთესი, ვიდრე სინამდვილეში ხარ“.

ჯერ ამ დასკვნისაგან გაოგნებული დარჩა, მერე ნააზრევს ცივი გონებით დაუფიქრდა და ერთობ მოეწონა. „დიახ, - ფიქრობდა იგი, - ჩემი პატარა დისადმი დამოკიდებულებაში მომეცა იმისი შანსი, უკეთესად გამოვჩნდე, ვიდრე ვარ. ეს ერთგვარი ტყუილია, თვალის ახვევა, ოღონდ არა ჩემი შინაგანი არსების, არამედ გარემოს მიერ თავს მოხვეული“.

მეორე თუ მესამე დღეს ფრთხილად გაიარ-გამოიარა. კვირის თავზე ჩვეულებრივი მუშაკივით ირჯებოდა და მინას ებრძოდა. ვიდრე ავადმყოფობდა, დაი თავს დასტრიალებდა, საკვებს უხმოდ უმზადებდა, სიტყვიერად ამხნევებდა. ობოლმა ობლის გასაჭირი უკეთ იცის. ძმამ გულზე ხელი დაიდო და საკუთარ თავს სიტყვა მისცა: „ვიდრე ჩემს საბრალო დას არ დავაქორწინებ, არავის ვექმარები!“

და იმ დღიდან სერიოზულად დაიწყო ფიქრი მზითვის შექმნაზე. ჭრელხატულა ნოხები, ხალები და ხალიჩები – მხოლოდ ისპაჰანური, ყელყარყარა ქაშანური ჭურჭლეული, რომლებშიც მაღალყელიანი სურები ისე გამოირჩეოდნენ, როგორც გვაჯა გოგონებს შორის ჩამდგარი ტანკენარი ასულები; წითელ და მწვანეშალითიანი ახალგაზრდული ჩადრები, ოქროს ნაყშიანი რიდეები; სპილენძის თუნგები და თასები, სხვადასხვა ფერის სუზანები, აბრეშუმის დარაია და საცვლები – ყველაფერი ეს იმ დღიდან ოჯახის მამასახლისის ყურადღებას იქცე-



ვდა და საყვარელი დედმამიშვილის საქალწულე საძინებელი მალე მუზეუმსა დაემსგავსა. მეზობელი ქალიშვილები მოკრძალებით სტუმრობდნენ ამათ და აღტაცებული რჩებოდნენ კეთილი ძმის სიუხვით, გასათხოვარი ასულის სვეკეთილი ბედით. ისინი ნაზად ეხებოდნენ და ელოლიავებოდნენ ამა თუ იმ ნივთს, ფარჩეულსა და ფეხზე კოხტად მორგებულ სანდალს ან მაშინას. იყო ჩასაცმელ-მოსასხამ-მოსაბურავის დაუსრულებელი სინჯვა, ჩხრეკა და მოზომება.

- აჰ,რა ჰაეროვანი და ნაზი რიდეა! – იტყოდა ერთი სტუმარი გოგონა.

- სწორედ რომ აგრეა, - დასტურს დასცემდა მეორე, - ოღონდ მე, პირადად, აი, ეს მაშინა უფრო მომწონს, - დასძენდა ბოლოს და მსუბუქ, ფიორა ოთახის ფეხისამოსს ხელისგულს ნაზად გადაუსვამდა, მოალერსე ბუსუსების თითებზე მილამუნებას გრძნობდა და თვალებს ნეტარებით ნაბავდა.

- მე კიდევ აი, ეგ სანდალი მენიაზება! - წამოიძახებდა მესამე სტუმარი და ხელში იღებდა ნითელი ტარსიკონით განყობილ მოქნილი ტყავის ფეხსაცმელს, რომელსაც დაბალხანის სუნი ჯერაც არ ჩამოშორებოდა და ეგ „სურნელი“ უქონელი და უმზითვო ქალიშვილების ყნოსვას ჯადოსნური არომატივით აღიზიანებდა. ზოგ მათგანს შინ სამზითვოდ უბრალო დასტამალიც<sup>35</sup> არ ეგულებოდა და იმაზე ოცნებობდა, ეგების, ჩვენი მეგობარი ქალიშვილის მდიდარ და გულუხვ ძმას მისთვის კეთილი თვალთ შეეხედა. მაშინ ხომ არც მზითვეი იქნებოდა საჭირო და არც არაფერი, გარდა სამი საიდუმლო რა-

<sup>35</sup> დასტამალი – ჩვარი.

მისა. და ეგ იდუმალი სამი გახლდათ: ტურმიუდებელი ვარდის ფურცლები, ხელდაუკარებელი ლერწმის წელი და გაუხვრეტელი მარგალიტი.

ერთ მშვენიერ დღეს აჯამს სამ საიდუმლოდაცული ასულის მშობლების მიერ მიგზავნილი საპატიო დეჰყანი მიუვიდა. სტუმრის პატივისცემით მიღებისა და სალამ-ქალამის შემდგომ მაშვალმა საქმიანი საუბარი წამოიწყო:

- ალაჰის მადლით, ჩემო ძვირფასო მეზობელო და სახელოვანო ნაყალო, არც ქონება გაკლია, არც სახელი და პატივი, არც ვისიმე ვალი და ვახში გადავეს, არც ასაკის სიმცირეს უჩივი. უკვე კაი ხანია, წესით, ოჯახის უღელი უნდა გედგას ქედზე; მოგეხსენება, ჩვენში ქალს 10, ხოლო ვაჟს 16 წლიდან უჩნდება მუშტარი. ღვთის მადლით, ჯანმრთელი ჭაბუკი ხარ. მაშ, რა უშლის ხელს იმას, რომ ოჯახი შექმნა და მემკვიდრეები გაიჩინო? მტკიცე და ორგანიზებული ოჯახი სახელმწიფოს სიძლიერეა. ხომ ხედავ, არაბობა უფრო და უფრო ძლიერდება, ლამის არის, პირისაგან მიწისა აღგავოს პატიოსანი ერანელნი. ამის წინააღმდეგ შენი გამოსვლებით, შენი ხელოვნებით დიახაც იბრძვი, ოღონდ ეგ ბრძოლა უფრო რეალური და ეფექტიანი მტკიცე სპარსული ოჯახის შექმნით გახდება. შემოძლია დაგისახელო ის პატიოსანი და ღირსეული გვარი, თუმც კი ქონებრივად არცთუ ისე ძლიერი, რომლის დავალებითაც აქ გეახელი...

- არა, საჭირო არაა! – შეშფოთებით წამოიძახა მასპინძელმა, - არ არის საჭირო, ოჯახის დასახელებითა და სახელის წარმოთქმით შეურაცხყოფილი დავტოვოთ ის, ვის წინადადებასაც დიახაც რომ პატივსა ვცემ,



ოლონდ ამ წადილის აღსრულება მაინც არ ძალმიძს. ჯერ ერთი, უმცროსი ოჯახიშვილი მყავს დასაბინავე-ბელი; მეორეც, საკმაოდ ახალგაზრდა ვარ, რათა ქედზე ოჯახის მძიმე უღელი დავიდგა, თუმცა კი არც სალთად დარჩენას ვაპირებ.

- კი, მაგრამ, ღვთისაგან ჩაგონებული ის მთავარი, რასაც სიყვარულს ეძახიან?!

- ამჟამად ჩემი სიყვარული დაყიყის პოეზიის იქით არ ვრცელდება! – გულწრფელად უპასუხა ვაჟმა.

სტუმარი ჩაფიქრდა. ცოტადრე შერცხვა კიდეც, რაკილა მისი მოციქულობა მარცხით დამთავრდა. მას ად-იმი გამოატანეს, რათა ხალას ოქროზე გადაეცვალა; მას კი უკან უფერული მეში მიჰქონდა. რა პირითლა შეხ-ვედროდა უმნიკვლო ქალიშვილის პატიოსან მშობლებს? მერეც და განა რა ორატორული მაზითა და მაჭანკლო-ბის გეშიანობით დაიკვეხნიდა ჩვენი უბადო<sup>36</sup> მოციქუ-ლი? ამიტომაც შეეცადა, მცირე რამ ნაყოფი მაინც აელო ამ გვალვითა და ხვატით გადატრუსული ხოდაბუნიდან. დარბაისელმა გრძელ ჭაღარარეულ წვერზე ხელი ჩამ-ოისვა, ჩაახველა და თქვა:

- ყველაფერი ალაჰის ნებითა ხდება. ჩვენ, შიიტებს, წმინდა მსხვერპლის აღის დროშა წინ მიგვიძღვის, რომე-ლიც ისას შემდეგ მეორე ნამდვილი მონამეა. ჩვენი სი-ტყვა და პირობა ისე მტკიცეა, როგორც ის სამსჭვალე-ბი, რომლებითაც ქრისტე ჯვარზე გააჭედეს. მოდი, ასე შევთანხმდეთ: როცა დაქორწინებას დააპირებ და საამი-სო დროს შეარჩევ, საქმეს უჩემოდ ნუ გადაწყვეტ. სიტყ-ვას გაძღვე: საშენოდ ისე მშვენიერი და შენი მოცალე

<sup>36</sup> უბადო – ცუდი, გლახა, მიუღებელი.



ქალწული, რომელიც მე აგირჩიე, დედამიწის ზურგზე მეორე არ მოიძებნება.

სტუმარი დადუმდა. მას დიდი იმედი არა ჰქონდა, რომ ჯიუტ აჯამს ამ პირობაზე მაინც დაიყოლიებდა და ერთობ გაოცდა, ასეთი პასუხი რომ მოისმინა:

- როცა დაოჯახებას გადავწყვეტ, უწინარეს ყოვლისა, თქვენ გესტუმრებით. თქვენი რჩევა და მითითება...

ეს წარმოთქვა და უცებ აბუღყასემს მამამისის ნათქვამი ხატოვანი ფრაზა გაახსენდა, ბატონ ლოლამალის რომ უთხრა ამ ექვსიოდე წლის წინათ და შვილმაც სიამოვნებით გაიმეორა:

- დიახ, ჩემო ბატონო, თქვენი რჩევა და მითითება ყურსაკიდივით დამმშვენდება. მე მას უსიკვდილოდ გავითვალისწინებ!

სტუმარს ბაგე ღიმილმა დაუმშვენა – დროით შელანძღულ და მობერებულ თოვლზე ენძელას გამოჩინა!

როგორცა ჩანს, ქალიშვილის მშობლები ამ პირობამ ნაკლებად დააშოშმინა. მამა, თურმე, უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა: უპატრონოა, უნათესაო, ჩვენთვის უარი არ უნდა ეთქვა, ჩვენზე უკეთეს მოყვარეს, აბა, სადღა იშოვისო? დედას კი თავი მაინც ვერ შეეკავებინა და შესაძლო მომავალი სასიძოსათვის ქორები დაეყარა: მაგას დაყიცი უყვარს და არა ოჯახიო!

ამასობაში კი ჩვენი გონიერი ნაყალი „ვარჰალალოში“ უებრო დეკლამატორად შერაცხეს. თვითონ აჯამი კი ამ საქმეს დროებით საქმიანობად მიიჩნევდა და თავში დიდი განაზრახი უტრიალებდა, თუმცა კი ამას საკუთარ თავსაც ძნელად უმხელდა: ენადა მთელი პროზაული „მაჰ-ნამე“ და ის ფრაგმენტული ამბე-



ბი, რაც ირანის ისტორიას განეკუთვნებოდა, გაელექსა, ისტორიული და მითური ელემენტები ერთმანეთისათვის ისე ორგანულად დაეკავშირებინა, ისე მონოლითური და ერთიანი გამოსვლოდა, როგორც იუველირი აკეთებს ამას, როდესაც ქვა მაგარს<sup>37</sup> ტყვიის ლბილ გვრდემლზე<sup>38</sup> ფაქიზი ხახუნით რანდავს, აშანდაკებს, ანახნაგებს და ლებულობს წმინდა წყლის სისუფთავეს და ფერთა ბუნებრივ ლივლივს. „ჩემს პოემაში, - ფიქრობდა აჯამი, - ერთმანეთს უნდა შევახვედრო ენაწყლიანი ჰომეროსი და მშრალი ფაქტოლოგი ჰეროდოტე. აი, საქმე, აი, ჩემი საბოლოო მიზანი!“ და, ვიდრე ამ წადილს აისრულებდა, ყურად ესმა: პროზაული „შაჰ-ნამეს“ ტექსტის წყობილ მარგალიტად<sup>39</sup> ქცევას ლეგენდარული დაყიყი აპირებს და საამისო შრომას კიდევაც შესდგომიაო. „მაშ, დაყიყი არა? – ფიქრობდა სახელოვანი ნაყალი, - კეთილი და პატიოსანი, დაყიყია და დაყიყი იყოს. ვაცალოთ ამ დიადი საქმის აღსრულება. ვნახოთ, რა წარმატებით აიტაცებს ამ მძიმე საჯილდაო ქვას. დაყიყის უმჯობესი მესიტყვე დღეს მიწის ზურგზე არავინ მეგულება! მაშ, დაყიყი არა? კეთილი, დაყიყი იყოს!“

და პატრიოტ ნაყალს ისლა დარჩენოდა, ედიდებინა ეროვნულობით გამორჩეული დიდი მესიტყვე. ამიტომაც თავისი სადეკლამატორო საქმიანობა ასე გარდაქმნა: ვიდრე ხალხური დასთანების კითხვას დაიწყებდა, თავის გამოსვლას წინ ლირიკულ წიაღსვლებს წარუმძღვარებდა ხოლმე. უმთავრესად, რალა თქმა უნდა, ეყრდნობოდა

37 ქვა მაგარი – ალმასი.

38 გვრდემლი – ტყვიის საგანგებო დაფა ალმასის დასაანახნაგებლად, ბრილიანტის გამოსაყვანად.

39 წყობილი მარგალიტი – ლექსი.

თანამემამულე მოაზროვნეს. ამ ჯერზეც ასე მოიქცა. დაისი დამდგარიყო და „ვარჰალალოს“! ფასკუნჯებიანი დარბაზი ხალხით იყო გამოტენილი. საზოგადოება, ძირითადად, ორ დასად იყო გაყოფილი: უმთავრეს ჯგუფს ქმნიდნენ ანტიხალიფატური მრწამსის მქონენი, ხოლო უმცირეს დასს წარმოადგენდნენ ხალიფატის მომხრეები. ამ დაპირისპირებას დეკლამატორი არ შეჰპუებია. საგანგებოდ ზეანეულ სადგამზე შედგა და გამოაცხადა:

- ვიდრე ბეჟანისა და მანიჟეს სიყვარულის ამბავს მოგიტხრობდეთ, მანამ მინდა შეგახსენოთ ბრწყინვალე ლირიკოსის ჰანზალას ბიოგრაფია და მისი ლექსი ნაგიკითხოთ.

დამსწრეთაგან ზოგმა ტაშიც კი შემოჰკრა.

ჟრიამული ჩაცხრა თუ არა, ნაყალმა პოეტის ბიოგრაფიის მოყოლა დაიწყო. როცა მგოსნის ანტიხალიფატურ განწყობილებას შეეხო, ზოგი უკმაყოფილო დარჩა. ერთმა-ორმა კიდევაც დაუსტვინა; მაგრამ ეგ უკმაყოფილება უფრო მეტად მაშინ გამოიკვეთა, როცა არაბთა კრიტიკის გამომხატველი ჰანზალური ლექსი წაიკითხა:

**აღსდექ, სპარსელო, დღეს ლომს ხახაში  
აქვს და უპყრია შენი დიდება,  
ნუ დაიძინებ თავს იმ ხაშხაშით,  
ყველა ბაზარში რომ იყიდება!**

**მიდი, გაბედე, შეები მტარვალს  
და გამოსტაცე სახელი მშვენი,  
პატივ-ღირსება მოჰფინე მთა-ბარს –  
ეს უნდა გახდეს ოცნება შენი!**



მსმენელთა ერთი დასი აიქოჩრა, დაიძაბა, გაისმა უკ-  
მაყოფილო შეძახილები; მეორე ჯგუფს ეს ტაეპები დი-  
დად მოეწონა, მოწყულულ გულზე მტლედ დაედო, ენიაზა;  
მაგრამ საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე მაინც არ  
მისულა. ეგ შემდეგ მოხდა, მუშტი-კრივზე მერმედ გადა-  
ვიდნენ, მას შემდეგ, რაც დაყიყის სტრიქონები გაიხსენა,  
ოლონდ მანამ აბუსალექე გორგანელის გულის დამაამე-  
ბელი რკალური რითმით განყობილი სტროფი წაიკითხა:

**საკუთარ სისხლით მიწა მორწყა, უმჯობესია,  
ვიდრე დაღვარო პირისწყალი, დაკარგო ნდობა,  
სხვათა მონობას სჯობს სიკვდილი, კერპთა მინდობა,  
ეგ განაწესი ვაჟკაცთ წესად დანაწესია!**

ხალიფატისტებმა ეგ ნათქვამი ისევ თავიანთ ბალ-  
ჩა-ბალში ნასროლ კენჭებად ჩათვალეს და აიმრიზნენ,  
კვლავ უკმაყოფილოდ აყაყანდნენ, ხოლო ანტიხალი-  
ფატისტებმა მხრები გაშალეს, ცოტადრე მომხნევედ-  
ნენ, ალალდნენ. მათ მზერაში გამირული პატრიოტიზმი  
იკითხებოდა.

ერთი სიტყვით, საქმე წკიპზე იყო შემდგარი.

ორ დასს შორის დაძაბულობამ უმაღლეს წერტილს  
მიაღწია.

სწორედ ამ დროს აჯამმა თავის სადგომ ფიცარნაგ-  
ზე ბიჯი წინ წადგა, როგორც ალამდარმა, უკეთ გამოა-  
ჩინა საკუთარი საკმაოდ მოხდენილი ფიგურა და დიდი  
სამსახიობო ოსტატობით წარმოთქვა საყვარელი მგოს-  
ნის ტრადიციონალიზმის სულისკვეთებით გაჟღერებული  
ტაეპები:

**ოთხი რამ სწადდა დაყიყის მხოლოდ,  
გადაავიწყა სხვა ყველა ზენამ:  
ჟღერა ჩანგისა, ლალ-ბაგის ბოლო,  
ბადახშის ღვინო, ზორასტრის რწმენა!**



ხალიფატისტებს ახლა ახალმოქცეული მაჰმადიანებიც შეუერთდნენ და ზოროასტრიზმის მიმდევარ კონსერვატორებს ერთობლივად შეუტიეს. მათ ფოლადის მუშტები გამოაჩინეს. არც ტრადიციონალისტები დარჩნენ ვალში და გაიმართა დიდი დაკადაკა. ვილაც ოყრაყი, ბედრანგი<sup>40</sup> სახე რომ ზიზლისაგან გაფითრებოდა, ეცა ერთ ტრადიციონალისტს და ყელყარყარა სურებსა და სპილენძის ფიალებს ზედ დაახეთქა. გაისმა მსხვრევისა და უსიამო ჟღარუნის ხმა. შემდეგ მეტოქენი ჩუმად უშენდნენ ერთურთს ნიხლს, მუშტსა და მუხლს. არსად ჩანდა სარანგი, ნესრიგის დამცველი. „ვარჰალალოს“ მსახურები შენობის კუთხე-კუნჭულებში მიმალულიყვნენ და სეირს დიდის გატაცებით უცქერდნენ. სასწაული ისა გახლდათ, რომ ამალღებულ ადგილზე, ფიცარნაგზე, მდგარ ჭაბუკ ნაყალს არვინ არას ერჩოდა, თითქოსდა ის არაფერ შუაში ყოფილიყოს და ეს ორომტრიალი სწორედ მის ნათქვამს არ გამოეწვიოს. ამასობაში ხან ერთი ფეხმოტეხილი მიდიოდა შინ და ეთხოვებოდა ორთაბრძოლას, ხან მეორე თავგაჩეხილი ან მესამე თვალჩაშავებული. ბოლოს, როგორც იქნა, ალიაქოთი მიწყნარდა, მიყურდა და მოქოთქოთეებმა ისე მიატოვეს აშპაშხანა, როგორც ალანქერებული და აზავებული მდინარის ტალღები ტოვებენ სანაპიროს კოკისპირული ნვიმების შეწყვეტის შემდგომ.

მაგრამ მაინც, დარი იყო თუ ავდარი, ცხოვრება ცხოვრება გახლდათ და მისი ტალღები წინ მიისწრაფოდნენ.

40 ბედრანგი – უშნო, ულაზათო.



## თავი მასამ

ღვთის გზაზე დამდგარმა გზის სიავეკარგის შემონ-  
მება არ უნდა დაიწყოს. არც აჯამს დაუნყია. ზამთრის  
პირზე მაჭანკალი მოუვიდა და უარი არ უთქვამს – დაი  
გაათხოვა; მზითევიც გვარიანი უმზითვა და მამისეუ-  
ლი ფეოდის ერთი წილიც დაუთმო. ასე, რომ საკუთარი  
მამული გაუნახვერდა, თუმცა კი ბედს არ უჩიოდა. ჯერ  
ერთი, სახლიშვილი გააბედნიერა, ცხოვრების სახსარი  
გაუჩინა; მეორეც, ნაყალის სარგო და შერჩენილი მიწა  
სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ეული კაცის მატერი-  
ალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მასაც  
ბევრი არაფერი სჭირდებოდა: ცოტა პური, ცოტა ღვი-  
ნო, ძროხის ყველი და იშვიათად ცხვრის ხორცი. სხვა  
მხრივ – ის იყო და მისი ნაბადი! ყოფიერების ყოველ  
ძახილზე დოსტოლრივ მიდიოდა. ან კი რა შეაშინებდა:  
ჯერ კიდევ ახალგაზრდას უკვე გამოეცადა მშობლების  
დახოცვა, მარტოსულობა და სულიერი ვარამი. ან კი  
ამაზე უარესი რაღა უნდა დამართოდა?! სულიერი სიობ-  
ლის განცდა, ჯერ კიდევ ბიჭობაში რომ იგრძნო, ამჟამად  
ერთობ გაუცხოველდა, ხოლო მომავალში რა იქნებოდა,  
ეს მხოლოდ მაღალს შეეძლო სცოდნოდა, რაკილა მომავ-  
ლის სალაროს გასაღები მხოლოდ ზენაარს აბარია და  
სხვას – არავის.

ამასობაში 25 წლისა მოიყარა და ნაცნობი შუამავალი  
კიდევ ერთხელ ეწვია. ტკბილი სალამ-ქალამი, კეთილი  
მიღება და საქმე:

- ყველაფერი ალაჰის ნებითა ხდება, ჩვენ, შიიტებს,  
წმინდა მსხვერპლის ალის დროშა წინ მიგვიძღვის.



იგი ხომ ისასებრ ჭეშმარიტი მონამეა. ქრისტეს, ალისა და ჩვენი სიტყვებიც ხომ ისევე მტკიცეა, როგორც ის ლურსმნები, რითაც ისა ჯვარს აცვეს. ან კი დროა, შევიხსენოთ ჩვენი პირობა: თუ ოდესმე ცოლის შერთვას დააპირებდი, ეს საქმე უჩემოდ არ გარიგდებოდა. ხომ არა ვცდები?

- არა, ჩემო ბატონო, სრულ სიმართლესა ბრძანებთ.
- მაშ, ისევ იმავე პირობაზე დგახარ?
- რა თქმა უნდა, იმავე პირობაზე.
- ჰოდა, ჩემს ყურებს სასიამოვნო ამბავი ამცნეს – თითქოს ოჯახის შექმნა გადაგენწყვიტოს. ამიტომაც, პირობისამებრ, გეახელით. იმ ჩემი შეგულებული მზეთუნახავის მშობლების დავალებით აქ გაჩხინკული წინილა მომიყვანია და მათთან ჩასუქებული კურატის მიყვანასა ვლამობ. მაძლევ ამ კურატს?

აბულყასემი მიუხვდა მეტაფორის აზრს. სტუმარს გაუღიმა, რითაც მისი სიტყვების ჭეშმარიტებასა და მოსულის სიღარბაისლეში ეჭვშეუტანლობა დაუდასტურა, მერმედ კი დასძინა:

- თქვენთვის არასწორი ამბავი უცნობებიათ. დაოჯახებას დიახაც ვაპირებ, სალთობა სხვისიც მეზარება, ოღონდ ერთი-ორი წელიც მჭირდება, რათა ფეხზე უკეთ დავდგე. თავი მყარად ვიგრძნო, ოჯახი ქონებრივად მოვაძლიერო. რაც უნდა იყოს, მაინც მარტოხელა კაცი ვარ, ერთი ვმუშაობ და ვირჯები...

- მეც სწორედ მანდა ვარ. მარტოკინა მუშაობ და ირჯები. ამიტომაც გჭირდება თასლიბის გამწვევი, მომხრე და თანამოსაგრე. ცალი ხელით ტაში არ დაიკვრის. ჰე, გაბედე, შეერთე ცოლი! უნარიანი მეუღლე საქმეს



შეგიმსუბუქებს. ის ოჯახიც ახლა ქონების მხრივ უფრო უკეთა გრძნობს თავს, ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა აქ პირველად გაეახელი. მაშ, მივცეთ ხელი ხელს?

აჯამმა კვლავ გაუღიმა.

სტუმარმა ეს ნახევართანხმობად მიიღო და სასწორის პინაზე კიდევ ერთი მცირე გირა შემოლო:

- ქალიშვილს ამჯერად აბრუ არ გაუტყდება, პირისწყალი არ დაეღვრება: მშობლებმა შესანიშნავი მზითვენი მოუმზადეს. დიბა-ფარჩეული ავ თვალს არ ენახვება; ნაყშიანი და უნაყშო ყაბები და პერანგები ხომ მნახველს გადარევენ, ქოშები და მაშიები საუკეთესო დაბალების ნაოსტატარია, საბან-გობანი კიდევ სხვა არის...

სტუმარი მთელი სამზითვო ნუსხის გახსენებას აპირებდა, ოღონდ მასპინძელმა სიტყვა გაანწყვეტინა, თუმცა კი ხორასანში უფროსისათვის სიტყვის განყვეტინება დიდ უტაქტობად მიიჩნეოდა.

მაშვალი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა.

მასპინძელი შეშინდა – ემანდ ავი მასპინძლობა და შუაკაცის უპატივცემულობა არა შემწამონო. დარბაისელ მოხუცს ერთბაშად დაუტკბა, დაამოშმინა:

- ჩვენ კაცური კაცები ვართ და ჩვენი პირობა პირობაა: როგორც კი დამჭირდებით, უსიკვდილოდ შინ მოგაკითხავთ, თქვენი დახმარება უსათუოდ გამომადგება. მართლა და მართლა, უცოლოდ დარჩენასა და უმემკვიდრეოდ გადაგებას სულაც არ ვაპირებ!

ეს ისე მტკიცედ იყო ნათქვამი, მოხუცი დარბაისელი კმაყოფილი დარჩა. მან თავის გრძელ, ან უკვე თეთრ წვერზე ხელები ჩამოისვა, დინჯად წამოდგა და დამრჩენს გამოემშვიდობა, ალაყაფის კარის ზეძირკველს ღირსების





მთელი შეგრძნებით გადააბიჯა. ახლა იმაზე ფიქრობდა, რამდენად დასაჯერებელი იქნებოდა მისი საბუთები, რომ საპატარძლოს მშობლებს კიდევ ერთხელ აღარ ეზრუნათ სასიძოს ძიებაზე. იმათაც ხომ საკუთარი მუცლის გვრემა ჰქონდათ – ეშინოდათ, სახიფათო ასაკს მიახლოებული ქალიშვილი შინაბერობისათვის არ გაენირათ. ვაითუ, გიჟ-პოეტა ნაყალს საერთოდაც აღარ მოსურვებოდა ცოლის შერთვა! და, მერეც, ეგების, დაყიყის შეყვარებულს მათი ქალიშვილის შეყვარება გასჭირვებოდა?!

მაგრამ ნათქვამია: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცი-ნოდაო“.

საქმე უცნაურად შემოტრიალდა.

ბედის კამათელმა იბრუნა, იტრიალა და უცნაურ აღ-ჩუზე დაჯდა.

პოეტური ხასიათის აჯამს ფერწერული სანახების თვალღერება სიამეს დიახაც ჰგვრიდა. ბუნების წიაღში გასვლას მისთვის ერთგვარი სულიერი განწმენდის ფუნ-ქცია ეკისრებოდა. ამის შემდეგ თავს მხნედა გრძნობ-და, სამომავლო მძიმე ტვირთის წამოკიდებაზეც უფრო გაბედულად ფიქრობდა. ერთხელ იგი საკმაოდ მაღალი მთის ძირას გამომავალ წყაროს წყალთან აღმოჩნდა. ვილაც მადლიანს ყინტარო ნაკადისათვის ხის სადინარი ღარი გაეკეთებინა და კამკამა წყალი ზედ თავგამე-ტებით მოხრიალებდა. მჩქეფარე ნაკადს სოფლელი ქალ-იშვილები ყელყარყარა სურებს უხვედრებდნენ და ოჯახს წყლით ამარაგებდნენ. ვინც უკვე სახიფათო ასაკს მი-ახლოვებოდა, წყლის ასაღებად რატომ სამი-ოთხჯერ არ გამოდიოდა, ხოლო შედარებით უსასაკოთ ამდენი გარჯა და თავის შენუხება სულაც არა სჭირდებოდათ, თუმცა



კი ისინიც სამი-ოთხჯერ და მეტჯერაც სიამოვნებით შეიდგამდნენ მხარზე დოქებსა და თუნგებს; შინაბერობის სახიფათო ზღვარს მიღწეულ ზოგ ქალწულს მშობელი დედა კიდევაც აიძულებდა, დღეში რამდენიმეჯერ სწევოდა წყაროსთავს, ეგების, რომელიმე წესიერ ახალგაზრდა ვაჟს მოსვლოდა თვალში მისი ასული და გაებედნიერებინა, ოჯახისათვის კი შინაბერობის სირცხვილი აეშორებინა. ზოგიერთი მშობელი შინ მიტანილ წყალს ჩუმად ღვრიდა და ქალიშვილს იძულებულსა ხდიდა, კიდევ ერთხელ სწევოდა წყაროს, რომელსაც ზოგ-ზოგი მალვალაკურად „გათხოვების ღარსაც“ ეძახდა. დაქორწინებამონადინებული ვაჟებიც ხშირად იკრიბებოდნენ ამ ადგილას და, თუმცა კი ერთმანეთს პოლიტიკასა და რელიგიაზე ესაუბრებოდნენ, თვალი წყაროსაკენ გაურბოდათ. აი, ამ საინტერესო ადგილს ეწვია აჯამიც და მეტად გაოცდა, როცა ერთმა ლერწმისტანიანმა რიდე განგებ მოიბოშა, სახე და ყელი საკმაოდ ფართოდ გამოაჩინა და ყელყარყარა სპილენძის დოქის ავსებას შეუდგა. აბისინიელის სახესავით შავი ლოკონები ეშხიანად გადმოეყარა თეთრყირმიზა ღანვებზე, თითქოსდა მხურვალე სხივებისაგან მათს დაცვასა ლამობენო. აბულყასეში გაოგნდა, გასახტავდა. თუ ეს ანგელოზი აქ დადის, მე რამ დამაგდო შინ და აქაობის გზა დამავინყაო?! – გაცებული ფიქრობდა. ნაზმა ფერიამ კობტა მოძრაობით შეისწორა თმები, ჩადრი სახეზე ღამაზად მოიმაზრა და ლითონის ჭურჭელი ხელში აიტაცა, ცოტათი წაიარა და, როცა იგრძნო, ვიღაცის თვალები დაჟინებით უცქერდნენ, ფეხს აუჩქარა. შველი გეგონებოდათ, მწვანე ხასხასა ველოზზე მრონინე. აჯამს გული დასწყდა, რომ



ეგ მშვენიერი წამები და წუთები ასე ადრე გაილია და გაქრა. ხოლო ის გოგონა მის არსებაში დარჩა ისე მიუწვდომელი და იდუმალი, როგორც სამყაროს სივრცეში გასრიალებული ასტეროიდი. მთელი ღამე ვერ დაიძინა, ლოგინში შამფურივით ტრიალებდა და ბრუნავდა. მეორე დღეს, დილასისხამზე, ისევ იმ წყაროს ესტუმრა, ახლორე ბოძივით დაეყუდა და აქედან წასვლას მანამდე არ აპირებდა, ვიდრე სასწაულს კვლავ არ იხილავდა – ის აფხაზეთის დილასავით შორეული და საყვარელი არსება არ გამოჩნდებოდა. მაგრამ სასწაული არ მომხდარა. იმ დღეს ქალწული აღარ გამოჩენილა. კიდევ ერთი უძილო ღამე გაატარა აჯამმა თავის აჯამურ ფიქრებსა და ზრახვებთან ერთად და მესამე დღეს, დილაადრიან, ნაცნობ შუამავალს ესტუმრა.

მხცოვანს ერთობ ესიამოვნა უჯიათი არსების გამოჩენა. გულს იმედი ჩაესახა. მის საშუამავლო პრესტიჟს საიმედო ბიჯგები სჭირდებოდა, რადგან ხალხში უკვე დარხეულიყო ხმები – ჩვენს მაჭანკალს ყავლი გაუვიდა, დაბერდა, არც ენა ემორჩილება და არცა მისი მბრძანებელი გონება; უკვე ავტორიტეტი შეერყა და აღარავინ უცხადებს ნდობასაო. და აი, აგერ შველაც: თუ დღემდე ეგ უჯიათი ყმანვილკაცი მის დახმარებას სათოფეზე გაურბოდა, ახლა შინ მოაკითხა, მისი გონის, ყანდივით ტკბილი და აბრეშუმის ზონარით ლბილი ენისა ეიმედება. მაშ, ნდობა აღდგენილია, პირისწყალი დაუღვრელია, პროფესიული ღირსება გადარჩენილია!

ტკბილი მიღებისა და სალამ-ქალამის შემდეგ მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:



- ყველაფერი ალაჰის ნებითა ხდება,- გაიმეორა ჭაბუკმა სტუმარმა მსცოვანი მასპინძლის ოდესღაც ნათქვამი სიტყვები,- ჩვენ, შიიტებს, წმინდა მსხვერპლის ალის დროშა წინ მიგვიძღვის. ის ხომ ისასებრ ჭეშმარიტი მოწამეა. ქრისტეს, ალისა და ჩვენი სიტყვებიც ხომ ისევე მტკიცე და შეუვალია, როგორც ის სამსჭვალეები, რითაც ისა ჯვარს აცვეს! დადგა დრო, შევისხენოთ ჩვენი პირობა, ხომ გახსოვთ, სიტყვა მოგეცით – თუ ოდესმე ცოლის შერთვას გადავწყვეტიდი, თქვენ მოგმართავდით, სხვას – არც ვის! პირობა შემისრულებია და ან თქვენს ხელშია ჩემი ბედი, მთელი ჩემი სიცოცხლეც კი! ან იმ ქალსა შემრთავთ, ანდა სულაც გადავიკარგები აქედან, შმაგი მაჯუნჩივით ველად გავიჭრები, იმასთან საიქიოში შეყრის იმედილა დამრჩება და იმითი ვისულდგმულე; სხვას არას ვიაჯ: წყაროსთან გოგონა დავლანდე. ან ის გახდება ჩემი მეუღლე, ანდა საერთოდ სალთად დავრჩები, უიმისოდ ჩემი ყოფა და დარჩენა წარმოუდგენელიაო!

მასპინძელი ჯერ გააოცა ამ კატეგორიულმა განაცხადმა. მერმედ ფერფური ეცვალა, იფიქრა: ამ ახალ საქმეს დიახაც გავჩაღხავ. ხშირი ომების გამოისობით გასათხოვარი მუდამ ბევრია, ცოლმოსაყვანი – ცოტა. ამ საქმის წარმატებით დაგვირგვინება ჩემს ავტორიტეტსაც ერთგვარად აღადგენს, მაგრამ იმ გაშავებული და დაწუნებული ქალიშვილის ოჯახი ხომ მაინც ქოქოლას დამაყრის, ხომ ყველგან ხმას დამიყრის – ჩვენი საქმე კი დამში ვერ მოიყვანა, სიტყვას თავი ვერ მოუყარა, ენა ხერხად ვერ გამოიყენა და გამოცდილება ძალაყინადაო! მაინც რაღა ექნა და შეღერებულ ჭაბუკს თანხმობა გამოუცხადა.

- ჭაბუკო, შვილო ჩემო, განმიცხადე იმ ქალწულის ვინაობა და ეგ წვერები აღარ მესხას, თუ ორ-სამ დღეში ეგ საქმე არ მოვაკვარახჭინო!

საპატიო მსცოვანმა ჭალარა წვერზე ხელები ჩამოისვა, თითქოსდა ჩამოივარცხნაო, და სახტად დარჩა, როცა ვაჟმა სწორედ ის ქალიშვილი დაუსახელა, რომელზე აჯამის დაქორწინებასაც ორგზის უშედეგოდ ლამობდა.

მასპინძელს სიდარბაისლე გადაავიწყდა და ახარხარდა.

ახალგაზრდას ეუცხოვა მოხუცის ამგვარი ახვინტრიცება.

ბებერმა მაჭანკალმა კარგა ხანს იხარხარა, მერე, ცოტადრე რომ დამშვიდდა, სიხარულით გაბადრული სახე ახალგაზრდისაკენ მიაბრუნა:

- ჩემო სასურველო სტუმარო, ეტყობა, ღმერთმა კეთილი ბედი გიბოძა. ეჭვი არაა, სასურველ ოჯახს შექმნი, შვილებს დააჩენ, გაზრდი, ძლიერი ოჯახით ირანს გააძლიერებ, ხოლო ის ქალწული, ვის ოჯახთანაც საქმის გაჩაღხვასა მთხოვ, სწორედ ის გახლავთ, ორჯერ რომ შინ გეახელი და შემოგთავაზე, შენ კი ორივეჯერ უკან სასტიკი უარით გამომისტუმრე!

ჭაბუკმა გაოცებისაგან პირი დაალო.

- დიახ, აგრეა! ორჯერ უარყოფილი ქალწულის შერთვასა მთხოვ, ჩემო შვილო. ხედავ, აქ ღვთის ხელი ტრიალებს. ეტყობა, ამ საქმის აღსრულება ზენაარსაც მოსწადინებია. აბა, სხვით რით ავხსნათ ეგ გარემოება? სწორედ მაგ ქალიშვილის ხელსა და გულს გთავაზობდი ეგრე დაჟინებით. ნამდვილი სამოთხის ფერიაა, ნუკრივით დამწყაზრული მზერა აქვს და სათუთი ბუნება, კეთი-



ლი ხასიათი; ოჯახი კი ნარჩევია, საუკეთესო, ამავე დროს, საკმაოდ მდიდარიც, მზითვეის სრული ნუსხა აქა მაქვს. შემძლია წაგიკითხო, - შესთავაზა მხცოვანმა.

- არა, ეგ საჭირო არ არის. მზითვეიც რომ არა ჰქონდეს, მაინც შევირთავდი, უყველაფროდაც შევირთავდი! – მგზნებარედ წამოიძახა ჭაბუკმა.

- შვილო ჩემო, არც აგრე აჩქარება ვარგა. რასაც გთავაზობენ, მიიღე, ოღონდ ღვთისათვის მადლობის გადახდა არ დაგავინყდეს. იცოდე, სამზითვო ნუსხა სრულია, მისხის მისხიც არ აკლია. კარგ საპატარძლოს კარგი მზითვეი შეშვენის. მაშ, საქმე დამშია მოყვანილი, უფალმა მადლი თქვენზე მოილო და ეგ არის. როგორცა ჩანს, თქვენ შორის, ამ ულამაზეს წყვილს, შესაფერის, მოცალე წყვილს შორის, საერთოა ის ერთადერთი, რაც არსებულსა და არარსებულს აერთიანებს – ესე იგი, სული. მოცალე სულები კი ერთმანეთს დაეძებენ და, რაც უნდა წინააღმდეგობა შეხვდეთ, ერთმანეთს მაინც იპოვიან. და უკეთესია, თუ ამქვეყნადვე შეერთდებიან.

მოხუცი ჩაფიქრდა, თითქოსდა მსოფლიო ჰარმონიის არსი შეიცნო და შეიმეცნაო, და კმაყოფილმა წვერზე ხელები ისევ ჩამოისვა. და უეცრად იგრძნო: ბევრ შეცდომას ახალგაზრდობა ამართლებს, ბევრსაც – სიბერე.

მომდევნო დღეს სასიამოვნო დესპანი ქალწულის მშობლებს ნარუდგა. სალამ-ქალამისა და ტკბილი მიღების შემდეგ მაშვალმა ენის მშვილდში გულის ელჩი – სიტყვა – ჩადო და გასტყორცნა.

ამ საზეიმო ნასროლმა ასულგასათხოვი მშობლების გულები სასიამოვნოდ დაკოდა.

- საქმე მოგვარებულია. თქვენგნით მონონებული ჭაბუკი ყველაფერზე თანახმაა, შინ საკუთარი ფეხით

მომაკითხა, ჩემგან აღმატებით შექებული თქვენი ქალიშვილის ნდომა გამომიცხადა. უმზითვოდაც რომ იყოს, მაინც წავიყვანდიო. მაშ, ასე: ახლა წვრილმანი საკითხების საქმე მოვაგვაროთ!

წესი მოითხოვდა და პირველ ჯერზე ქალწულის მამა ბუშნაფმა სიხარულით გაყმანვილებულ მაჭანკალს უარი სტკიცა, ხოლო დედა ქაიდაფემ ეს ამბავი შეიცხადა: ქალიშვილი გასათხოვრად როდი გვემეტება. ჯერჯერობით იგი ოჯახს ისევე სჭირდება, როგორც სახლს ოთხი ბურჯიდან ერთ-ერთიო.

და მსცოვანი შუამავალი ისე გამოისტუმრეს, შარბათიც არ მიურთმევიათ.

მხნე დესპანი ცოტა ხნის შემდეგ ისევ ესტუმრა ლამაზმანის სადგომს.

წესი მოითხოვდა და მეორე ჯერზეც მშობლებმა უარი განაცხადეს: ჩვენი ტანად ალვა<sup>41</sup> და პირად მანგი<sup>42</sup> ქალწული ჯერეთ საქორწინოდ მზად არ არის და ეგ ამბავი მცირე ხნით უნდა შევაცოვნოთო.

ამჯერად მსცოვან მაშვალს კარგად უმასპინძლეს და შინ ისე გაისტუმრეს.

მესამედ მისულ მაჭანკალს კი უარი ვეღარ შეჰკადრეს, მტკიცე პირობაც მისცეს, კარგი პურობაც გაუმართეს და საჩუქრებით დატვირთული გამოისტუმრეს.

ამის შემდგომ საქმე მალე გადაწყდა, საქორწინო ადათი სოლდური ხელშეკრულებით გაამაგრეს და აჯამი მშვენიერ რუდაბეზე დაქორწინდა.

41 ალვა – ედემის ხე, კვიპაროზი.

42 მანგი – ბადრი მთვარე. აქედან მანგალი – მთვარისებრ მორკალური რკინის იარაღი, პურეულის სამკალი.



ქალი მართლაც ისეთი გამოდგა, მაშვალკაცი რომ უამბობდა და, შეიძლება ითქვას, დახასიათებულზე უკეთესიც. ამას აჯამი ენის უძღურებას აბრალებდა: განა კი ყველა ნიუანსის გამოსატვა, ყოველი ძნელად-შესამჩნევი სილამაზის გამომზევება ძალუძს უბადრუკ ადამიანურ მეტყველებასაო?

ქალის მშობლებიც სათნო და კეთილი ადამიანები აღმოჩნდნენ. სიმამრი გაზაფხულის წვიმასავით ხელგამ-ლილი კაცი გამოდგა. თუმცა ეკონომიურად საკმაოდ შეჭირვებული იყო, სიძე-ქალიშვილს პატივს არ აკლებ-და: ცალ ხელს რომ საკუთარ ოჯახს ახმარდა, მეორით ნიადაგ ახალგაზრდა წყვილის შემწე და მეოხი გახლდათ.

აბულყასემის ოჯახი თანდათან წინ მიიწევდა, ძლიერ-დებოდა.

წყვილი შვილს ელოდებოდა, ოღონდაც ის იგვიანებდა. აქიმაშებსაც არაერთხელ მიმართეს.

ამასობაში რამდენიმე წელიწადმა, თითქოსდა დაყ-იყის მიერ დახატული რუსხმული ყოფილიყოს, თვა-ლის დახამხამებაში ჩაილიკლიკა და კოსმიური დროის ჩრდილს შეეფარა.

აბულყასემი ორ ფრონტზე იბრძოდა.

დღისით, მზისით თავის მამულში ტრიალებდა, გულ-დაგულ შრომობდა და ვეფხის ზურგივით ხალებიანი ველ-მინდვრები ედემს მალე დაამსგავსა. ასი ათასი სიხ-არული დააცხრებოდა თავს, როცა კარგად გახარებულსა და დავარგებულ ხეხილის ბაღს შეათვალიერებდა; ასი ათას ნეტარებას შეიგრძნობდა, როცა ოფლით, სისხლითა და ცრემლით მონაგარ ჭირნახულს ბელელსა, საბძელსა და ნალიაში შეიტანდა, აზიდავდა, საიმედოდ დააბინავებ-



და და შეინახავდა. წვიმიან დღეებში, თუ მინდვრად ვერ გავიდოდა, ბარბითს ან ნაის მოიმარჯვებდა და ირგვლივ ნაირგვარ ჰანგებს აფრქვევდა, მეუღლესაც ატკობდა და თვითონაც ტკებოდა. საღამოობით კი „ვარჰალალოს“ კლიენტებს ართობდა: ხან თავისი სატირულ-იუმორისტული ლექსებით ცრემლის დადენამდე ახარხარებდა, ხანაც გულისგამგმირავი ტრაგიკული ამბების მოყოლით ისე ასევდიანებდა, ვიდრე კურცხალი კურცხალს არ გაეკიდებოდა და ზოგი მსმენელიც მკერდში მჯილს არ ჩაიკრავდა.

იმ ბედნიერი ხანის ბოლო წელს, აბა, რა დაავინყებს: მოსავალს კარგი პირი უჩანდა. აგვისტოში მსხალი ზღვად გასკდა და გაყიდვას ვერ აუდიოდნენ. ქერი და პურიც უხვად მოიწიეს, სად ნაელთ, აღარ იცოდნენ. მადლიანი ცვარიც უხვად იყო და ხშირი წვიმებისაგან ადიდებული მამულთან ახლორე ჩამდინარი წყალი კალაპოტში თავმოჭრილი ქათამივით ფართხალებდა.

კიდევ რამდენიმე წელი გამოხდა და საქმე უკუღმა დატრიალდა.

არაბებმა ირანელებთან ურთიერთობა გაამკაცრეს.

ასეა: როცა დამპყრობელი ძალასა გრძნობს, ხოლო ღირსეულ მეტოქეს ვერსად ხედავს, სიმკაცრე სჩემდება.

მიწის ღალასა და ბეგარას მოფონების ნაცვლად მოუმატეს.

ნიადაგიც საკმაოდ გამოიფიტა და დაიშაშრა. საარმისო ამინდები დაიჭირა და ყანები გადახმა, ნაყოფი შემცირდა, მოსავალი განახევრდა.

უკანდახევა დაიწყო მეორე ფრონტმაც: არაბების დაუსრულებელ ომებში ადგილობრივი მოსახლეობის



ხშირმა განვევამ და ტალიკ-ტალიკა ბიჭების სომხეთისა და აფხაზეთის დასამორჩილებლად გაგზავნის პრაქტიკამ „ვარჰალალოს“ კლიენტთა რაოდენობა შეამცირა. ან უკვე ძველი ნაყალიც ამბავთა დაუსრულებელი თხრობისაგან დაილალა. ეგ საქმე, გულზე ხელი მივიდოთ, კიდევაც მოყირჭდა, მაგრამ სხვა რა ჩარა იყო და ისიც მაშინალურად ასრულებდა თავის მოვალეობას. ეგ კი იმ მცირე მომსვლელთა უკმაყოფილებას იწვევდა, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენოდნენ „ვარჰალალოს“ და რომელთაც ზოგიერთებივით ჯერ კიდევ არ გაქცეოდათ თვალი „ოხოხოიასაკენ“, სადაც ახალგაზრდა, მთლად ნორჩი ნაყალი გოდლეტ ხითამბარელი, როგორც ამბობდნენ, სასწაულებსა სჩადიოდა, თავის ორატორულ ხელოვნებას უჩვენებდა და მსმენელს ისე იზიდავდა, როგორც თაფლი – ბუზს.

ეკონომიურმა გაჭირვებამ და სიდუხჭირემ კარზე მალე მოუკაკუნათ: შემოაკლდათ პური, ღომი, მარილი, ჩამიჩი; „ვარჰალალოს“ მეპატრონემაც შეუმცირა გასამრჯელო და ძველებური პატივითა და მოკრძალებით აღარ შესცქეროდა. ერთი-ორჯერ მალვალაკურ-იქედნურადაც კი შემოხედა; რამდენიმეჯერ გოდლეტ ხითამბარელის სახელიც ახსენა დადებით კონტექსტში, ოღონდ ამას როდი დაუსერავს ან უკვე დამსახურებული ნაყალის გული. უფრორე იმან დაამნუხრა, რომ ეგ სახელი ისე წარმოთქვა, თითქოსდა პირი საუკეთესო რახათლუხუმითა ჰქონოდა გამოტენილი, იმასა ლეჭავდა და ვარდისწყალშერეულ შარბათსაც ზედ აყოლებდა.

აი, რამ განუგმირა გული, გაუფატრა ფილტვები, ძირს დაახრევინა თვალეზი, როგორც დაჭრილ ალამდარს – ალამი.

„ოხოხოიას“ საქმე კი წინ მიიწევდა.

ამ სამიკიტნოს არაბი მეპატრონე გადასახადებისაგან გაათავისუფლეს. ამას საქმელ-სასმელის გაიაფება მოჰყვა; თანაც ეგ წარმატებული ხითამბარელი!

აბუღყასემი გრძნობდა, რომ სამიკიტნოს მფლობელი მას მალე შეეღწეოდა და პატრონს დაასწრო, ნაყალად მუშაობას თავს ვანებებო, - აუწყა ერთ მშვენიერ დღეს და ახალი მთხრობლის მოძებნა ურჩია. მეპატრონემ ეს ამბავი თითქოსდა გაიკვირვა, თუმც კი გულში ესამოვნა, ფიქრობდა, ეგების ის ხითამბარელი გადმოვიბირო და არც ეგ ნამსახური ახალგაზრდა ვაჟკაცი დამრჩეს უკმაყოფილო. ამიტომაც დაყვავებით ჰკითხა:

- კეთილი და პატიოსანი, ოღონდ ეგ მითხარი, კაცო, ეგ ამბავი ასე უცებ რამ გადაგანყვეტინა?!

აჯამმა მხრები აიჩეჩა. მერმედ პოეტური სტრიქონით გასცა პასუხი: „სჯობს წასვლა წამავალისა, არ-დაყოვნება ხანისა!“ გულში კი გაიფიქრა: „ომს სამივე მიმართულებით ვაგებ. ცოლმა მემკვიდრე აღარ მალირსა; მინას ქონი და ღალა გამოელია, აღარას მაძლევს; ნაყალობამაც ჭირი მოგჭამა და ეგ არის!“

ერთხანს მამულში დაყიალებდა; ჩიხიდან გამოსავალს დაეძებდა და ვერ ეპოვა. ხანდახან გულში ავი ფიქრი გაუკილავებდა: გოღლეტ ხითამბარელი ნუთუ მართლა მჯობნისო? ნუთუ იმდენსაც ვეღარ ვახერხებ, ხალხს გულისყური წარვსტაცო, ჩემი სიტყვის ეშხი და ძალი ვუჩვენო, ჩემი ხელოვნების მაზა დავანახო, მთხრობელსა და მსმენელს შორის გადებული ძველი საიმედო ხიდი აღვადგინო?! თუ ამ პირველ სახელოვნებო ბარიერს ვერა ვძლევ, მაშ, ის დიდი საქმე, რომელიც უზურში მაქვს მო-



ნიშნული, ვითარ განვახორციელოო?! და აი, ამ სულიერი საღმობის ჟამს მიხვდა, რომ „დიდ საქმეს“ უნდა ჩასჯდომოდა, საამისო დრო და ჟამი დამდგარიყო. მართლაცდა, ყველაფერს თავისი დრო აქვს: ყვავილს – გაზაფხული; მზეს – ზაფხული; ჭირნახულს – შემოდგომა; გრძელ ამბავს – ზამთრის ღამე. და ისიც სწორედ ზამთრობით, როცა ყვავილნარს წყლის მიგდება არა სჭირდება, როცა ღომის საცხეველი ჩამურის რახუნი ყურს არ ანუხებს, როცა მზეს სიმხურვალე და უცხო მშვენება აკლდება, როცა ჭირნახულს დაბინავება აღარ სჭირდება, იგი ზის თბილი ბალიშ-მუთაქებით გარშემოჯარული, მჭვარტლის მელანში ხშირ-ხშირად ანობს თავის წვერწვეტიან კალიამს და უხეირო პერგამენტზე ასოები მიჯრით გამოჰყავს, თითქოსდა ერთმანეთზე მწყობრად მირიჩკინებული მარგალიტის თვლები ყოფილიყოს.

და დაჯრილ მარგალიტთა მძივი გრძელდება, ვრცელდება, ლამის მთელ დედამიწას გარს შემოევლოს, შემოეხვიოს, კოსმოსს ააღწიოს, სამყაროს იგავმიუნვდომლად უსასრულო სივრცეებში გაინავარდოს.

დიდება უფალს!

გრძელია ამბავიც, გრძელია ზამთრის ღამეც და საკმაოდ გრძელია ლერწმის ლეროც, იმდენად გრძელი, აგრე იოლად როდი გადაილევა, რომ მისი ხელში დაჭერა შეუძლებელი გახდეს და...

**... თავი ეტრატზე მძიმედ დაიხრება, დაბლა დაიხრება და კალმის წვერი ძველ ამბავს მოფხოჭნის...**

ოღონდ ამჯერად ნებისმიერი თქმულება თუ ამბავი, ლექსად გარდაქმნილი, ობოლი მარგალიტით მოელვარე, ახლებურ იერს, ეშხსა და ლაზათს შეიმატებს

კიდევაც. ეგ უკვე პოეტურად გარდასახული ამბავია, რომელიც საზომის ფარგლებშია მოქცეული და რიტმულ იმპულსებს ექვემდებარება.

ამ პროცესში ცხოვრება იოლდებოდა, მსუბუქემქროლი ხდებოდა. იგი ისე ნაზი იყო, სიზმარი გეგონებოდა. და, რაკი დანამდვილებით არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, ამ პროცესიდან რა გამოდნებოდა, - ხე ხენემ ნაყოფს შეიბამდა თუ ვარგკეთილსა და სარგოს, - თავისი საქმიანობა გაასაიდუმლოვა, არავის არაფერს უცხადებდა, არაფერს აგებინებდა, სიყვარულის საგანივით მალავდა, ფარავდა და უფრთხილდებოდა. დიახ, დიდხანს ყოყმანობდა, ამ მხრივ არ ირჯებოდა, არაფერს აკეთებდა, შემზღუდავი ბორკილები ვერ დაამსხვრია, ვერ მოიშორა, მაგრამ ერთხელაც დაფიქრდა და მიხვდა: სასურველის დასაკოცნად დახრა არ უნდა დაიზარო და აი, მოხდა ის, რაიც დიდი ხნის წინათ უნდა მომხდარიყო...

**... თავი ეტრატზე მძიმედ დაიხარა, დაბლა დაიხარა და კალმის წვერმა ძველი ამბავი ლექსად გამოიყვანა...**

ამასობაში ისე, რომ აღარც კი მოელოდა, ცოლი დაუოროსულდა.

ყოფიერების ყიამყრალობით გულშეურვებულს ეს სასიკეთო ნიშანი ძვირად უღირდა, ოღონდ არა სჯეროდა, რომ სვესვიანობა მისი ცხოვრების მუდმივი მხლებელი, მისი ასაბიის მარადიული წვერი გახდებოდა. და მართალიც გამოდგა. თუმცა კი ვაჟიშვილის გაჩენის სიხარულს ეზიარა, ოღონდ მალევე შეიტყო მისგან დღემდე უნახავი თანამემამულე მგოსნის დაყიყის სიკვდილის ამბავიც. „ღმერთმა ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს?!“ - გაიფიქრა და პოეტის დაკრძალვაზე წასასვ-



ლელად შეემზადა. მკვდარს მაინცა ვნახავო, ფიქრობდა, ოღონდ ეგ წადილიც ველარ შეისრულა – ახალმოლოგინებული ცოლი ცუდად გაუხდა, სისხლისდენა დაემართა და გარდაეცვალა. „რანამს დაიბადება, ადამის ძემ მაშინვე აგური უნდა ეძებოს, სიკვდილის შემდეგ თავქვემ ამოსადები“, - მწარედ გაიფიქრა და საყვარელ მეუღლეს სუდარა გადაუნია, მშვენიერი სახე გამოუჩინა, თავი ნაზად წამოუნია და აგური ქვემ ფაქიზად ამოუდო, თითქოსდა ეშინია, არაფერი ატკინოსო. გარდაცვლილის გაპატიოსნების, დაკრძალვისა და გლოვის შემდეგ ლურჯად შემოსილი სახლის განაპირა მყუდრო ოთახში შეიკეცა და თავი პოეტურ საქმიანობას მისცა.

ერთ ნათელ დღეს კარზე დაუკაკუნეს.

იფიქრა, ბავშვის გადია იქნებო, ოღონდ ნახა, რომ მის სახლ-სამყოფელს ვილაც მწირი მოგზაური მოსდგომოდა. გულალალს მწირ-მოგზაურნი და რწმენაშეულახველი მომლოცველნი მოსწონდა, მათს გულუბრყვილო რწმენასა და დაჯერებულობაში სიკეთის უკვდავ მარცვალსა ხედავდა და ისინი ამადაც ენიაზებოდა.

ხმელ-ხმელი, ხეზერა კაცი იყო, უფერული გარეგნობისა, უხეში ტყავის ოდროგელა ფეხსაცმელი ეცვა; ზურგზე გუდა მოეგდო, ხელთ არგანი ეჭირა.

- ყარიბო, მობრძანდი! უფალი უსაზღვროდ მოწყალეა, ხოლო სახლი – საკმაოდ დიდი კეთილთა მისაღებად და ერთობ ვინრო ავგულთა და ბოროტთა სადგომად.

ესა თქვა და კარი ფართოდ გამოაღო, უცაბედ სტუმარს ზურგი უჩვენა და შიგნით შეუძღვა.

- მხოლოდ ღამეს გავათევ და დილითვე წავალ! – პირობა დადო მოსულმა.



- რამდენ ხანსაც მოისურვებ, იმდენ ხანს დადექ! – უპასუხა მასპინძელმა და შემდეგ სასწრაფოდ დაუმატა: - ოღონდ ერთი კი უნდა იცოდე. ჩვენი ადათი მტკიცეა და სტუმარი, სულ ცოტა, სამი დღით მაინც უნდა დარჩეს. ამ წესს ჩვენ მყარად ვიცავთ.

- მახლას, რა გაეწყობა! – თქვა მომსვლელმა მობოშებული კილოთი, შემდეგ ჯოხი კუთხეში მიაყუდა, ჯვალოს გუდა მისთვის მიჩენილი ფლიგელის კუთხეში მიაგდო, ბოლოს კი ფეხსაცმლის გახდას შეუდგა, რათა კიდევ ერთი წესიც აღესრულებინა – ოჯახის დიასახლისისათვის თავისი ფეხები დაებანიებინა.

მასპინძელი იქითა კუთხეში რალაცას დაეძებდა. როცა შემობრუნდა, მაშინლა შენიშნა ფეხშიშველა სტუმარი, მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო:

- მეგობარო, საყვარელო, ამ სახლს დიასახლისი აღარა ჰყავს და, რაკი აგრეა, ნება მომეცი, ეგ სადიაცო საქმე მე აღვასრულო!

სტუმარი შეფიშმანდა, ჩაფიქრდა.

- თვითონვე დავიბან და წესიც აღსრულებულად ჩაითვლება! – უცებ მონახა გამოსავალი.

- არა, არა ღირს. ადათი ადათია! მასპინძელმა მასპინძლის მოვალეობა უნდა შეასრულოს, სტუმარმა – სტუმრისა, - უპასუხა აჯამმა და ვარცლისა და წყლის მოსატანად გაეშურა.

ფერხთა ბანის ცერემონიალის შესრულების შემდგომ სტუმარი დასაძინებლად მიეგდო, ოღონდ აჯამმა არ დაანება, პური აჭამა – ღარიბული სუფრა გაუშალა.

გავიდა სამი დღეც და უცნობი წასასვლელად შეემზადა, მასპინძელს ფარმანი სთხოვა, რათა გაეშვა.



ისიც ყაბულს გაუხდა. კმაყოფილმა მწირმა წვერზე ხელელები ჩამოისვა, გაზაფხულის ბალს გახედა, რომელიც, ლამის არის, საბინადრო სახლს ზედ ყელში სწვდომოდა და თავის ფერადებში ჩაეხრჩო, შემდეგ პატარა მოლიკ-ლიკე წყაროსთვალს მიაპყრო მზერა, რომლის კალაპოტიც მასპინძელს კობტად მოესუფთავებინა, ხოლო ფსკერზე ფერად-ფერადი კენჭები და ღინჭილები მოხდენილად განელაგებინა. ყველაფერი ეს მზის სხივებზე უცნაურად ბრწყინავდა და ათასგვარფრად ბრჭყყიალებდა. მგზავრმა მყისვე შენიშნა, რომ ამ სადგომისა და ეზო-ყურის პატრონი პოეტური ბუნების კაცი უნდა ყოფილიყო. დამრჩენს ეგ აზრი კიდევაც გაუზიარა:

- კეთილო მასპინძელო, ეტყობა, სილამაზის ტრფიალი და მაძიებელი ხარ, პოეტური ბუნების კაცად მიმიჩნევინებარ.

- კი, აგრეა, ერთობ მიყვარს კარგად განწყობილი სიტყვა და რიტმულად ორგანიზებული ტაეპი. პოეტურ ნათქვამსა და მის მთქმელს დიდ პატივსა ვცემ.

- ასეც ვიცოდი.

- ჰო, აგრეა!

- მაშ, შენ ჩემი ძმა და მეგობარი გამოდიხარ!

- ეგ როგორ?

- მეც მიყვარს ლექსი, გონივრული აზრი და რიტმულად ორგანიზებული ტაეპი.

- მაშ, სულიერი თანამეინახენი ვყოფილვართ და ეგაა!

- დიახ, შენ ჩემი ძმა და მეგობარი ხარ!

- შენ კი ჩემი თვალისჩინი მგონიხარ!

- შენ ჩემი სულისდგმა გამოდიხარ!

- შენ კი ჩემი ცხოვრების დაუვინყარი დრო – დღეები, საათები და წუთები!



- შენ ჩემი ციციანათელა ხარ!

- შენ ჩემი ჭრიჭინობელი ხარ!

ეს ბოლო თქმა ყოვლის უნამეტნავესი გამოდგა.

ერთურთისათვის ამაზე მეტი, აბა, სხვა რაღა უნდა ეთქვათ და, რაკილა სიტყვამ თავისი როლი შეასრულა და ძალი დაკარგა, მწირმა გუდას პირი მოხსნა, რაღაც ხელნაწერი დასტა ფაქიზად ამოაძვრინა, სათუთად ხელის ნები გადაუსვა, თქვა:

- ეს ჩემი ყველაზე საყვარელი საკითხავია, ყოველგვარ პოპულარულ დასთანზე უმჯობესი. იგი ძვირად მიღირს, მასთან განშორება მიჭირს, ოღონდ იმის იმედით გიტოვებ, რომ ჩემზე უკეთეს მკითხველს, პატრონსა და დამფასებელს იპოვის. ეს ფოლიანტი დაყიყის ბეითებია, უკანასკნელი სიტყვა თანამედროვე ირანული პოეზიისა. სულკურთხეულს ძველი გმირული ამბები გაულექსავს, ხალხური „შაჰ-ნამეს“ სახელით ცნობილი, ოღონდ საწყალს მხოლოდ ათასი ბეითი გაუნყვია, საბოლოოდ გაუჩაღხავს და რითმის რანდიც ოსტატურად გაუკრავს. ძველი ამხანაგები ვიყავით. სიკვდილის წინ მიმიხმო. როგორც მისანდო მეგობარს, ეგ ხელნაწერი მისახსოვრა. ახლა იგი ჩემი გულივითაა. ამ გულს შენ გიძღვნი. აი, ჩემი ბოლო სათქმელი!

სტუმარი წამოდგა, ფოლიანტი აჯამს გაუნოდა.

„დაყიყი. მაშ, ისევ დაყიყი!“ - გაიფიქრა აბულყასემმა და ხელნაწერი დიდის რუდუნებით ჩამოართვა. უცებ თავბრუ დაეხვია, მუხლში ძაბუნი ჩაუდგა, კინაღამ წაიქცა.

- ამას მე მოვუვლი, მართლაც პატრონად გავუხდები! – ფიცივით წარმოთქვა და წამსვლელს შეხედა. მერე სასწრაფოდ დასძინა: - „შაჰ-ნამეს“ პროზაული ვერსიების სრული დავთარი შევადგინე, ვფიქრობ, ოთხი-ხუთი წელი



მოვანდომო მის პოეტურად გარდათქმას. ლექსი ხომ გრძელ სიტყვას ამოკლებს, უფრო მჭიდროდ აყალიბებს აზრს და ნათქვამს ზამბარასავით კუმშავს; აქ ხომ ერთი სიტყვა ბევრ ნიუანსს ატარებს, ათასგვარად ელავს და ბრჭყვიალებს, როგორც ეგერ, იმ რუსხმულში ჩალაგებულ ფერადი კენჭები.

სიტყვა აღარ დაუმთავრებია, ოღონდ გონიერი მწიერი მაინც ყველაფერს მიუხვდა, თანხმობის ნიშნად თავი დაუხარა, გამოესალმა და გარეთ გამოვიდა. მასპინძელი ხედავდა, როგორ აუარა გვერდი მინის საფარცხავ ჩელტს, ალაყაფის ფართოდ მოღიავებული კარისაკენ არც კი გაუხედავს, ისე მიადგა კუტიკარს, გამოალო და მაღლიანი სამყოფელი არგნის ბაკუნით უკანმოუხედავად დატოვა.

„ათასი ბეითი, ორი ათასი სტრიქონი და ასი ათასი სიხარული ამ ქმნილების წაკითხვისა – აი, თუ რა მელის ამ საღამოს“, - გაიფიქრა აჯამმა და სულიერი განახლება განიცადა, შინაგანი ძალების მოზღვავება იგრძნო, ისე აღმაღლდა, ასე ეგონა, ხორასნის ცას, რომელიც ამქვეყნად ყველა ცაზე მაღლია, ხელი მოვაველო.

როცა მოსალამოვდა და ოჯახური საქმეები მოითავა, სახლის ერთ მყუდრო ოთახში შევიდა, საწერ მაგიდასთან მოკალათდა. „ოცდაჩვიდმეტი წლისა მოვიყარე და ზოგი მცირე ეპიზოდი თუ მაქვს ლექსად გარდათქმული. აგერ დაყიყს კი ათასი წელგამართული ბეითი შეუქმნია. დროა, სცენაზე გამოვიდე. ნაყალობის ხანა დასრულდა, იწყება ახალი დრო ახალი საქმიანობისა და მეც თავს მხნედა ვგრძნობ, ოღონდ ეგ არის, რომ ობლობა და მარტოსულობა მტანჯავს, ჩემი ცხოვრების ჯოჯოხ-



ეთურ ფონზე ეულ სინათლედ მხოლოდ პანია ვაჟიშვილის სიცოცხლე მოჩანს“, - გაიფიქრა და ჩირაღდანი აანთო, ქორაკანდელიც მოიშველია და ნანინანატრ ბეთებს ჩაუჯდა. მხოლოდ შუალამისას დაასრულა მათი კითხვა და ცალკეული მხატვრული ხერხის შემოწმება. ტექსტმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, ოღონდ, რომ მოელოდა, ისე მაღალმხატვრულად მაინც არა სჩვენებია. „არადა პირველი შთაბეჭდილება გადამწყვეტია, უმთავრესია“, - ფიქრობდა აბულყასემი. გული ეუბნებოდა, კიდევ ერთხელ, ამჟამად უკვე სხვა თვალთ, არა მეტოქის, არამედ უბრალო მკითხველის თვალთ, წაეკითხა დაყიყის ნახელავი და ისიც შეუდგა ამ საქმეს. განთიადი მოტანებული იყო, როცა ბოლოში გავიდა. აქ კი ეშმაკმა თავისი კუდი მოიქნია: „დაყიყი დიახაც კარგი ლირიკოსია, ოღონდ ეპიკური თხრობა არ ეხერხება. ის მცირე ლექსის, მცირე ფორმების ოსტატია. „შაჰ-ნამეს“ ვერსიათა გამლექსავს კი დიდი დისტანცია აქვს გასავლელი, მას მოკლე სუნთქვა არ ეყოფა, აქ გრძელი და ღრმა სუნთქვაა საჭირო; ეპიკური თხზულების შემქმნელი დიდ დისტანციაზე მოჭენავე ტაიქსა ჰგავს. ეპიკური სუნთქვა კოსმიური მასშტაბის სუნთქვაა“, - გაიფიქრა და თავი მწუხარედ ჩაქინდრა. „ამ ბეთებს მაინც არ დავკარგავ, შთამომავლობას შემოვუნახავ; მათ ჩემს ნაქმარში საპატიო ადგილს მივუჩენ. თანაც შთამომავლობას შესაძლებლობას მივცემ, ჩემი და მისი ნაღვანი ერთმანეთს შეაწამოს, ჩემი და მისი ოსტატობა ერთურთს შეადაროს...“

აბულყასემს სუნთქვა შეეკრა – დაყიყის ეს საქმე შინის გზაზე დაეყენებინა და, როგორცა ჩანს, უფალს



მისი საბოლოოდ დაბინავების საქმე ფირდოუსისათვის მიენდო.

ცრემლი ყელში მოეხვინა.

„არა, მის ნახელავს კაცობრიობას შემოვუნახავ, თანაც ზოროასტრიზმის მისეულ ხოტბას მე ვერ მომანერენ. ეს ქება კი ისლამის ბურჯებს არყევს. ზოგჯერ იმაც აქებენ ძველს, რომ ილინცურად ახალს აგინონ. ეს დელიკატური საკითხია!“

აჯამმა ხელები მალლა აღაპყრო, თითქოსდა ზენაარს რაღაცას ევედრებო, შემდეგ თავი დახარა და დაწერა ის, რაც გულმა უკარნახა:

**აქ გავისხენოთ სახელოვან დაყიყის ბედი:**

**მე ცოცხალი ვარ, ის გამხდარა სამარის მხვედრი.**

„ამ ბეითს, - გაიფიქრა აჯამმა, - ჩემეული „შაჰ-ნამეს“ იმ ნაწილს წარვუძღვარებ წინ, რომელშიც სახელოვანი მგოსნის ტაეპებს შევიტან და ჩემს პოემასაც იმავე საზომით გავანყო. ეგ იქნება უდიდესი შენობა, გრანდიოზული მხატვრული ნაგებობა, რომლის მსგავსიც მსოფლიოს ჯერ არ უხილავს და ვაჟკაციც ისაა, ვინც ამ საოცარ ქმნილებას მარტოდმარტო, უვინმესოდ ააშენებს!“

იდგა 977 წელი და იწყებოდა უდიდესი საქმე, რომელსაც უნდა გაეხუნებინა მანამდელი მელექსენი და თავსატეხი გაეჩინა მომავალი სიტყვის ოსტატებისათვის.

არ გააკეთო და ინანო – ეს არის ამაო პასიურობა; გააკეთო და ინანო - ეს არის ამაო აქტიურობა. და, რაკილა აქტიური პიროვნება იყო, საქმის დაწყება დააპირა.

„ამ ბრძოლაში უნდა შეხვიდე, - ამხნევებდა საკუთარ თავს, - უნდა შეხვიდე და - იმას რას დასდევ, უკან ფარზე მოხვალ თუ ფარით დაბრუნდები!“

## თავი მეოთხე

აჯამს გულს აკლდა, რომ დაყიყის ვერც ცოცხალსა და ვერცა მკვდარს ველარასოდეს იხილავდა. ოღონდ გულს ამით იმხნევებდა: მგოსნის მიერ დანყებული საქმე უნდა გაეგრძელებინა, შავარშიაშემოვლებული წარსული აემეტყველებინა; მაგრამ აემეტყველებინა უკეთ, უფრო ფაქიზად, მძლავრად და ფართო თვალსაწიერით. ეს წადილი დიდხანს საკუთარ თავსაც კი უმალა, ოღონდ მერმედ გაიფიქრა: „რა ბეჯითადაც არ უნდა დამალო სახე ამქვეყნად, ღვთის წინაშე მაინც ვერ დამალავ“ და სასწრაფოდ დაიწყო იმაზე ზრუნვა, რათა სათანადო რაოდენობის ვარგისიანი ქალაქი ეშოვა. რაც უნდა იყოს, პერგამენტი მაინც მეტად მძიმე მასალაა, უხეში; აბრეშუმის ქსოვილი – მეტად ფაქიზი და ნაზი. არც ერთი არ შეეფერება ისეთ თემას, როგორც მეფეთა ისტორია და ძველი ლეგენდებია. მათ სწორედ აბრეშუმზე მტკიცე, ოღონდ პერგამენტზე უფრო მსუბუქი და მოქნილი საწერი შეესატყვისება, მაგრამ ახალი მასალაა და ძვირი ღირს. ამიტომაც ქალაქი მხოლოდ აუცილებელ სიტყვებს იტანს, დანარჩენთა გამო კი ადგილის სიმცირეზე წუნუნებს. ქალაქს ისრის გზა უყვარს და არა მშვილდისა!

რამდენიმე თვის ძიების შემდეგ საუკეთესო ქალაქი იშოვა, იმდენი მაინც, პირველ ხანებში რომ ეყოფოდა; მშვენიერი ლერწმის შოტიალა ღეროებს წვერები თვითონვე წაუთალა და მელანიც საკმაო შეამზადა, თანაც ისეთი, ფერს რომ დიდხანს არ გადაიღებდა და მზეზე ნაგდები ნაწერიც კი აგრე იოლად არ გახუნდებოდა.



„ყოველი ავტორი იმას უნდა დარდობდეს, მისი თხზულება უფრო ადრე არ გახუნდეს, ვიდრე ის მელანი, რითაც იგია ნანერი“, - ფიქრობდა და მუხლებზე დადებულ მძიმე ხის დაფაზე საგანგებოდ გადაკრულ ქალაღდს აკვირდებოდა, აოცებდა მისი სითეთრე და სისუფთავე; თვითონვე რომ არ ელოდა, ისე მძლავრი შემოქმედებითი აღმაფრენა დაეუფლა. ამიტომაც, დარი იდგა თუ ავდარი, ნვიმა ნვიმდა თუ მზე მზეობდა, იჯდა და ცალკეულ ამბებს ლექსად გარდათქვამდა, შეჰქონდა მათში საკუთარი აფორიზმები, ცხოვრებისეული სიბრძნე, ხალხური თქმები და ანდაზები, მახვილი ნაკვესები. ყველაფერი ეს, საზომის ჩარჩოში მოქცეული და მძლავრ რიტმულ ნაკადად ქცეული, ავსებდა ქალაღდის თეთრ ფითქინა მინდვრებს. ეკონომიის მიზნით, ფართობს კიდით კიდემდე ავსებდა, არავითარ არშიას არა სცნობდა. აზრები ისე უხვად და უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა, მათს რიტმულ კალაპოტში ჩაყენებას ვერ ასწრებდა და ჩქარობდა. შემოქმედებითი სიმნიფის ხანა დასდგომოდა და მისი მზე ლომის თანავარსკვლავედში ბრდღვიალებდა. თვითონვე გრძნობდა, რომ მეორე მონაკვეთი პირველზე უკეთესი გამოსდიოდა, მესამე – მეორეზე უკეთესი და გიგანტური ზღაპრული ნაგებობის კონტურები ისე ცხადად წარმოუდგა თვალწინ, როგორც კიბის ზეაღმავალი საფეხურები. „როგორც ბრძენნი ფიქრობენ, კარგი მეცნიერება პოეზიასთან გვაახლოებს, ცუდი გვაშორებს, ოლონდ, რაც უნდა იყოს, ის მაინც ცხოვრების ერთ საფეხურს წარმოადგენს. ის პოემა-ეპოპეა კი, რომელსაც მგოსანი ქმნის, მთელი სამყაროა. მასში ასეთი არაერთი საფეხური თავისთავად იგულისხმება“, - ფიქრობდა აბულყასემი და

წერას განაგრძობდა. საღამოობით კი, როდესაც ღამეული შრომის წინ მცირედ შეისვენებდა, ხარობდა ვაჟიშვილთან ლაციციტით. გადია ხუთი-ექვსიოდე წლის მაღბაზ ბიჭუნას რომ მიუყვანდა, ასე ეგონა, მთელ სამყაროს ხელში ხორასნის ვარდები უკავია და ისე მეგებებო. ნორჩი იქვე, მამის ახლორე, დაბაჩუნობდა, დაჩაჩურობდა; მზრდელი ქალი ხან ფუფაიკას გაუსწორებდა, ხანაც მსუბუქი ფაჩუჩების ზონრებს შეუკრავდა, ზოგჯერ, გაფრთხილების მიზნით, სახელს სიყვარულით დაუძახებდა - „ნაზიმ!“ და ეგ დაძახება ნელთბილი წყალივით ნაზი და მომფერებელი იყო. ამ საზეიმო წუთებში ხანდახან წარსული მოაგონდებოდა, თავისი უსიამო ნამყო, რომელმაც ტანჯვა-წამებისა და ტკივილების მეტი არა არგუნა რა, და გული უსიამოდ დაიძოძგინებდა. დიახ, ასეა: მომავალი მოდის, ოღონდ წარსული მას ადგილს არ უთმობს, არსად მიდის. ის დგას, ჩვენს ხსოვნაშია შეტბორებული და ხშირად ცრემლს გვადვრევიანებს; ცოტა ხნის შემდეგ აბულყასემი სევდის სიამაყით პანია ვაჟკაცს დაჰკრავდა თვალს, რომლის მომავალზეც უნდა ეფიქრა, და მიდიოდა ბუნებრივ დასკვნამდე: წარსულზე უნდა ინაღვლო და მომავალზე იზრუნო. და ისიც საამისოდ მზად იყო: ბიჭუნას ისევ გადიის გულსა და ხელს მიანდობდა, ხოლო თავად თავის ღამეულ შემოქმედებას უბრუნდებოდა – წარსულის ისტორიულ ფაქტებსა და ლეგენდარულ თქმულებათა ზღვას ერკინებოდა, მარჯვე გემივით მიაპობდა უზარმაზარ ტალღებს და სადღაც, ცის დასალიერს, ზღაპრულ ჰორიზონტს დაექებდა. ზოგჯერ წერასა და სტრიქონთა თხზვას შეწყვეტდა. „ხვადაი-წამეს“ კოხტად გადაწერილ ფოლიანტებს დასწვდე-



ბოდა,საჭირო ალაგას გადაშლიდა და სასურველ ტექსტს კიდევ ერთხელ ჩაულრმავედებოდა,რათა მხედველობიდან არ გამოჰპარვოდა ამა თუ იმ დასთანის ისტორიული სულისკვეთება, რომელიმე აუცილებელი ლეგენდის იდეური პათოსი. მალე შეგირდებიც აიყვანა. ერთი მათგანი ისტორიული წყაროების მოპოვებაში ეხმარებოდა, სამუქფოდ პოეტური ტექსტის თხზვასა და ამ მასალის ხატოვნად წარმოთქმა-დეკლამაციაში ხელოვნდებოდა; მეორემ აჯამის ფოლკლორული წყაროებით მომარაგება ითავა, სანაცვლოდ კოხტა ხელრთვისა და არაბულ ენაში ოსტატდებოდა; მესამე უებრო კალიგრაფი აღმოჩნდა და ამ ასპარეზზე ირჯებოდა. ბეგრის ამკრეფმა რომ ერთხელ მოისმინა აბულყასემის ნახელავი, ხელები მაღლა აღაპყრო, ზენაარს მადლი მოახსენა და ხარაჯისაგან გაათავისუფლა. მართალია, ბებერი ღოლამალი მიცვლილიყო, ოღონდ მისი ადგილი მისსავე ვაჟს დაეკავებინა და ბატონი ღოლამალი ყოთაიბა, თუსის ახალი გამგებელი, მუდამ დიდის პატივით მოიკითხავდა ხოლმე სახელოვნების გზაზე შემდგარ მოშაირეს; ხარაჯას ხომ არ ახდევინებდა და არც არაფერი, მაგრამ წელიწადში ერთხელ, ნავრუზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საკმაოდ მძიმე ძღვენსაც უგზავნიდა.

მადლი ქვეყნიერების შემქმნელს!

ალაჰი დიდია და მისი მოწყალება – იგავმიუნვდომელი!

ერთ დღეს აჯამს პატივცემული აბუ დოლაფი ესტუმრა, მცირე ყალიბის მეცენატი.

სალამ-ქალამისა და ტკბილი მიღების შემდეგ სახლში შევიდნენ. ციოდა და ბუხარში შეშა ინვოდა, ცეცხლი მხიარულად გუზგუზებდა. თბილი ბალიშ-მუთაქები



მარჯვედ შემოილაგეს ირგვლივ და ფეხმორთხმით მსხდარნი უსიტყვოდ შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ამ უხმო ბაასში ერთი ნათელი გახლდათ – სტუმარი მასპინძლის სახესა სწავლობდა, დიდი აღტაცებით შესცქეროდა და სიყვარულით ელაციცებოდა. ეს მეტყველი მდუმარება სწორედ მან დაარღვია.

- პატივსადებო ჰაქიმო<sup>43</sup>, - დაიწყო მან, - შენეული „შაჰ-ნამეს“ ერთი მონაკვეთი, რაღა ერთი მონაკვეთი, თითქმის მთელი წიგნი, წავიკითხე. ჩემს აღტაცებას საზღვარი არა აქვს. მსგავსი რამ დარის დიალექტზე<sup>44</sup> დღემდე არაფერი დანერვილა. აქ ზოგი ეპიზოდი მხატვრული ძალით ჰომეროსის ოსტატობასაც კი აჭარბებს, ხოლო მოცულობით ეგ ერთი ნაწილიც კი თითქმის უტოლდება „ილიადასა“ და „ოდისეას“ 30 000 ტაეპს, შენ კი მხოლოდ დასაწყისი დაგისრულებია. კიდევ რამდენ ამგვარ წიგნსა გვპირდები?

- დაახლოებით 45 – 50 ვრცელი მონაკვეთი გამოვა, თუკი მაღალმა ინება და მუზამაც ხელი შემინყო. საბოლოოდ დაახლოებით 100 – 120 ათას ტაეპს ვვარაუდობ.

სტუმარს სუნთქვა შეეკრა. თავი მწუხარედ დახარა. მასპინძელს გაუკვირდა და შარბათრეული ღვინო ახლოს მიუჩოჩა, მის მომდევნო სიტყვებს დაელოდა.

გარეთ ქარმა მწარედ დაიღმუვლა. შემდეგ, თითქოსდა ჩადგაო, ისე გაისუსა, მაგრამ მალევე ისევ დაიღრიალა. აქამდე მოყინულ-მოჭიქჭიქებული ცარგვალი ყომრალმა ღრუბელმა სწრაფად დაფარა და უცაბედმა გრიგალმა ყანა გადაიჯირგალა, ან უკვე დავარგებული ჯეჯილი გადათელა და მოასოდომგომორა.

43 ჰაქიმი – მცოდნე, მოაზროვნე, ფილოსოფოსი და პოეტი.

44 დარის დიალექტი – სპარსული ენის ჩრდილოური დიალექტი.



აჯამს გული მწუხარებით მოენურა.

ყანის წლევანდელმა მოსავალმა ჭირი მოგჭამაო, - გაიფიქრა და სწორედ ამ დროს მის წინაშე მჯდომმა ხმა გაიღო:

- იმან დამამწუხრა, პატივცემულო ჰაქიმო, რომ მცირე ძალა შემწევს, ფართო და სრულმასშტაბიან მეცენატობას ვერ გაგინევ. ჩემი ქონება მხოლოდ იმის ნებას მაძლევს, რომ სანერი საშუალებებით მოგამარაგო და წელიწადში ერთხელ ძღვენი გამოგიგზავნო; თუმცა კი ეგ საჩუქარი შენთვის დიდი შეღავათი არ იქნება, გარწმუნებ, ჩემი ჯორისათვის უშეღავათო ტვირთად დარჩება!

მასპინძელს ერთი წამით ასე მოეჩვენა, თითქოსდა ნგრევადი ბედნიერების ქვეყანაში მოხვდა.

- ბატონი აბუ დოლაფის სახელი ყველას პირზე აკერია, თქვენი მეცენატობის ამბავი ქვეყნად გაჰქუხს, - უპასუხა მასპინძელმა და გაუღიმა.

- ჰო, მაგრამ მაინც გულს მაკლია, რომ სათანადოდ ვერავის ვშველი, ვერ შევენევი; სანყალობელია მოცეკვავე, რომელსაც ჯეროვნად შუშპარი არ ძალუძს; საცოდავია მცურავი, ოდეს მკლავში ღონე გამოელევა და მუხლში ძაბუნი ჩაუდგება; შესაბრალებელია კანჯარზე მონადირე, როცა ისარი დაელევა, ხოლო მოსანადირებელი ჯოგი გვერდზე ჩაუვლის.

- დიახ, - დაეთანხმა მასპინძელი, - თურქი უნდა იყო, ამ ვითარებაში ადამიანი არ შეგეცოდოს.

- და მეც ხომ ასე შესაბრალისი ვარ, რადგან იმისი ძალი არ შემწევს, რისი წადილიცა მაქვს. ხშირად ვფიქრობ ხოლმე: უფალმა რად მომცა ასე ფართო და

ვრცელი იშტა<sup>45</sup> და მურაზი<sup>46</sup>, თუ მათი აღსრულების უნარსაც არ მიბოძებდა?!

და იმ განწყობით, რომ ამის პასუხს ვერც ჰაქიმი მისცემდა, თავი ჩაქინდრა.

ასე მჯდომი, იგი აჯამს უცხოოდ ლამაზი და საყვარელი მოეჩვენა.

ბალიშ-ნალებზე წამოკორიკებული აჯამი სტუმრისკენ გადაიხარა, მხარზე ხელი მეგობრულად დაადო:

- ფულის მიწაში დამმარხველი სულში სიძუნწეს ინახავს, სიძუნწე კი ავი სნეულებაა, რომელსაც არც სააქაოში და არც საიქიოში შველის რაიმე. ეგ სნება შენგან შორსაა და, შენი სიცოცხლის დარჩენილი დრო რომ სულ სირბილით ირბინოს, ცოცხალს მაინც ვერ მოგისწრებს.

მომსვლელს გაეცინა:

- მაშ, ძალიან მალე გარდავიცვლები, არა?

- ეგ როდი ვიგულისხმე. იმას მოგახსენებ, რომ იგი ისე შორსაა თქვენგან, მთელი ასი წელიც რომ ირბინოს, თქვენამდე მოღწევა გაუჭირდება-მეთქი!

სტუმარს ისევ გაეცინა. ამჯერად მისი ეგ ღიმილი მზეზე გამთბარი წყალივით ნაზი და მომფერებელი გამოვიდა.

აბუ დოლაფი აჯამისაკენ გადაიხარა:

- ეგ ხითამბარელი, ნეტავი, რას წარმოადგენს? აშპაშხანებსა და ბაზრებში დადის, დაიარება და ყველგან შენი სახელისა და აბრუს გატეხასა ლამობს, ჰოდა, ნეტავი, ვინ არის?

- გოლლეტ ხითამბარელი, - თქვა მასპინძელმა, - დიახ, არის ასეთი ნაყალი და მოშაირე. ძირითადად ხოტბებსა

45 იშტა – წადილი.

46 მურაზი – წადილი, გულის სურვილი.



ნერს და თავს ამითი ირჩენს. გარდა მაგისა, სამიკიტნო „ოხოხოიას“ მუდმივი მთხრობელია, საკმაოდ კარგი ორატორი, მისი აზრით, ჰომეროსის რაფსოდებსაც კი სჯობს, ოღონდ ერთობ ყიამყრალი არსებაა. მაგის განარები ადგილი ერთ კვირასა ყარს.

- ამას წინათ, - გაიხსენა აბუ დოლაფმა, - „ოხოხოიასში“ დიდძალი კლიენტი შეკრებილა. იმათ წინაშე ეგ ბედასლი გამოსულა. თავისი ნაძალადევი ხოტბები წაუკითხავს, ამა ქვეყნის ძლიერთა საქებარი, მერმედ შენი ნაქმარი გომთასპის ამბავი, ესოდენ დიდებულად გარდათქმული, უგინებია და თავისი ვარიანტი დიდის რიხით წაუკითხავს.

- ჰო, ეგ მეც გავიგე, - ფრთხილად თქვა აჯამმა.

- ჰოდა, იმ შეკრებულობას ჩემი შეგირდიც დასწრებია, ერთობ ნიჭიერი ახალგაზრდაა.

- მერედა რა აზრი გამოიტანა იქიდან?

- იქიდან ის აზრი გამოიტანა, რომ გომთასპის მისეული ვარიანტი თურმე თქვენს სახეებს, სიტყვათა წყობას, რიტმულ სვლებსაც კი იმეორებს, ოღონდ ბევრად უფრო მოუხერხებლად და უგემურად. აი, რა აზრი გამოიტანა ჩემმა მოსწავლემ.

„გონიერი და დაკვირვებული მონაფე ჰყოლია“, - გაიფიქრა აჯამმა და ღრმად ჩაფიქრდა. მერმე, თითქოსდა ახლალა გაახსენდაო, საჩქაროდ წარმოთქვა:

- როგორც არისტოტელე ამბობს, ხელოვნება ან აგვირგვინებს იმას, რაც ბუნებამ ვერ განასრულა, ანდა ჰბაძავს მას. ხითამბარელი არაფერს აგვირგვინებს. ის მიმბაძველია, ოღონდაც ცუდი მიმბაძველი. მე კი იმ დიდი საქმის დაგვირგვინება გადავწყვიტე, რაც ბუნე-

ბამ უფორმო მასალის სახით, ანუ პროზად, მომაჩერა ხელში. ამ უსახო მასალის წყობილ მარგალიტად ქცევა ჩემი მიზანია და, თუ საროდოდ შევძლებ ამას, ძნელი სათქმელია; გოლლეტ ხითამბარელი კი ბედასლი მიმეზისტია<sup>47</sup>. ამჯერად მე მბაძავს, შემდეგ სხვებს გაიმეორებს.

- ერთგვარი გემოვნება მაინცა ჰქონია, რაკილა შენ მოგბაძა და არა სხვას, შენზე ბევრად უფრო დაბალმხატვრულ შემოქმედს...

სტუმარი შედგა, ფრაზა ბოლომდე არ დაუსრულებია. ამ დროს უეცრად დაიჭეკა და კანდელის სანთელი ჩააქრო, ხშირ-ხშირი გაელვება კი ქვეყნიერებას წამიერად ანათებდა.

გონიერი სტუმარი წამოდგა, წასასვლელად შეემზადა. მასპინძელმა ლაბადა მიაწოდა, მერმედ უთხრა:

- უკვე ბნელა. იქნებ, ამაღამ დაგეცადათ და ხვალ დილით წაბრძანებულიყავით?

- არა, უსათუოდ უნდა წავიდე!

- კეთილი, მაგრამ მაშინ, ეგების, ჩირალდანი წაგელოთ, გზას იოლად გაიგნებდით.

წამსვლელს გაეღიმა, მერმედ დასძინა:

- არა, არას მარგებს. წვიმა ცეცხლს აქრობს, ოღონდ ელვას – ვერა.

მასპინძელმა ამ მარჯვე თქმაში სტუმრის ანტი-მაზდეანური განწყობილება ამოიკითხა. მას ადრეც გაეგონა, რომ სახელგანთქმულ მეცენატს მოდასავით გადასდებოდა ისლამურ-შიიტური მრწამსისადმი მიდრეკილება, ოღონდ ახლა თითქოსდა ამაში თვალნათლივ

47 მიმეზისტი – წამბაძველი, მბაძველი.



დარწმუნდა. ამიტომაც ენას კბილი დროულად დააჭირა და საპატიო სტუმარი უსიტყვოდ გააცილა. მერმედ შინ შემობრუნებული გაოცებული შედგა, როცა საპატიო სტუმრის საჯდომ ნალთან ახლორე საკმაოდ მძიმე ქისა აღმოაჩინა, საესე მთვარისებრი დრაჰმებით<sup>48</sup>.

- აბუ დოლაფი... – თქვა და მერმედ ისევ გაიმეორა: - აბუ დოლაფი, ადრე შესანიშნავი ნაყალი და ამჟამად ცნობილი მეცენატი, დიდი მეცოდომადლე კაცი; ღმერთმა დუშმანი არიდოს, მშვიდობა მისცეს და ხელი მოუმართოს!

მეცენატის გულის მხურვალეობით აღელვებული სამუშაო ოთახში დიდხანს დადიოდა, დამშვიდებასა და აზრის მოკრეფას ლამობდა, როგორც იყო, დაწყნარდა, სამუშაოს ჩაუჯდა.

**... თავი ქალაღზე მძიმედ დაიხრება, დაბლა დაიხრება და კალმის წვერი ძველ ამბავს მოფხოჭნის, ლექსად გარდასახავს...**

რამდენიმე თვის შემდეგ ყავახანა „ედემის“ ნაყალი ესტუმრა. სალამ-ქალამისა და ტკბილი მიღების შემდეგ სტუმარმა ოსტატს პატივისცემა დაუდასტურა და პატრონის ნება ამცნო: იგი აჯამს კლიენტთა წინაშე თავისი პოემის ახალშექმნილი მონაკვეთების წასაკითხავად ინვევდა და თან გვარიან ერთდროულ გასამრჯელოსაც ჰპირდებოდა. ეგ საქმე მომიგვარე, სტუმრები შენებურად მომიჯადოვე და სარტყლის ჯიბეებს დრაჰმის გამჭრელი დინარით გამოგიტენიო, - უთვლიდა რიგიან-პირიანი მეყავახანე.

<sup>48</sup> **დრაჰმა** – ვერცხლის ფულის ერთეული.

აჯამს ფული და ქრთამი გულზე არ ეხატებოდა, ოღონდ დრაჰმა-დინარის ამ უცნაურმა კეჭნაობამ მოხიბლა და უარი აღარ უთქვამს.

ნავრუზობის დღესასწაული ახლოვდებოდა, ახალშემოღებული ზეიმის წინა დღეები იდგა და დარის პროვინციაში შესანიშნავი დარი დაიჭირა. ბალებში ამბრი ამბრსა ერეოდა, მეგობარი მეგობარს გულთბილად ეხვეოდა, სალამ-ქალამს მოახსენებდა და საზეიმო განწყობილებას უზიარებდა. ყავახან-აშპაშხანებთან ჯამაათი ჩოჩქოლებდა, ირეოდა, ბრუნავდა და ფუსფუსებდა. იდგა ზარი და ზრიალი. თუმც კი ზარზეიმურობას ძნელად იტანდა, პირობა პირობა იყო და აბულყასემმა ყავახანის კარი თავის დროზე შეაღო. მეპატრონემ უმალ შენიშნა და მისკენ გამოქანდა, თავი მდაბლად დაუკრა და ხელეები ზევით აღაპყრო:

- მაღალმა ღმერთმა თქვენი აქ ყოფნა ინება. მაშ, ასე, მსახურო, ბიჭო, შე ბოთევ, შენა! სასწრაფოდ მარტოშკამი მოართვი სტუმარსა, თან შარბათრეული ვაზის ნაჟური, სასწრაფოდ-მეთქი! მე მითქვამს და შენ გაიგონე!

წინსაფრიანი მსახური გაიქცა, თავი სამზარეულოში შერგო, იქიდან რახათლუხუმი, ხილის წვენი და შარბათრეული სასმელი მიანოდეს და ისიც მარდად დატრიალდა: საპატიო სტუმარს მოადგა, მთელი წამოღებული ნობათი მარჯვედ დაალაგა მაგიდაზე, ჭიქები შეასწორ-შემოასწორა და პატრონს პირდაღებული შეაჩერდა.

დანესებულების მეპატრონე ისევ გამოცოცხლდა, მსახურს კვლავ მკვახედ შესძახა:

- ახლა კი მეორე დარბაზში გადი. გველვეშაპის განმგმირავი ვაჟკაცის ნახატთან რომ ბატონი ზის, აქ მოი-



წვიე, ხოლო იქ მსხდომ საზოგადოებას ცნობილი ნაყ-  
ალისა და პოეტის ბატონი აბულყასემის მოსვლა აუწყე,  
დროა, შემოგვიერთდნენ და აქ ნათქვამი სიბრძნე მოის-  
მინონ, რადგან ეგ ყოველ სხვა საქმეზე უმჯობესია. მე  
მითქვამს და თქვენ დაიჯერეთო!

მორბედი ყმანვილი ნუთჟამიერ გაქრა, სხვა დარბაზის  
კარებს მიღმა გაუჩინარდა. მალე მეორე დარბაზიდან  
კაცი გამოვიდა, რომელსაც მოჟრიამულე ბრბოც თან  
გამოჰყოლოდა. ამ პიროვნების დანახვამ აბულყასემს  
სიხარულის ფრთონვა მოჰგვარა – ეს გახლდათ ახალ  
სამოსში კობტად გამოწყობილი მეცენატი აბუ დოლაფი.

მეგობრები ერთურთს გადაეხვივნენ. სალამ-ქალამი-  
სა და ტკბილი მოკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ ყავახ-  
ანის მფლობელს სწორედ მისი რჩევა მიეღო და აჯამი  
აქ მოენვია. ყოფილი ნაყალისათვის ახლა კი მთლად  
გასაგები გახდა დრაჰმა-დინარის ფარიკაობის მთელი  
ალგებრა.

და ძველი ნაყალი, ან კი ცნობილი პოეტი, ხალხის წი-  
ნაშე გამოსასვლელად შეემზადა. ამჯერად „ქეი-ქაუსის“  
ნაწყვეტები უნდა წაეკითხა.

მაგრამ მოხდა მოულოდნელი და გაუთვალისწინებე-  
ლი რამ:

სად იყო და სად არა, მომლოდინე ჯამაათის შუაგულში  
საიდანღაც გოლლექტ ხითამბარელი აღმოცენდა – ზორ-  
ბა და მოჩოლფოთებული კაცი იყო; აფხაზურ ზღაპრებ-  
ში რომ მოსულელ-მობოროტო დევები ირევიან, რაღაც-  
ით სწორედ იმათ ჩამოჰგავდა; ცხვირი ბოლოგასიებუ-  
ლი კიტრივით ეგდო მოუსვენარ და დამცინავ თვალებს  
შორის; ყურები გადმოფლაშტუნებოდა; სოლივით წვერი



ჰქონდა, ჟღალი ფერისა; ხელში გახუნებული პერგამენტის დასტა ეჭირა. იგი, მნიფე მსხალივით თავმომნონე, ჰაქიმთან პოლემიკის გამართვას მოითხოვდა; მოკლე ბალადის სათაურივით ფეხის ნვერებზე დგებოდა, იჭაჭებოდა და ყველას გასაგონად აცხადებდა:

- აბულყასემის ყარტაყურტა ლექსი ან რა ნარ-მოსათქმელია, ან რა მოსასმენი; ისეთ რასმე ნამოტორტლავს ხოლმე, თავს შეირცხვენს და ჩვენს ყურებს დაანაგვიანებს; მისი გალექსილი რომანი ქერის ყანაა, ჩემი კი – მარგალიტის ჭალა; მასთან შედარებით ისე დიდი ვარ, მისი გულისათვის, რომც მეფხანებოდეს, ყურს არ მოვიფხანო!

ამგვარ ექსპრომტულ გაშაირებებს აჯამი არაერთხელ შესწრებია ხალხმრავალ ბაზრობებსა და ჯამაათის თავმეყრის სხვა ადგილებში, სადაც ხალხი ბოლუქ-ბოლუქად ირეოდა, ოღონდ თვითონ არასოდეს მიუღია მათში მონაწილეობა და, როგორცა ჩანს, ამჯერად ამ „სიკეთესაც“ ვერ ასცდებოდა – მეტოქე მისი საპოეზიო მამულის ზედ ჯებირს მოსდგომოდა, თურქივით იმუქრებოდა და სათანადო დახვედრას მოითხოვდა; ხოლო ჰაქიმმა კარგად იცოდა: როცა მტერი მოდის, მარჯვენას მარჯვენა უნდა შეეგებოს, მარცხენას – მარცხენა.

და ისიც გასაშაირებლად მოემზადა.

ყავახანის მეპატრონემ, რაკი დაატყო, ჰაქიმიც ყაბულს არისო, მოსამსახურეებს მიმართა:

- ჰეი, თქვენ, ჩოჩოყვერა ბოთეებო, მეორე ფიცარნაგ-იც მოამზადეთ! ისინი თანაბარი სიმალლისა იყოს, საზოგადოებამ ორივე მესიტყვე-მოშაირე რომ კარგად დაინახოს. მე ასე განმისჯია და თქვენ კი შეისმინეთ-მეთქი!



მაღე ეგ საქმეც მოგვარდა და პოლემიკა დაიწყო.  
ჯერ პროზაულად გაეკამათნენ ერთურთს.

შეტევაზე პირველი ხითამბარელი გადავიდა:

- ბრძენი,რა ბრძენი,ვინ ბრძენი,ხელი მოსულხარ და ვით იქმ ბრძნობასა?! ნაყალობის სარბიელზე ხომ დაგჩაგრე და სირცხვილი გაჭამე,ახლა საკუთარი სიბრძნითაც გაჯობებ!

ჯამაათი ახმაურდა. ერთმა-ორმა ტაშიც კი შემოჰკრა.  
ჰაქიმიმ საკუთარი აფორიზმით უპასუხა:

- ბრძენი სიბრძნით იხვეჭს სახელს,უმეცარი – მასთან გაჩაღებული კამათით!

დარბაზი უფრო მეტად ახმაურდა,უმეტესობამ ტაში დაუკრა.

- სიბრძნე სიბრძნედ,მაგრამ ის მაინც აღიარე,რაც ხელისგულივით ნათელია: როგორც ნაყალმა და დეკლამატორმა, ხომ აშკარად გაჯობე? ამის გამოისობით თავი მაღლა ამიღია, ის თავი, რომელიც ადამიანის სხეულს აგვირგვინებს.

ამჯერად დარბაზი გაისუსა. ტაშიც არავის შემოუკრავს, რადგან ნათქვამი დიდი ვერაფერი ბედენა გამოვიდა. ახლა ხალხი იმაზე ფიქრობდა, რა პასუხს გასცემდა ჰაქიმი:

- ადამიანს აქვს ორი გამრჯე ხელი, ორი მახვილი თვალი, ორი ფხიზელი ყური, ორი მარდი ფეხი და ერთი სულელი თავი. ალბათ, ამ თავზეა საუბარი, არა?

საზოგადოებას სიცილი წასკდა. ბევრმა გადაიხარხარა, ხოლო მრავალმა ტაშიც კი შემოჰკრა.

- შორს არის ჩემგან თავგამოჩენის წადილი და ამბიციურობა, ოღონდ არარაობებს შორის ღირსეული მესიტყვე ისე ჩანს, როგორც მატერიკი – კუნძულთა შორის.

- არა, თავს იგდებს ხითამბარელი, - თქვა ჰაქიმმა, - მერე ხალხისაკენ გადაიხარა და ჩუმიად, მაგრამ მკაფიოდ დასძინა: - ზოგი ისე ამბიციურია, რომ ქორწილში სულ მუდამ სიძედ ყოფნა სწადია და პანაშვიდზე – მიცვალებულად.

ქარაგმა ყველამ კარგად გაიგო და ატყდა სიცილ-ხორხოცი და აურზაური.

დრო იყო, ხითამბარელს თავი დამარცხებულად მიეჩნია და ამაღლებული ფიცარნაგიდან ძირს ჩამოსულიყო, ოღონდ უღურს მაინც არ იტეხდა, მეტოქეს ამჯერად ნყობილი სიტყვით შეუტია:

**აბუღყასემს რაც შეუთხზავს, ლექსია? – პაროდია!  
ლექსს ვინც ჩხლართავს, მოშაირე მართლა ყველა  
როდია!**

ჯამაათს ნათქვამი მოეწონა, ესულგულა. ავტორი ბევრმა ტაშითაც დააჯილდოვა.

ჰაქიმმა ნვერზე ხელი ჩამოისვა, ღმერთს ძღვევის ძალა გამოსთხოვა და თამამად მიუერთმა:

**ამა ქვეყნის ბინადარნი მიდიან და მოდიან;  
ვისაც ნვერი მოუშვია, ყველა ბრძენი როდია!  
ვინც დღის ფერებს თვალითა სვამს, ის სიცოცხლის  
ლოთია,**

**მისთვის ყოფა სალხინოა დილით, საღამოთია!  
მხოლოდ გოლღეტ ხითამბარელს დასდევს  
გლოვა-შფოთია,**

**განა მასაც, ლექსს რომ ჩხლართავს, მოშაირე სწოდია?!**

ხალხი ჯერ გაინაბა, გაისუსა, თითქოსდა ნათქვამს გემოს უსინჯავსო, და, როცა აჯამმა გადანყვიტა, რომ მისი ნყობილი სიტყვა არაფრად ეპიტნავათ და დამ-



არცხების ნიშნად ფიცარნაგიდან ჩამოსვლას აპირებდა, ატყდა ერთი ვაიუშველებელი და ნიოკობა: ზოგი ხელისგულებს ერთმანეთს უტყაპუნებდა, ზოგი ცდილობდა, ავტორს შესწვდენოდა და მუხლებზე მოჰფერებოდა, თითით მაინც შეხებოდა, თითქოსდა რომელიმე სახელგანთქმული ისას მმოსავი წმინდანი ყოფილიყოს. ერთი სიტყვით, აღტაცებული დარბაზი სიამოვნებისაგან ფრთონავდა. მას დია მოსწონდა ჰაქიმის პირუთვნელი და ხელუთვნელი შემოქმედება. და კაფიობაში გამარჯვებულმა გულში ფიქრად გაივლო: „უდავო ჭემმარიტება სამად სამი სიტყვით გამოიხატება – ადამიანი სამყაროს გვირგვინია!“

ამ გაკამათებამ აჯამს სხვა აზრიც ჩააგონა: „ის კი არაა გამარჯვებული, ვინც პირველი იმიშვლებს ხმალს, არამედ ის, ვინც უკანასკნელი ჩააგებს მას ქარქაშში“.

ხოლო ძალად მაცხონე პოეტი?

დამარცხებულ და ქოქოლანაყარ ხითამბარელს ხელში შელანძლული პერგამენტი შერჩენოდა, მკლავი მაღლა აენია და ისე იდგა გაშეშებული, როგორც დანაშაულის ქანდაკება; ბედს შერიგებოდა და დამთმობი სახე მიელო, თითქოსდა დამარცხებასთან ხელშეკრულება თავისი ნებით გაეფორმებინოს და ახლა ჰაქიმის ხელმონწერასა და ბეჭდის დასმასლა ელოდებო.

და ჰაქიმმაც დასტური დასცა:

- წადი, წა, შე კაცო, შენს საქმეს ენიე და თაბაუთი მიეციო!

ხითამბარელს გამქირდავი თვალების შუქი ჩაუქრა, ხელი ჩაიქნია და გასასვლელს მიაშურა. მას დარჩენილი ხალხის სიცილ-ტატყანის თანდათან მიღვეადი ხმა მია-

ცილებდა; გულში ამგვარი დამარცხება არცა სწყენია – ძალიან კარგად ესმოდა, რომ დიდ მესიტყვეს ერკინებოდა, ხოლო ჭეშმარიტად დიდთან შერკინებაში დამარცხებაც ისევე სასახელოა, როგორც გამარჯვება; სახეზე ჩვეულებრივი ფეროვნება დაუბრუნდა. დიახ, ქამელეონს იმითა სჯობდა, რომ თეთრი ფერის მიღებაც ძალეფდა.

დამარცხებული გვერდელა სიარულით წავიდა, ქორაკანდელითა და კანდელაბრებით განათებული სათავსოდან გარეთ გამოაღწია, სადაც სიბნელე ისე მოჩანდა, თითქოსდა არარაობამ ხორცი შეისხაო.

ყავახან-სირაჯხანის მეპატრონეს სახე გაჰბადროდა და გაჰკიოდა:

- ჰაქიმზე დიდი ორატორი თვით რუმშიც არ მოიძებნება, დედამინაზე ასეთი დეკლამატორი დღეს არ დააბიჯებს. ეს მე მითქვამს და თქვენ გაიგონეთო!

აბუ დოლაფი შანიშინიდან<sup>49</sup> წამონეულიყო; აბულყასემის წარმატებას ისე გაეხალისებინა, მინდვრის ყვავილებით მოჩითულ დობიროსა ჰგავდა.

ჰაქიმი კი?

ჰაქიმი იდგა თავის ამაღლებულ ფიცარნაგზე და ახმაურებულ საზოგადოებას ზემოდან დასცქეროდა. უცებ იგი მძლავრმა ხელებმა ჩაბლუჯეს და ძირს გადმოსვეს; როცა კარგად გამოერკვა, ქორაკანდელის შუქზე დაინახა: მის წინაშე მისი ძველი მეგობარი, დაუმარცხებელი მოჭიდავე კადაშა იდგა და ცხრათვალა მზისდარად უცინოდა. მან კაფიობაში გამარჯვებული მესიტყვე თავისი მაგიდისაკენ თითქმის ძალით წაათრია. მაშინ ყავახან-აშპაშხანებში ასეთი წესი ჰქონდათ: საპოლემ-

49 შანიშინი – საპატრიო ადგილი, საჯდომი.



იყო შესავლის შემდეგ გამარჯვებულ ორატორს სულის მოთქმის საშუალება ეძლეოდა, ძირითადი ამბის მოყოლამდე შეეძლო პური ეჭამა, ყელი გაესველებინა და შემდეგ შესჭიდებოდა მთავარ სათქმელს.

აჯამმაც ისარგებლა ამ შესაძლებლობით.

კადაშა კარგად ჩასხმულ-ჩაკირული ვაჟკაცი იყო. იმუჟამად ასე, 28 – 29 წლისა იქნებოდა; ფართო მხარ-ბეჭი ჰქონდა და ხელოვან ოსტატს სამისო მშვილდ-ისარი ჯერ კიდევ არ დაემზადებინა, რადგან, ასეთი განზრახვა რომ სისრულეში მოეყვანა, მაშინ ისრად საფირნიშნო ბოძი ან საშუალო სიმაღლის ხე მაინც უნდა გამოეყენებინა; როცა დააბიჯებდა, გეგონებოდა, დედამინა სულ ერთიანად ირყევა და ზანზარებსო; თვალები ანთებულ ბაზმასა უგავდა, ხოლო დევგმირული მკლავები? ამ მკლავებს არაერთხელ შეუპყრიათ ვეფხი-ავაზა, კანჯარი და ირემი, ხოლო სოფელ ქამიანში დაგდებული საჯილდ-აო ქვა, ქეი-ქაუსის დროის ზღაპრულ დევგმირებს რომ აუტაციათ, თურმე, მას არაერთხელ მხრებამდე და უფრო მაღლაც კი აუნწევია; მისი ეპოქის საუკეთესო ფალავნებს კი ამ ქვა-ლოდის ქვეშ მხოლოდ ჰაერი გაუტარებიათ და მეტი – არაფერი! ჰაქიმი გრძნობდა, რომ დღეს მანაც სახელოვნად ანია საჯილდაო ქვა, თუმცაღა კადაშას მიერ წამოწეულ სიმძიმეს ეგ ვერაფრით შეედრებოდა: სად დევგმირთა მიერ მოსინჯული მძიმე ტვირთი და სად საბრალო და სანყალობელი ძალად მაცხონე მჩატე პოეტი?! სიმძიმეები აშკარად არათანაბარი გამოდიოდა და ამას მოჭიდავის ძველი მეგობარი და მოყვასი კარგად აცნობიერებდა: „ჯერჯერობით კადაშა ჩემზე წინაა, მჯობნის და მისწრებს“, - გაიფიქრა და სასმელს მისწვ-

და. სურნელოვანი ღვინო გახურებულ გულზე ემაღამოვა. შემდეგ თანამეინახეს შეხედა და ატმის ყვავილივით ბედნიერი ღიმილი გადააყარა.

- დიდებული შერკინება გამოვიდა და სახელოვანი გამარჯვებაც მოიპოვე! – აღტაცებით შეაქო ძველმა ამხანაგმა.

ფალავანს გრდემლის ზრიალივით ხმა ჰქონდა.

- დიდი კი არაფერია,- უპასუხა მესიტყვემ,- პატარა შემთხვევაა!

- ჰო, მაგრამ სწორედ პატარ-პატარა წარმატებები-საგან შედგება დიდი და სახელოვანი გამარჯვება. იგი განა ერთბაშად მოდის? მით უფრო იმ სფეროში, სადაც მკლავი კი არა, ენაა თავიდათავი; მაგრამ, რაც უნდა იყოს, სულ მუდამ გამარჯვებაც მოსაწყენია; დავეძებ და ერთი კაციც ვერ ვნახე, მკლავი შემიშინოს, მუხლში ძაბუნი ჩამიყენოს. კი, სულ მუდამ წარმატებაც სევდის მომგვრელია. აქ, გულის სიღრმეში, რაღაც ვარამი ბრუნავს და ტრიალებს, ბრუნავს და ტრიალებს... ეგ ხითამბარელი კი ნამდვილი ლომი მეგონა, არადა ქალაქისა გამოდგა!

- ჰო, ასეა,- უპასუხა აბულყასემმა,- ნადირთა მეფესა ჰგავს, მაგრამ ნამდვილი არაა. დახატე ლომი. მერე კეტს კეტი რაც არ უნდა ძალუმად ურაკუნო გამოცდილი მარეკივით, ის ადგილიდან მაინც არ დაიძვრება. ასეთია ძალად მაცხოვრე პოეტის ხვედრი! მაგრამ ეს მას ხელს როდი უშლის, თან იქონიოს ადამიანობის ერთი უმთავრესი საბუთი.

- დიახ,ოლონდ რა არის ის ერთი უმთავრესი საბუთი?



- ადამიანობის ერთი უმთავრესი საბუთი ზრდილობაა. აი, ის თვისება, რომელსაც შენს სამშობლო ზავლისტანში ესოდენ პატივსა სდებენ.

- ჰო, ოღონდ ზავლისტანი ჩემს სამშობლოდ სულაც არ მიმაჩნია.

- კი, მაგრამ იქიდან არა ხარ წარმოშობით?

- იქ დავიბადე, ეგ მართალია; ისიც მართალია, რომ იქ გავიზარდე, თუმცა ჩემი ნამდვილი სამშობლო იქაა, სადაც პირველად ვიგრძენი სულიერი მარტოობა.

- და სად მოხდა ეგ ამბავი?

- ეს იყო ქამიანში, როცა ათიოდე მკლავმაგარი დევგმირი ერთმანეთს დავეტოლენით. იქ გდებული ისტორიული საჯილდაო ქვა ცხრა კაცმა მოსინჯა. ზოგიერთმა მხოლოდ მუხლამდე აჭიმა, ზოგმა ოდენ ქარი გაუტარა ქვეშ, მარტოოდენ მე ავიტაცე მკერდამდის. აი, მაშინ ვიგრძენი, რომ რაღაც გული შემეთანაღრა, რაღაც კვიმატი სევდა შემომანვა – განა ვინა ვარ ასეთი, რომ ჩემი ტოლი და სწორი, ჯუფთი ვაჟკაცი მთელ დუნი-აზე არსად მოიპოვებოდეს?! ბოლო ბოლო ასე მგონია, თითქოსდა ბოროტ დავაქარად გადავიქეცი...

- არა და არა! ასე რაღა გგონია? შენ შენი საქმე გეხერხება და გიყვარს. კაცად კაცმა თავისი საქმე უნდა მოძებნოს და აკეთოს. ცხოვრებაც კარგად გამართული ნისქვილივით სწორედ მაშინ აენყობა, თუ კაცი თავისი ხასიათის შესატყვის საქმიანობას ეწევა.

- ეგ ხომ ეგრეა, - დასტური დასცა ამხანაგმა, - ოღონდაც მაინც როგორღაც გული მიკვნესის და ვერ გამირკვევია, რისი ბრალია? ახლა იმისი იმედი მაქვს, რომ ხმა დაირხა: შორეულ გურჯისტანში, აფხაზ აზ-





ნაურთა შორის, გამოჩენილა შეუდრეკელი დევგმირი კახაბერი. იქ უნდა წავიდე, ეგების იქ მელოდეს ჩემი მხვედრი – ან სიკვდილი, ან გამარჯვება! იქნებ, ვაჟკაცი იგი დამიხვდეს ისე, როგორც მოვარდნილ სეტყვას ქვა-ლოდი დაუხვდება. ჰო, იქ, შორეულ აფხაზეთში, სადაც, დაყიყისა არ იყოს, „ფარშევანგით აჭრელებულ დობიროებს“ ბოყბოყა ხევები კვეთენ, ხოლო ხანგამოშვებით „წვიმს ვარდის წყალი, წვიმად მოსული“, მე შევერკინები ჭეშმარიტ გოლიათს და, ეგების, მისმა მრისხანე ძალამ მაინც მაგრძნობინოს, რომ მეც კაცის ნაწილი ვარ, ადამიანი გახლავარ, მათ შორის გამორჩეული, და არა ავსულთა ნაშიერი დავაქარი...

ბეჭდაუდებელ მოჭიდავეს ნარგიზები<sup>50</sup> ჩაუქრა, სასმელი ოდნავ მოსვა და მწარედ ჩაფიქრდა.

„აი, ნამდვილი გმირი, ლომკაცი, ჭეშმარიტი ვაჟკაცი; სწორედ ის არის პირი იმ ასლისა, რომლის დახატვასაც ჩემს ეპოპეაში ველირები; თუ ოდესმე გოლიათი როსტომის სახეს დავხატავ, მის დედნად ეგ ვაჟკაცი უნდა წარმოვიდგინო. ამის თარგზე შექმნილი ხატება კაცობრიობას უსიკვდილოდ დაახსომდება, მისი სახელი და დიდება დასავლეთით რუმის სამანებს მისწვდება, აღმოსავლეთით ჯეონს<sup>51</sup> გადაცურავს და თურანელთ მოხიბლავს, ჩრდილოეთით აფხაზეთსა და დარიაიე გორზანის<sup>52</sup> კიდევებს მიეხლება, სამხრეთით მისრის<sup>53</sup> ქვეყანას მიაღწევს... სიტყვით შექმნილი გმირის დიდება ხმლით მოხვეჭილ დიდებას აჯობებს და ეს გახდება ჩემი სახე-

50 ნარგიზი – თვალის მეტაფორა.

51 ჯეონი – ამუდარია.

52 დარიაიე გორზან – ქართველთა ზღვა.

53 მისრი – ეგვიპტე.



ლის უკვდავების საფუძველიც... კაცისმიერი ქმნილება რომ კაცზე მეტი არ იყოს, მაშინ არც უკვდავება იარსებებდა...“ - ფიქრობდა აბულყასემი.

როცა სათავისო ფიქრებიდან გამოერკვა, ყური ნაჰკრა დევკაცის მიერ ნათქვამ ცალკეულ ფრაზებს:

- რალაც გამოუვალი სევდის კვიატი შემჩენია, გულს მიღრღნის... რალაც დაუფერებლობის იშტა მანუხებს, თავს მახეზრებს. არადა თითქოსდა წყნართა და ჭკვიანთა, არახელთა ჯიშ-ჯილაგისანი ვართ ჩემი სახლობისა და გვარის ნაშიერნი. მეც ყმანვილკაცობაში კარგი ბიჭი ვიყავი, დამჯერე, თვინიერი, თუმცა მთლად ისეთიც ვერა, მამას ფეხის გულზე კოცნით რომ აღვიძებენ... ახლა კი ეს მოურჩენელი გულის იარა, დაუძლეველი ლტოლვა ღირსეული მეტოქის მოძებნისა არაქათს მაცლის და იმის შიშსაც მინერგავს, ვაითუ წკიპზე შემდგარ კაცს რაიმე ხათა შემყაროს...

მერმე აბულყასემმა „ქეი-ქაუსის“ თავისეული ვერსიის წყობილ მარგალიტად ქცეული ნაწყვეტები წაიკითხა და, როცა ჯამათის მხურვალე ტაშით გამხნეებულმა თხრობა დაასრულა, შენიშნა: შირინივით ტკბილი რიჟრაჟი დგებოდა. აბუ დოლაფს გულმხურვალედ გამოეთხოვა, მეყავახანეს მძიმე ქისის რგუნებისათვის მადლობა გადაუხადა და კადაშასთან ერთად გარეთ გამოვიდა.

თენდებოდა და სინამდვილეს უბრუნდებოდნენ ღამეულ ზღაპრებში ნამოგზაურები მთები და ქალები, ტყენი და მდინარენი; გრუზა ღრუბელი ჰორიზონტთან ისე განელილიყო, თითქოსდა ცაზე სახნისი გადაატარესო.

## თავი მესამე

აჯამს სხვადასხვა თავყრილობაზე, ყავახანებსა და სამიკიტნოში ხშირად ინვედნენ და ზოგჯერ მძიმე ქისასაც არგუნებდნენ. მან მოულოდნელად აღმოაჩინა: სახელოვანი აშული<sup>54</sup> გამხდარიყო. თავისუფალ დღეებში დილის საარიდან მწუხრის ლოცვამდე წელმოხრილი იჯდა და სიტყვებს ერთმანეთს უხამებდა, იმჟამად გამოსახატავი ამბისა თუ სიტუაციის შესადარ, ზედმიწევნით შესატყვის რიტმს დაეძებდა. კარგა ხანია შენიშნა, რომ ამ საქმეში რითმა უდიდეს წარმმართველ როლს ასრულებდა. მაინც უფრო მეტ პატივს პოეზიის მონარქს<sup>55</sup> მიაგებდა, რადგან იცოდა: რიტმი მხატვრული ქმნილების სისხლია, ხოლო რითმა – სამკაული, სამშვენისი; პირველი აუცილებელი და სისტემური ფენომენია, მეორე – შემთხვევითი და არააუცილებელი ელემენტი, მაგრამ იმდენად, რამდენადაც შეეძლო რიტმის შექმნაში უდიდესი როლის შესრულება, მის გამდიდრებასა და გამრავალფეროვნებაზე ზრუნავდა. ამიტომაც ცდილობდა, ისეთი რითმის-ნინა სიტყვები მოენახა, ისინიც თანხმიერი გამოსულიყვნენ და საერთო ჰარმონიას სწორედ ისე შერწყმოდნენ, როგორც მზის სისტემის ცთომილნი მოძრაობენ უხმაუროდ, აწყობილად და ყოველგვარი კონფლიქტის თვინიერ. „ჩემი ლექსიც კოსმიურის ნაწილია და ისიც კოსმიურ ჰარმონიას უნდა შეერწყას, შეუერთდეს და ხელი შეუწყოსო“, - ფიქრობდა წუთჟამიერი შეყოვნებისა და სარითმო წყვილეულის ძიების დროს. იგი მიხვდა, რომ

54 აშული – სახალხო მომღერალი და მელექსე.

55 პოეზიის მონარქი – რიტმი.



ამგვარი რთული რითმების მიგნება ფაქტობრივად მშობლიური ენის წიაღში სამეცნიერო გაღწევა იყო. დიახ, ეგ გახლდათ მეცნიერება. „ცუდი მეცნიერება გვაშორებს პოეზიას, კარგი – გვაახლოებს მასთან“, - დიდი ხანია ასე მიაჩნდა მესიტყვეს და როსტომის პირველი საგმირო საქმის ასახვის მხატვრულ ხერხებსა და ილეთებს დაეძებდა, ცალკეულ მიგნებებს ინიშნავდა, ეპითეტებს, მეტაფორებსა და შედარებებს გულში იმეორებდა, ხვეწნდა და აშალაშინებდა, რა არის, ქალაღზე საკმაოდ დასრულებული და მომნიფებული ტექსტი გადაეტანა და ამით როგორმე ხარჯი შეეცოტავებინა.

ამასობაში კიდევ რამდენიმე გრძელი წელიწადი გავიდა და სახელოვანი მესიტყვე „ვარჰალალოში“ ისევ მიიწვიეს. ამჟამად ნაყალობას ვეღარ შეჰკადრებდნენ და სტუმრისა და სახალხო აშულის სტატუსით ინვევდნენ, საკმაოდ გაბერილ ქისებს სთავაზობდნენ და უკვე საკუთარი ქმნილებების ნაწყვეტების ნაკითხვასა სთხოვდნენ. ერთი სიტყვით, ისეთი დრო დაუდგა, რომ იმჟამად მისთვის ქონა-არქონა საკითხავი სულაც არ იყო. ძალად მაცხონე პოეტი და ნაყალი გოლლეტ ხითამბარელი კი დაძვრებოდა, საკუთარ ქისას ამდიდრებდა და თან პარალელურად აბულყასემს ათასგვარ ჭორს უთხზავდა, ჩირქსა სცხებდა, აძაგებდა, მის ტექსტებს უგემოვნოს, ყალბსა და პათეტიკურს უწოდებდა. ჰეროიკა, რომელიც ლირიზმს არის მოკლებული, დღეს პოეზიად აღარ ითვლება; ჰომეროსის ეპოქა, კარგა ხანია, დასრულდაო!

აჯამს უფრო მეტად ეგ ბოლო შენიშვნა უკლავდა გულს. მას ხომ სწორედ ნაციის ჰეროიკული სულის ჩვენება სწადდა, გარდასულ ჟამთა და მეფეთა გმირუ-



ლი აღტკინების წარმოსახვა სურდა და, თუ ამ ამოცანას ვერ გადაწყვეტდა, მისი საქმე წასული იყო. „წარსული უნდა გაიშალოს, როგორც დროშა, რათა ერი მის ირგვლივ დაირაზმოს“, - ფიქრობდა იგი. ლირიკული წინაღვლელი, ნამეტურ მაღალმხატვრულად შესრულებული, დიახაც ხიბლავდა, ოღონდ მისი სულის შინაგან გამოძახილს ვერა და ვერ უპასუხებდა – მისი სულისკვეთება კალმის ეპიკურ ჭენებას ესათუებოდა და ამიტომაც ჯიუტად განაგრძობდა სიტყვათა წიაღში არა ლბილი ტყვიის მადნის მიგნებას, არამედ ფოლადისა და აღმასის საბადოთა აღმოჩენას. „არა ტანჯული სატრფო და მისი ლირიკული მედიტაციები, არამედ მძლეთამძლე გმირი და მისი ჰეროიკული სულისკვეთება – აი, ჩემი საბოლოო და უარუთქმელი მიზანი!“ - ფიქრობდა ჰაქიმი.

ამას წინათ თუსის ბაზარბაშს ერთი ტიკჭორა ვაზის ნითელლოყება ასული გამოეგზავნა, ათიოდე დინარი ბედ მოერთმია და შემოეთვალა: საგაზაფხულო ბაზრობის გახსნის დღესასწაულსა ვზეიმობთ, წარმოდგენებას ვანყობთ; სახელოვანი ფალავნების ჭიდაობა გაიმართება, დიდძალი ხალხი შეიკრიბება და მწადია, ჯამაათს თქვენი სიტყვიერი ხელოვნების მაზაც ვუჩვენოთ, რა არის, სამმა ღონისძიებამ უფრო მეტად დააინტერესოს და ვაჭრობის სეზონის დასაწყისიც ეფეხბედნიეროსო.

- კადაშა თუ მონაწილეობს? – ჰკითხა ჰაქიმმა შათირს.

მსახური წელში მოიხარა:

- დიახ, ბატონო, უიმისოდ ჭიდაობა გინდ ჩაგიტარებია და გინდ არა, მაინც არაფრად ჩაგივლიან; მთელი ეშხიც სწორედ ისაა, რომ ეგ სახელოვანი მოჭიდავე



ცნობილი ნაყალისა და მოშაირის გოლლეტ ხითამბარელის ფალავანსა ხვდება.

- აჰ, გოლლეტ ხითამბარელისა?
- დიახ, ჩემო ბატონო!

- კეთილი, მაშ, გადაეცი, რომ უსათუოდ მოვალ და ღონისძიებაში მონაწილეობას მივიღებ, ოღონდ ერთი პირობით – კადაშა საჭიდაოდ უნდა გამოვიდეს, როგორც ჩემი – აბულყასემ ფირდოუსი თუსის – ფალავანი!

- კეთილი, ჩემო ბატონო, ჩემს პატრონს ასედაც მოვახსენებ; მეტს ხომ არაფერს დამაბარებდით?

- გადაეცით ჩემი საუკეთესო სურვილები თქვენს პატრონს და იმის იმედი, რომ ეგ საგაზაფხულო ზეიმიც ისე კარგად ჩაივლის, როგორც არაერთი სხვა, მის მიერ გონივრულად მოწყობილი და ორგანიზებული!

- კეთილი, ბატონო, ასეც მოვიტყევი!

შათირი წავიდა, ხოლო აჯამი ჩაფიქრდა:

„გოლლეტ ხითამბარელი - აი, ცხოვრების კიდევ ერთი გამონვევა. იგი ჯერ კიდევ როდია დაძლეული. საამისოდ საჭიროა ჩემი შემოქმედების ხალხში გატანა და საარაკო პოპულარობის მოხვეჭა. მაშ, ასე, როსტომისა და მისი ნაშიერის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების ამბის გალექსვა სწორედ იმ დღისთვის უნდა მოესწროს; ვინძლო ეგ ეპიზოდიც ისე გულისა გასაგმირეთა გამოვიდეს, როგორც მისი პირველი და სხვა სახელოვანი გმრობების ამბავი“.

... და თავი ქალაღზე მძიმედ დაიხარა, დაბლა დაიხარა და კალმის წვერმა ძველი ამბავი მოფხოჭნა, მამა-შვილის სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინების ამბავი...

დათქმული დღეც დადგა.



აჯამმა ხელში ქალღმერთის რამდენიმე დასტა დაიჭირა და ბაზრობას მიაშურა. ოდნავ შეაგვიანდა და შენიშნა: ღონისძიების მტეს ხერხი გამოეძებნა – მუსიკის ტკბილ ჰანგს უკრავდნენ და ოთხი ჯერო უწვევრული ახალგაზრდა „სამაიას“ თავდავინყებით ცეკვავდა, ისე ცეკვავდნენ, ანგელოზები გეგონებოდათ. ილეთების გერგილიანად შესრულებას მაყურებელი, რომელიც ბლომად შეკრებილიყო, აღტაცების შეძახილითა ხვდებოდა; და მოედანზე წამდაუნუმ გაისმოდა: ჰე-ჰე-ჰე! ჰო-ჰო-ჰო! ჰაი, გიდი! შენი ჭირიმე, შენი! ე მაგ მოქნილ მკლავებსა და მარდ ფეხებში გენაცვალე! დახე, ყელი რა გედივით მოუღერებია?!

და ჰაქიმმა იგუმანა: მოხუცი დარბაისელი პატივისცემას იმსახურებს, ლამაზი ახალგაზრდა – აღტაცებას. აღტაცება კი უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე პატივისცემის გრძნობაო.

და აღტაცებულმა აშულმა თავს შართი<sup>56</sup> მისცა: დღეს ამ ზღვა ხალხის წინაშე განსაკუთრებული გზნებითა და მკაფიო დიქციით წაიკითხავდა საკუთარ ნახელავს, რათა თავისი შემოქმედების ხალხზე ზემოქმედების ძალა ერთხელ კიდევ შეემონმებინა. ახლა პოემა-ეპოპეა, რომელსაც „შაჰ-ნამე“, ანუ „მეფეთა წიგნი“, უწოდა, თითქმის სანახევროდა ჰქონდა დაწერილი.

დასრულდა ცეკვა.

მოვარდა ბაზარბაში და პოეტ-აშულს სახელოში ხელი ჩაჰკიდა, ამაღლებული ფიცარნაგისაკენ წაიყვანა. იქითკენ მიმავალმა ჰაქიმმა თვალი ჰკიდა საპატიო ადგილას მჯდარ გოღლეტ ხითამბარელს, რომელიც მას მო-

56 შართი – პირობა.



სულელო დევის დამცინავი მზერით მიაცილებდა; იქით, ბაზრის გვერდით განოლილ მტვრიან გზაზე, აქლემების ქარავანი მიიზღაზნებოდა. ისმოდა ეჭვნების ჟღარუნი და ზანზალაკების ნკარუნი; დროდადრო ასევე სივრცეს გაჰკვეთდა ხოლმე ქარავანბაშის მხნე შეძახილი, რომელსაც ცხენის თოქალთოსთან სალოცავი ჭრელხატულა ნოხი მოუჩანდა; ალაგ-ალაგ მზეზე ზიმზიმებდა ისფაჰ-ანური ხალიჩების ჭრელი წინა პირები, ელავდა ყელყარყარა ქაშანური სურები, კრიალებდა მოზრდილი დოქები და კოკები, ჭარიკები; თულუხჩი<sup>57</sup> ბიჭი სპილენძის თუნგულას დაატატავებდა და მწყურვალ კლიენტს დაეძებდა.

მონესემ აშულის სახელი გამოაცხადა თუ არა, ატყდა ტაშისცემა. ამან ჰაქიმს რწმენა და ძალა შეჰმატა: „მაშ, უკვე საკმაოდ მიცნობენ და არაერთი თაყვანისმცემელიცა მყავს. ეგ კარგია, ცუდი როდია!“ - გაიფიქრა და ზეალმართულ ფიცარნაგზე მტკიცედ დადგა, დადგა, როგორც მყარი და მარად აუღებელი ძეგლი. მისი ეს საქციელი თავად მასვე ეთამამა. ამავე დროს, ამეტყველდა მკაფიოდ, სიტყვებს ხმამაღლა წარმოთქვამდა, ხოლო ფრაზებს, როგორც აღმავალ აღმართებსა და დაღმავალ დაღმართებს, ხელს ზევით-ქვევით აწევ-დანევით აყოლებდა; მიმიკრიაც სათანადო ჰქონდა და ჯგრო მალე მისი ტყვე, მონა-მორჩილი და ბანდაყული შეიქმნა. მამა-შვილის შეტაკების მოლოდინში ზოგმა მკერდში მჯიღიც კი ჩაიკრა. აი, მოკლა დევგმირმა საკუთარი შვილი, გაუხსნა გულისპირი და ახლად იხილა მისეული ნიშანი, იცნო, მიხვდა, რაც დაემართა, სრულიად უმწეომ, უილაჯომ, უნირომ და სულიერად გასავათებულმა ზეცას ახედა...

<sup>57</sup> თულუხჩი – წყლის გამყიდველი.





ჰაქიმის ბაგეთაგან ცრემლით გალუმპული სიტყვები იღვრებოდა, საცოდაობის წამლევავ მდინარესა ქმნიდა და გრძნობიერ ადამიანთა გულები მიჰქონდა.

ჰაქიმმა თხრობა შეწყვიტა. ისე იდგა გაფითრებული და კრიჭაშეკრული, თითქოსდა საკუთარი ნაშეიერი როსტომს კი არა, მას მოეკლას და იმ წამს სინანულით გაიფიქრა, რომ სპარსულ ენას არ მოეპოვებოდა როსტომგმირის იმჟამინდელი ტკივილების გამომხატველი ყველა შორისდებული.

ჯამათს მისი ეს პოზაც ძლიერ მოეწონა, ესულგულა, ესეც ტრაგიკული შემთხვევის ორგანულ ნაწილად მიიჩნია და აქვითქვითდა, ზოგმა სახე დაიკანრა, ღანვი ჩამოიხოკა. ერთი მსმენელი ადგილს მოსწყდა და მთხრობელთან მიიჭრა:

- ნაყალი მორშედ რაჰიმი ვარ, - შეჰყვირა მან, - მაგრამ ისეთ სიავეს, შენ რომ დღეს ჩაიღინე, არასოდეს ვიზამ; იცოდე, ამაღამ ჩემს ხანჯალს ვერ გადაურჩები!

- რას მერჩი, ისეთი რა დაგიშავე? – ჰკითხა განცვიფრებულმა ჰაქიმმა.

- იმასა გერჩი, რომ ავი და ბოროტი ვინმე ხარ, ზურაბი მოსაკლავად როგორ გაიმეტე? კეთილი, მამამისმა ის ვერ იცნო, მაგრამ შენ ხომ კარგად იცოდი, ვინცა იყო, და ჩვენ თვალწინ ასე დაუნდობლად როგორ განგმირე?!

- აბა, რა მექნა?!

- ეგ ადგილი, მკვლელობის ეგ სცენა, უნდა გამოგეტოვებინა; აი, როდესაც მაგ ამბავს მე წავიკითხავ, სწორედ ასე მოვიქცევი!

მორშედ რაჰიმი ფიცარნავს მოშორდა. სიბრაზის გამო კბილს კბილზე აკაპკაპებდა. ხალხი კი ისევ ღმუ-



ოდა, მკერდში მჯიღს იბრაგუნებდა, ცრემლს ღაპალუპით ღვრიდა და იყო ერთი ვაიუშველებელი და ჰაიჰუი.

გოლლეტ ხითამბარელს ბრაზისაგან სახე დაღმეჭოდა, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ბრბოს ღრიანცელი ამის საშუალებას არ აძლევდა, ბოლოს ხელი ჩოთირად ჩაიქნია და ვითარებას მინებდა, ჭიდაობის დაწყებას დაელოდა და მეტოქის წარმატების გამო მოგვრილი ელდის განეიტრალებას თავისი ფალავნის მოსალოდნელი გამარჯვებით აპირებდა.

როგორც იქნა, ხალხი დაცხრა, დაშოშმინდა, ცრემლრეული თვალი შეიმშრალა და ახალი დაპირისპირებისა და ორთაბრძოლის – ჭიდაობის – საყურებლად შეემზადა. იგი მართლაც საინტერესო უნდა გამომდგარიყო, რადგან დღემდე არც ხითამბარელის ფალავნის ბეჭებმა იცოდა, თუ რა იყო მინა ანდა ხალიჩის ზედაპირი; მას უკვე ტანთ გაეხადა, ნელს ზემოთ სრულიად შიშველს ლომის ვეებერთელა ტორები მოუჩანდა, განიერ მხრებს ლალად მიარხევ-მოარხევდა და კუნთებს ძალუმად ათამაშებდა. „ამის მომრევი ვაჟკაცი, ალბათ, მთელ დუნიანზე ვერ დაიძებნებაო“, - ფიქრობდა ხალხი. პირველად აბულყასემიც კი შეეჭვდა, ჩემს ფალავანს ამისი დაძლევა გაუჭირდებაო, მაგრამ მერმე, როცა ფიქალმკერდიანი და ბეჭებფართო, თუჯივით ჩასხმული კადაშა გამოვიდა არენაზე, რომელსაც ფასკუნჯებიანი უზარმაზარი ნოხი წარმოადგენდა, ეგ ეჭვი გაუქრა.

ასპარეზობა ისე საინტერესო არ გამოდგა, ხალხი რომ ელოდა – ფალავნები ურთიერთს მიესალმნენ, ერთმანეთისაკენ მედგრად დაიძრნენ და, ყველას გასაკვირად, ხითამბარელის ფალავანი უცებ კადაშას მკლავთა მარ-



ნუხში აღმოჩნდა, ოღონდ ეგ მარნუხი პატრონის თავს ზევით იყო მოქცეული და მისი ტყვე უმწეოდ ფართხალეებდა, ფეხებს ჰაერში უთავბოლოდ ასავსავებდა. იგი ისე განწირული ჩანდა, როგორც გვიანი შემოდგომის დღე საღამოს ხუთი საათისათვის. მძლე ფალავანმა მძიმე ტვირთი შანიშინის წინ მოიქნია და ხალიჩის კიდეს, სწორედ იქ, სადაც ფასკუნჯის ფერადი ფრთა მთავრდება, დაახეთქა. გაისმა მძიმე სხეულის დაბეყვების ხმა და ხითამბარელს თვალთა შუქიც ჩაუქრა. აშკარა გახდა – ეს დღე მისი არ იყო! იგი კრიჭაშეკრული ადგა, ბაზრის გასასვლელისაკენ ნატუსტუსდა, ამ ბოლო დროს როგორღაც გვერდელა სიარული დასჩემებოდა; ასე გაიცურცლა და განერიდა იქაურობას – იქაობა კი აბულყასემისა და კადაშას დიდებას შეევესო, მთლიანად და უკლებლივ მოეცვა; ყველგან ამათი სახელები გაისმოდა; ხალხი უკვე მხიარულად მასლაათობდა, იცინოდა, ხალისიანად ხმაურობდა. ჰაქიმმა თავისი ფალავანი გადაჰკოცნა, გულმხურვალედ გადაეხვია, მიიძმო და მიისათუთა.

ბაზარბაშმა, დაპირებისამებრ, ორივეს მძიმე ქისა აჩუქა და ბასტა – მათი იმდღევანდელი დანიშნულებაც ამით ამოიწურა. თავისუფლები იყვნენ, საითაც ენადათ, იქით გასწევდნენ და, რაიც უნდოდათ, იმას მოიმოქმედებდნენ. ბაზრის მიჯნებს გამოსცდნენ და უცებ ჭიდაობის ოსტატი შედგა, შეყოვნდა, ამხანაგს გულმხურვალედ მიმართა:

- ერთი რამ სათხოვარი მაქვს და ნუ გამაწბილებ!
- მითხარი, რა არის ეგ სათხოვარი?!
- დღეს ჩვენ ორი ქისა დავიმსახურეთ, მაგრამ, თუ ძმობაა, ორივე ერთისა უნდა გახდეს!



- ბაშ უსტა, დავი არა მაქვს; აგერ ჩემი ქისა და, რაკილა დაგჭირვებია, ღმერთმა კეთილად მოგახმაროს, - გაულიმა ჰაქიმმა. მერმე თამამად დაუმატა: - მე დღეს ჯილდოდ ისიც მიეყოფა, ხალხის მხურვალე მხარდაჭერა რომ დავიმსახურე. მგოსანს ეგ ჯილდო უფრო მეტად უღირს, ვიდრე თუნდაც სულთნის ხელმწიფური საჩუქარი!

- არა, კაცო, მაგას კი არა გთხოვ, მსურს, ჩემი ქისაც შენ დაინარჩუნო – ოჯახი გაქვს, ღარიბულადა ცხოვრობ. ასეთია კალმის ფალავანთა ხვედრი. მე კი არარა მჭირდება, მე ვარ და ჩემი ნაბადი! მარტოკაცი ვარ, ეული, უოჯახო, სალთი კაცი, შვილი მე არა მყავს და ძირი... მე მხოლოდ იმად დავვხეტები ქვეყნით ქვეყანაზე, ეგების, ჩემი ტოლი და სწორი მოჭიდავე ვიპოვო და დარდი ამით შევიმსუბუქო; ნუთუ მართლა დევის ნაშიერი ვარ და არა ადამიანისა? აი, რა მანუხებს, გულიც რამ შემვივარამა...

კადაშამ თავი მწუხარედ ჩაჰკიდა. მერეღა, თითქოსდა რალაც კარგი და იმავდროულად მნიშვნელოვანი რამ ნამოაგონდაო, თავის ბრტყელ და განიერ ჯიბეში ხელი ჩაიყო და იქიდან მძიმე ქისა ამოაძვრინა, ამხანაგს მუდარით მიაწოდა.

აჯამმა ფული ჩამოართვა, მერმედ თვალი თვალში გაუყარა, უთხრა:

- რაკი ეგრეა, მოდი, სიკეთე მიყავი და ჩემი აწინდელი აზრი გაიზიარე: ნავიდეთ, ქალაქგარეთ ბალებში ქეიფი გავსწიოთ, გემოზე მოვილხინოთ, ჩვენი მეგობრობისა და ამდღევანდელი გამარჯვებისა შევცვათ, ჩვენ-ჩვენი გულისტკივილი ერთურთს გავუზიაროთ და მთელი ჩვენი ფული ამ საქმეს მივახარჯოთ. ასე უფრო უპრიანი იქნება!



ეგ აზრი მოჭიდავესაც მოენონა და ყაბულს გაუხდა. მათ ერთმანეთზე ნახურხლული სახლების გასწვრივ გამავალი ქუჩაბანდი გაიარეს და რამდენიმე წუთის შემდეგ ბაღრა-ბაღებით ანალკოტებული მიდამო გადაჭრეს. უფრო ფართო ბილიკი შეარჩიეს და მალე სავაჭრო ფარდულს მიადგნენ. მეპატრონე კლიენტებს დიდი ფაცხაფუცხით გამოეგება. ღირსეულ სტუმრებს კარგი მასპინძელი შეშვენისო, - გაუღიმა და მუხების კორომისაკენ გაუძღვა, იქ მრგვალ თალარში შეიყვანა და დასხა, თვითონ კი უკან კისრისტეხით გაიქცა, რათა შეკვეთილი საჭმელ-სასმელი, რაც შეიძლება, სწრაფად მოეტანა.

თალარი ქსოვილით იყო გადახურული და, როცა ქარი შემოუბერავდა, ტილოს ტენტს ტლაშატლუში გაუდიოდა. იქვე, შორიახლო, მუხაზე, ყვავები ფრთხილებდნენ და ბილწსიტყვაობდნენ.

მეგობრები მცირედ ამალლებულ ადგილას, ბექობზე, ისხდნენ. ბექობს მუხის კორომი ქოლგად გადაჰფარვოდა, ოღონდ ხეთა ვარჯებს შორის იქით, ქვევით, მაინც მშვენივრად მოჩანდა ვრცელი ლურჯი წყალსატევი – დიდი ტბა; მოსაღამოებულისყო და დაღლილი მეგობრები შორეული წყლის ფირუზს მიაშტერდნენ. ზღვასავით ვრცელი ტბის შუაში ზურმუხტისფრად ამწვანებულიყო კოპნია კუნძული. აქედან ისე ჩანდა, თითქოსდა კეკლუც პატარძალს ზღვის აბაზანა მიუღია და ახლა წყლიდან ნახევრად ამოსულაო.

ჰეი, გაზაფხულო, ისე ძალუმ ამწვანებულ-ახასხასებულხარ, თითქოსდა ღმერთს წელიწადის სხვა დროებისათვის ძალა წაურთმევია და შენთვის უბოძებიაო! მოდი,



მო, გაზაფხულო, ზურმუხტის ტახტზე შენს დაბრძანებას გაუმარჯოს!

ქულბაქის მეპატრონეც მალე გამოჩნდა, იატაკის სანმენდი ჯოხივით მედგარი კაცუნა იყო, თან პირ-თამდე გალიცლიცებული ბერიკაცი მოჰყვა, სუფთად და კოპნიად ჩაცმული. ბებერ მსახურს ხელთ ლანგარი ეჭირა, რომელზეც ენყო საჭმელ-სასმელი და ნუგბარი. მათი ჩამოლაგების მერმედ ქორვაჭარ მეპატრონეს ახალი დაკვეთის მოლოდინში პირი ხაფანგივით დაელო. რაკილა მორიგი ბრძანება ვერ მიიღო, მსახურითურთ უკან გაბრუნდა, თუმც კი ეს დაიბარა: მალევე მოგაკითხავთ და მოგხედავთო.

- დღეს ღმერთმა მადლი ჩვენზე მოიღო, - თქვა მოჭიდავემ და ზუფანი გადაიძრო, იქვე, სკამსაჯდომის კაუჭზე, ჩამოჰკიდა, მკლავები დაიკარნახა და საქეიფოდ შეემზადა. ვერცხლეულის ჯამ-ჭურჭელი ვერცხლზე მეტად ბრწყინავდა და მიხვდნენ, რომ ვერცხლისა არ უნდა ყოფილიყო.

- შენიშნე? - თქვა ჭიდაობის ოსტატმა, - ქულბაქის მეპატრონე ხარბია, ფულით ვერ გამძღარა. ესე იგი, ფული ფულსა დაეძებს! - დაასკვნა მან.

- აი, ხომ ხედავ? - უპასუხა სიტყვის უსტაბაშმა, - სურათი ერთია და მოსაზრება - ორი: მე მგონია, აქ მთავარი ისაა, რომ მეგობარი მეგობარს დაეძებს!

კადაშა მიუხვდა და მადიანად გადაიხარხარა.

- ჰო, სურათი ასეც შეიძლება დავინახოთ, - თქვა მან. პურობამ მთელ ღამეს გასტანა.

ორივე თავ-თავის ხვედრზე ჩიოდა. განსაკუთრებით ემნუთხებოდა ეს ცხოვრება ჭიდაობის ოსტატს, შეურვე-

ბული გულის ტკივილზე წამდაუნუმ ჩამოაგდებდა სიტყვას. კალმის ოსტატი კი სანუთროს ორგემაგე ბუნებაზე საუბრობდა. ბოლოს რუდაქი გაიხსენა, მისი ლექსით სცადა მოყვასის დაწყნარება-დამოშმინება, შეურვებულ ამხანაგს გაუღიმა, როსტომ-გმირის ეპითეტი „მძლეთამძლე“ უწოდა და წარმოთქვა:

**ნუ მიენდობი ცხოვრებას ალალი გულის ამარი!**

**ერთი თვალთმაქცი ვინმეა, ერთი მზაკვარი რამ არი.**

ამ საუბარს მეპატრონე და მისი მსახური ბერიკაცი შეესწრნენ. ისინი მორიგი ბრძანების მისაღებად მოსულიყვნენ. გადალასლასებულ მოხუცს ცრემლები წასკდა. ქორაკანდელის შუქზე ისინი მარგალიტებივით ბრწყინავდნენ.

ჰაქიმა ჯერ ბერიკაცს ახედა, შემდეგ მის პატრონს მიაჩერდა:

- დიდად გულალალი და გულჩვილი მსახური გყოლია. ამქვეყნად ასე მგრძნობიარე სხვა არავინ მინახავს.

- არა, ჩემო ბატონო, - თავაზიანად უპასუხა მეპატრონემ, - დედამინის ზურგზე ყოვლის უფრო მგრძნობიარე არის ფული!

ჰაქიმი გასახტავდა. მისთვის კაცობრიული ეკონომიკის მთელი ალგებრა უცებ გახდა ცხადი.

კადაშამ კი ამხანაგს ნიშნისმოგებით შეხედა.

მეპატრონე და მოხუცი რომ გაილაღნენ, გულშეურვებულმა „მძლეთამძლემ“ კვლავ გაიმეორა თავისი წელანდელი ნათქვამი:

- ფული ფულს დაეძებს-მეთქი!

ჰაქიმს არაფერი უთქვამს.



ამის შემდეგ მეგობრები შავარშიაშემოვლებულ წარსულში გადაიხაფრნენ – სინანულით იხსენიებდნენ გარდაცვლილ ძვირფას მშობლებს, დებს, ძმებს, ახლო ნათესავებს, გულისგულ ამხანაგებსა და მოყვასთ...

მერედა ის იყო, შერიჟუნდა. ცაში ღვთის ნათელი დატრიალდა, ერთმანეთში აირია ხასხასა წითელი, სპეტად თეთრი, ლურჯად გადაფიჩინებული ფირუზი და ახალგამოფხიზლებული მალაქიტი.

დილა აფხაზურ ჭრელ პეპელასავით შემოფარფატდა, მათ წინაშე დასკუპდა და ხელის ერთ აქნევას დაელოდა, რათა გაფრენილიყო.



## თავი მეთექვსმეტი

დიდი გზა და სარბიელი ადამიანს ძალასა ჰმატებს. აბულყასემმა თავადაც არ უწყობდა, საიდან მოზღვავებოდა ამდენი ენერგია. ღარიბი დეჰყანის მძიმე ფიზიკური შრომით, სამწერლობო ფიქრითა და კალმის ტრიალით არა და არ იღლებოდა. ამასობაში ვაჟიშვილი ნამოეზარდა. ახლა მისი ცხოვრების მოწყობაზე უნდა ეზრუნა, ვინძლო მამასავით ძნელი და უბედური ცხოვრების გზა არ შეხვედროდა. მაგრამ ნათქვამია: კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. მოსწრებულ ნაშიერს საცოლვე ვერა და ვერ შეუღრჩია, საამისოდ არც ვინმე მაჭანკალი დაინტერესებულა. ჯველის მონიფულობა მალე ვადაგადასულობაში გადაიზარდა – 30 წლისა მოყრილიყო და ცოლი ჯერ კიდევ არა ჰყავდა. ერთ დღეს, როცა შვილის მომავალზე ფიქრობდა, უცებ გულმა რეჩხი უყო – ემანდ არ ეგონოს, მამამ მიგანაო, და ამის შემდეგ უფრო ბეჯითად ამოქმედდა: ვინც კი შუამავლები იყვნენ, ყველას ჩამოუარა, სათანადო საჩუქარს შეჰპირდა, ოღონდ კი მისთვის ესაშველათ. ერთხელაც მამამ მემკვიდრე თავის სამუშაო ოთახში იხმო, „ხვადაი-ნამეს“ ფოლიანტი გვერდზე მიწია და დაელოდა.

ვაჟიშვილი ოთახში შემოვიდა.

ჰაქიმს ასე მოეჩვენა, თითქოსდა კარი გაიხსნა და სამყაროს მთელი სინათლე და სითბო შიგნით შემოიჭრაო. მშვენიერი ყმანვილკაცი იყო: თვალეები დედისა გამოჰყოლოდა – კოლხურ ღამესავით კუმკუმა შავი; ბეჭებგანიერი და წელმალალი ტანს ოწინარივით სწორად იჭერდა; სახეზე რომ შეხედავდი, უმალ მიხვდებოდი: იმი-



სი ყველა ნაკვთი იმასა ცდილობდა, შენში მათი საქებარი საუკეთესო სიტყვებისათვის მიეგნო. „კარგია, - გაიფიქრა აჯამმა, - არადა მისი დაქორწინება დამიგვიანდა. არც თვითონ უაქტიურია, უფროსთა დამჯერე და მორჩილი სულის პატრონია, მშობლის წინაშე მუდამ ისე თავდახრილია, როგორც ჩემი კალამი; არც საჭმელ-სასმელზეა დახამაცებული: იშვიათად თუ მიირთმევს, ისიც ზომაზე ოდნავ ნაკლებს, დედასავითაა. თანაც ეს არეულობები რომ დაიწყო და ხალხმა დაშნის სადავეს ჩაავლო ხელი?! ეგ ხომ ცხოვრებას გაურთულებს. ჩემს შვილსაც მოუწევს სანუთროს მძიმე ვალის აღება და მერმედ გადახდა“.

მართლაცდა, მთელს ირანში არეულობათა და რევოლუციის ხანა დაიწყო. ეს არის დრო, როცა ხმამაღლა ყველა თავის სიმართლეზე ლაპარაკობს, ოღონდ შინაგანად ყველა თავს დამნაშავედა გრძნობს; ეს არის დაბნეულობის ხანა. თვითონ აბუღყასემიც დაბნეულად გამოიყურებოდა და მის ფიქრში წარსულიც დაბნეულად ლაპარაკობდა.

დაიწყო ომიანობაც.

ომიანობის დროს ტყეში ღვთაების სუფევაა, მინდვრად ეშმაკი დაქირქილებს; მშვიდობიანობისას პირიქითაა: ეშმაკი ტყეში დაჩინდრიკებს, მინდვრებს კი ღვთის თვალი დასტრიალებს.

- შვილო, - მიმართა აჯამმა იქვე მოკრძალებით მდგარ ვაჟკაცს, რომელიც ყმანვილკაცობიდან უკვე ძალიან შორს იდგა, - როცა დედა გარდაგეცვალა, მაშინ სულ მთლად ჭყინტი ბავშვი იყავი...

შვილმა მამის საუბრის გორგალს თავი დიდხანს ვერ მოუძებნა და მშობელს გაურკვეველი მზერა მიაპყრო,

რომელსაც ისევე გაურკვეველი ფერი ჰქონდა, როგორც ზღაპრულ ფასკუნჯს.

- ჰო, ის მინდა ვთქვა, - განაგრძობდა თავის აბნეულ სათქმელს ჰაქიმი, - რომ დიდი ხანია დროა, და დროზე მეტიცაა, ოჯახი უნდა შეგექმნა... დავაგვიანეთ და ახლა ეგ საქმე უნდა დავაჩქაროთ. მაშვლებს დავავალე და, იმედია, მალე გამოგვიძებნიან ჩვენს შესაფერის ქალწულს ჩვენი ოჯახის თანასწორი ოჯახიდან... პოეტთა მეფე ონსორი სამართლიანად ბრძანებს თავის უკვდავ პოემა „ვამეყ და აზრაში“ - ყოველმა თავისი ჯუფთი უნდა მოძებნოსო. როცა ნყვილი ერთმანეთის შესატყვისია, სწორედ მაშინაა ბედნიერების მეტი გარანტია. საერთოდ კი ბედნიერება მიუწევნელ ჰორიზონტსა ჰგავს: მისკენ მუდამ მიილტვი, ოღონდ ვერც ვერასოდეს მიეახლები.

ჰაქიმმა ღვინიანი თასი ხელში აიღო. ღვინო მცირე-დრე ამჭახებულებო და ფუთქური მისძალებოდა, პატარ-პატარა ტოლჩებში ჩამოასხა, ერთი ნაშიერს მიანოდა.

დალიეს და ერთმანეთს შეხედეს.

თითქოსდა მიმავლისა და მომავლის მზერებმა ერთმანეთი გადაკვეთესო.

მაგრამ რომლის მზერა იყო მიმავლისა და რომლის - მომავლისა?

- ერთი სიტყვით, საქმე დამშია მოსაყვანი! - დაასკვნა მამამ.

მშობელი გარეთ გამოვიდა, შვილიც თან გამოჰყვა. შემოდგომის ცა არეულებო. ჰაქიმი სახლის მარჯვედ გამობარატებულ ბირკვილებიან დუშაყთან იდგა, ზედ ხელები დაებჯინა და საავდროდ მოქურუხებულ ზეცას გაჰყურებდა.



როცა მაჭანკალი პირველად მოვიდა და გამონყო-  
ბილი საქმის თაბაუთი მოახსენა, აჯამმა წვერზე ხელი  
კმაყოფილებით ჩამოისვა, შუამდგომელს გამოეთხოვა  
და საგანგებოდ შექნილი საარაკოდ მოზახრული მაშიე-  
ბი, რომლებიც სასძლოსათვის უნდა მიერთმიათ, კიდევ  
ერთხელ შეათვალაიერა. მაშვლის მეორედ მოსვლისას  
აჯამი ვალდებული იყო, ბელგა მიეცა და ქალიც სავაჟი-  
სოდ დაეგულეებინა.

ასეც მოიქცა – საქმე დამში მოიყვანა და საზამ-  
თროდ ქორწილის დღეც დაავარაუდეს.

მანამდე კი ისევ „ვარჰალალოში“ იხმეს, მძლეთამ-  
ძლე როსტომის ამბის განმეორებით თხრობა სთხოვეს.  
ზოგ სამიკიტნოსა და ჩაიხანაში ამ ამბავს უკვე მესამედ  
და რატომ მეოთხედაც არ აყოლებდნენ და მსმენელ-  
თა რაოდენობა არათუ იკლებდა, პირიქით, იზრდებოდა  
კიდევაც.

მოსალამოვდა და ჰაქიმიც „ვარჰალალოში“ წასასვ-  
ლელად გაემზადა. ამ დროს ჭიშკარს სტუმარი მოადგა,  
შიგ შემოშვებას ითხოვდა. უცხოს ძალლი ყეფით გა-  
მოენტო, ოღონდ ყოფილი ნაყალის მჭახე შეძახილზე  
უკან გაბრუნდა და სახლსუკან მიიმალა.

აბულყასემმა ამ დღეებში საქორწილო თადარიგი  
დაიჭირა და ოჯახში ხვიშტი დრაჰმაც კი აღარ მოეძვე-  
ბოდა. ამიტომ „ვარჰალალოში“ მისაღები მძიმე ქისა ეი-  
მედებოდა და უდროო სტუმრის გამოჩენა დიდად როდი  
ეჭაშნიკა, ოღონდ სტუმარმასპინძლობის ადათი ავალე-  
ბდა, მომსვლელს სათანადო თავაზით დახვედროდა.

შორიდან სალამ-ქალამის შემდეგ სტუმარი, რომელიც  
კირქვასავით შეკრული და თუჯვივით ჩამოსხმული ვა-

ჟაკაცი აღმოჩნდა, ალაყაფის კარებში შემოგვადუნდა და რქებში თოქაბმული ჭედილა ძალით შემოათრია, შემდეგ თოქი ნახსნა და ეზოში თავისუფლად გაუშვა.

აჯამს გაუკვირდა მოსულის ამგვარი უცნაური საქციელი, მაგრამ მისეულ ახსნა-განმარტებას მშვიდად დაელოდა.

- თუსელი მენახირე ვარ, ქამიანიდან; დინარ-დრაჰმის ნასახიც არ გამაჩნია, ოღონდ საყოლის სიმცირეს არ ვუჩივი, არც რძის, ყველისა და მანვნის ნაკლებობას განვიცდი. ამიტომ სხვა საჩუქარ-სანინდრის მოცემა არ ძალმიძს. ამით იმისი თქმა მინდა, რომა...

კაცს სიტყვა გაუწყდა, სახეზე დიდი სევდა აესახა.

ჭედილა ეზოს შორეულ ყურეში ბალახს მიადგა და ნინკნა დაუნყო.

- სიკეთე მიყავით და ნათლად ამიხსენით, რა საჩუქარ-სანინდარზეა საუბარი?!

- რძეც შემეძლო მომეტანა, გუდა ყველის თავებიცა და მანონიცა, ოღონდ ეგ არის, რომა, ჭედილა ვარჩივე, მეტ ფასსა დასდებს-მეთქი... მე, შენი ჭირიმე, ამითი იმისი თქმა მსურს, რომა...

- ჰო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ხომ მაინც უნდა ვიცოდე, რა სამსახურის გასანევად მიტოვებ ამ მშვენიერ ცხვარს?!

აჯამს „ვარჰალალოში“ მიეჩქარებოდა.

- ამითა იმისი თქმა მნადია, რომა... თუ რომ შესაძლებელია, ერთი სამსახური გამინიო... მენა, შენი ჭირიმე, დღეს მეორეჯერ დავესწრები როსტომის ამბის თხრობასა. იმ პირველჯერ გული კინალამ გამიჩერდა, როცა ის ადგილი გააცოცხლე, მამა რომ საყვარელ შვილსა კლავს,



თანაც კლავს მოტყუებით, ღალატით, ვერაგულად... ჰო, გული კინალამ გამისკდა... ჰოდა, იქნებ, ამ საჩუქრის მადლით დღეს მკვლელობის სცენა გამოტოვო და აღარ წაიკითხო, ღმერთმანი, მსმენელნი ცოდონი ვართ, ჭეშმარიტად ცოდონი და შეგვიწყალებ!

ჰაქიმი უცნაურად გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა: სტუმარმასპინძლობის წესი უკრძალავდა, მორთმეული საჩუქარი არ მიეღო და სტუმრის სათხოვრისათვის ანგარიში არ გაენია; ვერც თავის ქმნილებას დაამახინჯებდა და შერყვნიდა – შედგენილ ტექსტს ვერაფრით გადაასხვაფერებდა. როგორ გამოსულიყო ამ უცნაური ხაფანგიდან? და ჯამაათის თავშეყრის ადგილისაკენ ამ ძნელი ამოცანის გადანყვეტაზე ფიქრით შეპყრობილი გაეშურა.

დაისის ბინდბუნდი ალაგ-ალაგ იდებდა ბინას, გამოცდილმა მთხრობელმა და აშულმა რომ „ვარჰალალოს“ კარები შეაღო. მან ყველაზე დიდი დარბაზისაკენ აიღო გეზი. ჩალმა-ქუდი თავზე კობტად მოემაზრა; გრძელი თეთრი ღია კაბა ემოსა; ყელიანი წაღები ეცვა; ხამის ტილოს პერანგი ყელზე მჭიდროდ მოსდგომოდა; წელზე ქამარ-სარტყელი ეკრა; წვერი გვარიანად შესჭალარავებოდა, თუმცა ჯერ კიდევ ჭარმაგად გამოიყურებოდა.

არის კი ვინმე, ვისაც გრძელწვერა გოლიათის, ან უკვე სახალხოდ ცნობილი კაცის, ვეფხის ტყავით შემოსილი როსტომის გამოსახულება ერთხელ მაინც არ ენახოს?! მაშინ მას ტანიც არასოდეს დაუბანია, რამეთუ ყველა აბანოს კედლებს ამშვენებს ეგ ვაჟკაცი.

აგერ „ვარჰალალო“, აგერ ჩაიხანის დარბაზი.  
თუხთუხებს სამოვარი.



ჩინური ფაიფურის ჩაიდნები რიგისად ჩამწკრივებულა. ისმის ჩუმი საუბარი, შაქრის კვნეტისა და ჩაის ხვრეპის ხმა; არის ნარგილეს ბუყბუყი და ფიალების ტრიალი; იქითა კუთხეში შარბათრეულ ღვინოსა წრუპავენ. ქორაკანდელი სხივებს ბლუჯა-ბლუჯა ისვრის, ოღონდ მაინც საკმაოდ ბნელა.

მაღე დარბაზის შუაგულში ნამოიმართა მთხრობელი, ხელთ არგანი უპყრია, პროფესიონალი დეკლამატორია – ასე იცნობს ხალხი; არც ფრაზა გაელუნება, არც სიტყვა შეეშლება; შეუძლია, პოემის მთელი თავების ზეპირად წაკითხვა, თუმცა მაშველად ქალაქის ფურცლების დასტა დაუჭერია ხელში, ვინიცობაა დასჭირდეს, დროდადრო კიდევაც ჩაიხედავს ნაწერში. განა თავად არ დანერა? მაგრამ ყველაფრის დამახსოვრება მაინც ძნელია! ხმა კარგად აქვს დაყენებული. ყოველი მისი გამოსვლა ჩაიხანა-აშპაშხანის პატრონს დიდ შემოსავალს უქადის, რადგან კლიენტს თვალი სულ აქეთკენ უჭირავს. გზის გადაღმა რომ უფრო მდიდრული და ფართო აშპაშხანაა, უფრო მძლავრი კანდელ-კანდელაბრებით გადანათებული, იქითკენ გული არავის მიუწევს.

ინყება ამბავი სწორუპოვარი როსტომისა.

დარბაზში მსხდომნი და შემოსასვლელ კარებში მდგომნიც კი გასუსულან, მცირე გაბუსუნების ხმაც აღარ ისმის; უსმენენ, ყოველ სიტყვას იმახსოვრებენ, ზედ გულის ფიცარზე იწერენ, ნიუანსსაც კი შეიგრძნობენ, რა არის, შემდეგ სხვებსაც უამბონ ეს საოცრად გმირული და იმავდროულად გულისმომწყვლელი ამბავი, ამბავი მძიმე და ტრაგიკული ცხოვრებისა. ზოგი ღანვებს წინასწარ იხოკავს, რადგან უკვე იცის, რაც მოხდება, რა



საშინელებაც მალე დატრიალდება... ეგ ტრაგიკული ამბავი კარგად ახსოვთ, რადგან განაწყენებული მეხსიერება ყველაზე ძლიერი მეხსიერებაა.

აგერ ჰაქიმი მიუახლოვდა სახიფათო სათხრობელს – იმ ადგილს, სადაც მშობელმა ნაშვილი უნდა მოკლას და რამდენიმე კაცი გარეთ გავარდა, რათა ეგ მწარედ სანვნივეი მონაკვეთი მაინც არ მოესმინა. მთელ ამ ჯგროში მხოლოდ ერთადერთი მსმენელი ურევია, რომელიც არ ღელავს და თავს არხეინადა გრძნობს – ეს ქამიანელი მწყემსია. იგი დარწმუნებულია, რომ მისი საჩუქარი გაჭრის.

ასეც ხდება! და ეგ მისთვის სასწაული სულაც არაა. მას მადვალაკურად ეღიმება და იმაზე ფიქრობს, რომ ის სულმოკლე კაცები ტყუილუბრალოდ გაცვივდნენ გარეთ.

რა ჩაიდინა ჰაქიმმა?

მიადგა თუ არა ტრაგიკული ამბის წიბოს, შედგა, თხრობა შეწყვიტა და მოულოდნელად გამოაცხადა:

- დღეს როგორღაც ყელი მტკივა, ხმაში ხრინწი გამერია. ამის მომდევნო ამბავს, რომელსაც შეუბზარავი ზარის ხმა სჭირდება, ხვალ საღამოთი გიამბობთ! ახლა კი, ამის სანაცვლოდ, მეორე სახელოვანი გმირის გივის თავგადასავლის ნაწყვეტებს მოგასმენინებთ.

ამ გადაწყვეტილებამ ბევრი გულით გაახარა, რა არის, დღეს მაინც აღარ მოისმენდნენ საშინელი ორთაბრძოლის ტრაგედიას, ზოგიერთი კი ბუზღუნებდა: სათხრობი ბოლომდე უნდა მიეყვანა, ტრაგიკული შეტაკებაც უნდა გამოესახაო.



მეორე თუ მესამე დღეს ქამიანელი მწყემსი აჯამს კვლავ გამოეცხადა.

სისხამი დილა იდგა.

დაუდებელი პირობის შესრულებით ნასიამოვნებს ფეშქაშად მენველი ძროხა, ხბო და დეკეული მოერე-კა და აჯამს ელოდებოდა. ყოველივე ამით გაოცებულ მასპინძელს თვალები ისე ფართოდ დაეღო, როგორც ეზოს ჭიშკარს ალებს ხოლმე, როდესაც ნადის მეურმენი ტყიდან საზამთრო შეშით დაყათრულ ურმებს მოაყენებენ.

გამოხდა ხანი.

ამასობაში, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, მაშვალი მესამედაც ესტუმრა ჰაქიმის ოჯახს. ამჟამად ყველაფერი საბოლოოდ უნდა დაეზუსტებინათ და გადაეწყვიტათ.

- ერთადერთი, რაც მაფიქრებს, - თქვა აჯამმა, - საპატარძლოს ასაკია.

- ჰო, მაგრამ ნაზიმზე რამდენიმე თვით უმცროსია!

- ეგ კი აგრეა, ოღონდ მდედრის ასაკს უფრო სხვაგვარად უნდა შევხედოთ, ვიდრე მამრისა. ოცდაათი წელი ქალისათვის ასაკია, თუ უქმროა, ქმრიანისათვის - სიჭაბუკის ხანა.

მაშვალი გონიერი კაცი გახლდათ, ყველაფერს იოლად მიუხვდა და გაყურდა, ბუსუნიც აღარ გაუღია. იგი მიხვდა: ახლა ბენვის ხიდსა გადიოდა, მაგრამ საქმე ისევ მასპინძელმა გამოასწორა:

- სხვა დანარჩენი, რასაც ამბობ, თუ მართალია, მაინც კარგი საპატარძლოა, საჩვენოა.

- მაღალი ღმერთია მოწამე, ყველაფერი დასტურ ასეა!  
- დაუბეჯითა მაშვალმა, - თვითონ ქალწული ტანად მოსულია, ჯანიანი, ჯიშიანი, კარგი ზომისა...



- ჰო, თუმცა კი ქალს დანოლილსა ზომავენ, მამაკაცს – ფეხზე მდგარსა!

რამდენიმე ხნის შემდეგ მამა-შვილს საპატარძლო აჩვენეს. იმის შესახებ ნათქვამს ნანახმა გადააჭარბა. მამა-შვილთან შეხვედრის შემდეგ ქალიშვილი კობტად ნამოდგა და წავიდა. აჯამის თვალში კი ისე კდემამოსილი დარჩა, როგორც დაუნერელი სუფთა ქალაღლი.

სახალხო არეულობამ ბევრი მაზრა და რეგიონი მოიცვა: იტაცებდნენ ხვასტაგს, ჯამ-ჭურჭელს, ძვირფასეულობას; გახშირდა ადამიანთა დატყვევებისა და შემდგომ გამოსყიდვის შემთხვევები. ერთ დღეს ნაზიმს სამწყემსურში ყაჩაღები მიუხტნენ და ქამიანელის მიერ ნაჩუქარი ძროხა და დეკეული წაართვეს, თავად ფეხში ისრით დაჭრეს, რათა მძარცველებს უკან არ გამოსდგომოდა და შურისძიებაზე არ ეფიქრა; საქონლის გარეკვამდე ზურგი აუმათრახეს, ამის შემდეგლა დაძრეს თავიანთი ნაქურდალი ბედაურ-ცხენები და არმად ნაშოვნნი ხვასტაგი წინ გაირეკეს. ნაზიმი არც ისე ბეჩარა და უნირო გამოდგა, შეშინებულ-შემდრკალიყო, და არც ისე გულკიოტი, ზედმეტად აჩქარებუღიყო; იმისი რწმენა შეინარჩუნა, შურს იძიებდა და ეს ბაცაცკანტალობა დაუსჯელი არ დარჩებოდა.

შეიქმნა ქალ-ბავშვის ერთი წიოკი და საგანგებო ძახილი – ჰარი ქაათ!

ცხენოსანი სარანგები დროზე გამოცხადდნენ, ნახეს მსხვერპლი და, რაკი მსხვერპლის პოვნას დამნაშავის პოვნა სჯობს, მძარცველებს გამოუდგნენ. ნაზიმი შინ ერთი ვაივაგლახითა და ვაინაჩრობით მიკოჭლაბუხდა.

სასწრაფოდ მოყვანილმა აქიმბაშმა ჭრილობას მალ-ამო წასცხო და ჩალიჩი დაადო.

ქორნიების საქმე გაზაფხულამდე გადადეს. ჯერ ერთი, სასიძო უნდა გამოჯანმრთელებულიყო და, მეორეც, სამაგისო აღარც გული და ხასიათი ჰქონდათ; მესამეც, არეულობამ და შფოთმა კიდევ უფრო იმატა. ან უკვე გზებზე ქვრივ-ობლებსა და უმწეოთაც კი იტაცებდნენ, ძარცვავდნენ, ყიდდნენ...

ავი დროება დადგა, მეტად ავი!

- ყველაზე დიდი ომი კანონის დაცვაა, - ხშირად იტყოდა ხოლმე აჯამი.

და ამ ომში მისი მოჭიდავე მეგობარი კისრისტეხით გადაეშვა. კადაშამ ორი-სამი შესწრებული ყაჩაღი მიწას ისე დაანყვიტა, კისრის მძივები დაუშალა, ბოროტების გზა სამიღღემჩიოდ დააგდებინა, ოღონდაც როდის? – როცა კუტად და ხეიბრად აქცია!

კადაშა საგანგებოდ დადიოდა, დაეძებდა ავსა და ბოროტ ადამიანებს, მაგრამ თითქოსდა განგება ფარავსო, სწორედ იმათ გადაეყრებოდა იშვიათად. ასეა: დარწმუნულ ხაფანგში რომ ყველა თავი ხვდებოდეს, მღრღნელთა პრობლემა დიდი ხანია, გადანყვეტილი იქნებოდა.

ჩვენი აშიკ-მაშიკნი კი მხოლოდ მიმონერით კმაყოფილდებოდნენ, ამით იმშვიდებდნენ მხურვალე გულებს, რომელთაც ტრფობის გაუნელებელი კოცონი წვავდა და ბუგავდა. მართალია, ცეცხლია ერთადერთი, რომელიც კვდება იმასთან ერთად, რასაც შეჭამს, მაგრამ ამათი ვნების ცეცხლი არა და არ ქრებოდა, ვერც ზამთრეული ყინვის უხმაურო სუსხი ვნებდა და ვერცა გრიგალთა ხმაურიანი ბაქიბუქი.



აგერ ნაზიმს ჩინური აბრეშუმის ქსოვილზე შესრულებული ბარათი მიუტანეს. ასი ათასი სიხარული ერთბაშად ესტუმრა ნაზიმს. მის იმჟამინდელ გრძნობებსა და განცდებზე უფრო ლამაზად ირგვლივ მხოლოდ ასკილი ჰყვავოდა, სხვა – არაფერი! მიჯნურმა სატროს წერილი ტუჩებსა და შუბლზე მიიღო. ქალიშვილს ფრაზათა დასაწყისი სიტყვები სინგურით გამოეყვანა. ამიტომაც ნაწერი შავ-წითლად აჭრელებულ ბაირალს დამსგავსებოდა.

ამასობაში ცენტრალური ხელისუფლება თურქული წარმოშობის მაჰმუდ ლაზნევმა იგდო ხელთ და ცხოვრებაც თანდათან დამშვიდდა, დაწყნარდა. უცხოური წარმოშობის მეუფის ბატონობა კი დიდი ვერაფერი სასიამოვნო იყო, მაგრამ სიმშვიდე და წესრიგი ყველას მონატრებოდა. თითქოსდა ახალი ძალა მისცემოდა რუდაქის ნათქვამს:

**ისევ დაბრუნდა ნალკოტში ვარდი,  
 ისევ დაიძრა სიცოცხლის ჩქერი,  
 ისევ ბუსთან და გოლესთან,  
 ისევ ვარდის და ყვავილის ფერი,  
 ცეცხლის და ალის ჯერი წავიდა,  
 დადგა ყვავილთა კოცონის ჯერი!**

მშვიდმა ცხოვრებამ და წეს-კანონთა მკაცრად აღდგენამ ის გამოიწვია, რომ ქვეყანა ეკონომიურად მოლონიერდა, სულიერად მოჯანიერდა, კულტურა და განათლება დაწინაურდა; განვითარდა მწერლობა და ნამეტურ საკარო პოეზია. პოეტურმა ხელოვნებამ თითქმის მწვერვალს მიაღწია და აჯამი ხშირად აღტაცებით იტყოდა ხოლმე:



- სამანიანებთან ერთად ტახტზე აბრძანდა პოეზია!  
ამით იგი თავის საყვარელ სასანიანთა დინასტიას,  
რომელსაც პოემის უდიდესი ნაწილი მიუძღვნა, კი არ  
ლალატობდა, არამედ რეალობას აღნიშნავდა.

დიახ, მოვლენა ბუნდოვანი პროცესია, რომლის ფინა-  
ლიც არის ცხადი ფაქტი.

და მაინც, მწუთხეა ცხოვრება, გადამლაშებულ ყველ-  
ზე, კიდევ მეტი, თვით აღზევნის მარილზე მწუთხეც კი!

წუთისოფლის ჯარა ავად, ცუდად ტრიალებს, ოღონდ  
ტრიალებს ისე, როგორც საჭიროა. ავ ტაროსს კარგი  
დარი ცვლის, კარგს – ავი. ცხოვრების ღია კარში შეს-  
ვლასაც ვერ ასწრებ, იქვე გხვდება „კეთილმოსურნედ“  
შეღებული გასასვლელი კარი.

გაზაფხულის დამდეგს საპატარძლო მოულოდნელად  
გარდაიცვალა.

ჰაქიმი რომ იმას ზეიმობდა, მალე ჩვენს ოჯახში დი-  
ასახლისი გაჩნდება და სახლი სახლს, კარი კარს დაემს-  
გავსებაო, ასე როდი მოხდა – იმედი გაუცრუვდა.

იმედის აღსრულება მატერიალურად ზრდის პიროვნე-  
ბას, იმედის გაცრუება – სულიერად.

და პოეტი, რათა ახალ ჭირსა და ვაებას მცირედ  
მაინც დამალვოდა, მხატვრულ სიტყვას ამოეფარა – ამ  
საიმედო და გამოცდილ იარაღს ყოველგვარი უთანას-  
ნორო პაექრობის ჟამს.

**...და თავი ქალაღზე დაიხრება, მიძიმედ დაიხრება  
და დაუშრომელი კალამი ძველ ამბავს მოფხოჭნის...**

იმ დარდრეულ დღეებში თავის სულიერ მეგობარ  
კადაშას ხშირად უმეორებდა:



- როცა ვნერ, ასე მეჩვენება, თითქოსდა მინაზე მყარად ვდგავარ; როცა ტრიბუნაზე ვმეტყველებ, თითქოსდა ვმსუბუქდები და ფეხქვეშ მინა მეცლება...

საპატარძლოს დაკრძალვას დიდი ხარჯი-მარჯი სჭირდებოდა და აჯამიც მცირედრე შეენია ქალის ოჯახს.

დარბაზის ცენტრში ხატაურჩულოგადაფარებული ტახტი იდგა, ზედ ქალიშვილი ესვენა. აგურიც თავქვეშ თვითონ ამოუდო, ხოლო მშობლებს ამო ნუგეშინისცემა დაუნყო. თავადაც არ იცოდა, აბა, სხვა რა გაეკეთებინა?! მკვდარი ლამაზმანის მთელი სხეული და ტახტის თავის-უფალი არშიებიც შროშანებით მოეჩითათ. ამ ყვავილებში ყველაზე დიდი ყვავილი შუაში მოჩანდა – ეს იყო მიცვალებულის შროშანისებრ ფითქინა სახე.

დაკრძალვისას ვაჟიშვილსა და აჯამის მარად შეურ-ვებულ გულითად მეგობარს ლურჯი პერანგები ჩაეცვათ. ჰაქიმმა მოსამძიმრეთა ჯგუფში შავად მოსილი მეცენატი აბუ დოლაფიც შენიშნა და დიდად იამა. „ვინ იცის, - გაიფიქრა უნებლიეთ, - ვინ იცის, იქნებ, ღვთაე-ბრივი თვალსანიერიდან ჭეშმარიტი მეგობრობა სიყვარ-ულზე მალლაც კი იდგეს“.

მეორე დღეს ლურჯად შემოსილმა მამა-შვილმა კა-დაშა უცნობ და გრძელ გზაზე გააცილა. იდგა გაზაფხ-ულის მშვენიერი დილა. თბილოდა, ჩიტებს ჟივილ-ხივი-ლი გაჰქონდათ. სწორედ ის ჟამი იყო, ამომავალ მზეს რომ ჩამავალი მთვარისათვის სალამი გაეგზავნა და ამ სალამს ადრესატამდე ჯერ კიდევ ვერ მიეღწია.

ორი ხელმარჯვე მეაბჯრე და სამი სახედარი სამოგ-ზაუროდ დამნკრივებულიყვნენ.

- მაშ, შორეული აფხაზეთი, შენსას მაინც არ იშლი და არა? – ჰკითხა აჯამმა.

- ვერ დავიშლი და ვერც ვერავინ დამიშლის!

კადაშამ იდუმალ ჩრდილოეთს გახედა.

ჰაქიმმა დაიჭირა მისი იმედნეული მზერა.

იქ, შორეულ ჰორიზონტთან, და იმას იქითაც, ცის უსასრულო სილურჯე მოჩანდა. კრიალებდა ცა და კრიალებდა შორეთი, იქნებ, იმიტომაც, რომ აქედან კარგად არა ჩანდა.

- ან იქ, ანდა თავს უსათუოდ მოვიკლავო! – წარმოთქვა „მძლეთამძლემ“.

და თავის გულში აჯამი დაეთანხმა, იგულისხმა, რომ ეგ არ იყო ლიტონი სიტყვები და მან იგრძნო: იშვიათად, მაგრამ მაინც არის ვითარება, როცა სიკვდილიც კი მშველელად და მხარში ამომდგომად გეჩვენება.

- მაშ, რაკი გზას ადგახარ, იარე, სავალს ბარაქა დააყარე; სჯობს წასვლა წამავალისა, არდაყოვნება ხანისა! – ურჩია ჰაქიმმა.

დაიდრა პატარა ქარავანი და დაიდრა გულის შემაძოძვინებელი სევდაც. ჰაქიმი ხედავდა მიმავალ მეგობარს, მის ფართო, განიერ ზურგს, ღონიერ მკლავებს, სახედრის ბორძიკთან ერთად რომ ირხეოდა, ფიქრობდა თავისი ცხოვრების ან უკვე განვლილ გზაზე და გამოჰქონდა ფილოსოფიური დასკვნა: თუ ხალიჩის წინა პირის სილამაზითა და ხავერდოვან ზედაპირზე ხელის ნების გადასმით ტკობა გვსიამოვნებს, მაშინ უნდა მივიღოთ ამ ხალიჩის უკანა პირიც – კანდაკორძებული და ოკრობოკრო.



აჯამმა მწარედ ამოიოხრა, წამავალ ქარავანს თვალი მოსწყვიტა, შენიშნა: იქვე, გვერდით, ფლატეს ახალყოილები შესდგომოდნენ და ჩამონგრეულ ნიადაგს თანდათან ფარავდნენ. ეჭვი არ იყო, სულ რამდენიმე დღეში უგემურ ყავისფერს სალუქი ფერადები შეცვლიდა. ჰაერში ლორთქო ბალახისა და გამოღვიძებული, ჯერ კიდევ ნედლი მინის სუნი ტრიალებდა. სევდისმომგვრელად დაწალიკებული წეროები ბოლუქ-ბოლუქად შეერთდნენ სადღაც, ცის დასალიერთან, და მერე შორეულ სილაჟვარდეში დაინთქნენ, გაუჩინარდნენ, თვალთაგან მიუღწეველი გახდნენ.

და აბულყასემმა სრულად შეიგრძნო მწუხარე მშვენება გაზაფხულისა.



## თავი მეშვიდე

ქვა როცა უძრავადაა, თავის წონას ზუსტად ინარჩუნებს; თუ ზევით ააგდე, მსუბუქდება; თუ ქვევით დაუშვი – იმატებს მისი სიმძიმე. მაშ, ნამდვილი წონა მშვიდ მდგომარეობაში აქვს.

იგივე დაემართა ირანის სახელმწიფოსაც. როცა არეულ-დარეულობა დასრულდა და ცხოვრებამ ბუნებრივ კალაპოტში იწყო დინება, ქვეყანამ თავისი ნამდვილი წონა მონახა: დაიწყო საყოველთაო აღორძინება, გაჩნდა შორენკეცებით მოპირკეთებული სასახლეები, მისგითები, სამარვანები, ხანაგები, ქარავანსარაიები, ჩუქურთმოვანი სრასასახლეები და ფანჩატურები. არნახულ სიმაღლეს მიაღწია პოეტურმა სიტყვამ, ლექსმა; იბარტყეს ჟანრებმა, დაიხვეწა ლირიკული ყაზელი, რობაი, ყითა, მესნევი<sup>58</sup>. საკარო-სატახტო პოეზიამ ხომ მთლად აიკლო მსმენელთა ყური; ფასი დაედო და მაზანდა აენია სამშვენისებს, კოხტა ნივთებს, ხელოვნების ნიმუშებს...

და ტახტზე აღზევდა მაჰმუდ ლაზნევი.

იმ დღეს საშინელ ხასიათზე გაელვია.

მსახურთ ავი დღე გაუთენდათ.

საგანგებო ზონარი ბრაზიანად დაქაჩა და ზარი აანკარუნა.

მსახური ლულამი, სანოლის მოლარე და ეჯიბი ფიცხელივ გამოცხადდნენ, თავი დაუკრეს და ბრძანებას ქედმოდრეკილნი დაელოდნენ.

<sup>58</sup> ყაზელი – ლირიკული ლექსი.

რობაი – ოთხტაეპოვანი ლექსი, ძირითადად ფილოსოფიური შინაარსისა.

ყითა – ნაწყვეტი, ფრაგმენტული ლექსი, იაპონური ტანკას მსგავსი.

მესნევი – ორტაეპოვანი წყვილრითმიანი სტოფებით შედგენილი პოემა.



- ის სალახანა ალ-ბირუნი მიხმეთ!

- ახლავე, ღვთის აჩრდილო!

მონები უკუსვლით გავიდნენ და მალე ეჯიბი მეც-  
ნიერს შემოუძღვა:

- ალ-ბირუნი, ჩემო მბრძანებელო!

სულთანმა ხელით ანიშნა და მეწესე დარბაზიდან  
გაილალა.

ალ-ბირუნის წინაშე კი გადაიშალა დაუვინყარი სა-  
ნახაობა: პირველი, რასაც თვალი შენიშნავდა – ეს  
გახლდათ სულთნის ზედ თავით ჩამოკიდებული მძიმე  
გვირგვინი, მორთული ძვირფასი ქვებით. იგი ჭერზე  
ოქროს წვრილ-წვრილი ჯაჭვებით იყო დამაგრებული.  
სამი წვრილი ჯაჭვი იჭერდა ერთფუთიან გვირგვინს,  
რომელსაც თითქმის ეხებოდა და არც ეხებოდა თეთრი  
ჩალმა-ყაბალახი, სულთნის თავზე კობტად შემოხვეული  
და გუმბათივით მომრგვალებული; მბრძანებელი ზურ-  
მუხტით მოჭდილ ტახტზე იჯდა. ნაჭრილობევი სახის  
მოშუშებული იარა მომსვლელისაკენ ბასრაში გამოჭედ-  
ილი ხანჯლის წვეტივით მოექცია; ნაიარევზე თმა შე-  
მეჩხრებოდა და ქაჩალ-წვეროსნად დარჩენილიყო; არ-  
წივისებური ცხვირი ისედაც მრისხანე იერსახეს სიმკ-  
აცრესა ჰმატებდა; გამჭოლი მზერა ადამიანს გონებას  
ურევდა; მარჯვენა მკლავზე, რომელიც ჩვეულებრივ  
მუხლზე ჰქონდა დაბჯენილი, ეკეთა მარგალიტის სამ-  
კლაური; არა ჩანდა, ოღონდ სადღაც იქვე, კუთხეში,  
ბარბედი იჯდა და დაბალ ხმაზე დამამშვიდებელ მე-  
ლანქოლიურ ჰანგს აქვითინებდა.

მეცენატად ცნობილი სულთანი როგორღაც აღმაც-  
ერად უყურებდა მეცნიერებს – გენიალურ სამეცნიერო

აღმოჩენას ერთი გემრიელი პოეტური ტაეპი ერჩივნა. ალ-ბირუნიმ ეს იცოდა და დიდ სიფრთხილეს იჩენდა, ცდილობდა, ყოველივე წინდანი გამოეცნო და გაეაზრებინა.

- აბა, ჩემო სახელოვანო მკვლევარო და ყოვლისმცოდნე, - იქედნურად მიმართა ქვეყნიერების შვიდივე იყლიმის მპყრობელმა მონას, - იმ დღეს მართლაც ყველაფერი სწორად გამოიცანი, ოღონდ ისინი მსუბუქი ამოცანები იყო; ვაჟკაცობა ისაა, რთული გამოიცნო.

- ყოველი თქვენი შეკითხვა მძიმეა, როგორც ტყვია, იდუმალეებით მოცულია, როგორც დემავენდის მთა, და ნათელია, როგორც ცხრათვალა და ასი ათასი სიხარულის მომნიჭებელი მზე!

მბრძანებელს პასუხი ესულგულა, ოღონდ არა შეიმჩნია რა.

- ახლა კი ეგ მაინტერესებს: თუ გამოიცნობ, ამ დარბაზის რომელი კარიდან გავალ დღეს?

მეცნიერმა მიიხედ-მოიხედა – დარბაზს ოთხი კარი ება, ოთხივე ირანული მინიატიურებით შემკულ-შელამაზებულნი.

- აბა, თუ გამოიცნობ, მაშინ მართლაც მიგიჩნევ მეცნიერების მაგად და წინასწარმეტყველად, ოღონდ შენი პასუხი ქალაღზე დაწერე და საჯდომი ბალიშის ქვეშ ამომიდე!

ალ-ბირუნიმ თვალეები მალვალაკურად მოჭუტა, შემდეგ საწერ მაგიდას მიუჯდა, ლერწმის ნვერწამახული ზრო ფაიფურის სამელნეში ჩაანო და ქალაღზე რალაც დაწერა, მოკრძალებით მიუახლოვდა პატრონს და ოთხად დაკეცილი ქალაღი ბალიშქვეშ გერგილიანად შეუტურა.



სულთანს გაეღიმა. ამ ღიმილში სასიკეთო არაფერი ეწერა, მალვალაკურ-იქედნური კი ბევრი ერია.

შვიდი იყლიმის მბრძანებელი კვლავ საზარე ზონარსა სწვდა.

შემოვიდა წელმოდრეკილი მსახური, რომელსაც მოესწრო და სხვა ტანსაცმელი ჩაეცვა. ამით იმ დღეს სიცოცხლის შენარჩუნება შეძლო, რადგან მრისხანე პატრონთან ყოველ შესვლაზე სხვადასხვა სამოსი უნდა სცმოდა.

- ალ-ბირუნი გაიყვანეთ და სამივე დიდვაზირი შემომგვარეთ!

მეცნიერი გავიდა და კიდევ ერთხელ ტანისამოს-გამოცვლილმა ეჯიბმა დიდვაზირნი შემოიყვანა. ისინი ფადიშაჰს ახლორე მიუსხდნენ და ვითარების გარკვევას შეეცადნენ.

მალე ყველაფერი ნათელი გახდა.

მბრძანებელმა მეოთხე ჯერზე ხურო-დურგალნი ახმობინა. მათაც თავპირისმტვრევით მოირბინეს. მაჰმუდმა მეხუთე კარი გააჭრევინა და დარბაზი იმ გასასვლელის მეოხებით დატოვა. ამის მერმედ შეამოწმეს ბალიშქვეშ ამოდებული ბარათი – ეწერა: მეხუთე კარიდან გაბრძანდებითო!

სულთანი განრისხდა, პირიდან ცეცხლს აფრქვევდა, ბრძანა: ის თავხედი გველი სასწრაფოდ აქ მომგვარეთო!

შეძრწუნებული ალ-ბირუნი სამეფო პალატაში ფერნაკროთომი შემომელდა, შორიახლო მოკრძალებით შედგა, ხელები გრძელ სახელოებში ჰქონდა შემალული.

სულთანმა ბრძანა და ვაზირებმა და ეჯიბმა იგი ფანჯრიდან გადააგდეს.

- გულთამხილაობა ბოროტებასთან უფრო ახლოა, ვიდრე სიკეთესთან! – გაჰყვიროდა ხელმწიფე.

მაგრამ მოხდა სასწაული: ალ-ბირუნი გადაარჩა.

სინამდვილეში არავითარი სასწაული არ მომხდარა: ბრძენკაცს მოქმედების ამგვარი სცენარიც გაეთვალისწინებინა და საკუთარ მსახურებს ფანჯრის ქვეშ წინდანინ გამძლე ბადე გააჭიმვინა, ვინიცობაა, დამჭირდესო.

ამგვარად გადაურჩა თავ-პირის დამტვრევასა და, ეგების, სიკვდილსაც კი.

ასეა: უჭკუოს დროულად მოსწრებული იღბალი შველის, მაგრამ ჭკვიანს იღბლის დაგვიანებაც ვერას აკლებს.

სულთანი პოეტური სიტყვის აშიკი გახლდათ. ამ მხრივ გემოვნება ფრიად დახვეწილი ჰქონდა. ერთხელ ონსორის ლირიკული ქმნილება ისე მოეწონა, „პოეტთა მეფე“ ნმინდა ვერცხლის ჯამ-ჭურჭლეულით, ოქროს კოვზებითა და ჩამჩებით დააჯილდოვა; მეორეჯერ მისი პასუხი ისე ესიამოვნა, ძვირფასი ქვებით პირი სამგზის გამოუტენა.

ყურადღებას აქცევდა სხვა პოეტებსაც, განსაკუთრებით მეხოტბეებს, ოღონდ ზოგჯერ ახირება წამოუვლიდა და მაშინ მის მრისხანებას ყველა უნდა მორიდებოდა. მის კარზე და მასთან ახლოს ყოფნა – ეს ჰგავდა მჭიდრო მეზობლობას მოგუზგუზე კოცონთან, რომელსაც შეუძლია კიდევაც გაგათბოს და კიდევაც დაგწვას, მაგრამ, რაკილა პოეტური ქმნილების დაფინანსების სხვა წყარო არ არსებობდა, მეხოტბენი ამ ნათელს ფარვანებივით ეტანებოდნენ. რა ვუყოთ, თუ ზოგი მათგანი ამ ცეცხლში კიდევაც ჩაიწვებოდა და ჩაიხრუკებოდა!



აბულყასემმა, როგორც იქნა, პოემა-ეპოპეა გაასრულა, ოღონდ მას არ შეეძლო გაეთვალისწინებინა, რომ ირანის ტახტზე თურქული წარმომავლობის შაჰრიარი აღმოჩნდებოდა და მისი ანტითურქული იდეოლოგიით განმსჭვალული ნაშრომი მეცენატის იდეალებთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა. ახლა იძულებული გახდა, თავიდან გადაეხედა ამხელა ტექსტისათვის და შეცვლილი პოლიტიკური ვითარებისდა მიხედვით ჩაესწორებინა.

- მამა,- შეაგონებდა ვაჟიშვილი,- შენს პოემაში ირანი შვიდასჯერ არის ნახსენები და ყოველთვის დადებითად, თურანი კი რამდენიმეჯერ და ისიც ყოველთვის ცუდ კონტექსტში. ნუთუ ასეთ თავისუფლებას მოგინონებს წარმოშობითაც და ბუნებითაც თურქი სულთანი? მე, მაგალითად, მის ადგილზე დაგსჯიდი კიდეც. განა ლაზნევს რადმე ეჭაშნიკება ეგ შენი გენიალური ბეითი? აი, სახელდობრ ეს:

**ირანელთა გულისთქმანი  
უნდა იყოს, რაბი, ასდენ:  
„ესე ამზად არ ეგების,  
რომე თურქნი გაგვიხასდენ!“**

- კი, შვილო, მართალი ხარ, ოღონდ, ბოლოს და ბოლოს, ხუთ-ექვს წელიწადს კიდეც მოვანდომებ ტექსტს და ჩავასწორებ. ასე რომ, ანტითურანული სულისკვეთების კვალიც აღარსად დარჩება!

- არა, მამა, ეგ შეუძლებელია! ცალკეულ სიტყვა-ფრაზათა შელამაზება არაფერსა ნიშნავს, რადგან შენი ქმნილება ირანული მზითაა განათებული, თურანელთა სიძულვილითაა აღსავსე და ეგ პათოსი ტექსტს თავიდან ბოლომდე გასდევს. ეგ ხომ იოლად შესანაცვლებელი რითმა არაა, გარეგნული სამკაული; ეს ხომ

რიტმია – სული და გული, სისხლი ნაწარმოებისა, რისი განახლებაც შეუძლებელია! ეს იგივეა, ადამიანს სისხლი გამოუცვალაო. ასეთი რამ კი დღეს ავიცენასაც არ ძალუძს, შენ რომ აქიმთა აქიმად მიგაჩნია...

- მაშ, ფიქრობ, რომ ჩემი შეკერილი ხალათი სულთანს არ მოერგება?

- მივიჩნევ, რომ შენი შეკერილი ხალათი მისთვის ერთობ ფართო, სრული და ხალვათი იქნება, ფაშფაშა; სულთანს მეტად მორჩილი ტანი და პატარა თავი აქვს.

აჯამი მიუხვდა კალამბურს.

ალარაფერი უთქვამს. მერმედ ხელი ჩოთირად ჩაიქნია და სასხვათაშორისოდ აღნიშნა:

- ჰო, მართალია, ქების სამოსი კარგად უნდა მოერგოს შემკვეთს... ჩემი სამოსი მისთვის მართლაც რომ ფაშფაშაა... ეგ ონსორის „ვამეყი და აზრა“ როდია, ასე რომ გააგიჟა ეს მართლა თურქი, ეგა... დიახ, სამოსის თარგი კარგად ვერ გამოვჭერი, ეს ფაქტია...

მამა-შვილს შორის მნუხარების აჩრდილმა გაიღრბინა.

- ჰო, დასტურ ასეა, - დასძინა ბოლოს ჰაქიმმა, - ჩანჩურა კაცი, რაც უნდა ჭკვიანი იყოს, სიმპათიას ვერ დაიმსახურებს; ასეა პოეტური ნაწარმოებიც: ის ჰაეროვანი, მიმზიდველი, შეკრული უნდა იყოს. ესე იგი, არ უნდა ჰგავდეს მოფლამუნებულ კაცს.

მშობლის ძველ სადარდელს ეს ახალიც მიემატა. ახლისათვის, იქნებ, რაიმე კიდევ ეშველა, ოღონდ ძველს რაღას უზამდა? – ვაჟიშვილს ნაჭრილობევი ფეხი სტკიოდა, იარა არა და არ უშუშდებოდა, გადმონადენ ბალღამს ცუდი სუნი ასდიოდა და ავი ფერი ჰქონდა. ვაჟი კოჭლობდა, ოღონდ კოჭლობას ვინდა ჩიოდა, უფრო უარესი არაფერი დამართვოდა! არადა, როგორ სჭირდება



ახლა ფული, დიდი ფული. შორს მოგზაური ვაჭრებისაგან ჰქონდა მოსმენილი: იქ, შორეულ კოლხიდაში, მითიური მედეას სამშობლოში, მდინარე ფაზისის პირას, თურმე, ისეთ მაღამოებს ამზადებენ, მკვდრებს აყენებენ ფეხზე და მისი ნაშიერის ფეხი ასეთი რა უნდა ყოფილიყო?!

ოღონდ სად ეშოვა ეს ფული!

ის რომ ჰქონოდა, კადაშას მსგავსად იგიც თავის ვაჭიშვილთან ერთად შორეულ გზას დაადგებოდა, მეგობარს უკან გამოუდგებოდა, სასწაულმოქმედ წამალს იშოვიდა. იმასაც ამბობენ, კოლხები თავიანთ მაღამოებს ფულზე არა ყიდიან, მხოლოდ გმირული საქმის ჩამდენთ მთარგუნებენო მათ. არც ეგ იქნებოდა პრობლემა: განა კადაშა იქ არ ეყოლებოდა? რა გმირული დავალება იქნებოდა ისეთი, „მძლეთამძლე“ და როსტომგმირის წინასახე რომ ვერ აღასრულებდა?! თუ ბერძენმა იასონმა სძლია დრაკონს და ოქროს საწმისი დაინარჩუნა, ირანელი დევგმირი განა ტოლს დაუდებს ვისმე და გულითადი მოყვასის ვაჭიშვილის სიცოცხლის შესანარჩუნებლად სიცოცხლეს არ განირავს?

არადა სად იყო ეს ფული!

პოემის ტექსტის ამ ვარიანტს მაჰმუდ ლაზნევი არც წაიკითხავდა და, თუ წაიკითხავდა, წყალობის წილ, ვინ იცის, შეერისხა კიდევაც.

მაგრამ მახლას – რაც არის, ეგ არის!

სხვა რაღა დარჩენოდა და ჰაქიმიც დაუბრუნდა თავის ხელნაწერებს. უკვე 65 წლისა მოყრილიყო და ხელს ისე მარჯვედ ვეღარ გამოჰყავდა ასოები, გონებაც უფრო ნელა აზროვნებდა.

ტექსტი ყურადღებით უნდა წაეკითხა, რომელიმე სახიფათო გამოთქმა რომ არ გამორჩენოდა. ხედავ-



და, გადაკეთება უფრო საძნელო გამოდგა, ვიდრე ახლის შეთხზვა. ერთი სიტყვით, იწყებოდა სიტყვასთან ხელახალი ჭიდილი, ხელახალი ომი და ამან უნებლიეთ ცნობილი რომაელი მოღვაწის კატონის ვაჟიშვილი გაახსენა, რომელიც, ომიდან მშვიდობიანად გამოლწეული, დავარდნილი ხმლის ასაღებად ომის ქარცეცხლში ისევ ბრძოლით შებრუნდა და თავისას მაინც მიაღწია. ამან გუნება ოდნავ გამოუკეთა, თანაც დაატყო: სწორება-ხვეწის დროს სტრიქონებს სიტყვები კი მოაკლდა, ოღონდ შუქი მოემატა.

მაგრამ ჭრილობა უფრო და უფრო გამიზეზდა, შემდეგ სხეული ჩირქმა მონამლა და ვაჟკაცი სულსა ღაფავდა, ძლივსა სუნთქავდა, ბაღში იწვა და სიცხისაგან გათანგულ სხეულს ხეთა ჩეროებში უწინდებურად ველარ დაატატავებდა.

აქიმბაშმა მომაკვდავი გასინჯა, თავი უარისმყოფლად გადააქნია და უსიტყვოდ გაეცალა იქაურობას.

სალამოს პირზე ცას ჯანლი რამ გადაეკრა, ქარმა დაქროლა და ხეთა კენწეროები რკალად მოხარა, ფოთლები მძლავრად ააქარქარა. ჰაქიმი სულის მოსათქმელად სახლის აივანზე გავიდა, დუშაყს მიეყრდნო და აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა.

დაიქუხა.

მჭახედ დაიქუხა.

ეს ჭექა-ქუხილი სულ სხვანაირი იყო, ალბათ, იმისი მსგავსი, წარღვნას რომ წინ უძლოდა ანდა იმის მსგავსი, მეორედ მოსვლის წინ რომ დაიჭექებს.

აჯამს გული შეუძოძგინდა.



ჭექა-ქუხილისა არასოდეს შინებია, ოღონდ ამჯერად ძარღვებში სისხლი გაეყინა.

მშობელს აქიმაშია მანც არა სჯეროდა, ასე ალახ-მალახ როგორ დაადგინა, რომ ჩემი ნაშვილის დღეები დათვლილიაო! – ფიქრობდა გულში, მაგრამ მანც ამის შემდეგ ყოველი მომდევნო დღისა ეშინოდა, რადგან იცოდა: როცა სიკვდილი ახლოსაა, საამისოდ ყველა დღე მოსახერხებელია.

და, ბოლოს მანც მოხდა ის, რაც მოსახდენია: აჯამის ვაჟიშვილმა სიკვდილთან ხელშეკრულება გააფორმა და, მავანს რომ შეიძლება ეგონოს, ნააგო, სინამდვილეში მოგებული დარჩა – უკან მოიტოვა ყოველგვარი ამქვეყნიური დარდ-ვარამი, უაზრო ფოციაკალი და ტანჯვა-წამება.

მაგრამ მამა ასე როდი ფიქრობდა: სახე დაიკანრა, თმა დაიგლიჯა, მკერდში მჯილი იკრა, სახელოები ჩამოიფხრინა.

მორბემა ბიჭმა ბიჯაგი<sup>59</sup> მოილო, მკვდარი ზედ გადაასვენეს, შემდეგ სახლის დარბაზში ტახტი დადგეს, სათანადოდ შემოსეს, ყვავილებით მორთეს და მიცვალებული ზედ დაანვინეს; აგური თავქვეშ მამამ თავად ამოუდო.

აჯამს ცრემლი გამოლეოდა, სამაგიეროდ გულზე ისე აუღებელი ლოდი დასწოლოდა, ძვრას კადაშაც ვერ უზამდა.

თვალზე მომდგარი ცრემლი საჩინოა, გულზე მომდგარი – უჩინარი, ოღონდ პირველი მსუბუქია, მეორე – მძიმე.

სანამ ვაჟიშვილს დაკრძალავდა, წინა ღამით სიზმარი ნახა, თითქოსდა უცნაური ხილვა: მიქელგაბრიელი –

---

<sup>59</sup> ბიჯაგი – საკაცე.

ცელმომახული ჩონჩხი – ადამიანს ჭადრაკს ეთამაშებოდა. ადამის ძე გატაცებითა და გულუბრყვილო თავდაჯერებით დასცქეროდა დაფას, ხოლო მიქელგაბრიელი იქედნურ-მალვალაკურად იღიმებოდა.

გამოღვიძებული აბულყასემი კარგად ჩასწვდა ამ უცნაური სიზმრის ფილოსოფიას და გული კიდევ ერთხელ მოეჭეჭკა. მან იგუमानა: ისე განადგურებულიყო, რომ სახელიც კი დაეკარგა.

ასეა: როცა ადამიანი კარგავს მეუღლეს, მას აქვს სახელი - ქვრივი; შვილის დამკარგავი კი იმდენად უბედურია, სახელიც არ ეძებნება.

„რად გამასწრო, რად იჩქარა, - ფიქრობდა სახელდაკარგული, - ალბათ, ტკბილი თანამგზავრი ვინმე იპოვა და ამად იჩქარა; ის ხომ მხოლოდ 37 წლისა იყო და უკან აღარასოდეს მოიხედავს, რადგან, ვინც კი იმ მხარეს წავიდა, უკან აღარ დაბრუნებულა; მე, უნუგემოდ შთენილს, ასი ათასი ჭირი რომ ერთბაშად თავს დამატყდა, სხვა რალა დამრჩენია: ზენაარს ამასა ვთხოვ, ცოდვანი მოგიტეოს, ბნელს გაშოროს, ნათლით შეგმოსოს. მე კი, შვილო, შენთვის ვილოცებ!“

ჩაიცვა ლურჯი.

აღარ ისმენდა ტკბილხმოვანი რუდის ხმას – ყური დაიკსო.

მოემზადა ბნელში საჯდომად – თვალთა დასავსებად.

ამასობაში ისე შეუმჩნევლად შემოვიდა და გავიდა გაზაფხული, მიძინებული ავადმყოფის პალატაში რომ აქიმაში ფეხაკრეფით შემოვა და გავა.

ბნელში ერთ წელიწადს იჯდა.

იქ მწუხარების სიამაყით ფიქრობდა, რომ, თუმცა კი 66 წელი ტანჯვა-წვალებით გაატარა და მასაც უთუოდ



მოერეოდა ის ლომგმირი, აქამდე რომ ბევრსა მორევ-  
ია, მაგრამ მტკიცედ სჯეროდა: მისი გარჯა იყო დიდი  
ბედნიერება და სიკვდილის შემდეგაც არასოდეს დაცხ-  
რებოდა მისი სახელის ხსენება, კაცობრიობის ხსოვნაში  
მუდამ იარსებებდა, რაკილა მისი სიტყვა ხალხში გავიდა,  
მტკიცედ გაიდგა ფესვი და მის ცალკეულ ამბებსა და  
წიგნებს არა მარტო ირანში, მეზობელ ქვეყნებშიც იზე-  
პირებდნენ.

ბნელიდან გამოსვლის შემდეგ მარტოობის მწველი  
განცდა დაეუფლა. აბა, რა იქნებოდა? აღარც მშობლები  
შერჩენოდა, აღარც მეუღლე, აღარც შვილი; გულითადი  
მეგობრები შემოეცალნენ. კადაშა ბედის საძიებლად შო-  
რეულ ქვეყანაში გადაიხაფრა, აბუ დოლაფმა ცნობისწა-  
დილიანი მოგზაურის გუდა აიკიდა, ზოგი მოკვდა, მოკლეს  
ან თვითმკვლევლობით გამოესალმა ყოფიერებას; ყველა,  
ყველა წავიდა, გაქრა, გაილია; აღარავინაა, ირგვლივ სი-  
ცარიელეა; ვის აუნყოს თავისი გულის ტკივილი, ვის  
მოუთხროს სულის ვნებაზე? ჰვი, იდუმალო მეგობარო,  
მიეცი ხელი!

ასეთ იდუმალ ამხანაგად ქალაღლი და კალამი გა-  
მოსჩენოდა და ისიც რანდავდა, ხვენდა ადრე დაწერილს,  
ხოლო ზოგ ადგილს უფრო მეტ დრამატულ სიმძაფრეს  
ჰმატებდა, ახალ პოეტურ ელვარებას ანიჭებდა.

თითქოსდა მეორე სუნთქვა გახსნოდეს.

იჯდა თავის ბაღში და ფოლიანტებს ფოლიანტებზე  
ანყობდა – შესწორებულ და რედაქტირებულ ტექსტს  
ათეთრებდა. სანამ ტკბილი აბუ დოლაფი გამოჩნდე-  
ბოდეს, ამ საქმეს მარტო ერთი კაცი უნდა შეეხება. ნათქ-  
ვამია: მარტოკაცი ჭამაშიაც კი ბრალიაო, ოღონდ სხვა  
რა ჩარა იყო?!



აბუ დოლაფი, ტკბილი აბუ დოლაფი!

ის მაინც დაბრუნდებოდეს ცოცხალი და საღ-სალამათი, ხოლო კადაშა?

კადაშას იმედი გადანურული აქვს.

არა, მუდმივად შეურევბული „მძლეთამძლის“ უკან დაბრუნებისა აღარა სჯერა. ვის გაუგონია გატყორცნილი ისრის უკან მობრუნება? გუმანი ეუბნება, რომ ბექდაუდებელი ფალავანი შორეულ მხარეში ბედნიერებისა და სიხარულის მოსაპოვებლად არ გამგზავრებულა, არა, იგი, თავშებზრებული, სიკვდილს დაეძებს, აი, რა სწადია, აი, რისკენ მიისწრაფვის...

იჯდა თავის ზაფხულის ბაღში მარტოობით გათანგული, ფოლიანტებს უკირკიტებდა და ზედ მისი საჯდომის უკან ტუხტის ფოთოლი თრთოდა და თრთოდა, ისე თრთოდა, კაცს ეგონებოდა, შვილმკვდარი მამის შეურევბულ ყოფასა და გამოუვალ ვარამს აუქვითინებიაო.

პოეტმა იცოდა: ადამიანთა 90 პროცენტი ცხოვრებას კარგად იწყებს და ვაგლახად ამთავრებს და თვითონაც ამ კასტისა აღმოჩნდა.

რამდენიმე წყალმა ჩაიარა და ჩრდილოეთის მხრიდან „მძლეთამძლის“ ბუნდოვანი ამბავი მოვიდა, ისიც ნამოგზაური, დაბერებული და ათას საკერებელდადებული: თითქოსდა კადაშას სახელოვანი კახაბერიც დაემარცხებინოს, მედეას შთამომავალთა ჯადოსნურ ბაღში დრაკონიც მოეკლას, სხვა ძნელი დავალებებიც შეესრულებინოს, მაგრამ სიხარულის წილ კიდევე უფრო მეტ სატანჯველს დაემძიმებინოს მისი გული; ბოლოს უტოლუსწორო გმირი თითქოსდა ზღვის ყაჩაღებს, მეკობრეებს, დარეოდეს; მტაცებელთა გემიც მიელენ-მოელენოს, მებრძოლე-მეკობარნი დაეხოცოს, ოღონდ ერთი



ნაძირალა უკნიდან მიჰპარვოდეს და ჰოროლით განეგ-  
მროს, თითქოსდა...

მთელი დედამინის ზურგზე არ არის უფრო ბუნდო-  
ვანი სიტყვა, ვიდრე „თითქოსდა“.

მაგრამ ყველაფერი ეს აჯამისათვის ისე ცხადი იყო,  
როგორც აგვისტოს შუადღე – საზარელი ამბავი მოხდა,  
სათქმელადაც საზარი!

„აგერ, დახე, - ფიქრობდა აჯამი, - მოხდა ის, რასაც  
ველოდი კიდეც. აკი ვიცოდი, ის უკან ცოცხალი აღარ  
დაბრუნდებოდა. ეგ ხომ იგივე თვითმკვლელობაა, სა-  
განგებოდ შეება უკეთურთა დასებს, რათა მომკვდარიყო.  
მას ხომ მთელი ცხოვრება, მთელი ქვეყნიერება, მთელი  
შვიდი იყლიმი ეპატარავებოდა, რამდენადაც კაცობრი-  
ული ყოფის უაზრობის უარუთქმელი სევდა თანგავდა  
და ეგ ტკივილი წინ ექაჩებოდა – არყოფნისაკენ; ასეა,  
ტკივილი მუდამ წინ უსწრებს სიკვდილს, მაგრამ ფინი-  
შთან პირველი მაინც სიკვდილი მიდის. მშობელ მხარეში  
დამარხვაც კი სანეტაროა, მაგრამ „მძლეთამძლეს“ ამ  
ნეტარებამ გვერდი აუარა...“

და აბულყასემის სახლ-კარი კვლავ მოიცვა სიცივემ,  
სიღარიბემ, მარტოობის განცდამ. აღარც პური ჰქონდა,  
აღარც შეშა, აღარც მარილი, აღარც იმისი გული, კვლავ  
დეჰყანურად შესჭიდებოდა მიწას; იგრძნო, აქ აღარაფერი  
დარჩენოდა! დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა, ბო-  
ლოს და ბოლოს, ბედი ეცადა – სულთნის კარსა სწვე-  
ოდა. იქ ხომ ბევრმა გაითქვა სახელი, მოიპოვა დიდება,  
მოიხვეჭა ქონება და სხვა სარგებელი.

იშოვა ორი აქლემი და წასასვლელად შეემზადა.  
გამგზავრების კვირაძალზე მოინახულა ძვირფასი სა-  
ფლავეები მშობლებისა, მეუღლისა, ვაჟიშვილისა, სხვა ნა-



თესავ-მეგობრებისა; კიდევ ერთხელ გამოიტირა ისინი და მეორე დღეს, სისხამ დილით, შორეულ გზას დაეპირა. რამდენი დაბრკოლება შეხვდებოდა გზაზე, როგორ მიიღებდნენ კარზე, ვით შეინყნარებდა და შეინყალებდა სულთანი?

ყველაფერი ეს უზენაესსა უნდა სცოდნოდა, სხვას – არავის!

სალოცავი ნოხი გამოიტანა, გაშალა, მუხლის ჩოქზე დადგა და ნამაზის რიტუალის შესრულება დაიწყო. ყიბლის დაცვით ლოცულობდა.

ირგვლივ სრული სიჩუმე იყო, ბუსუნიც არაფერს გაჰქონდა.

ჩრდილიც კი კედლის უკან მორჩილად იდგა.

„სამლოცველო ნოხიც ყურდება და უხმაურო ხდება, რათა სანამაზო ლოცვას ხელი შეუწყოსო“, - ფიქრობდა იგი.

შემდეგ ხელნაწერთა ფოლიანტები საგანგებო ტომრებში ჩააწყო, ტომრებს ყელი გამძლე გვერგვით ნაუყრონჭა, ერთმანეთს გადააბა და აქლემს აქეთ-იქიდან გადაჰკიდა, მეორეზე თვითონ შეჯდა, გაპარტახების პირზე მიმდგარ მამულს, სადაც ვერაფერი ბედნიერება ვერ პოვა, ერთხელ კიდევ მოავლო მზერა და დაიძრა.

შუადღის პირი იქნებოდა, მთავარ საქარავნო გზას რომ უნია. ქარავანი იდგა და ისვენებდა. ნაცნობმა სარბანმა<sup>60</sup> მყისვე შენიშნა მოახლოებული მგზავრი, იცნო, მხიარულად შეეგება:

- ჰეი, შენ, აბულყასემ, თუსელის ნესბით<sup>61</sup> რომ წერ, შემოგვიერთდი! საპატიო კაცი ხარ, ამიტომაც მწკრივის თავში იარე!

60 სარბანი – მექარავნე.

61 ნესბა – ფსევდონიმი, ზედმეტსახელი.



- არა, ჩემო ბატონო, მენინავეობას არა ვარ დაჩვეული, ოდნავ უკან, შუა წელზე ვიქნები, ქარავნის ამ ნაწილს მივეკედლები.

- კეთილი, ბაშუსტა, ინებეთ!

სხვა მექარავნებმა, რაკი გაიგეს, მათთვის კარგად ცნობილი აშული აღმოჩნდა, კეთილად შეჰღიმილეს, ყველამ მის გვერდით ყოფნა და სიარული მოინდომა და მწკრივი მალე აბრეშუმის შულოსავით დამრგვალდა. ასე არ ივარგებდა და სარბანბაშმა მკაცრი ბრძანებით ძველი წესრიგი აღადგინა.

ამგვარი დახვედრა და შეხვედრა ასი ათასი ქრილობით დაგლეჯილ გულს მოეფონა, ისე ნათელი და თბილი ეჩვენა, როგორც სიჭაბუკის ზაფხულის მოგონება.

ქოსსა ჰკრეს და მწკრივი დაიძრა.

მიიზღაზნებოდა ქარავანი და ავარდნილი მტვრის ცახეები გავარვარებულ ჰაერში ზიმზიმებდა.

ზანზალაკების ხმა შორს გაისმოდა.

ცას სალამოს მენამული გადაეკრა, როცა ქარავანსარაის მიადგნენ.

ცხენ-აქლემთა დგრიალით დამფრთხალი თეთრი მტრედები მოულოდნელად და ერთბაშად აფრინდნენ და ფრთათა ისეთი ტკრციალი ატეხეს, გმირსაც კი გული შეუფიშმანდებოდა; მთავარი სადგომიდან მოშორებით, გომურის ახლოს, სალახები საკლავსა კლავდნენ და მარჯვედ ატყავებდნენ; ეტყობა, საქმის თადარიგი დროულად დაეჭირათ და, მოჰკრეს თუ არა თვალი ცხენ-აქლემთა მწკრივებს და გაიგონეს თუ არა ზანზალაკების ხმა და სარბანბაშის მხნე შეძახილი, პირუტყვს ყელში დანა დოსტოლრივ ატაკეს.





მორბედი ბიჭები ჯვარასავით დატრიალდნენ, მალე მთელი პირუტყვი ქართაში შერეკეს, საკვები ჩამოურიგეს, ხოლო სტუმრები ფართო ზალაში შეიპატიჟეს. საიდან-ღაც მუსიკის ხმა შემოდოდა და მცირე ავანსცენაზე ახალუხლები უზუნდარასა ცეკვავდნენ. აგერ კედელზე ფოლკლორული ილუსტრაციაც – ცად ამალღებული ფასკუნჯი, რომლის ცალი ფრთაც იისფერ ღრუბლებს შერთვია; აგერ კი, ჰოი, საოცრება! თვითონ „მძლეთამძლე“, როსტომ-გმირი, თავის სწორუპოვარ რაშზე ამხედრებული. ის ბრძოლაშია ჩართული და „რახშიც“<sup>62</sup> ფლოქვებითა თქერავს საძულველ მტერს; მაგრამ დარბაზის გამფორმებელი მხოლოდ ამით როდი შემოზღუდულა. აგერ კიდევ სხვა ნახატიც – „მძლეთამძლე“ დატყვევებულ ბეჟანს ათავისუფლებს. მკაფიოდ ჩანს: გმირს მოსავეს ომში იოლად მოსახმარი მოკლე კაბა, ნელს სარტყელი და ხმალი უმშვენებს, ვინრო შარვალი და ჩექმები აცვია; ტუსალი გრძელ თეთრ ხალათშია გამოწყობილი, ნელზე ზონარი შემოუკრავს; მასაც ვინრო შარვალი და ფერხთ ყელიანი ქალამანი აცვია.

ყველა კმაყოფილი დარჩა, ოღონდ ერთი განსაკუთრებით. ის ერთი, რალა თქმა უნდა, ჰაქიმი გახლდათ.

მაგრამ...

კი, ალაჰი კეთილია და მრავალმონყალე, ოღონდ თავის მონყალებას მთლად ანგარიშშიუცემლადაც როდი ფანტავს – ყოველ სიამოვნებას იმნამსვე უსიამოვნებასაც მიადევნებს. უცებ, საიდან იყო და საიდან არა, დარბაზის შუაგულში ბოროტი დევივით წამოიმართა ის. დიახ, ის – გოღლეტ ხითამბარელი – და ჰაქიმთან გაკამათების უფლება მოითხოვა.

62 რახში – როსტომის ცხენის სახელი. აქედან მომდინარეობს ქართული რაში.



სეირის მოყვარულმა ხალხმა დასტური დასცა.

გრძელი გზით დაღლილ აჯამს ამისი თავი ნამდვილად არა ჰქონდა, სიცხისაგანაც არაქათი გამოლეოდა, ოღონდ რა ჩარა იყო – უარს სისუსტედ ჩაუთვლიდნენ და ყაბულს გაუხდა. უკმაყოფილოდ ერთი კი გახედა ოტროველას და ამალლებულ ფიცარნაგზე მყარად დადგა.

კვიატით შეპყრობილი ხითამბარელი კი აცხადებდა:

- კაცი, რომელიც ფირდოუსის ნესბითა წერს, არცთუ ისე დახელოვნებული ოსტატია. მისი არეულ-დარეული ამბები უთავბოლო სიზმარსა ჰგავს. ისინი ერთმანეთზე მექანიკურად არის მიწებებული, თანაც მხოლოდ გარდასული ჟამის ისტორიას აღწერს. კეთილი, კი, ბატონო, გვაქვს უბადლო წარსული, ოღონდ ვაი იმ ერს, რომელსაც გულს წარსული უთბობს და მომავალი უციებს. აი, როგორ ირანს წარმოგვისახავს ეგრეთ წოდებული „ჰაქიმი“.

დარბაზში დახვედრილი ხალხის უმეტესობა მანამდე ხითამბარელს საგლახაო კალამბურებით გაერთო და ახლა მას მიემხრო. მათ დაუნდობლად გაიცინეს. ეს ნიშნისმოგება აბულყასემს მიემართებოდა.

აბულყასემი აიმრიზა. შემდეგ ჩაიხანის მნათეს გახედა, რომელიც ბაზმის ლამპრებს ანთებდა და, როდესაც შუქმა ირგვლივ ყველაფერი გადაანათა, მოკამათეს უპასუხა:

- გოლლეტ ხითამბარელი! ვინ არის იგი? – სანყალი მიმბაძველი და ნაყალი. საკუთარი რომ ვერაფერი შეუქმნია, სხვის ნამღერსა მღერის და ოდნავ სახეშეცვლილს საკუთარ შემოქმედებად ასაღებს. ამქვეყნად ბევრი რამ იკარგება, ოღონდ ყველაზე იოლად – სირცხვილის გრძნობა. ხითამბარელიც დაკარგავდა ამ გრძნობას, რომ ჰქონოდა, ოღონდ არ დაუკარგავს, რამდენადაც არასოდეს ჰქონია იგი!

მექარავნებმა ტაში დასცხეს, ხოლო მეტოქის კეთილ-  
მოსურნეებმა მომჭირნედ გაიცინეს.

ასე დაზოგეს თავიანთი ფალავანი.

ხითამბარელმა ფიცარნაგზე ფეხი მოინაცვლა, შეტორტმანდა, როგორც ოწინარი ქარში, ოღონდ წონას-  
წონობა არ დაუკარგავს. მერმედ გონთ მოეგო და  
წამოიძახა:

- მაგის ჩიჩმაგურობისა და ჩაღიჩის ამბავი რომ  
ვიცი, კარგად ვხვდები, ნაწერებით აყათრული აქლემე-  
ბით საითაც მიდის. ეჭვი არ არის, გეზი ღაზნისაკენ  
აუღია. იქ, სულთანთან, უნდა თავის გამოჩენა, ოღონდ  
იმასაც კი ვერ მიმხვდარა, რომ სუნიტი ხელმწიფე მა-  
გის მაზღეანურ ბოდვებს, რომელთაც გიუზდეკისა და  
ბაქოს ნავთზე მოტყინარე ცეცხლის სუნი ასდის, ახლო-  
საც არ გაიკარებს, მით უფრო, რომ ამ აბრაკადაბრაკის  
ავტორი შიიტია. იგი ხომ შიიტობით უფროა ცნობილი,  
ვიდრე პოეტობით!

ხითამბარელს სახე ჟანგისფრად ანთებოდა.

ერთი-ორმა ტაში შემოჰკრა, ზოგმა ნეიტრალურად  
გაიცინა.

- ჩემი რწმენის საქმე, - უპასუხა ჰაქიმმა, - იქ, ზეცა-  
შია გადანყვეტილი, - ეგ არის უმაღლესი კასტის პოეზია,  
ხოლო აქ, - და მან ქვევით ჩაიხედა, - ხოლო აქ, ამქვეყნად,  
ალაჰს შიიტური წესითა ვესაჯ. ეგ კი, ეგ სანყალობელი  
მიმეზისტი და ძალად მაცხონე პოეტი, იმაზეა დახამაცე-  
ბული, ვისმე შეურაცხყოფა მიაყენოს.

დარბაზმა ჰაქიმს დამყვავებლურად გაუცინა და  
ახლა მის მეტოქეს მიაცქერდა.



- რაც აქამდე გაუკეთებია, გამოცდილების შედეგია და მეტი – არაფერი. დრო კი ნიჭიერი მასწავლებელია. აი, მაგის ნაჩოლფოთევის მთელი არსიც!

ხითამბარელმა გამომწვევად გაუღიმა – ახლა ხომ მაინც გამოგისვი ყელში კარგად ალესილი ხორასნული ბებუთიო!

ჰაქიმი წელში გაიმართა:

- გონიერებას აქვს საზღვარი, უგუნურებას – არა; რაც ახლა მაგ მარტივმა მოაზროვნემ განაცხადა, უგუნურებაა, რამეთუ დრო ნიჭიერი დამრიგებელი ვერა და ვერ იქნება. დრო ენერგიული მასწავლებელია და არა ნიჭიერი. ნიჭიერიც იგი მაშინ ხდება, როცა ნიჭიერ შეგირდს გადაეყრება.

აი, რა ხდება სინამდვილეში!

ხალხმა ჰაქიმს დამყვავებლურად შეჰღიმილა და მგოსანმაც შეატყო, რომ მთელი დარბაზი სათავისოდ შემოატრიალა.

მეტოქე სიტყვისგებაში დამარცხებას მაინც არ აღიარებდა, გაქირ ვირზე შეჟდა და ჩამოსვლას აღარც აპირებდა. შემდეგ ანდედ თქვა, რაც ენაზე მოადგა:

- თუსელ მესიტყვეს აუტანლად უხეში ფრაზები და ბორბოშელა სიტყვები აქვს, ცალკეულ ცნებებს სასწაულებრივად კი გამოჩხრეკს, ოღონდ შესაფერის კონტექსტში ვერ აყენებს. ამიტომაც მაგის ტაეპში ყოველ სიტყვას ერთი პრიმიტიული მნიშვნელობა აქვს. სიტყვის სხვადასხვა აზრისა და ათინათის მარჯვედ გამოყენებით მაგი ვერ მიედრება ვერცა რუდაქის, ვერცა დაყიყის და ვერცა საშუალო ძალის პოეტ ასჯადსა!

ბევრი ამგვარი მიზეზი და საბუთი მოროტა და აბრუ მაინც არ გაიტეხა.

მსმენელებს მისი უკვე მაინც აღარა სჯეროდათ და ტირადის დასრულების შემდეგ დამცინავად გაიცინეს.

- გმირულსა და პათეტიკურ ამბებს, მე რომ გავლექსე, - განმარტა ჰაქიმიმა, - არ სჭირდება სიტყვის ნაირგვარი ელფერის გამოჩინება ან, თუ სჭირდება, ერთობ იშვიათად. ცნების ამგვარი თამაში და იალკიალი ლირიკის სფეროშია მისასალმებელი. ლირიკა კი მე ჭეშმარიტ, უმაღლესი დონის პოეზიად არ მიმიჩნევია, ვერც ვერასოდეს მივიჩნევ. ისე კი, წვრილ-წვრილი ნადირის ხოცვა ყმანვილ მონადირეთა, ჯერო უწვერულთა ხვედრია; სერიოზული და პროფესიული მონადირე კი ტყეში ღრმად შედის, ორბისფრთიან ისრებს კურდღელსა და მელაზე კი არ ხარჯავს, არამედ ლომებსა და ვეფხვებზე, კანჯრებსა და ტყის ღორებზე. წმინდა ლირიკული გადახვევები ყველა მესიტყვეს აქვს, ოღონდ ზოგიერთის შემოქმედება მხოლოდ ლირიკაზეა დაფუძნებული, განსაკუთრებით – მეხოტბეებისა. მე კიდევ ვრცელი დისტანცია მაინტერესებს, დიდი რბოლა, გრძელი დოღი. მთელი ჩემი „შაჰ-ნამე“ მართლაც რომ პოემა-ეპოპეაა, მეფეთა, ანუ სამეფო წიგნია, შაჰთა და შაჰრიართა დაუსრულებელი ნამეა<sup>63</sup> და აქ გაერთიანებულია 50 ვრცელი ამბავი, ანუ წიგნი. ეს არის ჩემი იმპერია, მთელი იმპერია, დარიოსისა და ალექსანდრეს იმპერიებზე დიდი და ვრცელი; ვამაყოფ, რომ ავსახე ქვესკნელიც, ზესკნელიცა და მიწის ზედაპირიც; ყველა ხალხი და მათი ადათი, ჭირი და

63 ნამე – წიგნი.



ლხინი, პიროვნების აღზევება და დაცემა; ერთგულება და ღალატი, ფათერაკები და ომები, ისტორიას ხორცი შეევასხი და, როგორც ზღვა-ოკეანე, ისე ავატორტმანე მკითხველის წინაშე; და მჯერა: ჩემი სახელი არ დაიკარგება, ხალხის ხსოვნა შეინახავს ჩემის ხელოვნების დიდებას და ჩემგან ხნულში მიმოხნეული მარცვალ კეთილად აღმოცენდება, ხალხები ძეგლებს ამიგებენ და მათთან მისასვლელი გზა-ბილიკები ბალახით არასოდეს დაიფარება, გამადმერთებენ არა მარტო ირანსა და თურანში, ხორეზმსა და ჩინ-მაჩინეთში, არამედ მისრის ქვეყნებშიცა და შორეული აფხაზეთის სამეფოშიც, რუმსა და იმას იქითაც გაიჭრება ჩემი დიდება და მას დასასრული არ ექნება, ვიდრე ქვეყნიერება იარსებებს...

აბუღყასემმა წამით სული მოითქვა.

ჯამაათს ეგონა, სათქმელი დაასრულაო და ტაშისცემა ატება. ზოგმა „ვაშაც“ შემოსძახა.

ოტროველა ხითამბარელი თავისას მაინც არ იშლიდა, წაგებული ორთაბრძოლის წაღმართად შემობრუნებას ღამობდა:

- შენ, აბუღყასემ ფირდოუსი თუსი ვისაც ნესბად აგირჩევია, გიჯობს ამლაცი ბედაურიდან ძირს გადმობობდდე. ზოგჯერ ოლიმპოელი ღმერთებიც კი ჩამოდიოდნენ მინაზე და შენც არაფერი დაგიშავდება! ერთი ეს მიბრძანე, იმაზე რას იტყვი, რომ უდიდეს კაცობრიულ სიკეთეზე – სიყვარულზე – არაფერი ან თითქმის არაფერი გინერია. ეგ დამანგრეველი ხარვეზი რას მივანეროთ?! განა იმისი ტოლფასი რა დაგინერია, როგორიცაა ონსორის მშვენიერი „ვამეყი და აზრა“?!

ზალა გაისუსა.

ეს შეკითხვა ჰაქიმს ყველაზე მეტად ემწუთხა, რადგან სიმართლის იოტი მართლაც შენიშნა მასში, ოღონდ ოპონენტს პასუხი არ დაუგვიანა:

- გოლლეტ ხითამბარელი მუდრეგია და მკვახედ ტყუის, ტყუის, რადგან სწორედ მე ავსახე რუდაბესა და ზაალის, ბეჟანისა და მანიჟეს სიყვარული და დარწმუნებული ვარ, მკითხველი ამ წყვილების ტრფიალს იმაზე ნაკლები ყურადღებით არ მოეკიდება, ვიდრე „ვა-მეყსა და აზრაში“ გამოხატულს...

ჰაქიმი ნამიერად შეყოვნდა, იფიქრა, ვთქვა თუ არაო, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა, ეთქვა, ეგულწრფელა და ხალხის გული ამით მოეგო:

- და, საერთოდ კი, მე არ მიველტვი ისეთ საყმაწვილო სენს, როგორც ტანჯული სიყვარულია. ეს თემა მომდევნო ხანის პოეტებისათვის დამითმია. მე ეპიკოსი ვარ. ეპიკას კი გმირული და ლეგენდარული ამბები შეშვენის, ჰეროიკა და პათოსი ამკობს. ჩემი პოემა ამგვარი ჟანრის გვირგვინია!

ხალხს ყური მიუგდო და თუქუსი ხითამბარელი მიხვდა, რომ კიდევ ერთხელ დამარცხდა. თავი მძიმედ ჩაჰკიდა და დარბაზიდან ნელმონწყვეტილი გავიდა, ხოლო აბულყასემი მჭედელი ქავეს აჯანყების ლექსად გარდათქმული ამბის მოყოლას დაეშურა და მსმენელებმაც გულისა და ყურის კარები ფართოდ მოაღიავეს.

მეორე დღეს, სისხამ დილით, ვიდრე ირგვლივეთს მოედებოდა კაცის ხმა და ცისკრის ნათელი, სარბანბაშმა მექარავენნი სანოლებიდან სასწრაფოდ წამოყარა, ილოცეს და სახედრებზე ფაცხაფუცხით შესხდნენ. ატყდა ზანზალაკთა ნკარუნი, ავშარათა ხრამუნი, უზანგთა



ჟღარუნი, ფლოქვების ფხაკუნ-დგრიალი. უნდა ერქარათ და შუადლის აუტანელი ხვატისათვის საქარავნე გზაზე მდებარე ოაზისში შეესწროთ, სადაც ცივი წყალი და გრილი ჩეროები დახვდებოდათ.

ქოსსა ჰკრეს და ქარავანი დაიძრა.

სამი ფარსანგი<sup>64</sup> გაიარეს და შედგნენ. აქ მათი გზები იყრებოდა. მექარავნენი საქარავნო გზას გააგრძელებდნენ, ხოლო აჯამს ლაზნისაკენ უნდა გადაეხვია. ამის შემდეგ მისი მგზავრობა უფრო სახიფათო და ფათერაკიანი გახდებოდა. სარბანბაშმა საგზალი უსაგზლა და გაამგზავრა.

ორი აქლემის წყვილი გრძელ ქარავანს თანდათან დაშორდა და ბოლოს ჰორიზონტს იქით ისე ჩაიკარგა, თითქოსდა არც არასოდეს არსებულებოდა.

ქედგორი ჩაიარა და შედგა.

თვალწინ ტაშირი<sup>65</sup> გადაეშალა.

სივრცე თვალით მოზომა.

ყვავებმა მზიანჩრდილიანი ველობი გადაიყვავყვანავარდეს.

ყიბლანს<sup>66</sup> დახედა, გეზი შეამონმა და აქლემებს შეუძახა.

მარტომ მთელი დღე იარა და ერთი მინდვრის ბოლოს შეჩერდა, აქლემებს ტვირთი ჩამოხსნა. ეს ადგილი ღამის სადგომად უკეთესი ეჩვენა. პური გატეხა – სარბანბაშის მიერ გამოტანებული საგზალი ისაგზლა, მერმედ ხეთა ჩეროებში ბალახბულახი დაგლიჯა, ცხელ ჩამავალ მზეზე შეახმო, დაადასტავა და ლეიბივით გაასწორა, ზედ

64 ფარსანგი – იგივე მანძილი, 5-6 კმ.

65 ტაშირი – მთებს შორის გაშლილი ადგილი.

66 ყიბლანი – კომპასი.



ლურჯი ასალი გადააფინა, წამოგორდა და დამძიმებუ-  
ლი ფეხები დაასვენა; სახსრები სტკიოდა, წელში ტეხდა,  
ოლონდ ტკივილებს უძალიანდებოდა. დილასისხამზე წა-  
მოდგა, აქლემები მოძებნა, მორეკა და ტვირთი აჰკიდა.  
საგზლის ნარჩენები გუდაში ჩადო. კიდევ ერთ სადილს  
გადამატარებინებსო, - გაიფიქრა.

კუზიან ცხოველებს შეუძახა — გზას გაუდგა. ქედ-  
გორზე, პატარა შემალლება რომ იყო, შედგა, სივრცეს  
გახედა, ირგვლივეთი მოათვალიერა. მარჯვნივ, სერზე,  
ზვარი მოეშენებინათ. ვენახს ფოთოლი საყვარლად შე-  
ჰყვითლებოდა. რთველი კარს იყო მომდგარი და მალე  
დეჰყანები ქარვისფერი ყურძნის კრეფას შეუდგებოდ-  
ნენ. ვენახთან ახლოს, ქოხის გვერდით, თორნესთან ქალი  
ტრიალებდა, პურს აცხოზდა. თორნიდან კვამლი და  
სიმხურვალე ბოლუქ-ბოლუქად ამოდიოდა და მზის თა-  
კარა დიაცს პურის ჩაკვრისას სახეს უწითლებდა. იქვე  
სამიოდე წლის ბიჭუნა თამაშობდა. უცებ ნორჩი ვენახში  
შევიდა, მტევანი მოსწყვიტა და, ის ის იყო, უნდა შეეჭამა,  
რომ დიაცმა გაკაპასებით უკანალზე ხელი წამოარტყა,  
მტევანი ხელიდან ნაჰგლიჯა და ბალახის გვერგვით ლე-  
რწზე მიამაგრა.

აბულყასემი შეაძრწუნა დედის სიძუნნემ. „თუ სა-  
კუთარ ნაშიერს ასე ექცევა, სხვას რაღას უზამსო?!“ -  
გაიფიქრა და აქლემს ფერდში ქუსლი ჰკრა, მოსახლი-  
საკენ დაეშვა. პირუტყვეები ლობეზე გამოაბა და ბალში  
შევიდა. დიასახლისი სტუმრისაკენ ხელის წმენდითა და  
კაბის კალთის ფერთხვით გამოეშურა.

აჯამი მიესალმა, მერმედ ჰკითხა:

- ვისია ეგ ვენახი?



- ჩემია!

- მაშ, თუკი შენია, ბავშვს მტევანი რაღად ნაჰგლიჯე და თან გალახე? ყმანვილი შემეცოდა და მისი გამოსარჩლება გადავწყვიტე.

- გმადლობთ, ჩემო ბატონო, დიდად გმადლობთ, მაგრამ წესრიგი ყველას გვეხება, კანონი კანონია!

- ეგ როგორღა გავიგო?!

- ვენახი დიახაც ჩვენია, ოღონდ ამ სიკეთით თავისუფლად ვერ ვსარგებლობთ, რადგან მასში შაჰინშაჰის ნილიცაა და, ვიდრე ხელმწიფის კაცები არ მოვლენ და საურავს არ წაიღებენ, უფლება არა გვაქვს, მოსავალს თითი დავაკაროთ.

ჰო, მაგრამ ქონება ხომ თქვენია?!

- ჩვენია, ოღონდ რა გინდა ქნა? ცხვარსაც ასხია მატყლი, ჩემო ბატონო, ოღონდაც არა თავისთვის – მუდამ სხვები პარსავენ!

სტუმარს გაელიმა:

- ეს ხომ ძალადობაა?!

- ასეა, ბატონო, მაგრამ სახელმწიფომ კანონიერად უნდა იძალადოს კიდეც!

- „კანონიერად იძალადოს“, - გაიფიქრა აჯამმა.

- და ამ მხარეში ეს ყველგან ასეა?

- დიახ, ჩემო ბატონო, ყველგან ასეა.

აბულყასემი გაოგნებული დარჩა. დიაცს გამოემშვიდობა, ატირებულ პანიას თვალი კიდეც ერთხელ შეავლო და გზას დაემურა.

„აი, წესრიგი, აი, კანონი! ოღონდ აქვეა ძალმომრეობაცა და მონობაც - კაციშვილი საკუთარ ქონებას სურ-

ვილისამებრ ვერ განკარგავს“, - ფიქრობდა უცნაური შემთხვევით შეფიშმანებული მგზავრი.

უცებ თავი ისე იგრძნო, თითქოსდა გულში ხინვი შერჭობოდეს.

მაგრამ ესეცაა: ის გზა უფრო ამახსოვრდება ადამიანს, რომელზედაც ეკალ-ხნარცვი შეანუხებს.

ამ დღეს, ამ გზას ისიც ვერასოდეს დაივიწყებდა!

ოთხიოდე მანძილი ექნებოდა გავლილი, ქარახვეტი წამოენია, მაგრამ ამ ძლიერ ქარ-მტვერსაც აღარ შეეძლო მისი შებრკოლება, თუმცა ერთი ძლიერი შემობერვისას აქლემიდან ჩამოვარდა და ძირს ბუყნა მოადინა. ბეჭი იტკინა, მაგრამ მაინც მიდიოდა და მიდიოდა, მიდიოდა...

უკან რჩებოდა მინდვრები, ტყეები, ყანები და ბალ-ბოსტნები, მოშენებული დასახლებები, რომელთაც ჯერ კიდევ ეტყობოდათ ამასწინდელი არეულობისა და ომიანობის ნაკვალევი. „ომის მოგება ადვილია; გაცვილებით ძნელია მშვიდობის მოგება“, - ფიქრობდა იგი და წინ ჯიუტად მიიწევდა.

საგზლის ნარჩენები დიდი ხანია, რაც გაუთავდა, მოშეიებული იყო, ოღონდ არც ამას დაგიდევდა. წინ მიიწევდა და მიიწევდა, მიიწევდა. როცა გაშლილმა ველმა სული დალია, ტყე გამოჩნდა. ტყისპირა ვიწრო გზას გაუყვა. ხომანდული შენიშნა. დაკრიფა ვაშლის ჭინკორა ნვრილ-ნვრილი ნაყოფი, ჩაკვრიხა, ხრამახრუშით შეჭამა და ეგემრიელა – სიმუშავემ გული უცებ მოუნახა. რაც უფრო მეტად უახლოვდებოდა დედაქალაქს, მით უფრო უკეთესი და უკეთესი ხდებოდა სახლები, ყანები, დამუშავებული ბაღა-ბაღები, ბუსთან-გოლესთანები. „სიმდიდრე და ფუფუნება მთავარი ქალაქის ირგვლივ



ტრიალებს და ბრუნავს. ასე იყო, ასე არის, ასე იქნება!“ - გაიფიქრა და უფრო ენერგიულად გაუტია ამ სიმდიდრისა და ფუფუნების სავანისაკენ. „და მაინც, - ფიქრობდა იგი, - სოფელ-ქალაქის ჭიდილში ქალაქი მუდამ მარცხდება, სოფელი მუდამ იმარჯვებს, რადგან ყველაფერი მაინც პურის მოსავალსა და საქონლის მომრავლებასთან მიდის“.

გზა სიარულმა დალიაო და, როგორც იქნა, მიაღწია კარს. აგერ გამოჩნდა დედაქალაქის ბაღჩა-ბაღები, ნალკოტ-გოლესთანები, სრა-სასახლეები, ცადაწვდენილი მეჩეთები, მოჩუქურთმებული მინარეთები. ამ სიმდიდრემ ერთბაშად კიდევაც შეაშფოთა და კიდევაც შეაკრთო. ამის შემხედვარე თავს საქორწინო ტორტზე წამოსკუპებული მარწყვივითა გრძნობდა, რომელიც აუცილებლად უნდა შეჭამონ.

ღაზნის ერთ კუთხეში ხეთა კოხტა კორომი იდგა, მონალკოტებული, და შორიდან ისე ჩანდა, თითქოსდა ზურმუხტის ბუჩქი უძირო ფირუზის ცას სილამაზეში ეჯიბრებო. საღამოსპირი იყო და იქაობა ისე საყვარლად გამოიყურებოდა, მოგინდებოდა იქვე, ნალკოტთა ახლორე, პირბადრი მთვარე ამობრიალებულიყო და თავისი იღუმალი სხივები გადმოეფრქვია.

გზა-ბილიკი ზედ ბაღჩა-ბაღს ეკვროდა.

ბაღში, გზის პირას, კარის პოეტები ისხდნენ, ქეიფობდნენ, საამოდ ჟღერდა მუტრიბთა ხმა, რომელსაც ზოგჯერ რუდის ჰანგები ენაცვლებოდა. მეხოტბენი ნება-ნება წრუპავდნენ შარბათრეულ ნუნუას და იქვე მოლიკლიკე წყაროს რაკრაკს მათი ნატიფი სტრიქონები ხშირად ეპაექრებოდნენ.



თავყრილობას უფროსობდა პურის მტე ონსორი, პოეტთა მეფედ სახელდებული. იქვე იყვნენ მისი მეგობრები, კალმის სახელოვანი მეუფენი ფეროხი და ასჯადი, სახოტბო ლექსის ვირტუოზები. ტკბილი საუბარი გაებათ, რომელიც ეხებოდა გახმაურებულ პოემა „ვამეყსა და აზრას“.

ფეროხი უფრო სახელოვანი იყო, ვიდრე ასჯადი, რომელიც ფაქტობრივად მეორეხარისხოვან ხელოვნად მიაჩნდათ, ოღონდ ამბობდნენ: ხელმწიფის მსტოვარია, მასთან ენები მიაქვსო. იქნებ, ამადაც იყო კარზე ამ ორი მოშიარის დარად და თანაბრად მიღებული?

ფეროხი მზის სხივივით პირდაპირი კაცი იყო და თავისი მდგომარეობა ნებას აძლევდა, მაჰმუდ ლაზნევის ფავორიტისათვის „ვამეყსა და აზრას“ ნაკლოვან მხარეებზე მიეთითებინა, მაგრამ ამასვე როდი სჩადიოდა ასჯადი.

ფეროხიმ, რომელიც საფლავის ლოდევით მძიმე კაცი ჩანდა, თუმცა კი ბაბუანვერასავით მსუბუქ ლექსებსა თხზავდა, ვაზის წითელლოყება ასული ოდნავ მოსვა, პირი ჩაიკოკლოზინა, და ბრძანა:

- შენი მოცალეობის თეორია, თუმც კი ოსტატურად გამოხატე, რაც უნდა იყოს, ორიგინალური მაინც არ არის. განა პლატონის სულთა მოცალეობისა და შესატყვისობის იდეა უფრო ადრე არ იყო გამოთქმული?

- ჩემო ძმაო და ბატონო, - უპასუხა ონსორიმ, - ერთი რელიგიური მოღვაწეა, ასკეტი ქრისტიანი თეოდორე იერუსალიმელი. ის აყენებს მრავალმნიშვნელოვან კითხვას - „რაი არს ახალი მზისა ქუეშე?“ და იქვე იძლევა პასუხს: „- არარაი!“ - ყველაფერი უკვე იყო და ყვე-



ლაფერი უკვე ნათქვამია, ოღონდ სიტყვის ყოველი მაგი და მოგვი უკვე თქმულს სხვაგვარად, თავისი დროისა და ეპოქის ენით გამოხატავსო. მე კი დავსძენდი: სწორედ ამ გამოხატვისას უნდა ჩასწვდე შენი ხალხის, შენი თანამედროვე მკითხველის გულისგულს. აი, რა არის მთავარი, თორემ სოკრატეს, პლატონისა და არისტოტელეს შემდეგ ახალი და უმჯობესი რა აზრი უნდა გაგიჩნდეს?!

ასჯადიმ, რომელსაც ნისტაგმი<sup>67</sup> ახასიათებდა, თვალე-ბი ზედიზედ რამდენიმეჯერ დაახამხამა, თავი მხიარულად მოიქექა და წამოიყვინა:

- დიახ, მეგობრებო, დიახ, მეც ამ აზრს ვიზიარებ!

მაგრამ მალევე მიხვდა: თუ ახალს არაფერს იტყოდა, მაშინ მავანი პოეტი უკვე თქმულის სხვაგვარად და ვირტუოზულად გარდათქმაში უნდა ყოფილიყო ძლიერი, ხოლო ამ მხრივ ასჯადი ვერაფრით დაიკვეხნიდა და ბაგე მოიკვნიტა, მსწრაფლ დადუმდა.

შემდგომ, წამხდარი საქმე რომ გამოესწორებინა, ვითომ ისიბრძნა:

- იმ სულელ ბერძენ დიაცს, საფოს, სხვა სერიოზული საქმე არა ჰქონდა რა, სიყვარული რომ მოიგონა?! ჰო, მოიგონა ის, რაც არ არსებობს!

ტუხტის ხე უცნაურად აცახცახდა, თითქოს თქმული არ მოეწონაო, ხოლო ფეროხი პურის მტეს შეაჩერდა, ამ კითხვაზე მისი პასუხი აინტერესებდა.

პოეტთა მეფემ ღვინის ხშირი სმისაგან სახეგაბი-ჟვინებულ ასჯადის ირონიულად გადახედა, ოღონდ ტკბილად უთხრა:

- სიყვარული ისე სჭირდება კაცობრიობას, რომ, თუ არ არსებულებო, ჩვენ უნდა გამოგვეგონებინა. დიდე-

67 ნისტაგმი – თვალის უნებლიე ხამხამი.

ბა ეკუთვნის იმ ბერძენს, რომელმაც ამ ღვთაებრივ გრძნობას უმღერა. და განა ჩემი „ვამეყ და აზრა“ სხვას რას უმღერის, თუ არა ამ ფუძემდებლურ ადამიანურ განცდას?!

ასჯადიმ თავი გალახული ბალღივით ჩაჰკიდა.

პოეტებმა ისევ მონრუპეს ნუნუა, სხეულში ზაფხულის ყუყუნა წვიმასავით სიამოვნების მომგვრელი ყუყუნი იგრძნეს და გზას გახედეს. უეცრად თვალი მოჰკერეს მდებრივ იერის მქონე შთაგონებულსახიან ჭარმაგოსანს. ოდნავ დაბნეული და შეცბუნებული ჩანდა. აქამდე უნახავი სიმდიდრისა და ნალკოტების ხილვისაგან ხომ არა?

ფეროხი ასჯადის მიუბრუნდა:

- ეგ ვინმე ჩვენია?

- არა, არა მგონია!

- ჰო, არც მე მეჩვენება.

უცნობთან მსახური აფრინეს და მალევე შეიტყვეს: ბედის კიდევ ერთი მაძიებელი ყოფილიყო, კარზე სახელის დასაგდებად მოსული.

კონკურენტის გამოჩენამ სამეული შეაკრთო.

არა, ამათ მიერ აღებულ სიმაღლეებს იგი თვალს ვერ შეანვდენდა, მაგრამ მაინც შეუთრთოლდათ ბაგეები და აუკანკალდათ გული – ემანდ ეშმაკს არა სძინავს და ფხიზლად უნდა ვიყოთო!

ასჯადი ჩაფიქრდა, მერმედ თვალები დაანკაპუნა და აზრი გამოთქვა:

- მოდით, გავაპამპულოთ, მივახვედროთ, რომ აქ მაგისი ადგილი არ არის!

ეს აზრი ყველას მოეწონა და დაეთანხმნენ.



- მაშინ ასე მოვიქცეთ,- საუბარში ჩაერია ონსორი,- როს მოგვიახლოვდება, ყოველმა ჩვენგანმა დუბეითი<sup>68</sup> თითო სტრიქონი წარმოვთქვათ; ტაეპის ბოლოს სულ ერთნაირი რითმები მოდიოდეს და ამ გზით რითმების გასაგისი გავწყვიტოთ. მოგეხსენებათ, მესამე შეხამებული სიტყვის მიგნება ძნელია, ხოლო მეოთხისა – წარმოუდგენლად რთული. ისიც მეოთხე შეხამებულ სიტყვას ვერ იპოვის და სირცხვილსა ჭამს.

იდეა ყველას ესულგულა.

ასჯადი აღტაცებულიც კი დარჩა და ტაში შემოჰკრა, რადგან კარის აღიარებული მგოსნები საკუთარ ოსტატობასაც გამოავლენდნენ, თავს კიდევ ერთხელ გამოიჩინდნენ და იმავდროულად მოსულსაც საკუთარ ადგილს მიუჩინდნენ.

ოქროსბიბილოვან მამალთა ძიძგილაობა საინტერესო უნდა გამომდგარიყო.

სიტყვას საქმე ამშვენებს – როგორც მოილაპარაკეს, ისეც მოიქცნენ.

დღეს თუმცა კი ერთი თვალი აქვს, ორთვალი ადამიანზე უკეთა ხედავს. იმ დღემ იმ დღეს ასეთი სურათი იხილა:

როცა ძველადველაში გამოხვეული და შრომა-კირთებისაგან მილასლასებული აჯამი მეგობართა თაბუნს მიუახლოვდა და მისასალმებლად შედგა, პოეტთა მეფემ ხმამალა და მკაფიოდ წარმოთქვა:

**ეგ შენი ღაწვი, მთვარისებრი, კაცის გულს ხარშავს...  
ფეროხიმ მუნასიბად შეუნყო მეორე ტაეპი:  
მაგ ბაგეებთან ყველა ვარდი წააგავს წარშავს...**

68 დუბეითი – ორმაგი ბეითი, ოთხსტრიქონიანი ლექსი.



ასჯადიმ განაგრძო:

**შენთა წამწამთა ინდოთ რაზმი გააპოზს ჯავშანს...**

და უამური მეტოქის მოსალოდნელი დამარცხებით დამტკბარი სამეული სულგანაბული დაელოდა მწირის ჩავარდნასა და მისი გაბედითებული სახის დანახვას.

ოლონდ მოხდა სასწაული.

აბულყასემმა მშვიდად და ოსტატურად დაასრულა ლექსი – მეოთხე რითმაც მარჯვედ გამოძებნა და ძველი ამბების ღრმა ცოდნაც გამოავლინა. მისმა სტრიქონმა დუბებითი დააგვირგვინა:

**ვით გივის<sup>69</sup> შუბი, სიკვდილი რომ არგუნა ფაშანს<sup>70</sup>...**

შესანიშნავი სარითმო ოთხეული გამოვიდა, რომელში ფირდოუსისეული ყველაზე უკეთესადაც კი ჟღერდა: **ხარშავს, ნარშავს, ჯავშანს, ფაშანს.**

შეცბუნებული სამეულის წევრები ჯერ ერთმანეთს შეაჩერდნენ, შემდეგ კი მოსულის მიმართ ცხოველი ინტერესი გამოიჩინეს.

აჯამი მეტოქეებს კიდევ უფრო მიუახლოვდა და, ასე ვთქვათ, ისიც მარაქაში გაერია.

ეგ საქციელი ასჯადის არ მოეწონა, თავხედობასაც საზღვარი აქვსო, - გაიფიქრა და ურჩია:

- მგზავრო ეულო, ამ ქალაქში არაფერი გესაქმება; ნუ შეყოვნდები, განაგრძე შენი გზა!

ეკალს ფხოჭნა შეშვენის, მედიდურს – უწყალობა. და სწორედ ამ სისასტიკეს ავლენდა დღეს ასჯადი.

- ჰო, მაგრამ სად უნდა წავიდე?

- იქით უნდა წახვიდე, საითაც თვალი და ფეხი წავიყვანენ. ამ გზაზე სიკეთეს გისურვებ!

69 გივი - „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი.

70 ფაშანი - „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი.



- ღმერთმა გიმაგიეროთ! ოღონდ სულთანს ჩემი თხზულება უნდა წავაკითხო.

- არ გირჩევ, არა ღირს, მაინც არაფერი გამოვა.

აჯამს წამიერად მოეჩვენა, რომ ამ ბაღში, წელან რომ სამოთხისდარად წარმოესახა, ეშმაურნი დაშლივინებდნენ.

ამხანაგთა თაბუნს შეხედა და თქვა:

- ნუთუ ჩემ შესახებ არაფერი გსმენიათ, არც არაფერი წაგიკითხავთ, თუნდაც ჩემი თხზულების ფრაგმენტები? ამ საქმეზე მრავალი კალიგრაფი მუშაობს და ხალხში ბევრი ხელნაწერი ტრიალებს...

ფეროხი შეშინდა, ეგ უცნაური მწირი ჩვენ არ მოგვეკედლოსო და უპასუხა:

- რომ გვსმენია და წაგვიკითხავს, იმადაც გირჩევთ: დროს ამაოდ ნუ დაკარგავ! და სხვებს აღიარებულის სიამაყით გადახედა.

საუბარში ისევ ჩაერია პურის მტე:

- ჩვენ სრულიად ვიზიარებთ პოეზიისა და სახელმწიფოს წინაშე თავდადებული კაცის, ცნობილი ნაყალისა და აშულის ხითამბარელის აზრს შენი თხზულების შესახებ.

- გოლლეტ ხითამბარელია თავდადებული?! – იკითხა აბულყასემმა. მერე პასუხს აღარ დალოდებია, ისე დაუმატა: - მედროვეს თავის გამოდება შეუძლია და არა თავის დადება!

ეგ ნათქვამი ონსორის მოეწონა, ოღონდ არ შეიმჩნია.

პოეტთა მეფეს ფეროხიც წამოეშველა:

- ხითამბარელი ფიქრობს და ჩვენც ასე გვგონია, რომ შენს თხზულებაში ძალიან ბევრი რამ არის არასაგნობრივი, არასაჭირო, პირდაპირა ვთქვათ, ზედმეტი ამბავი,



ეპიზოდი, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ცოდნა-გამოცდილებას ეხები.

- ვერაფრით დაგეთანხმებით; სფერო, სადაც სრულიად არაფერი ესაქმება სიტყვა „ზედმეტს“ - ეს ცოდნის სამყაროა.

ნიჭიერი ონსორი მიხვდა, რომ იაღლიში მოუვიდა – მისმა დარგულმა ნერგმა ხენეში ნაყოფი გამოიღო და საქმის გამოსწორებას დაეშურა:

- კეთილი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმას რა ვუყვით, რომ სულ წარსულში იქექები, ნამყოზე წერ, ხოლო აწმყო და მომავალი კი ქარისათვის გაგიტანებია?! აჯამს ეგ მრწამსგაუზიარებლობა და არათანაზიარობა ემცხეთა:

ვაკეთებ იმას, რაც მართებულად მიმაჩნია, რაიცა გულზე მაქვს ამოტვიფრული, ვითარცა მრწამსი: წარსულს უნდა მოექცე პატივისცემით, აწმყოს – სიყვარულით, მომავალს – იმედითა და მზრუნველობით. ასახვით კი ყოველთვის უფრო საშურია წარსულის გამოჩინება და, საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ ოდესღაც მომავლის პასუხისმგებლობის წინაშე წარვსდგებით და ყოველი ჩვენი სიტყვისა და შეფასების გამო პასუხი მოგვეკითხება...

ჰაქიმი მიხვდა, რომ ამათ იმდენად მისი ნაწერები არ წაუკითხავთ და შეუსმენიათ, რამდენადაც მისი კრიტიკოსის, უნაქნარო ხითამბარელის მოსაზრებები. „ზოგჯერ საშუალო დონის კრიტიკოსს უფრო უჯერებენ, ვიდრე გენიოსს“, - გაიფიქრა და გული შეეთანაღრა.

აჯამი ხვდებოდა, რომ კარზე მას ხელგაშლილი არავინ შეეგებებოდა, გულში ძმურად არავინ ჩაიკრავდა,



თვალში თვალს სიყვარულით არავინ გაუყრიდა და მისი პოემის ქებას არავინ მოჰყვებოდა.

და გული ეულობის მტანჯველმა გრძნობამ კიდევ ერთხელ შეუტორტმანა.

ახლა ფეროხის შეტევაზე გადასვლის ჯერი დადგა:

- წმინდა გრამატიკული თვალსაზრისით, „ვარდი“ და „ჩონჩორიკი“ თანაბარღირებული სიტყვებია... თუმცა კი მკითხველს პირველის დანახვა და მოსმენა უფრო სიამოვნებს, ვიდრე მეორისა. შენ კი მათს არანაწირობას არ ახდენ!

ჰაქიმმა სხარტად უპასუხა:

- სიტყვათა არანაწირობა ეპიკაში მიუღებელია. აქ ერთნაირად ელავს დროულად ნახმარი „ვარდიცა“ და „ჩონჩორიკიც“. გამოსაყენებელი სიტყვებისადმი ამგვარი მიდგომა წმინდა ლირიკოსთა ხვედრია. ჩემს ლირიკულ გადახვევებში ასეც ვიქცევი, ოღონდ, როგორცა ჩანს, ისინი არც მოსმენილი და არც ნაკითხული არა გაქვთ.

- კეთილი, - ოდნავ მოტეხილი და შერბილებული ტონით უთხრა ონსორიმ, - კეთილი, შენს ნაწერებში ბევრია ეპითეტი, შედარება, მეტაფორა და ეგ მაინტერესებს, რა კრიტერიუმებით უდგები მათ, რა ფუნქციას აკისრებ თითოეულ მათგანს?

აჯამი მიხვდა, რომ საუბარმა წმინდა ლიტერატურული ხასიათი მიიღო და გულს ოდნავ მოეშვა. „სიტყვის ოსტატი პოეტური ხელოვნების საკითხებს უნდა უტრიალებდეს ირგვლივ და არა გარეშე თემებს“, - გაიფიქრა და მცირე შეყოვნების შემდეგ ხმა გაიღო:

- ეპითეტს მოეთხოვება სიზუსტე, შედარებას – გაბედული მოულოდნელობა, მეტაფორას კი – უუმნვერ-

ვალესი ფუფუნების შეგრძნების მოგვრა, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, მეტაფორა – ეს არის მდიდარი შედარება, ფუფუნებაში მყოფი შედარება...

- ეპითეტის სიზუსტე?! – წამოიყვირა ასჯადიმ, - ეგ რომ ჩვენ, ლირიკოსებმა, დავიცვათ, რა სახამსო დახლი დაგვიდგება მაშინ?!

- ლირიკაზეც ზედაპირული წარმოდგენა გქონიათ, - თავისი ბრაზი ველარ დამალა ჰაქიმმა, - ეპითეტს სიზუსტე მუდამ მოეთხოვება, ლირიკაშიცა და ეპიკაშიც, თუნდ სრულიად ჩვეულებრივ საუბარშიც კი! ლირიკას არცა ოდესმე ჰქონია და არც ახლა აქვს იმხელა ხელმწიფება, რომ ეპითეტს სიზუსტე ჩამოართვას.

- პურის მტეს პასუხი დიდად ეამა.

რაც დრო გადიოდა, ეს ეული კაცი ონსორის სულ უფრო და უფრო მოსწონდა. ნათქვამია: გულს გული იცნობს და ღონეს – ღონეო. ძლიერი ძლიერს უგებს, ნიჭიერი – ნიჭიერს და პოეტთა მეფემ აქამდის ფეხზე მორჩილად მდგარი თანამოკალმე სუფრასთან მიიწვია, საჯდომი თავის გვერდით შესთავაზა.

ასჯადი აიმრიზა, რაკილა ახალგამოჩენილი ტეტია მეღექსე სუფრის ხელმძღვანელსა და მას შორის ყადვივით წამოასკუპეს. ეს კი გარკვეული პატივის მირგუნებას ნიშნავდა. ამის შემდეგ განაწყენებული სულ იმასა ლამობდა, ჯიუტი და თავკერძა მეღექსისათვის რაიმე ხაფანგი დაეგო. მან კარგად უწყოდა, რომ მაჰმუდ ლაზნევმა აუარება სისხლი დააქცია და თავისი დიქტატურა ისე დაამყარა; იფიქრა, ეგების, რაიმე სახიფათო საუბარში ჩავითრიო ეგ წყეული და, როგორც თევზი ბადეში, საკარო ინტრიგაში ისე გავხლართოო. უცებ ადგა და



შემოსწრებულს მყისიერი შეკითხვა დაუსვა: რა განსხვავებას ხედავ ძველსა და ახალ დროს შორისო?

და მაშინ, როცა თანამეინახენი ელოდნენ ახლის ქებას, ღაზნევის ეპოქის განდიდებას, ჰაქიმმა, არც აცია, არც აცხელა, განაცხადა:

- ძალიან დიდსა და მნიშვნელოვანს!
- კერძოდ? – ცმუტავდა ასჯადი.
- ძველად ქალთან პაემანზე რომ მივეშურებოდი, ასე მეჩვენებოდა, თითქოსდა ქორნილში მივდიოდი, ახლა კი – თითქოსდა ომში მივდიოდე!

ყველა გაშრა, ზოგმა ფერფურიც კი დაკარგა.

პურის მტეს ეს ქარაგმული კრიტიკა დიახაც მარჯვე ეჩვენა, ოღონდ მეტისმეტად ეთამამა. ამიტომ გაფითრებულია თქვა:

- მოდით, ისე ვქნათ, რომ ცის სიმყარე თავს არ დავიტეხოთ, ხელისუფალთა რისხვას ვერიდოთ; მხოლოდ ჩვენს პოეტურ მეურნეობას მივხედოთ, ის გვარჩინდა, გვარჩინს და კვლავაც დაგვარჩინს!

და შემდეგ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა მათ შორის ჩამჯდარ საშუალო ძალის მესიტყვეს, რომელიც ნიშნისმოგებით იყურებოდა, აქაოდა, ყოველი თქვენგანის სული ხელში მე მიჭირავსო. როცა მისი მადვალაკური მზერა დაიჭირა, პურის მტემ ნათქვამი ასე განავრცო:

- ახლა კი სწორუპოვარი ყაზელების ავტორის ბატონი ასჯადის ხელოვნება დავაგემოვნოთ, ალაჰი იყოს მისი სიცოცხლის გამხანგრძლივებელი და მაჰმუდ ღაზნევი – მისი კეთილდღეობის უზრუნველმყოფელი და მწყალობელი!



და ან უკვე ოთხეულად შეკრული საზოგადოება დიდხანს ისმენდა ასჯადის მიერ მთელი გზნებით წარმოთქმულ ყარტაყურტა ლირიკულ გნომებს, ისე დიდხანს, ვიდრე ბალის მნათის მიერ ანთებული ჩირალ-ბაზმა სრულიად არ ჩაინვა, ჩაიღია და ჩაინავლა.



## თავი მარჯი

ეკონომიურად შეჭირვებული პოეტი საერთო ხანა-გაში დააყენეს. სანამ სულთანი მისთვის მოიცლიდა, მანამდე დიდძალ წყალს უნდა ჩაეველო. გადათეთრებულ ნიგნთა ფოლიანტები ოთახში შეალაგა და კუთხეში მიანყო, ზედ თავისი ლურჯი ასალი გადააფარა. ღარიბულად ცხოვრობდა და ელოდა სამ რაიმეს: კეთილი მზის სამისოდ ამობრწყინებას, აბუ დოლაფის მოსვლას, როგორც შეჰპირდა მგოსანს, და იმას, თუ მისთვის როდის მოიცლიდა სახელმწიფო და პოლიტიკური საქმეებით გადატვირთული პატრონი.

კარზე ის მარტოობას უფრო მწვავედ განიცდიდა. მართალია, ყველა გრძნობდა და ხედავდა აჯამის უპირატესობას, შურდათ კიდევ მისი, ოლონდ მის ოსტატობას მალავდნენ, თუმცა კი ფირდოუსის სახელოვნებო ხერხებსა და ილეთებს გერგილიანად იყენებდნენ, პლაგიატორობდნენ; სულთანთან კი ავი ენები მიჰქონდათ და „შაჰ-ნამეზე“ უარყოფითი აზრი წინდანინ შეუმუშავეს.

როგორც იქნა, ჩამოვიდა დოლაფიც – მგოსნის ერთადერთი რეალური მოკავშირე.

მეგობრები ერთურთს მხურვალედ გადაეხვივნენ და ამ უცხო მიწაზე შეხვედრით გახარებულებმა ცრემლი ღვარეს – სიხარულის გამჟღავნებით ჭერი ახადეს.

ერთი კეთილი და პოეზიის დამფასებელი ვაზირის დახმარებით, რომელიც ხელმარჯვე და ფეხმართალი კაცი იყო, იმას მიაღწიეს, რომ მომდევნო კვირეულის დასაწყისში სულთანი მათ მიიღებდა და მოუსმენდა.





აბუღყასემმა იცოდა: ეს ყველაფერი როდი იყო, მაგრამ რალაცას მაინც მოასწავებდა. რაც უნდა იყოს, ყინული დაიძრა! და, ვინ იცის, მხიარული გაზაფხულიც მალე დამდგარიყო. თუმცა კი ხანდახან მტანჯველი ეჭვიც შეიპყრობდა: ნუთუ იმ მძიმე ლოდს, რომელსაც უბედობა ჰქვია, გადააგორებდა? მერე კი ისტორიული მაგალითი გაახსენდებოდა, ტანჯული კაცობრიობის გულის დამაამებელი: ბოლოს და ბოლოს, ისამ ხომ გვასწავლა, რომ ლოდის გადაგორებაც შესაძლებელია!<sup>71</sup>

მაგრამ აჯამმა ესეც კარგად უწყოდა: ცოცხალი გენიოსი არავის სჭირდება, მკვდარი – ყველას.

ამასობაში ფეროხიმ შეთხზა მახვილგონივრული და მარჯვედ აწყობილი ლექსი, დახელოვნებულ კალიგრაფს ჩინურ აბრეშუმზე გადააწერინა და სულთანს მიართვა. იქ ნათქვამი პატრონს ესულგულა:

**ნუ წაიკითხავ ზავლისტანელ როსტომის ამბებს,  
რომელიც არც სულს, არც გულს, არც ხორცს  
არარას არგებს!**

**შენმა სახელმა ხმა წაართვა ყოველგვარ ხოტბას  
და ამის შემდგომ რა აზრი აქვს „შაჰ-ნამეს“ როტვას?  
მოხდა სხვა რამეც:**

ამას წინათ ონსორი და ფირდოუსი ერთურთს გაეფიხრნენ და ჰაქიმმა აშკარად აჯობა – შეკრებილთა ტაში და ოვაციები ამას ნათლად მოწმობდა. ძლეულმა პოეტთა მეფემ ჩალმა მოიხადა და ძირს ბრაზიანად დაახეთქა. ამის გამო გაღიზიანებულმა სულთნის წინაშე „მეფეთა წიგნი“ წაკბინა:

<sup>71</sup> იგულისხმება ქრისტეს მისტერიის ის სცენა, როდესაც დასაფლავებულმა მაცხოვარმა საფლავის ლოდი გადააგორა და მკვდრეთით აღდგა, ცად ამაღლდა.



- ხელმწიფეო, დიდებულო, გადიდოს ღმერთმა და გიმ-  
რავლოს ჯარი და ჯალაბი! „შაჰ-ნამეში“ მხოლოდ ერთია  
ნამდვილი გმირი – როსტომი – და მისი მსგავსიც შენს  
სახელოვან ლაშქარში ათასობითაა. მაშ, რაღა აზრი აქვს  
ახლა ასეთ პოემას? ზღაპარი იმითი არის მიმზიდვე-  
ლი, რომ აღწერს წარმოუდგენელ და განუხორციელებ-  
ელ ამბებს. თუ ისინი განხორციელდება და რეალური  
გახდება, მაშინ ზღაპარი ზღაპრობას დაკარგავს და მას  
ვინღა წაიკითხავს? არავინ. მაშ, ძვირფას დროს ტყუი-  
ლუბრალოდ ნულა დაკარგავ! გმირთა ხილვა თუ მოგნა-  
ტრებია, შენი ჯარების აღლუმი გამართე და ლულამების  
წინ გაიარ-გამოიარე!

როგორც იქნა, დადგა ის დღე, როცა ჰაქიმი სულ-  
თანთან იხმეს. ეჯიბმა მეგობრები სამეფო პალატაში  
შეიყვანა, პატრონს წარუდგინა და გავიდა.

მაჰმუდ ლაზნევი აჯამს კეთილმოსურნედ უღიმოდა.

პოეტმა სამგზის თაყვანი სცა და აბუ დოლაფთან  
ერთად ტახტის ახლორე შედგა.

შვიდი იყლიმის მბრძანებელმა ორივენი თავაზით  
მიიწვია, საპატიო ადგილებზე დასხა და აბულყასემს  
მიმართა:

- მომახსენებდნენ, მთლად დაჩაჩანაკებული და მიხ-  
რწნილიაო, მაგრამ ასე როდი ყოფილა.

- მართლაცდა ერთი მოხუცი, უმწეო კაცი ვარ, ფრი-  
ად შეურვებული და ვიცი: ამქვეყნად ისე არავის უჭირს,  
როგორც ბებერ პოეტს; მხიარული და ჭრელი ახალგაზ-  
რდობის დრო გამიფრინდა, როგორც ხეზიდან გამოსხნი-  
ლი გავაზი.



მბრძანებელს შედარებამ გულის ნათელი უპოვა. თავისი ფიქრით, თვითონ ასაკით ჯელობასა და მხცოვანობას შორის მერყეობდა. ამიტომაც ინტერესით იკითხა:

- ამბობ, ჯეელი აღარა ვარო. მაინტერესებს, სიჭაბუკესა და მხცოვანებას შორის სად გადის მიჯნა, ვის უნდა ვუნოდოთ ახალგაზრდა?

- ახალგაზრდა უნდა ვუნოდოთ სხეულს, ნერგს – ყველაფერს, რაც იზრდება და ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია ეს ზრდა. შემდეგ კი ამ გულის გამამხიარულებელ სახელწოდებას უნდა გამოვეთხოვოთ.

მრისხანე და გონიერ მმართველს ეს განმარტება პირველზე უფრო ეჭაშნიკა, თუმცა კი გული მოეჭყეჭკა – ამ განსაზღვრების მიხედვით, უკვე ისე შორს გასცილებოდა სიჭაბუკე-მხცოვანების საზღვარს, რომ მას უკვე ბუნდოვნადაც კი ველარ ხედავდა.

ზოგი თვალში თვალს გაუყრის თანამოსაუბრეს და ჰგონია, ასე უკეთ გავიგებო მის ზრახვას; ზოგიერთი კი მიიჩნევს: ამ დროს თვალში არ უნდა ჩახედო მოსაუბრეს, თორემ დაგაბნევს და ვერ მიხვდები, რასა ფიქრობსო. მაჰმუდმა მთხოვნელს თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა:

- რაკილა სიბრძნის ქალაქად წარმოაჩინე თავი, რომლის ჭიშკარიც არასოდეს იკეტება, ერთი ესეც გამაგებინე: რომელი უფრო დიდი ხელოვანია – რუდაქი, დაყიყი, ონსორი, ფეროხი, შაჰიდ ბალხელი თუ ქესაი?! ეგ მწვედ მაინტერესებს. თვითმპყრობელი ვარ და ყოველივე გამონვლილვით უნდა ვიცოდე.

- სხვადასხვა დროისა და ჟანრის სიტყვის ოსტატთა შედარება უმადლო საქმეა, რადგან ისინი ჯარისკაცები



კი არ არიან, მწყობრში ერთ მწყრივად მოწყობილნი, რომ მკაფიოდ ვიხილოთ მათი სიდიდე-სიპატარავე.

აბულყასემმა პატრონის წინაშე კიდევ ერთხელ მოიდრიკა ქედი.

მბრძანებელს პასუხი სამართლიანი ერვენა, ოღონდ მაინცა კლავდა იმის ცნობისნადილი, დღემდე არსებულ მწერალთაგან თუ რომელი იყო ყველაზე დიდი ფიგურა. აბულყასემი მიუხვდა და საჩქაროდ დასძინა:

- თუ მაინცა დამაინც არჩევანზე მიდგება საქმე, და აქ აჯამს ბატონი ლოლამალისა და მისი ოდესღაც გამართული საუბარი წამოაგონდა, მე, მაგალითად, დაყიყი უფრო მესულგულება.

- ჩემს დიდ წინამორბედს, ანუ შირვანს, აინტერესებდა და მეც მწვედ მაინტერესებს სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობა. განა ეგ არ არის ჩვენი არსებობის არსებითი საკითხი?! მაშ, რომელი უფრო ძლიერია, რომელს ეკუთვნის ჩვენი ტაში და დიდება?

მგოსანმა მყისვე იგრძნო, რომ ვითარება გახდა თავხედი, როგორც შეკითხვა, და მორცხვი, როგორც პასუხი.

შეკითხვა გავიგეო, იმით აგრძნობინა, რომ ერთხელ კიდევ თავი დაუკრა და ლექსად უპასუხა:

**მეც მიფიქრია, რა არის  
ყოფიერების საზრისი?  
სიკვდილ-სიცოცხლის დავაში  
ხან ის იმარჯვებს, ხან – ისი.  
ბოლოს ხელთ შემრჩა ფორმულა,  
გადამწყვეტელი დავისი:  
სიცოცხლეს კაცი დაათრევს,  
სიკვდილი დადის თავისით!**

- ესეც ასე, - წარმოთქვა კმაყოფილმა მასპინძელმა, - ერთმანეთს გავეცანით და ახლა მთავარ საქმეზე გადავიდეთ!

სულთანს პოემის ცალკეულ ადგილებს აბუ დოლაფი უკითხავდა, ზოგიერთს – თვითონ ავტორი.

უზარმაზარი ტექსტის მთლიანად გაცნობას როდი აპირებდა ლაზნევი, ოღონდ რჩეული ადგილების მოსასმენად რამდენიმე დღე გამოყო. თუ კითხვის პროცესი დილით მიმდინარეობდა, ზოგი ადგილი საკმაოდ მოსწონდა, თუ საღამოთი, მაშინ ისინი დიდად არაფრად ეპიტნავენოდა.

სულთანს პოემა არ მოეწონა.

ვერც მოეწონებოდა, რადგან მასში შექცეული იყო ზოროასტრიზმი, ძველი ირანი და მისი სახელოვანი მეფეები; თურანი მუდამ უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებოდა, ხოლო თურქები წარმოსახული იყვნენ დაბალი კულტურის მომთაბარე ველურ ხალხად; ამავე დროს, პოემას მსჭვალავდა ანტითურქული იდეოლოგია; თვითონ ლაზნევი სუნიტი გახლდათ, პოეტი – შიიტი და აქებდა სუნიტების მსხვერპლ ალის; არც ქმნილების დემოკრატიული სული უნდა მოსწონებოდა დესპოტს.

- დიდი პატრიოტი ყოფილხარ, - უთხრა მაჰმუდმა და მალვალაკურად გაუღიმა.

- ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქე პატრიოტი უნდა იყოს.

- მაგრამ შენ უსაშველო მამულიშვილად აჩვენე თავი.

- მამულიშვილობას საზღვარი არა აქვს, ქვეყნიერებას – კი!



- არა ხარ მართალი, აქვს. როცა პატრიოტიზმი წრეს გადადის, მჟავდება, აი, მისი საზღვარიც, - აუხსნა სულთანმა.

ჰაქიმმა შეკამათება ველარ გაუბედა და თავი დახარა. მაჰმუდს ეს საქციელი მოეწონა.

- პოემაში უსაზღვრო თავისუფლებასა და დემოკრატიაზე მსჯელობ. რა თქმა უნდა, გარეგნულად კარგია, ცხვარი და მგელი ერთად ძოვდნენ, როგორც ამას თითქმის ყველა კარში იმეორებ, ოღონდ ესეც ხომ უნდა ვიცოდეთ: მგელი ბალახს არა ჭამს და ზამთრობით არც თივას ახრამუნებს; მას ზენაარმა, იდიდოს მისი სახელი, საკვებად ხორცი დაუწესა. შესაძლებელია, ეს ცხოვრებისეული საკითხი სიტყვის ხელოვანს არც აინტერესებდეს, ოღონდ მე სახელმწიფოს მმართველი ვარ და ვალდებულება მანევს, ვიცოდე.

ამჯერად აბულყასემმა შეკამათება გაბედა.

- ძალაუფლება უხეშად არ უნდა გამოვიყენოთ. ის ძალმომრეობის დამყარების ნებას როდი იძლევა. ქათამს რომ დააბამენ, ნახევარ დროს საკვების ძებნას უნდება, დროის ნახევარს კი თოკს წინკნის და თავისუფლების მოსაპოვებლად ირჯება.

სულთანმა გაიღიმა.

ამ ღიმილში იმდაგვარი ირონია ერია, რომელიც ნათელყოფდა – ამ საკითხში ჩემთან შედარებით ჭყინტი ბავშვი ხარო:

პატრონმა მონას დაკვირვებით შეხედა. როცა შენიშნა, რომ მის სახეზე გადმოეფინა დამარცხების მაუნყებელი ბაირაღები, სასწრაფოდ დასძინა:

- თუ ლალმა პატარძლის მარგალიტი არ გახვრიტა, ბავშვი საიდანღა გაჩნდება, შთამომავლობას როგორღა ველირსებით?!

ჰაქიმიის სახეზე გადმოფენილმა დამარცხების ბაი-რადებმა ხელმწიფის გული მოიგეს – საკუთარი ხელით ძლეული ყველას უყვარს; არ აპირებდა ჯილდოს გაცემას, მაგრამ გული მოუბრუნდა და განაცხადა:

- ალაჰის ნყალობა უღეველია. ყოველი მეფე მისი ენით ლაპარაკობს. მეც მომიღია მოწყალება და შინ მისვლის შემდეგ 60 ათას დინარს მოგიტანენ – თითო ოქროს თითო ბეითში!

აბულყასემი და აბუ დოლაფი წელში მოიხარნენ, მადლიერების ნიშნად თავი იატაკამდე დახარეს.

მაჰმუდ ლაზნევი დაფიქრდა. შემდეგ პოემას საბოლოო შეფასება მისცა:

- ისე კი მართალი უნდა ვთქვათ: მთელი „მაჰ-ნამე“ არარაობაა, საკუთრივ როსტომის ლეგენდის თვინიერ, და ესეც უნდა შევნიშნო – ჩემს ლაშქარში როსტომზე უკეთესი ათასამდე გოლიათი მაინც მეგულვის.

აბულყასემმა მიუგო:

- დღეგრძელი იყოს უფლის სახელი! თუმც კი არ ვიცი, დიდებულო მბრძანებელო, რამდენია შენს სპაში როსტომის მინამსგავსი ვაჟკაცი, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცი: მაღალ ღმერთს ჯერ არავინ შეუქმნია როსტომგმირის დარი, სწორი და ჯუფთი.

მერმედ უკიდურესად მდაბლად თაყვანი სცა და გარეთ გამოვიდა.

აბუ დოლაფი ფოლიანტებს მოათრევდა.



მეორე დღეს, დილასისხამზე, აბუ დოლაფი შინისაკენ გაემგზავრა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კი შეგეძლოთ შეგენიშნათ სამეფო ხანაგიდან გამომავალი ხმელ-ხმელი მომალ-ლო კაცი, შთაგონებული სახე და ჭაღარა წვერი რომ ამშვენებდა; ზურგზე გუდა მოეგდო, ხელში ჯოხი ეჭირა. ზღუდის კუტიკარი ფაქიზად გაიარა და შარაგზას თავდახრილი გაუყვა ჯორ-აქლემთა შემოსაკავებელი ქართისაკენ. ეს იდეურად განადგურებული და დროებით განიარაღებული პიროვნება ჰაქიმ აბულყასემ ფირდოუსი თუსი გახლდათ. იგი მიხვედრილი იყო: სულთანმა ტკბილი დაპირებით მათს ისტორიულ შეხვედრას პირი მოჰბანა (გაიხსენეთ წვიმა დარში, როცა მზე პირს იბანს), თორემ დანაპირების შესრულებას როდი აპირებდა და მას მოაგონდა ამ ვითარებაზე ზედგამოჭრილი ანდაზა: დაპირება და ქადა იმად ცხვება, რომ შემდეგ ორივე გატყდესო.

ასე მოშორდა კარს, სადაც საეჭვო საქმეების მოსაკვარახჭინებლად მრავალნი დაქუსქუსებდნენ და მათ შორის ცოტანი როდი იყვნენ ცნობილი პოეტი-მეხოტბეები.

შინ ბრუნდებოდა, ოღონდ ახლა უფრო მობერებულად და მოჩოლფოთებულად გამოიყურებოდა. ზოგჯერ სულიერი მარცხი გარეგნობაზეც აირეკლება. წვერის შესაკრეჭად მიჭვრიტინაში რომ ჩაიხედა, მიხვდა: ნამდვილად ჭეშმარიტი მეგობარი ისაა, რომელიც სარკიდან გიმზერს, ოღონდაც იმ მეგობრის სახეზე დროს საზიზღარი ნაკვალევი დაეტოვებინა. მშობლიურ სანახებს რომ მიუახლოვდა, გული კიდევ ერთხელ მოეჭეჭკა – სხვების ყანები და ბალ-ბოსტნები ხელოვანი მინიატიურის-





ტის ნახატსა ჰგავდა, მისი კი გავერანებული დახვდებოდა. შორეულ სოფელ ლაჯვარდში ამოკვეთილ ქვასავით ლურჯ ზეცას ალაგ-ალაგ მენამულ-იისფერი, ზოგან კი ზაფრანისფერი ღრუბელი გადაჰკვროდა. ზაფხული მინურულიყო და ხორასნული შემოდგომის სევდა და სილამაზე აქ მკვეთრად იჩენდა თავს. აჯამი ყველაფერ ამას მარტოკაცური სევდის სიამაყით შეჰყურებდა და ხედავდა – მისი მშობლიური მხარე, ქვეყნიერების საუკეთესო კუთხე-კუნჭული, უცხოდ ლამაზი ჩანდა. ეზო-ყურის ჭიშკარი შეაღო. არავინ და არაფერი – არც მოურავი, არც საურავი! ამ მოგზაურობამ იგი ბოგანოდ აქცია. მამული გაპარტახებულიყო. იგრძნო, მეტად მოშიებოდა. ქვაბში ცეხვილი ჩაყარა, წყალი დაასხა, მოადულა, მოათიფთიფა, ასე თათარიახნად შემზადებული კერძი ამოაჯამა და ჯამი წინ დაიდგა. შელამებულიყო. ჭამა, რაც ეჭამებოდა. შემდეგ ბალიშს გამოხუნებული საური გადააფარა და მიწვა. ოთახში ჩრდილები დასლიკინებდნენ. მალე ისე ჩამობნელდა, ეშმაკიც კი ფეხს მოიტეხდა.

ასეთი ყოფა საზარელია და მეტი არაფერი!

იფიქრა, მოდი, წარსულის საუკეთესო წლებს გავიხსენებ და ამით გულს მცირედრე შვებას მოგვევრიო, ოღონდ შემდეგ სხვაგვარად განსაჯა – ისინი ძველ ტკივილებს გამიხელახალებენო. ბოლოს მაინც ფიქრებს ვერსად გაექცა, მათ ეძმო და ემამა: „მტრისაგან დასაცავია ქვეყნის საზღვრები, მგლისაგან – ცხვრის ფარები, სეტყვისაგან – ვენახის ზვრები, გვალვისაგან – ჰურის ყანები, ოღონდ ყველაზე ძნელად დასაცავია ადამიანის პირადი თავისუფლება“.



ქარმა დაჰქროლა და ქოხი აკვანივით დაარწია, მძლედ დაარწია. მეორედ უფრო მძლავრად დაჰბერა, ოღონდ ფუყე ნაგებობამ მაინც გაუძლო. აჯამი მხოლოდ მაშინ გამოერკვა თავისი ფიქრებიდან, როცა მძლავრად დაიქუხა და წვიმამ სახურავზე ტყაპატყუპი ატეხა. დაუშვა და რა დაუშვა! ნამდვილი მერეხი იყო და იყო. აჯამს გაუხარდა – ბუნების ამ შფოთვამ, ეგების, მტანჯველი ფიქრებიდან გამომიყვანოსო.

დაე, დაჰქროლოს სამუშაო, ქვეყნიერების მტვერი გაიტანოს და მგოსანიც ზედ მიაყოლოს.

ერთხანს ყურს უგდებდა ტიტლიკანა ბავშვების ფერხთა ტერფების სახურავზე ტყაპუნს, მაგრამ შემდეგ მისი გონება ისევ უამურ ამბავს გადასწვდა: „როსტომისდარი გმირი ჩემს სპა-ჯარში ათობითა და ასობით მოიძებნებაო, ასე მითხრა და ამით გულზე ფეხი მომასო, ძალიან მტკივნეულად მომასო!“ – ფიქრობდა ჰაქიმი.

მეორე დღეს დილასისხამზე წამოდგა.

ქარ-წვიმას ირგვლივ ყველაფერი დაეღბო, დაეცხრო, დაეშოშმინებინა.

ჰაქიმის გულიც დაშოშმინებულიყო, აღარ ღელავდა. ახლა სამეურნეო საქმეებს უნდა დასტრიალებოდა, თუმცა გრძნობდა – გავერანებულ მამულს ფეხზე ვეღარ დააყენებდა, თანაც ძალი აღარ შერჩენოდა უწინდელი, ახალგაზრდული, თუნდაც გულს წრემეუნერელი ოპტიმიზმი გამოევილინა.

გული!

ეს საოცრება ისევ ისე მწყობრად და რიტმულად მუშაობდა. ის მზად იყო, ახალ ტკივილთა მდინარეები, ზღვები, ოკეანეებიც კი შეესვა, შეესრუტა.

და უცებ ფირდოუსი მიხვდა: სამყაროში არაფერია ისე უსასრულო, როგორც ადამიანის გული, ყოვლისდამტევი და ყოვლისმგრძნობელი.

ამ მიგნებამ იგი გააოგნა.

გაბოგანოებულ მწერალს ერთმა კეთილმა მეზობელმა ორი ცხვარი აჩუქა, მეორემ – მენწელი თხა.

ცოტათი სული მოითქვა, ლაღად ამოისუნთქა. მაგრამ ეს მაინც საჩუქარი იყო და არა ჯილდო. მას კი ეს უკანასკნელი ესულგულებოდა, რადგან კარგად უწყოდა: ჯილდო ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე – საჩუქარი, რადგან ჯილდო დამსახურებული საჩუქარია!

გულს აკლდა, რომ საყვარელ მეგობარ აბუ დოლაფს ველარ ხედავდა – გუდა-ნაზადი აეკრა და ისიც სამოგზაუროდ გადახვეწილიყო, მისრის ქვეყანასა სტუმრობდა. დაბრუნდებოდა კი იქიდან ცოცხალი და სალ-სალამათი თუ ისიც კადაშას ბედს გაიზიარებდა?

ეგ მხოლოდ მაღალმა იცოდა, სხვამ – არავინ.

ღაზნევის დიდებული საჩუქარი კი არსად ჩანდა, იგვიანებდა; აჯამის მესხიერებაში სულთნის მკაცრი სახეც თანდათან ფერმკრთალდებოდა და პერგამენტზე შესრულებულ, მაგრამ შემდეგ გადაფხეკილ ნახატს ემსგავსებოდა.

რაც მართალია, მართალია: აჯამს მისი დანაპირებისა როდი სჯეროდა, ოღონდ გულის რომელიღაც კუნჭულში მაინც კრთოდა იმედი – იქნებ, ეგების, ვინ იცის, რადგან რაღა აღარ ხდება ამ დუნიაზეო?!

ერთხელ იგი, გამოფიტულ ყანაში ნაშრომი და გარჯისაგან კინწმონყვეტილი, შინ რატომღაც შემოვლითი გზით ბრუნდებოდა. უცებ მის წინ აისვეტა ის ნაგებო-



ბა, რომელშიც მხიარული ბავშვობისა და შეგირდობის წლები გაატარა; წამოაგონდა ყმანვილური აღტაცება, აქ სწავლის წლებში რომ განიცდიდა.

და აგერ საოცრებაც – ამას რასა ხედავს!

კარი გაიღო და მისკენ იგი წამოვიდა, 5-6 წლის ყმანვილი აბულყასემი; თეთრყირმიზი სახე მოუჩანს და ოდნავ ოვალური თვალები, ძველი პოეტები ნარგიზთა მეტაფორით რომ მოიხსენიებენ; სახეზე მზის ტალი დასდებია; ჯერ ნელი ნაბიჯით წამოვიდა ბალღი, მერმედ სინარულით აცეტებული გამოიქცა და დამხედურის მკლავებმაც ზე აიტაცეს, მკერდზე მიიქვეს. აჯამი გააბრუა ყმანვილის თმის სუნმა, მწიფე თავთუხის სურნელი რომ შერეოდა, მკერდში ძალუმად ჩაიკრა და გაირინდა, თვალზე ცრემლი მოადგა.

რა ნეტარებაა!

მაგრამ ეს უცნაური მოლანდება მსწრაფლ გაქრა და აბულყასემმა შენიშნა: მავედრებელი კაცივით ზეანეულ ხელებში ჰაერილა შერჩენოდა და სხვა არაფერი... ჰაერი და სხვა არაფერი...

ისევ მინაზე ჩამოვიდა და გაახსენდა:

ვესტიბიული, სადაც შესვენებებზე ტოლ-მეგობრებს ესაუბრებოდა, ეკამათებოდა, აგონდებოდა და ახლაც ცხადად ხედავდა შენობის სტოას, წვიმის დროს თავს რომ აფარებდნენ და ერთმანეთს ღორებივით ეხურხლებოდნენ; იგონებდა იმ გატაცებას, რასაც სამომავლო ბედნიერი ცხოვრებისათვის შემართული ჭაბუკი გრძნობდა.

სადღაა ეს ყველაფერი?

სინამდვილე როდი გამოდგა ისე ფეხბედნიერი, როგორადაც მაშინ ესახებოდა.



მოუნდა, მთელი გზებით მოუნდა, შიგ შესულიყო, გაეცოცხლებინა ის ფერადი წარსული, რათა ხელახლა განეცადა, იმგვარადვე ცხადლივ ეგრძნო ყოველივე ის, რაც ესოდენ ავსებს კრძალვით, იმედით, სასოებით, რაღაც გამოუთქმელი, იღუმალი განცდით, რომელსაც კაცთა ვერ დასდვან სახელი. აი, ხელი წაატანა კარის სახელურს, რა არის, გამოენია და თავი ისევ ამოეყო იმ ნანინანატრ ნამყოში, სადაც ყველაფერი და ყოველივე ოქროსფრად, ვერცხლისფრად იყო შეფერადებული, ოღონდ დროზე შეიკავა თავი; მიხვდა: იქ შესვლით იმ ძველსა და მუდამ სანეტარო წარსულს დააფრთხობდა, ყმანვილურ წარმოდგენებს დახოცავდა, რადგან ამჟამად იმ ბედნიერი თვალით ვეღარ დაინახავდა იმ ყოველივეს; იგუმანა: დაკარგა ბავშვობა და ამაზე მეტი აწი რაღა უნდა დაეკარგა! სახელურს ხელი მოაცილა, მწარედ ამოიოხრა, ჩაქინდრა თავი და შინისაკენ გასწია, გულში ამ მოულოდნელად სტუმრებულ ტკივილსაც თავისი ადგილი მიუჩინა და გაიფიქრა: „ტკივილი ზოგჯერ კარგიც არის – შეგახსენებს, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ხარ“.

გაიარა კიდევ რამდენიმე თვემ, მერმედ – წელიწადმა და სულთნის საჩუქარი არა და არ ჩანდა. გულის რომელიღაც კუნჭული კი ჯიუტი ფეოდალის აულებელ ციხესავით იდგა და არ ნებდებოდა – იქნებ, ეგების...

შემდეგ საეგებისიო ციხესიმაგრეც თანდათან დაიშალა, ქონგურები ჩამოსცვივდა, ბჭენი შეერყა, და ბოლოს გრუხუნით მიწას დაასკდა. ირგვლივ მტვერი და ბუდი გაიშალა. ეს იყო რომანტიკული, ილუზორული ნაგებობა. მან მოინდომა შიგ შეჭრა, მაგრამ შენობაში ვერ შეიჭრები, თუ ის დანგრეულია და ბუდ-ბურანი ასდის. როცა ეგ



ბულ-ბურანი განიმქრა, აბულყასემმა სულთნის შათირი დაინახა. შიკრიკი თუსელ ბრძენკაცს დაეძებდა, რათა მისთვის მეფური ძღვენი გადაეცა.

პოეტს გუმანი მაინც არ გამტყუნებია – მაჰმუდ ლაზნევს სიტყვა გაეტება – ნაცვლად 60 ათასი ოქროსი, 60 ათასი ვერცხლის დირჰემი გამოეგზავნა.

- მაშასადამე, - ფიქრობდა ჰაქიმი, - ლაზნევმა საქვეყნოდ თავი მომჭრა, გამომაჭენა, ანტითურქული პათოსი არ მაპატია, ერეტიკოსად და იდეოლოგიურ მტრად გამომაცხადა... მაშასადამე, დამსაჯა, გამაპამპულა; მისი ეს „საჩუქარი“ სხვას არას მოასწავებს...

შემოქმედს სუნთქვა შეკვროდა.

ბრაზი ყელში უჭერდა და აღარ იცოდა, რა მოემოქმედა.

განრისხებულმა შათირი მანამდე არ გაუშვა, ვიდრე აბანოში არ წაიყვანა და არ იბანავეს; შემდეგ მექისეს უბრძანა, ვერცხლის მონეტებით გატენილი ტომსიკები მასთან მიეთრია. აბანოს მიკიტანს სახამროდან სასმელი მოატანინა და, როცა კარგად გადაჰკრეს და გვარიანად შეჭორიკდა, ფული სამ ნაწილად გაყო: ერთი მესამედი შიკრიკს უბოძა, მეორე მესამედი – მექისეს, მესამე – მიკიტანს.

ასე გაისუფთავა ხელი ხელის ჭუჭყისაგან.

მას უკან ლაღად ამოისუნთქა, დიდი პიროვნული თავისუფლება იგრძნო, ისეთი, მანამდე რომ არასოდეს განეცადა. გაახსენდა ოდესღაც ნაფიქრ-ნააზრევი: „მტრისაგან დასაცავია ქვეყნის საზღვრები, მგლისაგან – ცხვრის ფარები, სეტყვისაგან – ვენახის ზვრები, გვალვისაგან

– პურის ყანები, ოღონდ ყველაზე ძნელი დასაცავია ადამიანის პირადი ღირსება და თავისუფლება“.

მან დღეს ყველაზე დიდი გამარჯვება მოიპოვა – ეგ თავისუფლება და ღირსება დაიცვა.

დიდი კმაყოფილება განიცადა და სამივე დაჯილდოებულს ისე გადაეხვია, თითქოსდა ისინი ამას კი არა, იმათ ეს დაეჯილდოებინოთ. ისინი კი, გაოცებულნი და კმაყოფილნი, მხიარულად იცინოდნენ, ხუმრობდნენ და ტკარცალებდნენ.

ეს ამბავი მეხვიით გასკდა – მთელს იმ კუთხეს მოედო, შემდეგ – მთელ მხარეს და ბოლოს, ეჭვი არ არის, სულთნის ყურამდეც მიაღწევდა. აბულყასემს მხოლოდ ისა სწყინდა, რომ მისი ქმნილების სიდიადის ამბავი უფრო ნელა და მძიმედ ვრცელდებოდა, ვიდრე ამგვარი პოლიტიკური ელფერის შოუები; თუმცა ესეც სათქმელია: პოლიტიკური ოინები და ინტრიგები ხალხს მალე ავიწყდებოდა და, ამრიგად, დროებითი მოვლენა იყო, პოეტიკური ოინები და ხლართები კი სამუდამოდ მკვიდრდებოდა მის ხსოვნაში.

ჰაქიმს თავის მამულში აღარ დაედგომებოდა – სულთანი მისი „ჯილდოს“ აბუჩად აგდებას არ აპატიებდა.

აქედან, რაც შეიძლება, მალე უნდა აბარებულყო.

ერთ დღესაც დაჰკრა ფეხი და ნავიდა, ნავიდა და ნავიდა!

ჰერათი, ჰო, ჰერათი, ჰერათშია მისი ხსნა!

პოეტ აზრაკის შვილი, ბუკინისტი ისმაილი, მიიღებს, შეიკედლებს. ჰაქიმი და აზრაკი ერთნაირად ვერ იტანდნენ ურჯულოს გაფაშვაშებას ირანულ სახელმწიფოში და მაჰმუდ ლაზნევს ცერად უყურებდნენ.



აი,ვის უნდა მიაკითხოხოს,ვის ოჯახში უნდა დაიდოს ბინა. იქამდე ღაზნევეს,თუმც კი გრძელი მხარი აქვს,ხელი არ მიუნწვდება.

და იქიდან პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პოლემიკას გაუმართავს.

ეს მისი ფრონტია და აქ სულთანი სრულიად უმწეოა, თუკი მას ენაგაკრეფილი და პათეტიკური კარის მეხოტბენი არ გამოექომაგნენ.

უძლური მღილეები, უბადრუკი ბჟიტები, ბოროტი რაქმასები!<sup>72</sup>

მაგრამ არაფერია, იმათაც მოუვლის: ან საკუთარი დიდების შარავანდედით გააქრობს, ან მათთან გამართულ კამათს მოიგებს.

მაშ,წილი ნაყარია,რუბიკონი – გადალახული.

დღეის ამას იქით მაჰმუდ ღაზნევი და აჯამი მოსისხლე მტრები არიან!

აილო თუსში გადანახული ხელნაწერთა მეორე ეგზემპლარი და გზას გაუდგა.

მოულოდნელად გაახსენდა რუდაქის ნათქვამი: „მომეც არგანი! არგნისა და აბგის დრო დადგა!“

ცხოვრების უცნაურობასა და პოეტური სიტყვის წინასწარმეტყველურ ბუნებაზე ჩაფიქრდა, ზურგზე მოგდებული გუდა შეისწორა, ჯოხი ხელთ მტკიცედ იპყრო და ხმამაღლა წარმოთქვა:

- ჰო, ასეა, არგნისა და აბგის დრო დამდგარა!

და თვალი მომავლის შორეთს გაუსწორა.

რამდენიმე დღისა და ღამის წვალეზა-ჯახირის შემდეგ ჰორიზონტზე ჰერათი დაუჯდა.

72 ვალმიკის „რამაიანას“ ბოროტი პერსონაჟები.



სახედარი ნელა მიქანაობს, მას კი ერთი სული აქვს, უფრო მალე მიუახლოვდეს სანატრელ ადგილს.

აჰა, გამოჩნდა ოაზისი, სახელგანთქმული წალკოტები-ითა და ხეთა დაჩრდილული კამარებით; აგერ მდინარე ჰარირუდი, ოდესღაც მაკედონელმა რომ გადაკვეთა და მის ნაპირას შესანიშნავი ქალაქი არიანა-ალექსანდრია დააარსა, აგერ გუმინ, სასანიდთა ეპოქაში, ჰერათი რომ უწოდეს და ამჟამად ხორასნის უმნიშვნელოვანესი პუნქტია; აგერ საკრებულო მეჩეთიც აისვეტა, გამოჩნდა დიდებული მინარეთები, დიახ, ღირსია და ეღირსება კიდევაც, ნახოს მუსალის დიდებულ ანსამბლში შემავალი მინარეთები. იმის იმედიც აქვს, რომ იქაური ზღაპრულად დახელოვნებული მინიატიურისტები მის წიგნსაც შესაბამისად მოხატავენ. საამისოდ თავად იზრუნებს.

აბუღყასემს კარგად მოუხდა, ისმაილთან რომ ჩავიდა: აზრაკის ნაშიერმა ტკბილად მიიღო, შეიფარა, ქალაქის მოწინავე და კულტურულ საზოგადოებას არაერთხელ შეახვედრა. ყოველი ეს შეკრება ოვაციებით მთავრდებოდა: უსმენდნენ, მონასმენს იწონებდნენ, უწოდებდნენ მსოფლიო პოეტს, იყო აღმატებულ ეპითეტთა ტრიალი, სიხარულის ცრემლთა ფრქვევა, მაგრამ მგოსანს ესეც კარგად ესმოდა: ცრემლს ყველა ღვრის, სისხლს – ზოგიერთი.

ყოფიერებისაგან დიდად ნასარჯ ოსტატს ყოველივე ეს ამხნევებდა, გულზე მალამოდ ედებოდა, მის მობერებულ სხეულს ახალ სასიცოცხლო ძალას აძლევდა.

ამასობაში სხვაც რამე მოხდა.

ერთმა დახელოვნებულმა კალიგრაფმა მისი ქმნილების გადანერა დაიწყო, ხოლო ცნობილმა მინიატი-



ურისტმა იმ ნახატების ესკიზები აჩვენა, რომელთა შესრულებასაც აპირებდა.

მაგრამ სიხარულს მწუხარება მოსდევს, როგორც დღეს – ღამე.

ერთხელ მის სადგომში დაღვრემილი ისმაილი შევიდა და ავი სიმართლე აუწყა:

- თუსში თქვენი მდევარი ჩასულა, უძებნიხართ!

სიმართლე მწუხარება, ტყუილი – მხიარული. ამჟამად მწუხარებამ მხიარულება დაამარცხა.

- ჩემი მდევარი?

- დიახ, სულთანს თქვენი ხელში ჩაგდება გადაუწყვეტია.

მასპინძელმა, თითქოს სული ყელში შეუგუბდაო, საკინძარი გაიხსნა, მერე ისევ შეიკრა – კინძი საკინძარში გაუყარა, უხერხულად შეიმშუშნა.

სტუმარს მასპინძლის ეს უგერგილო ქვანქრუში მხედველობიდან არ გამოჰპარვია. იგი იოლად ჩადგა ურვილის მდგომარეობაში: თუ ღაზნევი გაიგებდა, რომ მისი მთათხაგ-მაგინებელი ისმაილთან იდგა, შესაძლოა, ამ უკანასკნელს ავი დღე დასდგომოდა; მან კარგად იცოდა – ათ მეგობარს უფრო ნაკლები ძალა აქვს, ვიდრე ერთ მტერს, მით უფრო, თუ ეგ მტერი სულთანი მაჰმუდ ღაზნევი, ვისი დევიზიც კარგად იყო ცნობილი: „მეგობრებს – ყველაფერი, დანარჩენთ – კანონი!“

- ხიფათი და ხათა – ორივე კარს არის მომდგარი, - ძლივს ამოღერდა მასპინძელმა, თუმცა ცდილობდა, შინაგანი მღელვარება სახეზე არ დასტყობოდა.

გაიგონა თუ არა ისმაილის ეგ სიტყვა, აჯამს მაშინვე გაახსენდა პლუტარქეს ნასიბრძინი: „კაცის ხასიათი სიტყვით უფრო მჟღავნდება, ვიდრე სახით“ და მიხვდა:

ახლა მისი მოქმედება გონივრულიც უნდა ყოფილიყო და ღონივრულიც.

„საქმეს დროულად ენიე, აქედან გაასწარიო“, - უჩურჩულა გულმა და თვითონაც დაეთანხმა, ხოლო შემინებულ და ფერდაკარგულ მიყვასს ასე დაუყვავა, დამთმობი მოთანი უთხრა:

- მტრის შიში კი არ უნდა გქონდეს, არამედ – ღვთისა, ხოლო მტერი ჯეროვნად დააფასე!

- თურმე, მდეგრებს სულაც არ ენადათ ამ საქმის აღსრულება, ოღონდ ბრძანებას ვერ გადადიოდნენ, - ნამსვლელს დამრჩენმა გული გაუკეთა.

- ნეტავი, ჩემი გეზი და მარშრუტი ხომ არ გაუგიათ?

- ამბობენ, უკან, ღაზნაში, ხელცარიელნი დაბრუნდნენო; რომ სცოდნოდათ, შესაძლოა, აქამდეც მოსულიყვნენ. მაღლი ზენაარს, რომ გზა-კვალი აუბნია! – წარმოთქვა მასპინძელმა.

- ამინ და ამინებანი! – გაიმეორა სტუმარმაც, - ოღონდ, თუ კაცი უმადლის ღმერთს, ისიც დიდად უნდა უმადლოდეს ადამიანს, ვინაიდან, ადამის ძე რომ არ ყოფილიყო, ღვთის სიდიადეს არც ვინ აღიარებდა და არც ამ სიდიადის მონმე იქნებოდა ვინმე.

ისმაილს მეტად ეთამამა ჰაქიმის ეს სიტყვები და ერთგვარად შეცბუნებულმა თავი მოკრძალებით დახარა.

- სამგზავროდ ჯორს ხომ ვერ გამომიძენი?

- ცხენს მოგართმევთ, - უთხრა გულზე ლოდმოხსნილმა მოყმემ, - მთლად როსტომის რახში ვერ იქნება, მაგრამ ნამდვილი რაში არის და არის!

- ჯორი მირჩევნია. ბერიკაცი ვარ, რომ გადმოვვარდე, გადმოსავარდნად ის აჯობებს.



მეორე დღეს, სისხამ დილით, დევნილმა გეზი კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროსაკენ აიღო. იქ, თაბარისტანში, ზვიადი თავადი ცხოვრობდა, შაჰრიარი, და იმას უნდა მისდგომოდა კარზე. ძველ ირანელ მეფეთა უშუალო ჩამომავალს დიახაც უნდა მოსწონებოდა პოემის იდეოლოგია, თანაც იგი დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა და სულთან ლაზნევს იქამდე ხელი მართლაც არ მიუწვდებოდა.

ასე ფიქრობდა დევნილი.

მაგრამ ნათქვამია: კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

ახალმა მასპინძელმა დიდი ამბით მიიღო აღიარებული მგოსანი, რომლის პოემის ცალკეულ წიგნებსა და ეპიზოდებს უკვე შეეღწია არაერთ მეზობელ სპარსულენოვან და არასპარსულენოვან ქვეყანაში; ქმნილების ცალკეულ ლექსებს აშულები მღეროდნენ კიდეც, თხზავდნენ ვარიანტებს, ზოგ რასმე აკლებდნენ, ზოგსაც უმატებდნენ. ერთი სიტყვით, პოეტის დიდება მის სხეულს განშორებოდა და წინ მიუსწრებდა.

დიდი სალამ-ქალამის შემდეგ აჯამი ადგა და თაბარისტანელს აუწყა:

- ეს პოემა შენ უნდა მოგიძღვნა. აქ ხომ სულ შენი წინაპრების, ლომთალომ გმირთა ხოტბა-დიდებაა!

შაჰრიარი შეშინდა, ლაზნევი რისხვას დამატებს თავზეო. უფრო მეტად კი იმან დააფრთხო, რომ პოეტს ამ დროს უკვე შეთხზული ჰქონდა სატირული ლექსი, რომელში მხილებული იყო ლაზნევის ნაკლოვანებანი და აპირებდა პოემის შესავალში ამ სასტიკი ტექსტის

ჩართვას. ამიტომაც სტუმარს დაუყვავა, მძიმე მოთანი უთხრა:

- ჰაქიმო, მასწავლებლო, მოძღვართ მოძღვარო, დღემდე არსებულ სიტყვის მეუფეთა შორის უსაჩინოესო, მაჰმუდ ლაზნევი, როგორცა ჩანს, ვერ ჩასწვდა ამ გენიალური ქმნილების სიდიადეს!

- რა თქმა უნდა, ვერ ჩასწვდა! ამისი ნიჭი არ აღმოაჩნდა...

- მთლად ასეც ნუ წარმოვისახავთ ვითარებას, - შეარბილა მდგომარეობა მასპინძელმა, - საქმე მისმა ვაზირებმა გაგიფუჭეს. ისინი რომ არა, ავი ენები რომ არა, მაჰმუდი ყველაფერში გაერკვეოდა და ჯილდოც ჯეროვანი გამოვიდოდა. მის სიუხვეში დარწმუნებული ვარ.

- აბა, ახლა კი რაღა ვქნა? - წამოიკვნესასავით ავტორმა.

- მოდი, ასე მოვიქცეთ: ნურცა მწვადს დაგწვავთ, ნურცა შამფურს! მაჰმუდი ჩემი სიუხერენია. „მაჰ-ნამე“ დარჩეს მის მიძღვნად, ხოლო „სატირა სულთან მაჰმუდზე“, რომლის ერთადერთი ეგზემპლარიც თანა გაქვს და, როგორც ამბობენ, ერთობ მწვავეა, მე მომყიდე, კარგ ფასსა მოგცემ და გავანადგურებ. კონფლიქტი ასე ამოვწუროთ!

სხვა რაღა დარჩენოდა და აჯამი დაეთანხმა.

შაჰრიარი კმაყოფილი დარჩა: მბრძანებლის გულსაც მოიგებდა და დიდი პოეტისაც. არც შთამომავლობა შეხედავდა მწყრალი თვალით.

სატირულ ბეითებში ავტორმა ათასი ოქროს დინარი მიიღო.

ასე განადგურდა სატირა.



მხოლოდ მის გადამწერს დაახსომდა ექვსად ექვსი ბეითი ზეპირად და ხალხშიც ის გავრცელდა, ხოლო კეთილი მასპინძელი, რომელიც ფარულად თვითონაც წერდა ლექსებს, მოხიბლული დარჩა სატირული ქმნილებების ორი ბეითით, რომელთაც კვიატაჩენილივით ხშირად იმეორებდა:

**გამოვინწიე ბურუსიდან არარაობის  
სახედ და ხატად და ნიმუშად მრავალ თაობის:  
მანიჟეს ეშხი, ზურაბის სიტყვა, როსტომის ძალა,  
რომელთაც ვერვინ დაუდგება ტოლად და ცალად!**

გამოხდა ხანი და აჯამმა ჩავლილ კონფლიქტს სხვა თვალით შეხედა, გულში აღიარა, რომ შექმნილ ვითარებას ისე ვერ მიუდგა, როგორც ჯვარზე გაცემული ნაზარეველი<sup>73</sup> ქადაგებდა – ადამის ძეს შეცოდება სამოცდაათ-ჯერ აპატიეო! მან კი სულთანს შეცოდება ერთხელაც ვერ აპატია; ხშირად იმ აზრზე დგებოდა, რომ მბრძანებელს უსამართლოდ მოექცა. დიახ, აგრეა, ზოგჯერ ასეც ხდება: შურისძიების ფარდა რომ გადაინევა, ჭეშმარიტება მერე გამოჩნდება.

ახალგზარდობაში მეტს ფული ფასობს, მოხუცობაში – დრო. მას კი, 80 წელს გადაშორებულს, დრო თითქმის აღარ რჩებოდა, რათა ერესისა და მემბოხე-მწვალებლის მტვერი ჩამოეფერთხა. „მთელი ქვეყნიერების მტვერი რომ შეაგროვო, მასში ჩემი მტვრის ცახესაც ვერ იპოვი“, - ფიქრობდა. მაინც განიზრახა – შეექმნა პოემა ბიბლიურ თემაზე. საამისოდ ხელი წაატანა იოსებ მშვენიერის ამბავს, ფიქრობდა და სწამდა, რომ „იოსები და ზულეიხა“ მას ახალ დიდებას მოუტანდა, მის სახელს

<sup>73</sup> ნაზარეველი – იესო ქრისტე.



ახალ ელვარებას, ახალ სხივს შესძენდა. გადანყვიტა, შინ დაბრუნების შემდეგ შესდგომოდა ამ ახალი ამოცანის გადანყვიტას და შთანაფიქრის განხორციელებას, თუკი ზენაარი სიცოცხლეს ასე გაუხანგრძლივებდა.

მაგრამ მანამდე დიდი სასკანდალო ამბები დატრიალდა.

კულტურულ წრეებში ხვდებოდნენ: ამ გახმაურებულ პოლემიკაში მაჰმუდ ლაზნევი მარცხდებოდა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ პოეტის დიდება და პოპულარობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, სულთნისა – მცირდებოდა და პატარავდებოდა.

ამ ძნელ ვითარებაში პატრონს მაშველი რგოლი გადაუგდო კარის მგოსანმა. პოეტთა მეფემ შეთხზა ყასიდა. ხოტბაში სიტყვა იმაზე იყო გადაკრული, რომ ძველ მეფეთა ქებას, ანუ „მაჰ-ნამეს“, ნუ წაიკითხავთო. ახსნილი იყო ამისი მოტივიც – რეალური ხმლის დიდება გამოგონილი ხმლისა და წიგნის დიდებაზე მაღლა დგას. იგი წიგნსა და ყოველგვარ შენათხზე, მხატვრულ გამოწინაგონზე, წინ უნდა დადგეს; ერთი პატარა ომის მოგება და რეალური გამარჯვების დიდება თავისი მნიშვნელობით ყოველგვარ წარმოსახვით ზნეობრივ გამირს აჭარბებსო:

**შენს ხმალს, ელვარეს, დააკვირდი და მოეშვი  
წარსულის ქექვას,  
ნუთუ არ იცი: ვერ მოხდება, წიგნთა ბოდვას  
გმირობა ერქვას!**

ონსორი პატრონის უსაზომო, წრეშეუწერელ სიუხვეზეც მსჯელობდა. ჭეშმარიტ პოეტებს იგი ისე უხვად ასაჩუქრებს, გულჩვილ კაცს ამ კეთილშობილებაზე ცრემლებიც კი მოერევას; შემდეგ კი აღწერილი იყო სცენა, თუ ვითარ დააჯილდოვა სახელოვანი რუდაქი:



სამი ათასი, დღის ციალზე ელვათ მკრთომარე,  
ოსტატს არგუნეს აღმასის ქვა – ტირის მოლარე.  
ამად იზიდავს ნაღდ პოეტებს ხელმწიფე ჩვენი,  
როგორც პლანეტებს ცის მნათობი, სიმაღლის მჩენი.  
ჩამოსახრჩობი კაცი იყოს და თოქს ყოველთვის იშო-  
ვის ადამიანი.

ამ თოქის შოვნის ხმამ თაბარისტანშიც ჩამოაღწია.  
სახიფათო სტუმარი შაჰრიარსაც საფრთხეს უქმნიდა და  
აჯამი იძულებული გახდა, აქედანაც აეკრა გუდა-ნაბა-  
დი. მასპინძელმა დევნილს განყობილი ურემი შესთავაზა,  
ოღონდ ნასარჯმა ეს შეთავაზება შორს დაიჭირა:

- ამდენად აღარ დაგაზარალებთ, თუ ჯორს მიბოძ-  
ებთ, ყველას უკეთესი ის იქნება – იოლად ავმხედრდები,  
ადვილად ჩამოვხტები, ზოგჯერ ფეხითაც ვივლი.

გამგზავრების წინ ცა ჩამოლუსკუმდა, ისე ჩამოხნელ-  
და, როგორც აჯამის გულში, მაგრამ მალე გადაიდარა.

„უფრო შორს, ლაზნევისაგან უფრო შორს!“ - ფიქრობ-  
და ჰაქიმი და ჯორს მიაჩაქჩაქებდა, ბესად დოულისაკენ  
მიეშურებოდა, ბრწყინვალე ოჯახიშვილისაკენ. დიდებულს  
სურვილი გამოეთქვა, რომ ეულსა და დევნილ მგოსანს  
დიდი სიამოვნებით მიიღებდა და შეიფარებდა. რამ-  
დენიმე დღისა და ღამის მგზავრობის შემდეგ აჯამი  
დოულისეულ სანახებს მიუახლოვდა. გზის იქით, მწვანედ  
ახასხასებულ დობიროზე, ყმანვილთა ჯგრო ხმიანობდა,  
თამაშობდნენ, ერთი ჟივილ-ხივილი გაემართათ.

ახლაც დევნილობა, მუდამ დევნილობა, სულიერი თუ  
ფიზიკური, მაგრამ ოდესმე ეღირსება კი მოსვენება, სა-  
კუთარ სახლში, თუნდაც ის ფუყე ქოხი იყოს, მშვიდად





ყოფნა ან, რომც ეღირსოს, დასცალდება კი? – ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მან დროის ხელს მიანდო.

ბესად დოული ციხის ბურჯივით ჩაკირული და ჩადგმული ვაჟკაცი გამოდგა. ამბობდნენ, კანჯარს სირბილით ეწევა და ყელს იოლად უგრეხსო; გაფრენილ ისარს თავის ისარს აწევს და ფრთებს ასხეპს, ერთი სიტყვით, მეორე ბარამ-გურიანო; წელან გზის გადაღმა, მომიჯნავე დობიროზე რომ მოთამაშე ბავშვთა თაბუნი შენიშნა, მისი შვილები ყოფილან. ამის მიხედვით თუ განვსაზღვრავთ წინა თქმულს, ვირწმუნებთ იმას!

ბევრ რამეს ამბობდნენ ბესად დოულის შესახებ.

იმასაც აღნიშნავდნენ, ისე ავია, მეტი აღარ იქნებაო.

ერთხელ გააფთრებულმა თავის პოლიტიკურ მეტოქეს, მაჰმუდ ლაზნევის მიმდევარს, თავში კეტი სდრუზა და სული გააცხებინაო. ყველაზე მეტად მაინც მისი ეს გამონათქვამი ენიაზებოდა აჯამს: სულთნის ხელისუფლება ხელისუფლება კი არა, ჭირისუფლებააო!

არსებობს ორი სამართლიანობა: ერთი მიწაზე დაღოლავს, მეორე ზეცაში დაფრინავს.

ასეც იტყოდნენ:

ბესად დოული მეორე, ზეცაში მფრინავ, მართალ სამართალს მისდევს და იცავსო.

„იძულებული და უიძულებული – ყველა ბესადის ირგვლივ უნდა გაერთიანდეს, ახალ პატრონს მხარი დაუჭიროს, უერთგულოს და სამართლიანობაც უფრო მალე დამყარდებო“, - ფიქრობდა ბევრი ფეოდალი, უფრო კი ისინი, რომლებიც სულთნის სამკვიდროდან უფრო შორს იყვნენ და მის ზეგავლენას ნაკლებად განიცდიდნენ.



ასეა, უზურპატორი და დესპოტი არავის მოსწონს მანამდე, ვიდრე თავად არ გახდება თვითმპყრობელი და დესპოტი. მერე კი სამართლიანობის გაგების სხვა მექანიზმი ამუშავდება!

თავადი ჯერჯერობით არ გამხდარიყო თვითმპყრობელი და, მაშასადამე, დესპოტი. ამიტომაც გულზე არ ეხატებოდა სულთნის რეჟიმი. კიდევ მეტი, მაჰმუდ ღაზნევის დაუძინებელი მტერი და ფხიზელი მეტოქე გახლდათ.

ზურგზე გუდამოგდებული და ხელჯოხიანი სტუმარი მასპინძელმა მკერდზე მიიქვა, მხურვალედ გადაეხვია, მერმედ ახლოს მიისვა და უბრძანა:

- შენი მწუხარე ამბავი დაწვრილებით მითხარი, არაფერი მნიშვნელოვანი არ გამოტოვო!

- უწინდელსაც და აწინდელსაც წვრილად მოგახსენებთ, - მიუგო პოეტმა და ხატოვანი და დამაჯერებელი სიტყვების მომარჯვებით გამონვლილვით მოახსენა ის-მაილსა და შაჰრიართან სტუმრობისა და, საერთოდ, მთელი ექსორიის ამბავი.

სასტიკი სახის მჩენსა და გულმკაცრ მასპინძელს თვალზე ცრემლი მოადგა.

ნუთუ ვინმე წარმოიდგენდა ოდესმე, რომ ასე სანტიმენტალური და მგრძობიარე აღმოჩნდებოდა?!

- ყველაზე ბუნებრივი ენა – ეს მათემატიკის ენაა, ასე ვფიქრობდი მუდამ, ოღონდ, ეტყობა, ვცდებოდი. პოეტის ენა მაინც გულის ენაა, რომელიც მეტ პატივს იმსახურებს, - განაცხადა დიდებულმა და მსახურთ უბრძანა, დამაშვრალი სტუმარი ჯერთ აბანოში შეეყვანათ, მერმედ შარბათრეული ღვინო და ლუდი მიერთმიათ და ბოლოს საუკეთესო პალატაში დაებინავებინათ.



დაუდგა სანეტარო დღეები.

მხცოვანს ყველა პირობა ჰქონდა, ახალი იდეა განეხორციელებინა, მშვენიერი იოსების ბიბლიური ლეგენდა ნყობილ მარგალიტად ექცია და კაცობრიობისათვის კიდევ ერთხელ დაემტკიცებინა, რომ სიტყვათა შეხამებასა და დაჯგრაში პირველი იყო და ამ სფეროში მთელი დედამიწის ზურგზე ტოლი და ჯუფთი არ მოეძებნებოდა.

და იგი ამ სამუშაოს ისე მხნედ და ენერგიულად შეუდგა, თითქოსდა ჯერ კიდევ პირზე რძემეუშრობელი ჭაბუკი ყოფილიყო.

გული!

ეს უცნაური და საოცარი ქმნილება ბებერ, დაჩაჩანაკებულ, დაკნინებულ, მოჩვართულსა და დაჩუტულ სხეულს როდი ემორჩილებოდა.

მიჭვრიტინა შორს მოისროლა და დაამსხვრია.

მეტად შიგ არც არასოდეს ჩაუხედავს.

სანამ გული ძგერს, ცოცხალიცა ვარ. ცოცხლის თვისება კი არის მოძრაობა, შრომა, გარჯა, ახლისა და ჯეროთ გაუგონარის შექმნაო, - ფიქრობდა ოთხმოცს კარგა ხნის წინათ გადაშორებული ჰაქიმი.

**...და თავი ქალადზე მძიმედ დაიხრება, დაბლა დაიხრება და კალმის წვერი ძველ ამბავს ისევ მოფხოჭნის...**

მაგრამ ახლა შესვენება და თვალ-გონებისათვის გარჯის შემსუბუქება უფრო ხშირად უწევდა, ვიდრე – ადრე.

ასაკი მაინც იგრძნობდა – თვით ფიორა ლერწმის კალიამიც კი დამძიმებულიყო.

როცა სევდა მოენატრებოდა, წარსული ცხოვრების უამურ ფურცლებს გადაშლიდა, ხშირად ოცნებობდა კიდევ.



დაბერებულის ოცნების საქმე კი ასეა: დღევანდელს გუშინდელი სჯობს, გუშინდელს – გუშინდელი. ერთი სიტყვით, მსცოვანის ოცნებაც მოხუცია, ფერნაკლული; ჭაბუკისა – ჭრელი, ფერად-ფერადი და მოკისკასე.

დრო გადიოდა და ახალი პოემის პირველ ფოლიანტს ჯერ სისქე მოემატა, მერმედ – მეორე ფოლიანტი, მეორეს – მესამე...

ამასობაში პოეტისა და სულთნის კონფლიქტის ამბავი დავიწყებას მიეცა – დროის ფოთოლცვენამ და ხსოვნის ფანტელცვენამ იგი ჩაჩუმქრა.

მაჰმუდ ლაზნევი პოლიტიკურმა და საომარმა ბატალიებმა გაიტაცეს, ფირდოუსი – ახალი პოემის სიუჟეტურმა ხლართებმა და პოეტიკურმა ილეთებმა.

და მშობლიური სანახებისაკენ, თუსისაკენ, გზა ხსნილი აღმოჩნდა.

გზა ხსნილი აღმოჩნდა.

აუტანლად მონატრებოდა მამული, მშობლიური ადგილები, მამაპაპათა ნაფუძარი.

და ისევ დაიძრა, ისევ ვრცელი გზა და ქარავანთან მეგობრობა, ისევ აბგა და არგანი!

დაძახუნებული, მოტეხილი, აფრადაძენძილი გემივით დაბრუნდა მშობლიურ სავანეში.

ახალშექმნილი შედევერი სწორედ აქ უნდა ჩაესწორებინა, გაეჩალხა და გადაეთეთრებინა.

კარგად ახსოვდა და მუდამ ითვალისწინებდა ჰორაციუსის სწავლებას: ნაწერი ავტორმა კარგად უნდა გაასწოროს, მერმედ კი უჯრაში ჩაჰკეტოს; მომდევნო ნელს ამოიღოს, კვლავ ჩაასწოროს და ისევ ჩაჰკეტოს;

მესამედაც რომ გაიმეორებს ამ პროცედურას, ამის შემდეგ უნდა გაახალხუროს და გამოაქვეყნოსო.

ისიც ასე ირჯებოდა.

მერე კი ნავიდოდა გადათეთრება – ტექსტის სუფთად და მკაფიოდ გადანერა.

არც ეს იყო იოლი საქმე.

და, თუ ამას თავად ველარ შეძლებდა, მაშინ დახელოვნებულ კალიგრაფს იქირავებდა ანდა სულაც ორივე ერთად შეუდგებოდა ამ საფაქიზო და სარუდუნო სამუშაოს.

ნეტარძი იმ კალიგრაფს!

ბესად დოულის შეწევნამ სწორედ რომ სულზე მიუსწრო. და ახლა უკვე არც ისე უჭირდა, რომ ფულზე ეფიქრა. არადა გამოცდილებით იცოდა – ყველაზე საზიზღარი და უმსგავსო სწორედ ფულზე ფიქრია ამქვეყნად.

საჭიროებამ მოითხოვა და ხელზე მოსამსახურე ბიჭიც დაიყენა.

კიდევ ერთხელ მადლობა ბესად დოულის!

მადლობა ბესად დოულის!

და ცხოვრება მისთვის ჩვეულ ნაცრისფერ კალაპოტში ჩადგა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ შემოქმედებით აღფრთოვანებას, რაც სამსალარეულ მოხუცებულობას უფერადებდა.



## თავი მეცხრა

სულთანნი მაჰმუდ ლაზნევი ინდოეთის ლაშქრობიდან უკან ბრუნდებოდა. რამდენიმე პროვინცია დაეპყრო, აურაცხელი სიმდიდრე ხელთ ეგდო და შინ ბრუნდებოდა, ლაზნისაკენ.

ჯარი და მძიმე ალაფით დატვირთული ალალი ნელა, მდორედ და საზრიანად მოძრაობდნენ. გამოცდილი მეომრები, რომელთაც ომებში არაერთი გრძელი წელიწადი გაეტარებინათ, არც ერთ ზედმეტ მოძრაობას არ აკეთებდნენ, მახვილი თვალი ჰქონდათ, მტკიცე მკლავი და მგლის მუხლი. ყოველი მხრიდან ისმოდა ფარ-ხმალთა ჟღარუნი, ჰოროლთა რაკუნი, ფლოქვების თქრიალი და ფუკუნი, სახედართა ფრუტუნი და საზიდართა ჭრიალ-დგრიალი, რასაც ერთიან ხმიანობად კრავდა რაზმის მეთაურთა ომახიანი შეძახილები.

სულთანნი წინ წანეულიყო, დაახლოებით ერთი უტევანით უსწრებდა მეწინავე რაზმს და ეგ ხმაურ-რუზრუზი და დგრიალი თითქმის არ ესმოდა, არ აწუხებდა.

სალამო ახლოვდებოდა.

დასავლეთით ჰორიზონტის კიდე ვარდისფერ-მეწამულმა ფერებმა მოავარაყეს.

წინ, გზიდან ოდნავ მარჯვნივ, ცის კამკამა ლაჟვარდში თავი შეერგო ულამაზეს ციხესიმაგრეს.

გარეგნულად მკაცრ, ოღონდ შინაგანად პოეტური ბუნების პატრონს დაისის ფერთა ეს იალკიალი დიახაც მოსწონდა. ახლაც აღტაცებული გასცქეროდა ჰორიზონტს და გულწრფელად შურდა იმ ლამაზი ციხის ბედნიერი მეპატრონისა.

სახელოვანი გამარჯვებების შემდეგ დიახაც სასიამოვნოა ლამაზი პეიზაჟით ტკობა.

მიადგნენ ხევის ვიწრო გასასვლელს, სადაც ჯარი ვერ გაიშლებოდა, მწყობრად გავლას ვერ მოახერხებდა. ამიტომ ვაზირმა ჰასან მეიმენდელმა სარდლებს უბრძანა, მეომრები დაენალიკებინათ და ჩექმის ყელივით ვიწრო გასასვლელის გადასალახავად მომზადებულიყვნენ.

მოვარდა ყოლაუზი, ოფლის ხვითქი და მრისხანება ერთად ჩამოსდიოდა სახიდან. თვითმპყრობელს ვერ შეჰბედა, ამიტომ მიწას თავი დაჰკრა და სულთანს რამდენიმე მეტრზე ჩამოშორებულ ვაზირს შეაჩერდა.

მეიმენდელმა უცნაურ შათირს თვალთ ანიშნა, მითხარი, რისი მოხსენებაც გნადიო.

მონა ზე წამოიმართა, ჭრელი ხელსახოცით პირი მოიწმინდა, კიდევ ერთხელ თაყვანი სცა დიდებულს და უსიამოვნო ამბავი აუწყა:

- ჩემო დიდებულო ბატონო, გასასვლელი დიდი ხეებით არის გადახერგილი. მათ უკან კუნთმაგარი მოისარნი განლაგებულან, მათი ტანი ხეთა ზროებს დაუფარავთ, ისრის მახვილი ნვერები კი ჩვენკენ არის მოღერებული. მაშასადამე, გზა გადაკეტილია და ჩვენს გატარებას არც აპირებენ.

ვაზირი განცვიფრდა.

ვინ არის ისე თავხედი, რომ შვიდი იყლიმის მბრძანებელს, ინდოეთის ძლევამოსილ დამპყრობელს, სვატების მიმრეჯგავ-მომრეჯგავს წინააღმდეგობის განწევას უბედავსო? და ბრძანება გასცა, კარგად გაერკვიათ, თუ ვინ იყვნენ, ვისნი იყვნენ და მათი პატრონი სულთანთან საჩქაროდ გამოცხადებულიყო.



მონა წელში კვლავ მოირკალა, თაყვანი სცა და ელვის უსწრაფესად გაქრა.

გაკვირვებულნი ვაზირი კი იმასა ფიქრობდა, ღირდა თუ არა ამ პატარა ინციდენტის ამბავი მბრძანებლისათვის მოეხსენებინა? ვაითუ ან ერთი სწყენოდა, ან მეორე. და იმის რჩევაში იყო, როგორ ემოქმედა.

მაინც თავის შეკავება სცადა.

ხანი შესანიშნავ გუნებაზე იდგა და ამ განწყობილების ჩაშხამებას მოერიდა.

ასეა: საზრიანი ყმა პატრონის კარგი გუნება-განწყობილების შენარჩუნებაზეც ზრუნავს, ამავე დროს, სიდინჯე ვაზირის აუცილებელი თვისებაა. ქვეშევრდომმა ესეც ზედმინევით იცოდეს: უფროსის პატივისცემა დისციპლინის შემადგენელი ნაწილია.

პირველს მეორედ გამოჩენა ვეღარ გაეხედა და ახლა სხვა ყოლაუბი მოვარდა, მოახსენა ფრიად და ფრიად სამნუხარო ამბავი:

- ჩემო დიდებულო და კეთილო ბატონო, თავხედ ფეოდალს, რომელიც საკუთარ სახელს არ გვიმხელს, გასასვლელი ჩაუკეტავს. ეტყობა, ისე ძლიერია, ჩვენი სულაც არ ეშინია.

ვაზირმა წარბი შეიკრა, შუბლი შეიჭმუნა.

ამის მოუხსენებლობა აღარ ივარგებდა.

მაცნეს ნიშანი უყო და ისიც გაქრა.

ამასობაში მაჰმუდ ლაზნევმა მრჩეველი თავისთან მიიხმო.

- ვაზირო, ერთი ეს მითხარი, რას ამბობენ, რა მხარეა ეს გავარი და ის ციხე კიდევ რა სიმაგრეა?



- ჩემო მბრძანებელო, ახლა ჩვენ ლაჯვარდის მხარეში ვიმყოფებით, ხოლო იმ ციხეს, კაცი რომ თვალს ძლივს აუნვდენს და პიტალო კლდეზეა აგებული, ლაჯვარდის ციხეს უწოდებენ.

- სახელიც მშვენიერი ჰქონია! – ნამოიძახა სულთანმა, - რას არ მივცემდი, ჩემი რომ იყოს!

- ამქვეყნად ყველაფერი ისედაც თქვენია, ჩემო მბრძანებელო, - უთხრა მეიმენდელმა, - ყველა და ყოველი თქვენ გეკუთვნით, მაგრამ...

- რა მაგრამ?

- მაგრამ ის უნდა მოგახსენოთ, რომ მაგ ციხის მფლობელი ერთი უჯიათი აჯამია, სტუმარს ჭირის დღესავით ვერ იტანს, უცხვირპირო და უსალამოა, შესაძლოა, ამ გასასვლელით არც კი გაგვატაროს...

- როგორ თუ არ გაგვატაროს?! – განცვიფრდა სულთანი, - მე, ქვეყნიერების დამპყრობელი, ხმლით რომ შემომიწერია ჩემი საბრძანებლის საზღვარ-მიჯნები, რომელიდაც მლილმა უნდა შემაბრკოლოს?!

- ასე კი ამბობენ და... – უთხრა ვაზირმა და გადანყვიტა, მეტი აღარაფერი მოეხსენებინა.

დაე, თავად დამდგარიყო ფაქტის ნინაშე.

მართლაც, მალე მესამე შიკრიკი მოვარდა, ხელმწიფე-პატრონს თაყვანი სცა, სხაპასხუპით მოახსენა:

- ჩემო მბრძანებელო, მეფეთ მეფეო, ნინ ლაჯვარდის ციხის პატრონია, ვინმე უჯიათი თავადი; გზა შეგვიკრა და ჩვენს გატარებაზე უარს აცხადებს. ეტყობა, ძლიერი ფეოდალია, საკუთარი მკლავის იმედი აქვს.

სიმართლის დაფარვა აღარ შეიძლებოდა და უსიამოვნო ამბავიც ზედ დაურთო:



- ზის, თურმე, თავის წვერამაღლებულ ციხეში, ულვაშებს აცმაცუნებს და ჩვენ დაგვცინის. არადა, ჩემო მბრძანებელო, ლაჯვარდის ციხე მიუვალია, შეხედეთ, არა ლაჟვარდის, არამედ ქაჯავეთის ციხეს არა ჰგავს?

სულთანს წელან დიდად ელამაზებოდა ის ციხეს-იმაგრე, ოღონდ ახლა, როცა ვითარება ძირფესვიანად შეიცვალა, გუნება ნაუხდა, მონას გამომცდელად შეხედა და დაეთანხმა:

- მართლაცდა, ლაჟვარდის ციხე კი არა, ქაჯავეთის ციხეა! რა ვქნათ? – იკითხა უნებლიეთ.

- ჩემო მბრძანებელო, - უპასუხა მრჩეველმა, - შიკრიკი გავუგზავნოთ. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ხომ მისთვის ჯერ არც არაფერი გვითხოვია, არც არაფერი გვიბრძანებია. დაე, გზა გაგვიხსნას, ციხის კარები გაგვიღოს, ღამე გაგვათევეინოს და ის წესი და რიგი აღასრულოს, რაც ირანში ათადან ბაზადან სრულდება – სტუმარ-მასპინძლობის ადათი, შემდეგ კი გაგვატაროს.

- ასეც ვიზამ!

გაგზავნეს შიკრიკი.

სულთანი აღელდა – რა პასუხს მოიტანდა?

პასუხი კი არა და არ ჩანდა.

კიდევ მეტი – გაგზავნილი შათირიც დაიკარგა.

როგორცა ჩანს, ფეოდალი მართლაც უშიშარი და ძლიერი იყო და პასუხის მიცემას არა ჩქარობდა.

ასე რომ, მეფეთა მბრძანებელს იმ ღამით კარავში მოუწია ღამის გათევა.

მოლაშქრეთა თაბუნები აქა-იქ მიწვნენ-მოწვნენ და თავქვეშ თოქალთოები ამოიდეს.

დილა გუშინდელზე უკეთესი გათენდა.

მენესე-მესანოლემ ხანს ვერცხლის თასით წყალი მიუტანა და პირი დააბანინა.

დღის საარზე ლაშქარიც წამოიშალა. ყველამ თავის საქმეს მიჰყო ხელი.

უკვე ყოველს აინტერესებდა უშიშარი ფეოდალის პასუხი.

პასუხი კი კვლავ არ ჩანდა, უსაშველოდ იგვიანებდა. არც შიკრიკი ჩანდა სადამე.

ხელმწიფეს ვაზირი და სამხედრო დიდებულნი ეახლნენ, ახალი დღის დადგომა მიულოცეს.

იქით, მოშორებით, პროვინციათა მეფეები ელოდებოდნენ. ახალი დღის დადგომა იმათაც უნდა მიელოცათ.

ამ ცერემონიალის აღსრულების შემდეგ სულთანი და ვაზირი ციხესიმაგრისაკენ გაემართნენ, უკან ამაღლა მიჰყვებოდათ. ყველას თვალი იქით, ჯიუტის სამყოფისაკენ, იყო მიპყრობილი.

როგორც იქნა, გამოჩნდა შიკრიკი, თავის ამაღა იაბოს მოაგელვებდა. ამ სიშორიდან მისი სახის გამომეტყველების შემჩნევა შეუძლებელი იყო.

ხელმწიფეცა და ვაზირიც ღელავდნენ.

„ომი თუ ზავი?“ - ფიქრობდა მრჩეველი.

„ღირსება თუ შერცხვენა?“ - ფიქრობდა სულთანი.

უფრო მეტი მოუსვენრობა მაინც ხანს ეტყობოდა.

- ნეტავი რა ამბავი მოაქვს? – იკითხა ღაზნევი.

ვაზირმა პატრონი ლექსით დაამშვიდა:

**თუ რომ პასუხად მომაგებე აფრა სიავის,**

**ხმალიც მაქვს, თავიც თავმოსაკვეთ აფრასიაბის<sup>74</sup>.**

74 **აფრასიაბი** – ირანელთა დაუძინებელი მტერი, თურანელთა მეფე და გამირი. ბეთი ამოღებულია „შაჰ-ნამედან“.



ლაზნევი განცვიფრდა:

- ვისია ესოდენ ლამაზი სტრიქონები, თანაც ესოდენი სიმამაცის მომნიჭებელი?!

- ეგ, მონყალეო, ღვთისა და თქვენგან მივინყებულ სანყალ პოეტს აბულყასემ ფირდოუსის ეკუთვნის, თუსელს, თქვენგან შერისხულს, მისი შენათხზია...

- აჰ, ფირდოუსი... ჰო, ფირდოუსი... დიახ, ფირდოუსი! – ერთგვარ კვნესასავით აღმოხდა მაჰმუდს, - „ეს ომზე გკითხავს, შენ ლაჟვარდზე ელაპარაკე!“ - ესეც მისი არ არის?!

ვაზირს სახე სიკეთის ათინათმა დაუმშვენა:

- პოემაზე ოცდათხუთმეტი წელიწადი იშრომა, წიგნი ქვეყნად გაჰქუხს, მთელი ირანი მისი ლექსის ნექტარით არის სავსე და ჯეროვან ჯილდოს კი ვერა და ვერ ეღირსა...

მბრძანებელი ჩაფიქრდა, მთლად გადაავიწყდა შიკრიკი და წამიერმა დარდმა მოიქვეშია, მერმედ ათრთოლებული ხმით უბრძანა:

- შემახსენე, როს მივალწევთ ლაზნას, და გავუგზავნოთ კუთვნილი ოქრო!

ვაზირმა თავი მდაბლად დაუკრა.

ამასობაში შათირიც მოიჭრა. ცხენი შორს შეაყენა, ჩამოხტა, მოირბინა, სულთანს პატივი მიაგო და მკაფიოდ, ყველას გასაგონად მოახსენა:

- ჩემო ბატონო და მბრძანებლო, ლაჟვარდის ციხის მეპატრონე უმორჩილესად გთხოვთ, სადილზე ეწვიოთ და გაიზიაროთ მისი ღარიბული ტრაპეზი. ამასთანავე, მზადაა, დააპუროს ჯარი და სახედრები; მას უკან კი ყოლაუზები გაახლოთ და აწინდელი გზის სიძნელეები ყოველმხ-

რივ გაგიადვილოთ. პასუხის დაყოვნება კი სათანადოდ მომზადების აუცილებლობით იყო გამოწვეული.

ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა.

პრობლემის ასე იოლად გადაწყვეტით კმაყოფილმა სიუბერენმა მეჩხერ წვერზე ხელი ჩამოისვა, მარგალიტის სამკლაურიანი მარჯვენა გაიშვირა სიმაგრისაკენ, რომელსაც კვლავ აღედგინა თავისი პირვანდელი მშვენება, და ბრძანა:

- მაშ, ციხესიმაგრეში სადილზე ყველას გეპატიჟებით!

და დიდებული სულთანი და ბრწყინვალე კავალკადა ლაჟვარდში თავშერგული ციხისაკენ მხიარული ბაასითა და გმირ მეომართა ჩვეული ენერგიით გაემართნენ.

ამასობაში ჰაქიმმა განასრულა თავისი ახალი რომანი. ვრცელი პოემა „იოსები და ზულეიხა“ ჩასასწორებლად და გადასათეთრებლად მზადა ჰქონდა. მოხუცი დროს არ კარგავდა, ჭამაც კი დავიწყებოდა, რადგან იცოდა, რაც იყო საშური – სწადა, სრულად გამოეყენებინა ის დრო, რაც განგებამ მისთვის გამოილიმიტა.

**... და თავი ქალაქზე მიიმედ დაიხრება, დაბლა დაიხრება და კალმის წვერი ძველ ამბავს შეასწორებს...**

გასრულდა ესე ამბავიც.

და მოხუცს სხვა საქმე აღარაფერი დარჩენოდა.

დიდების ზეაღმავალ „ნანიანაზე“ დაძინება და ისე მიცვალება როდი ენება მძლეთამძლე როსტომის, გმირი ზაალის, შეუპოვარი ზურაბისა და სხვა ლომგმირთა სახეების შემქმნელსა და მივიწყების ბურანიდან გამოწყვანს.

სიკვდილი კი ისე გატუტუცდა, აქ მოსვლასაც აღარ კადრულობს; თავად უნდა ეახლო იქ, ბრძოლის ველზე,



სადაც შუბები და ფარები ტრიალებს; უნდა მიხვიდე და ისიც მონყალებას მოიღებს – ერთ კარგად წვერნამახულ ლახვარს გულში გაგიტარებს და ბასტა!

ოღონდ მას, ეგრე დაჩაჩანაკებულსა და მობერებულს, არც ერთ ლაშქარში არ მიიღებენ, ღულამთა არც ერთ რაზმში ახლოსაც არ გაიკარებენ!

სიკვდილი ნელა დადის, ოღონდ მისვლას ყველგან ასწრებს. მასაც აუცილებლად მოაგნებს, მაგრამ როდის?

ერთადერთი, რაც დარჩენია, ეგაა: ისევ და ისევ „ვარ-ჭალალო“. იქ ამ საღამოსაც ელოდებიან, და მერე როგორ ელოდებიან! ჯამაათი ადრიანად იწყებს საამისოდ მზადებას, რათა ადგილი წინა რიგებში დაიკავოს.

იმ დღეს ცხელოდა.

შარბათრეული ნუნუა მცირედ მოწრუპა, თავისსავე ბაღში დაკრეფილი მწიფე ატმით ყელი ჩაიკოკლოზინა და ცხოვრების ამაოებაზე დაფიქრდა.

მართალია, რის ვაინაჩრობით გაჰქონდა თავი, მისი სახლ-სამყოფიც გვარიანად დაფხავებულიყო, პატრონს დამსგავსებოდა, და ვერც რიგიან-პირიანად მართავდა შინამეურნეობას, მაინც ეული, მიუსაფარი და უმწეო კაცის პირობაზე ცხოვრების სამდურავი არ ეთქმოდა – ასაკით რამდენი მასზე უმცროსი არ შეიწყალა მაღალმა, რამდენი ჭაბუკი და დავაჟკაცებული მიიქვა მკერდზე აზრაილმა. ის კი ისევ ისე ცოცხალია, გადაბერებულ-მიხრწნილია, 86 წლისა მალე მოიყრება, მაგრამ მაინც ცოცხალია. ხუმრობა ხომ არაა – მთელი საუკუნე გამოუვლია.

მაინც გულმა უგრძნო და გონებამაც უკარნახა: გასრულდა მისი ცხოვრება, ვით გაელვება ერთი წამისა. და უცებ მისივე სტრიქონები წამოაგონდა, უკვდავი ბეითი:

ჩემზე უფროსნიც და უმცროსნიც ჰადესს ერია;  
მეც მომერევა, რაც ჩემამდე ბევრს მოერია!

ეჰ, რაც არის, არის!

ხელი ჩოთირად ჩაიქნია და წამოდგა.

ამოგორდა ბადრი მთვარე, ყვითელი, ყვითელი, ხორასნული ზაფრანივით სახენათელი და კრიალა, ჰო, სახენათელი და კრიალა!

იმ საღამოს „ვარჰალალოში“ ხელის ბიჭის – ტოგოს – გაყოლიება მოიგუნება.

ეს პირველად მოხდა.

აქამდე მუდამ მარტოკინა დადიოდა, მეშველ-შემანწვარი არა სჭირდებოდა.

აგერ „ვარჰალალოს“ ნაცნობი შენობაც.

ირგვლივ ყველაფერი ნაზად, როგორღაც ვარდისფრად გამოიყურება: კარებთან ანთებული ბაზმიანი კანდელიც, მწვანე გაზონი, რომელსაც ეგ კანდელი ასე საყვარლად ანათებს, და გაზონზე ამობრიალებული გულისნამღები ტურფები – ვარდები.

ეჰ, ყველაფერი როგორ ნაზდება, როცა ახლოა დღე აღსასრულის!

სამიკიტნოს შესასვლელში ამ ვარდთა ნელი სურნელება შეიყნოსა. ალბათ, ასეთი სუნი ტრიალებს სამოთხის შესასვლელშიო, - გაიფიქრა და კარი შეაღო. თავის ადგილს მიაშურა. ხელის ბიჭმა ფიცარნაგზე დააყენა.

ხალხი გაისუსა.

მაგრამ მოხდა მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ.

ბრბოს სიღრმიდან, დარბაზის შუაგულში, გოღლეტ ხითამბარელი აღმოცენდა – ჰაქიმის მარად თანმხლები ბოროტი სული.



- უამისოდ ხომ ჩემი ყოფა წარმოუდგენელიაო, - ირონიულად გაიფიქრა, მაგრამ აღმოაჩინა, რომ მისი მუდმივი პოლემისტის მიმართ მძულვარებას სულაც არა გრძნობდა. პირიქით, გულის სიღრმეში კიდევაც გაეხარდა მისი დანახვა – ასე დიდი ხნის ნაცნობი მას ახლა ამ დარბაზში თითქმის არავინ ეგულებოდა და ხითამბარელისადმი ძმური სიყვარულიც კი მოეძალა.

ხითამბარელმა კამათი აგრესიულად დაიწყო:

- ისე მძულხარ, რომ შემეძლოს, შენ ირგვლივ ჯოჯოხეთს მოვანყობდი!

აბულყასემი ჩაფიქრდა. ის ის იყო, ხალხს ქირქილი უნდა დაეწყო, რომ ხმა გაიღო:

- მე კიდევ შენდამი ძმურ სიყვარულსა ვგრძნობ და, საერთოდ კი, კოკასა შინა რაცა დგას, იგივე წარმოსდინდება. შენს კოკაში სიძულვილია, ჩემსაში – სიყვარული.

ხალხმა ჰაქიმის მხარდასაჭერად გაიცინა და გოლლეტს ქოქოლა დააყარა.

გამხნეებულმა აჯამმა სიტყვა განაგრძო:

- ყველას კარგად მოეხსენება: ხითამბარელი ორიგინალობას ვერ დაიჩემებს, რადგან თავისი მხოლოდ ერთი რამ აქვს – უშნო ცხვირი, სხვა ყველაფერი კი – მოპარული; ის ლექსის ამნაპვნელია, ქურდია, ქურდთა და თულთა უსტაბაში.

- ქურდი ყველაა, - განაცხადა ხითამბარელმა, - ზოგი სხვისას იპარავს, ზოგიც – თავისას, როგორც, მაგალითად, ფირდოუსი აკეთებს – არაერთგზის იმეორებს როსტომის ერთსა და იმავე ამბავს, იმეორებს მხატვრულ ფიგურებს, მეტაფორებს, რედიფსაც კი!

ხალხი შეჩქვიფდა, ყური დაიგრძელა.



ჰაქიმი მიხვდა: მონინაალმდეგემ მართალი ტყუილი დაარეხვა.

- უზარმაზარი პოემა, რომელშიც ზღვა ამბავია გადმოცემული, ასობით შერკინება და ორთაბრძოლაა ასახული, შეუძლებელია არ იმეორებდეს ცალკეულ სცენებს, გამოთქმებს, ილეთებს, ავტორისეულ მხატვრულ ყალიბებს. მაგალითად ღვთაებრივი ჰომეროსი ავიღოთ: რიჟრაჟს იგი ყოველთვის ერთი და იმავე მეტაფორით – ვარდისფეხებას სახელით – მოიხსენიებს და ეგ სახე გამოყენებული აქვს ასჯერ. რა ვქნათ ახლა, უნიჭოდ გამოვაცხადოთ? რა უფლება გაქვთ, არ დამიჯეროთ: „ილიადის“ ავტორი მსოფლიო მნიშვნელობის მოშაირეა!

ხალხი ამჟამად ხითამბარელს მიაჩერდა.

- ახალი პოემა წამოგინცია. მაგ ხიმანკლობას საზოგადოება იოლად აულებს ალლოს – ახლა გნადია, ერესისა და მწვალებლის მტვერი ჩამოიბერტყო, ზარათუშტრას მაგალობელო? ვისაც უნდა, ის მოტყუვდეს, მე კი არ მოვტყუვდები – შენი ეგ ახალი პოემა იქნება ვრცელი, ჭკვიანური და მოსაწყენი, როგორც როსტომის მიერ თავისი გამირობის ამბის არაერთგზისი თხრობა.

გოღლეტ ხითამბარელი მალვალაკურად იღიმებოდა.

- შენი წარუმატებლობა შენივე ასაკის ტოლია. არც მეტი, არცა ნაკლები, - უპასუხა ჰაქიმმა, - შენს სიტყვებს შენი გონება ვერ უვლის, ვერ აკონტროლებს. არადა სიტყვის თავისუფლება აზროვნების ძალმომრეობით უნდა განონასწორდეს. შენ ეგ წონასწორობა გაკლია. ზენაარი მეტად უხვია, ზოგჯერ მფლანგველიც კი. იგი ბევრად უფრო მეტს იძლევა, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ. დიახ, იმაზე ბევრად უფრო მეტს გაიღებს ჩვენთვის,



ვიდრე მიღება ძალგვიძს და მე დიდად გამკვირვებია მისი ეს გაუგებარი მფანტველობა. აი, შენ, მაგალითად, დიდზე დიდი, უზომო ენა გარგუნა, ოღონდ მისი მაკონტროლებელი აზროვნება – ზომიერი. აი, რომელ მფლანგველობას ვგულისხმობ მე. ერთ ლაზათიან სილას სიამოვნებით გაგანწავდი, დარწმუნებული რომ ვიყო, პირი დაბანილი გაქვს!

საზოგადოებას პასუხი მოეწონა.

ბევრმა ტაში შემოჰკრა, ზოგმა გადაიხარხარა კიდევ.

კიდევ ერთხელ დამარცხებული და გაცუცურაკებული გოდლეტ ხითამბარელი მისთვის ჩვეული გვერდელა სიარულით გასასვლელისაკენ წატუსტუსდა და მიიმალა. გამარჯვებულმა მოხუცმა კი მორბედ ბიჭს ხელნაწერი გამოართვა და დარბაზში მყოფთ ახალი ქმნილების ცალკეული ადგილები წაუკითხა.

მეორე დღეს მორბედმა ბიჭმა შეამჩნია: ჰაქიმი ჩვეულებრივად დილაუთენია აღარ წამომდგარა და ნათელ დილას პირდაბანილი აღარ შეხვედრია.

ყმაწვილმა ეს წინა ღამის დაღლილობას დააბრალა.

ბიჭის შეკითხვაზე, მოძღვართ მოძღვარი წამოდგომაში შეშველებას ხომ არ ისურვებდა, პასუხად მიიღო მობერებული „დიახ!“ იმ დღეს, როგორც იყო, მშვიდობიანად გააღწია. მომდევნო დილით მომხმარის შეკითხვას პასუხად მიაგება ხრინწიანი „დიახ!“ მესამე დილითაც იგივე განმეორდა და პალატაში გაისმა სულის მღაფველი „დიახ!“

ოღონდ ამჯერად ფეხზე ველარ წამოდგა.

თავიც კი ველარ წამონია.

არც აღარაფერსა ჭამდა და მეოთხე დღეს ტოგო და ახლო მეზობლები ხედავდნენ, რა თანდათან დაეუფლა არასასურველი სილამაზე – სიკვდილის ნათელი.

წესის ამგებმა წესი არ აუგო – მწვალებელი და ერეტიკოსი იყო.

ამიტომაც საერთო სასაფლაოზე ვერ დაიკრძალებოდა.

კუბოს მინამსგავსი ბიჯაგი შეკრეს და ზედ დაასვენეს. თავქვეშ აგური მორბეძმა ყმანვილმა ამოუდო. ქალაქგარეთ უნდა წაესვენებინათ, თავისსავე ბაღში გაუჭრიდნენ საფლავს, იქ ექნებოდა სამუდამო ბინა, ხოლო მეუღლისა და ვაჟიშვილის სულებს მისი სული ზეცაში მოინახულებდა, რადგან ფიზიკური დაშორიშორება ამას ხელს ვერ შეუშლიდა.

ბიჯაგს წინ და უკან მკლავლონიერი ვაჟკაცები ჩაუდგნენ, სახელურებს დასწვდნენ და ქალაქის გალავნის ერთ-ერთი გასასვლელისაკენ დაიძრნენ.

მორბედ ბიჭს, რომელსაც ჰაქიმთან სამსახურის წყალობით წარმოსახვის უნარი არ აკლდა, მოეჩვენა:

ფირდოუსის ცხედარს წინ მიუძლოდა ოქროს დიადემა – დიდების, სისპეტაკის, ადამიანობისა და სათნოების სიმბოლო. ის ქალაქს ტოვებდა გალავნის ერთი კარის გავლით, ხოლო გალავნის მეორე კარიდან ამ დროს შემოდოდა და ცად გამოთავისუფლებულ ადგილს იკავებდა დრაკონის სიმბოლო, და ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოსდა ფირდოუსის ქალაქიდან გასვლის შემდეგ მთელი სივრცე უკეთურმა შეგრძნებამ მოიცვაო.

ყმანვილი არ შემცდარა: რაღაც ზენაარული და მეტაფიზიკური მართლაც იყო იმ ხილვაში, რადგან, ქალაქის ერთი ალაყაფის კარიდან რომ ფირდოუსის ცხე-



დარი გაჰქონდათ, მეორე ალაყაფის კარებში შემოდიო-  
და მიძიმედ ატვირთული აქლემების ქარავანი, რომელსაც  
მოძღვართ მოძღვრისათვის ოქროს მონეტები და სხვა  
სიმდიდრე მოჰქონდა.

მაგრამ სულთნის ჯილდომ დააგვიანა, რადგან  
დიდებულთა საჩუქარი ყოველთვის იგვიანებს.

\*\*\*

მეგობარო მკითხველო!

ჩვენ ახლა ვიხილეთ დიადი ნამყო.

ადამიანს რომ საბოლოოდ ემშვიდობები, რას აკეთებ?

თვალში უკანასკნელად ჩახედავ, ხელს მტკიცედ ჩა-  
მოართმევ და დინჯად გამოემშვიდობები.

ასე უნდა მოექცე წარსულსაც: ხელი მტკიცედ ჩა-  
მოართვა და დინჯად გამოესალმო, მასუკან კი ენერგი-  
ულად გაუდგე მომავლის გზას, რადგან ცხოვრება ის  
პროზაა, სადაც ლირიკა და სინაზე სქოლიოშია ჩატანილი.

مک ،یل یوش ی دوات نامروم رتکد ی جبرگ مدنسیون  
 ،تساب یتدم ،دشاب یم یبدا نوگانوگ زی اوج مدنراد  
 تا یبدا کی سالک رعاش یبدا طب اور ل یاسم مک  
 یسودرف و یلواتسور اتوش ی دالی یم 12 نرق ی جبرگ  
 یفارگونوم و تالاقم .دنک یم یسررب و قیقحت ار  
 عق او ی جبرگ ناگدنناوخ دنسپ دروم منیمز نیارد یو  
 .تساب مدش

،دشاب یم نامر مس فلوم مک ،یل یوش ی دوات نامروم  
 ،مدرک فیلات ار "یسودرف" صوصخم یرنه رثا  
 رد مدنسیون یزادرپ لایخ و یخیرات تی عق او مک  
 یونعم و ینامرهق یگدنز و متخیم آ مه رد مناداتسا نآ  
 تی اکح مناداتسا ی جبرگ یابی ز نابز اب ار یسودرف  
 .تساب مدرک

მურმან მელიტონის ქე თავღიზვილი

**ფირდოუსი**

(რომანი)

რედაქტორი – დოქტორი ნომადი ბართაია

МУРМАН МЕЛИТОНОВИЧ ТАВДИШВИЛИ

**ФИРДОУСИ**

(Роман)

Редактор доктор Номади Бартаиа

ی لیرش ی دوات نامروم

**یس و درف**

(نامر)

ای اتراب ی دامون رت کد رات ساری و